ეკ. ბიორბი თეოდორაძე

ხეთი წელი -ფშავ- ხევსურეთში

პროფესორი აკ. შანიძის წინასიტყვაობით

(ეთნოგრაფიული-ნარკვევები მხატვრული ილუსტრაციით)

ცფილისი
1930

ეძ. ბიოლოგი თედოლაძე

ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში

პროფესორი ა. შანიძის წინასიტყვაობით

(ეთნოგრაფიული ნარკვევები მხატვრული ილუსტრაციით)

სილ. თავართქილაძის გამოცემა

ტ ფ ი ლ ი ს ი

1930

ჩემი მკერდისა აღმზრდელის
ითასერმ იკანეს ძაის ოცსერლის ხსოვნას
და დამუკეწყან დედის შაკვიერს კაკო იკანე ამბაშაძის ასულს

ოქტინე ჩემს შრომას

შ ი ნ ა ა რ ს ი

	ᲒᲒ.
1. წინასიტყვაობა	IX
2. ავტორისაგან	XI

Მ. ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ.

I. ᲤᲨᲐᲕᲘ:

1. გზა და გზა	4
2. საეკლესიო პუნქტი	4
3. მუშაობის პირობები	6
4. პირველი შთაბეჭდილებანი	6
5. ფშაური ბინები	8
6. ხატები	12
7. ფშავლები ლხინში (სერობა)	12
8. ფშავლები ჭირში	20
9. ბავში ცრუმორწმუნოების მსხვერპლი	21
10. ახალი წელი ფშავში	23
11. ფშავლების მუსიკალობა	23
12. მესაკონლეობა ფშავში	11
13. ფშაველი ბავშები	24
14. დედაკაცის ცხოვრება ფშავში	25
15. ფშაველი დედაკაცის ტანისამოსი და ხელსაკმე	26
16. თვიური და ჰიგიენა	27
17. ფშაური საღებავები	28
18. მასიური სიღატაკე	29
19. ფშაველი მწყემსი (ქალი და ვაჟი)	29
20. საკმელი ბალახები	29
21. ფშავლების უმთავრესი საკვები	30

II. ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘ.

Ა. ᲞᲘᲠᲐᲥᲔᲗ-ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘ:

1. მდებარეობა	31
2. ზამთარი ხევსურეთში (ფშავშიაც)	31
3. ჭიანკველების ქალაქი	33
4. ავადმყოფობანი	34
5. ხევსურეთის დახასიათება (ბაკვრითი)	35
6. ხევსურული ბინები	37
7. მესაკონლეობა ხევსურეთში	38
8. ხევსურის საოჯახო მეურნეობა	38

		გვ.
9.	ახალი წელი ხევსურეთში	39
10.	ონჩხარი	42
11.	დასასვენებელი და საქეიფო ადგილები	43
12.	ბეკზე მკითხაობა	45
13.	ყაჩაღობა ხევსურეთში	48
14.	ანტიჰიგიენა	49
15.	ტანისამოსი	53
16.	ხევსური დედაკაცის მდგომარეობა	53
17.	დედაკაცი სამრეულოში (ბაკერით)	53
18.	დედაკაცი ოჯახში	53
19.	სითამამე ხევსური ქალისა	53
20.	დედაკაცის დამცირება ხევსურეთში	54
21.	ხევსური ქალის დიბასიათება (მოკლეთ)	54
22.	ხევსური ქალის ხელსაქმე	55
23.	ხევსური ქალი საქონელში, ცეკვა-თამაშში	55
24.	თამბაქო ხევსურეთში	56
25.	საკმელი ბალახები ხევსურეთში	57
26.	ხევსურთა მუსიკალობა	58
27.	ხევსური ბავშვები	58
28.	ორშაბათი—უქმე	59
29.	მიცვალებულის დამარხვის წესები ხევსურეთში	60
30.	ჭირის წყენა	63

ბ. პირიქით-ხევსურეთი:

1.	შატილის მხარე	63
2.	არხოტის მხარე	76
3.	სიკვდილი და ცრუმორწმუნოება	81
4.	ბეარები ხევსურეთში	81
5.	ახალუხალი	84

4. ნაწილი მეოთხე:

1.	მკურნალობა ხევსურეთში	85
	ა) სამკურნალო ბალახები	101
2.	ხევსურული ტანისამოსი ჰიგიენის თვალსაზრისით	105
3.	სისხლის აღება და მასზე დამოკიდებული წესები ხევსურეთში	110
	ა) ხევსურული სუნელი	117
4.	ქორწინების წესები ხევსურეთში:	
	ა) აკვანში დანიშვნა	120
	ბ) ჩვეულებრივი დაქორწინება ხევსურეთში	123
	გ) გათხოვების ადათი	124
	დ) ქალის გატაცება	124
5.	სწორფრობა ხევსურეთში	131
6.	სამრეულოში გახიზვნა, თვიური და მოლოგინება ხევსურეთში	140
	ა) მოლოგინება ხევსური დედაკაცების	144
	ბ) შვილეგის რიცხვი ხევსურეთში	146
	გ) ბავშის მოვლა ხევსურეთში	147
	დ) ორსულობა და თვიური ხევსური დედაკაცისა	148
7.	დაქორწინების საკითხი ფშაველში	150
	ა) ქალის მოტაცება ფშავში	150

ბ3-
8. ფშავის მოსახლეობა 157
9. წაწლობა ფშავში 157
ა) ფშაური წაწლობის დამახასიათებელი ამბავი 165
10. ბოსელში გახიზვნა თვიურისა და მშობიარობის დროს ფშაეში 167
ა) მშობიარობა ფშაველი დედაკაცისა 169
11. ფშავ-ხევსურების ბუნება, თვისება და ხასიათი საზოგადოთ.
ა) ხევსური მამაკაცის დახასიათება 180
ბ) ერთი ეპიზოდი 183
გ) ხევსური დედაკაცის დახასიათება 187
დ) ფშაველი მამაკაცის დახასიათება 187
ე) ფშაველი დედაკაცის დახასიათება 191

5. **დამატება:**

1. მოსახლეობითა მოძრაობა ფშავ-ხევსურეთში 192
2. სტუმართ-მოყვარეობა და დაფასება უცხო მოყმისა ხევსურეთში 195
3. ხევსურული ლექსები 198
4. ფშაური ლექსები 202

6. **ლიტერატურა** 203

7. **უმთავრეს შეცდომათა გასწორება** 206

წინასიტყვაობა

ძნელად მოიპოვება სადმე კუთხე, სადაც ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი თავისებურებანი ისეთი სიძლიერით იყოს გამოხატული და ისეთ უცხო სანახაობას წარმოადგენდეს, როგორც ეს არის ფშავსა და, განსაკუთრებით, ხევსურეთში. საოცარია: ფშავ-ხევსურეთის შუაგული რაღაც ასიოდე კილომეტრითაა დაშორებული ტფილისიდან, მაგრამ აბა ერთი მიბრძანდით და ჰნახავთ, თუ რა დიდი განსხვავებაა ტფილისის მიდამოების სოფლებსა და ფშავ-ხევსურეთის სოფლებს შორის. ასე გეგონებათ, საშუალო-საუკუნოების ქვეყანაში ამოვყავ თავიო.

ბევრი დაწერილა ამ კუთხის შესახებ, ბევრიც დაიწერება კელავ, მაგრამ საეჭოა, რომ ოდესმე ადგილობრივი თავისებურებანი ყოველ-მხრივ იქნეს აღწერილი, სავსებით ამოწურული და სათანადოდ გაშუქებული. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ყოველი ცდა, რომელიც მაინც ამ მიზნისკენაა მიმართული და რაიმე ახალი შეაქვს საგნის შესახებ. ასეთია სწორედ ექიმ გ. თ ე დ ო რ ა ძ ი ს ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს ავტორის დაკვირვებათა ნაყოფს ხუთი წლის განმავლობაში. არ ყოფილა შემთხვევა, რომ უცხო კაცს დაეყოს მთაში არა თუ წლების, არაძედ თვეების განმავლობაშიც კი. ჩვენი ავტორი ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია. ამოდენა ხნის მანძილზე მის ცნობის მოყვარეობას ბევრი რამ გამოუძევია და შეუსწავლია, მის თვალს ბევრი უნახავს და ყურსაც გაუგონია, და ყველა ეს ნახულ-გაგონილი ჩაუწერია, დაულაგებია და მკითხველისათვის მოუცია მსჯავრის დასადებად.

ავტორი განათლებით ექიმია და ამით აიხსნება ის გარემობა, რომ წინამდებარე წიგნში განსაკუთრებული ყურადღება სწორედ სამკურნალო საქმის დაყენებას აქვს მიქცეული. ამ მხრივ ბევრი ახალია ნათქვამი და წიგნი უსათუოდ დიდი ყურადღების ღირსია. მაგრამ მკურნალობის გარდა შიგ მოიპოვება მრავალი სხვაგვარი ცნობაც, რომლებიც ლიტერატურაში ჯერ აღნიშნული არ არის. განსაკუთრებით ძვირფასია ეპიზოდების ცოცხლად აღწერა და მხატვრულად გადმოცემა. რად ღირს, მაგალ., აღწერილობა იმისი, თუ როგორ უდასტაქრა თავის ექვს-თითიან შვილს ახლად მოლოგინებულმა ფშაველმა დედაკაცმა (გვ. 173), ან კიდევ, თუ როგორ გმირულად გაისწორა ჭრილობისაგან გამრუდებული ხელი ერთმა ხევსურმა (გვ. 103) და სხვა მისთანანი. ამას ზედ ერთვის

უხვად მოცემული ფოტოგრაფიული სურათები და ფერადი ნახატები, რომლებიც საგრძნობლად ჰმატებენ წიგნის ღირსებას.

ზოგი მოელენის ახსნა-დაფასებაში ავტორს შეიძლება ვერ დავეთანხმოთ, ზოგი რამ შეიძლება სხვაგვარად იქნეს გაშუქებული, მაგრამ უთუოდ მის მოსაზრებათ ყოველთვის გულისყურით უნდა მოვეპყრათ.

წიგნი უეჭველია ბევრად მოიგებდა, რომ ტეხნიკური დაბრკოლებანი არ გადაჭრობებოდა წან და გარეგნული მხრითაც ისე გამოსულიყო, როგორც შეჰფერის სამეცნიერო წიგნს

ა შანიძე

28. VI. 1930

ავტორისაგან

ფშავ-ხევსურეთი მივიწყებული კუთხე იყო წინად. მხოლოდ ჩვენი მოწინავე საზოგადოების მცირე ნაწილი იცნობდა მას და ისიც რაფიელ ერისთავის ცნობილი ლექსით: „სამშობლო ხევსურისა“. ბევრი ჩვენგანი არც ეხლა იცნობს მას და ეს ერთგვარი დანაშაულია ჩვენის მხრივ.

წინამდებარე წიგნი შეიცავს ორ განყოფილებას: ზოგადს და კერძო ნაწილს. პირველი ეხება ფშავ-ხევსურების გარეგან მხარეს, აღწერილს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მგზავრის თვალისგადავლებით; ხოლო მეორე ნაწილი უფრო სერიოზული მიდგომითაა ნარკვევი და კვალდაკვალ არჩევს მათს ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, ბუნებასა და ხასიათს.

ფშავ-ხევსურები მარტო იმითი კი არაა საინტერესო ჩვენთვის, რომ ისინი პრიმიტიულ ცხოვრებას ეწევიან ამ ჟამად, არამედ უფრო მეტად საყურადღებოა მით, რომ მათ (განსაკუთრებით ხევსურებმა) შეურყეველად შემოინახეს დღემდის ძველი სული. ხევსურები ვერ მოდრიკა გარეშე ძალების ტლანქმა არტახებმა და ეს ცოტა არ იყოს, რასმეს ნიშნავს. დღეს ფშავ-ხევსურები სრულიად თავისუფალი ხალხია. დღეს მას არავინ არ ირბევს: არც ლეკი, არც ქისტი და მშვიდობიანად განაგებს თავის შინაურ საქმეებს. დღეს მას მტკიცე საფუძვლიანი კულტურა სწადია, რის განხორციელებასაც ამ ჟამად უფრო დაგეშებით საბჭოთა ხელისუფლება ეწევა. და ყოველი პატიოსანი ადამიანის მოქალაქეობრივი მოვალეობაა დაეხმაროს მას ამ დიდ საქმეში და ერთი აგური მაინც მიიტანოს ახალი ქვეყნის ასაშენებლად.

ჩემი ხუთი წლის განდეგილობა ფშავ-ხევსურეთში სწორეთ ამ მიზანს ემსახურებოდა. მან გამოსწვა ერთი აგური ფშავ-ხევსურების პრიმიტიული ყოფა-ცხოვრების გამოკვლევით და მოიტანა იგი სანიმუშოდ ახალი საქართველოს ცხოვრების კედლებში ჩასაშენებლად.

დღევანდლამდე ვერავინ ვერ შესძლო რაიმე კულტურული კვალი გაევლო ისეთ მივიწყებულ კუთხეში, როგორიც ფშავ-ხევსურეთია, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში შესძლო ის, რომ გახსნა იქ საექიმო პუნქტი, ააშენა ახალი საავადმყოფო ხევსურეთში, აგებს სკოლებს და ამით თანდათანობით ქმნის ობიექტურ პირობებს კულტურის გასავრცელებლად მთაში. ეს კი მეტად მძიმე და ძნელი საქმია, და ჩვენი შრომის პირდაპირი დანიშნულებაა ხელისუფლებას და ყველა იმას, ვისაც ფშავ-ხევსურეთის ყოფა-ცხოვრება აინტერესებს, გაუადვილოს ამ მძიმე საქმის გაკეთება.

უნდა განვაცხადო, რომ, მიუხედავად პირველყოფილი მდგომარეობისა, რომელშიც იმყოფება დღეს ფშავ-ხევსურეთი — იქ მაინც დიდი

ნია დაგია დღევანდელი კულტურული მშენებლობისათვის. ამის დასაბუთებლად შეიძლება ჩოგიყვანოთ თუნდაც ის გარემოება, რომ ამ მიყრუებულ კუთხეში, სადაც სკოლას და სხვ. კულტურულ დაწესებულებას არც კი ჰქონია ადგილი—იქ თითქმის ყველამ იცის წერა-კითხვა, რომელსაც სწავლობენ ქვაზე, ქვიშაზე, ხეზე წერით და სხვ.

ფშავ-ხევსურების ყოფა-ცხოვრებას ნაკლებად იცნობს ჩვენი საზოგადოება, ამიტომ ჩვენი შრომის მიზანია აგრეთვე, გააცნოს მას ფშავ-ხევსურეთის ყოფა-ცხოვრების სინამდვილე და ერთხელ და სამუდამოდ გაფანტოს ის ყალბი ცნობები, რომლებიც ასე უხვადაა სხვადასხვა ავტორის შრომებში, განსაკუთრებით გურკო-კრიაჟინისა და მიხ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებში.

ღრმეს მადლობას უძღვნი პროფ. ა. შანიძეს, ექ. ალექსი უსტიაშვილს, რომლებმაც დაუზოგავი შრომა გასწიეს ჩემი წიგნის დამუშავებაში და მიხელმძღვანელეს ამ ჩემთვის ახალს, ბაგრამ დიდს საქმეში, როგორიც არის საერთოდ წიგნის გამოცემა. ჩემი გულწრფელი მადლობა წიგნის მეგობარს და მოყვარულს სილიბისტრო თავართქილაძეს, რომელმაც დიდი ღვაწლი გასწია წიგნის გამოცემის მოგვარების მხრივ. მადლობას უძღვნი აგრეთვე ჩემს სიყრმის ამხანაგს გ. ეტ. დოლიძეს, რომელიც მუდამ მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ წიგნის გამოცემაში.

არ შემიძლიან აქვე არ დავასახელო ამხ. მ. სუჯაშვილი, რომელიც საუკეთესო მცოდნეა ფშავ-ხევსურების ყოფა-ცხოვრებისა და რომელთანაც ერთად მთელი 5 წლის განმავლობაში ძლიერ ხშირად ვმოგზაურობდი ფშავ-ხევსურეთში.

დასასრულ, დიდ მადლობას უძღვნი აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთ: ნათელა დავითის ასული ოჩიაურისას, მასწავლებელს ალექსი ალექსანდრეს ძე ოჩიაურს, რომლებიც მეხმარებოდენ მასალის დაგროვებაში და ხუროთმოძღვარს: გ. კალაშნიკოვს, რომელმაც დახმარება გამიწია სურათების გადაღებაში. ყველა სურათები, რომლებიც წინამდებარე წიგნშია მოთავსებული გადაღებულია უშუალოდ ჩემი კარნახით და ინიციატივით, და თუ რომელიმე მათგანი სადმე სხვა წიგნში არის მოთავსებული, ეს უნდა მიეწეროს ქ. დუშეთის ფოტოგრაფის გ. რ—ის დაუდევრობას ჩემი ნეგატივების სხვაზე გაყვიდვით.

დაბოლოს, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზებისა გამო (უფრო კი ჩემი ხევსურეთში ყოფნით, წიგნის ბეჭედის დროს) წიგნში შეპარულია კორექტურული შეცდომები—ხშირად უხეშიც. გარდა ამისა, ტეხნიკური მიზეზების გამო წიგნი გამოდის შემოკლებით და გამოცემაც მრავალ ნაკლს ატარებს.

ნაწილი პირველი

I. ფშავი

1. გზა და გზა

ფშავ-ხევსურეთი ეკუთვნის დუშეთის მაზრას. კულტურულად ეს მაზრა ჩამორჩენილია საქართველოს სხვა მაზრებთან შედარებით. ეკონომიურად იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ღარიბად, მაგრამ მის ეკონომიურ პირობებს ვერ იყენებს ვერც მაზრა და, რასაკვირველია, ვერც მისი ცენტრი, საერთოდ ამ მაზრის მცხოვრებნი ეწევიან მესაქონლეობას, განსაკუთრებით მეცხვარეობას. მიუხედავად კულტურული დაქვეითებისა, დუშეთის მაზრამ მოგვცა საუკეთესო მწერლები და პოეტები: დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ე, ალექსანდრე ყ ა ზ ბ ე გ ი, ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა. დუშეთის მაზრა შედის აღმოსავლეთ საქართველოში და მდებარეობს ჩრდილოეთის მხარეს, საქართველოს სამხედრო გზაზე. ფშავ-ხევსურეთისაკენ გზა მიემართება როგორც პირდაპირ თბილისიდან, ისე დუშეთიდან. თბილისიდან გზა გაიელის მცხეთას, შემდეგ პირდაპირ გაჰყვება არაგვის პირს. დუშეთიდან კი ცოტა სამხრეთით, გადასჭრის ოდნავ მომაღლო დუშეთის ქედს, გაჰყვება სოფელ ყვავილის მიმართულებით და გრძელდება ვეებერთელა არანისის მინდვრის შუაგულის გასწვრივ. ფაიელის ეინეალის ხიდს, მარცხნივ სტოვებთ ანანურის ხეობას და პირდაპირ დაადგებით ფშავ-ხევსურეთის გზას, რომელიც მიჰყვება ფშავის არაგვის ნაპირებს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ.

ძველი საუკუნის ცოცხალი, ცხადი სახეები უგულო ღიმილით ჩაგივლიან გვერდს და აშკარად ამჩნევ, რომ გულში ზიზღს გიცხადებენ ამ ახალი საუკუნის მოუპატიჟებელ სტუმარს. ამას მგზავრი ცხადადა გრძნობს და მწარე ფიქრებით თავს ეკითხება: სად მიდის ის? ვისთან მიეჩქარება? ამ ფიქრებში გაივლით ს. ს. გუდრუხს, თვალივის ჭალას და მიადგებით შარახევის ხეობას, საიდანაც იწყება ნამდვილი ფშავის ხეობა. რამდენსაც წინ წაიცვლით, მიდამოების სურათიანობა რელიეფურად ხან აიწევა ზევით, ხან დაეშვება და მასთან ხეობა თანდათან შესამჩნევად ვიწროვდება. შედარებით ფართო გზა-ტკეცილი გადადის ვიწრო ბილიკებში და აქ აშკარად გრძნობთ, რომ ეთხოვებით სინათლიან გაშლილ მხარეს. სიცოცხლით სავსე სახეები ისევ განაგრძნობენ თქვენს გვერდის ჩაელას. ზოგი მათგანი შეჩერდება კიდევ წაშით, შემოგხედავს, ჩაიცინებს და გზას განაგრძობს.

გზა გრძელდება. მთის მწვერვალები თანდათან მაღლდებიან. მგზავრი ფიქრობს: აი საცაა ეხლა დაილევა გზა, მიაღწევს დანიშნულ ადგილს და დაისვენებს. მაგრამ მეხვეული ხეობა ატყუებს მას, ითრევს თავის გაუთავებელ ხვეულებში და ამით აღიზიანებს მის მოთმინებას. გადის დრო, გზა არ თავდება. არაგვი ანჩხლობს და გიჟივით მიექანება ქვევით. მას ბევრი მგზავრი უნახავს წარსულში, ბევრს ხედავს აწმყოში, უთვალავს ნახავს მომავალში, იგი მუდამ ასე

ივლის, მისი გიჟური სიანჩხლე მარადიულია, მხოლოდ—ხანდისხან უფრო გაგიჟდება, კალაპოტს გამოიცვლის, მაგრამ ისევ უწინდელში ჩადგება. გაივლის დრო, იგი ისევ ისე ჩქარი ღრიალით ივლის წინ. დღეს—შენ, ხვალ—ის და ასე—მუდამ. მგზავრი მიდის წინ, იკრეფს ძალას უფრო მწვავე განცდებისათვის და ამ მოლოდინში თქვენ უკვე თავი ამოჰყავით ფშავის შუა-გულ ცენტრში, მალაროსკარში. მიიღებთ ქვეშ-ქვეშა ღიმილს ფშაველებისას და, ისევ ფიქრებით დატვირთული, გზას განაგრძობთ. ერთი საათის შემდეგ მარჯვნით სტოვებთ ჩარგლის[1]) ხეობას, მარცხნით ისვენებთ მყავე წყალზე, დაქანცულ გულს გამოაცოცხლებთ კლდის გულიდან გადმომდინარე შადრევანით, ტუტოვანი წყლის გამონაჟონით. გამხნევებული გულით ნაბიჯს გადასდგამთ. ბილიკი ვიწროვდება, ის გრძელდება. თქვენ შეიპრებით ვიწრო ხეობის გვირაბში. კარჩხლოვანი მთები უფრო და უფრო წამოზნექილან ერთმანეთისაკენ. გგონიათ—ეს ეს არის ერთი მეორეს დაეჯახებიანო. გაივლით ხომის[2]) ძირს, ისევ მარჯვნით გაუვლით ვანხევის ხეობას, თავს ამოჰყოფთ ფშავის ვიწრო ხეობაში. აქ მგზავრი ჰფიქრობს სიზმარშია იგი თუ ცხადში. ძალაუნებურად ნატრობთ გაშლილ სინათლეს ან დანიშნულ ადგილამდე მიღწევას. მიიხედავთ უკან და გრძნობთ, რომ ცხადი ქვეყანა სწვდება ზღაპრულ მხარეს და ვგონიათ, რომ მას არც შესავალი აქვს, არც გამოსავალი. მგზავრი აქ უკვე მოემწყვდა მაღალ კედლიან ჩიხში. კისერს იბრუნებთ, იხედებით და გგონიათ თუ ვიღაცამ უკანიდან კარები წამოგიხურათ ისე მაგრათ, რომ სამუდამოთ გამოეთხოვეთ თქვენს სახლ-კარს, თქვენს გულ-ღია გაშლილ კუთხეს. მაინც წინ მიდიხართ და ფიქრობთ გზა სადღაც შორს მაინც გაიხსნება. ველური ბუნების სილამაზის პანორამები არ თავდება, იგი თანდათან უფრო და უფრო იშლება. მისი ფიროვანი კალთები ბუნების ახალ-ახალ დეკორაციებს იძლევა და ეს თავისებური სიამაყე ველური ბუნებისა ძალა-უნებურად იპყრობს დაქანცული მგზავრის ყურადღებას. ეს ველური ბუნების მეღავნება ძალა-უნებურად გიტაცებს თქვენ. თავი ავტომატიურად ვარჯიშობს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, მხოლოდ თვალის კუნთები აღარ მოძრაობენ. ყველა ეს ჰრ გეგონოთ, რომ გამოწვეულია რაღაც ჰრაჩვეულებრივი ბუნებრივი სიმშვენიერით, არამედ ეს გამოწვეულია ჩვენთვის უცხო, ველური ბუნების თავისებურობით. აქ თქვენთვის ყველაფერი უცხოა: გზა, მთა-ველი, კლდიანი ტყეები, გიჟი მდინარე, ფრინველები, პირუტყვი და თვით ხალხიც, რომელნიც ჰარმონიულად შეზავებულან ერთმანეთში. ყველა ეს აკვირვებს მხოლოდ ზეზეურ ცნობის მოყვარე გამვლელ მგზავრს, მკვლევარს კი ყველაფერი ეს თავისი წვრილმანითაც კი აინტერესებს და მისი დაკვირვების უნარი სწორედ აქ ღიზიანდება, რათა დაინახოს ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანისათვის უჩინარია. არა თუ ჩვეულებრივმა ადამიანმა, არამედ ბევრმა მეცნიერმაც არ იცის ჩვენი ცხოვრების მთლიანი შინაარსი. ამიტომ იყო, რომ მსოფლიო მწუხარებით შეპყრობილს ჰამლეტს უთხრა თავის გულითად მეგობარმა ჰორაციომ: „ქვეყნად ჯერ კიდევ ბევრია ისეთი საიდუმლოება, რომლებშიაც მეცნიერ-ფილოსოფოსნი ვერ გარკვეულანო“. შექსპირის ამ გენიალურ

[1]) ჩარგალი—ვაჟა-ფშაველას სოფელია.

[2]) ხომი—სოფელია.

აზრს, ჩვენი ცხოვრების შორეულ მომავალშიაც ბევრჯერ გაიმეორებენ, რადგან ცხოვრების საიდუმლოებანი მუდამ განუწყვეტლივი ძიების საგანი იქნება.

ასე ვიცვლიდი გაუთავებელ ნაბიჯებს ფიქრებით წახალისებული და დაინტერესებული.

გზა მოკლდებოდა. მე ინსტიქტიურად ვგრძნობდი, დანიშნული ადგილის მიახლოვებას. ფიქრების ჰორიზონტი უფრო და უფრო ფართოვდებ. ვიგრძენი საღი ჰაერის სუნთქვა, დასუსტებული ფილტვების ალვეოლები დაიბერა მეტი ოზონით და უეცრივ ფშავ-ხევსურეთის ორ-წყალს[1]) მივადექ. ამ ორ მდინარეს აერთებს კონუსივით აწვეტილი მთა, რომელიც თავის-თავად ჰყოფს ერთმანეთისაგან გადმოლმა (პირაქეთ) ხევსურეთს და უკანა ფშავის ხეობას.

როგორც ხევსურეთიდან, ისე ფშავის ხეეიდან მომავალ ორივე მდინარეს უწოდებენ ერთს სახელს, არაგვს. ეს არაგვი სოფელ ერნვალთან უერთდება, როგორც ხალხი ამბობს, ნამდვილ არაგვს, რომელიც ჩამოდის ანანურის ხეობით. ეს უკანასკნელი კი ერთვის მდინარე მტკვარს მცხეთასთან.

მარ-ცხნივ დავსტოვე ხევსურეთი და მარჯვნივ აესცილდი ორ-წყალს. წინაგრძნობა მიკარნახებს, რომ უახლოვდები დანიშნულ ალაგს. აქ კიდევ—ფიქრები იმაზე, თუ სად ან როგორ გავათევ ღამეს. გულში ნიადაგი წინდაწინვე მოვამზადე: ხალხის საკეთილდღეოთ, მის გამოფხიზლებისათვის პირადი უსიამოვნება არ მაშინებს. ამისათვის მე უკვე შეურიგდი ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათს. აქ უნდა დასთმო პირადი პატივი და განცხრომანი, გასთქვიფო ისინი თვით ხალხის საკეთილდღეო სურვილში. ეგ მსხვერპლი გაგრძნობინებს ნამდვილ ადამიანური სიცოცხლის ღირსებას.

ამ ფიქრებით უკვე მიუახლოვდით დანიშნულ ადგილს. დაქანცულმა ფეხი შევდგი დროებითი სადგურის ეზოში.

ჩვენი სადგომი სახლი ჩაფლული იყო სიბინძურეში, მაგრამ მე ამას წინდაწინ ვგრძნობდი და ცხვირ აწეულ ამპარტავნობით არ დავიწყე განათლებული ქვეყნიდან მოსულის პრანჭვა, პირდაპირ საქმეს შევუდექი.

მართალია, ასეთ პირობებში ძნელია შედარებით წესიერი, ნაყოფიერი მუშაობის წარმოება,—მეტადრე თუ ექიმი ხარ, მაგრამ პირობების მიხედვით შევუდექი საექიმო პუნქტის მოწესრიგებას. თქმა იმის, რომ აქ შესაძლებელია მკურნალობის ჩატარება ისე, როგორც ამას მოითხოვს მკაცრი დისციპლინა მედიცინისა, გულუბრყვილო ცდა იქნებოდა. ამიტომ უფრო მარტივად დავიწყე მუშაობა: მარტივი და დამაჯერებელი დარიგება ავადმყოფებისა. არავითარი მანჭიობა, არავითარი ლაზღანდარობა ამბულატორიულ ავადმყოფებთან, სრული ინდიფერენტიზმი მათთან დამოკიდებულებაში, გულწრფელი, პირდაპირი მეღავნება შეუგნებელი ქცევისა და, ამ შემთხვევაში, არავითარი დათმობა და შებრალება. წინდაწინვე გათვალისწინება იმის თუ ვისთან როგორ-უნდა მოიქცე, ან სად როგორ უნდა იმოქმედო, დაკვირვებული, გადაუმეტებელი ინდივიდუალიზაცია ყოველდღიური მუშაობის საათებში, მკაცრი შეუბრალებე-

[1]) სადაც ორი მდინარე ერთად შეიყრება, იმ ადგილს ფშავ-ხევსურები უწოდებენ „ორწყალს“.

ლი ანალიზი ხალხის წინაშე საპასუხისმგებლო მოქმედების ფარგლებში. ამ მტკიცე გადაწყვეტილებით შეუუდექი მუშაობას.

2. საეკიმო პუნქტი

საეკიმო პუნქტი მოთავსებულია უკანაფშავის შუაგულში, სოფ. შუაფხოში. ხსენებული პუნქტი ემსახურებოდა, როგორც უკანაფშაეს, ისე მთელ ხევსურეთს. —ხალხი ორივე მხრიდან თანდათან ეჩვეოდა მას და მათი რიცხვი თანდათან მატულობდა. სამი თვე გავიდა, სანამ ყველა კუთხის მცხოვრებნი გაიგებდენ საეკიმო პუნქტის არსებობას, ამ ხნის განმავლობაში ამბულატორიულ ავადმყოფთა საშუალო რაოდენობა ყოველ-დღიურად უდრიდა 15-20 სულს ორივე სქესისას. სტაციონარული ავადმყოფები საწოლიანი ოთახების უქონლობის გამო არ გეყოლია, თუმცა კი ამის მოთხოვნილება იყო. ბინაზე წაყოლა გვიხდებოდა. კვირაში ორჯერ, გარდამავალ ხანაში კი ე. ი. ზაქთრის დასაწყისში და გაზაფხულის პირველი თვის გასვლამდე, თითქმის ყოველ დღე. ამ პერიოდებში გავრცელებული იყო მხოლოდ ორი ტიპიური სახე ავადმყოფობისა: ფილტვების ანთება ორივე ფორმისა—როგორც კრუპოზული, ისე ბრონქო-პნევმონიური უმთავრესად და რევმატიზმები ორნაირი შეტევით,—როგორც მწვავე, ისე ქრონიკული ხასიათისა. რაც შეეხება სხვადასხვა ფორმის ავადმყოფობას, იგი მაინცდამაინც არ ძრის აღსანიშნავი, რადგანაც ის იშვიათი მოვლენა იყო ჩვენი მუშაობის დროს. [1]) ავადმყოფების ბინაზე წასვლის მანძილი განისაზღვრებოდა.

სურ. 1. ფშაველი გლეხის სახლი, რომელშიაც შუაფხოს (ფშავ-ხევსურეთის) საეკიმო პუნქტია მოთავსებული.

[1]) ეფრო საფუძვლიანად და ვრცლად ამაზე ქვეით გვექნება საუბარი.

10-დან 60 ვერსამდე. ავადმყოფებთან მივჰყავდით, როგორც ხევსურეთს., ისე ფშავს, ბილაკი მეტად ვიწრო და ხშირად კლდოვანი-უფსკრულის ნაპირებზე გადამდგარი. მგზავრობა მუდამ სახიფათო და საბედისწერო. ამბულატორია და ბინა ჩვენი ყოველად შეუფერებელი, ანტიჰიგიენური, სადაც არ შეიძლება დაიცვა თუნდაც ელემენტარი სისუფთავე ჩვეულებრივი ადამიანისა. სახლი, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, არის ორ სართულიანი, ქვემო სართულში ცხოვრობს სახლის პატრონი თავის საქონლით, ზემოში—ჩვენ. ზემო სართული შედგება ორი ოთახისაგან: ერთი ითვლება ამბულატორიად, მეორეში ჩვენ ვცხოვრობთ. ოთახების კედლები და ჭერი მქვარტლით იყო გაშავებული. როგორც ჭერი, ისე იატაკი უკოდინარი ხელით არის ნაკეთები. ორივე ოთახის იატაკის გოჯიან ნაპრალებში ქარი თავისუფლად გადი-გამოდიოდა. თვითეულ ოთახს ჰქონდა თითო უმინო ფანჯარა და თითო კარი, რომლებიც თავისთავად მუდამ ღია იყო. ხსენებული სახლი სრულიად არ შეეფერება საექიმო პუნქტს, მაგრამ მეტი გზა არ იყო, უკეთესი ბინა არ მოიპოვებოდა. სახლი გადმომდგარია არაგვის პირზე, რომელიც გიჟივით ჩამორბის ორ მაღალ მთას შუა და ამ მიყრუებულ არე-მარეს მისი ხმაურობა ოდნავ ეაფხიზლებს. ეზოდან ჰხედავთ დასავლეთით გადაბრუნებულ, ქოლგასავით წამოხურულ მაღალ მთებს ხევსურეთისას, აღმოსავლეთით—ისევ აწვეტილ უკანაფშავის მკერდ-გადმოზნექილ მთას: აღმოსავლეთით ბორბალოს მთას[1]), [illegible] უძილაურთას, სამხრეთით კიკარეტეს მთას[2]). მთის კალთები ისევ არაგვის ვიწრო ქალებს უერთდებან და ჩვენც აქ ვართ განწირულივით მომწყვდეული. აქ არც ჩვეულებრივი ტიპის სკოლაა, არც ერთი ინტელიგენტი, არც სამკითხველო, არც რაიმე გასართობი, გარდა აუარებელი სამლოცველო ადგილებისა, რომლებსაც „ხატი" ჰქვია. ამასთანავე არავითარი მიმოსვლა არსაიდან, მხოლოდ ზაფხულობით და ზამთრის პირზე მეცხვარეები აიელ-ჩაიელიან თაეიანთი ცხვრის ფარებით.

ჩვენთან თანამშრომლობდა ერთი ფერშალი და დარაჯი, ბებია ქალი არა გვყოლია, რადგანაც, ჯერ ერთი, იქ ვერავინ ბედავდა წასვლას და მეორეც, არც იყო საჭირო. ჩვენი თანამშრომელი ფერშალი ვერ აღმოჩნდა თაეის შესაფერ დონეზე მდგომი. მან არა თუ თვით მის თავზე, არამედ ყველა ფერშალზე წამართვა კეთილი რწმენა. მას ახასიათებდა ინტრა-ფსიქიური ატაქია.

ჩვენ გვესმის ექიმის მოვალეობა მოსახლეობის წინაშე. კერძოდ კი თითოეული ავადმყოფის სიცოცხლის შენარჩუნების მხრივ. ამიტომ ყოველი ნაბიჯი, ყველა ჩვენი მოქმედება გათვალისწინებული იყო ფრთხილი საქმიანობის ფარგლებში. ამავე დროს კარგად ვხედავდი, რომ ვარ სრულიად მარტო, არც უფრო გამოცდილი ხელმძღვანელი, არც კონტროლი. მაგრამ ხელმძღვანელად გაეიხადე დიდ მეცნიერთა ნაწარმოებნი, კონტროლად კი—შეგნებული მკურნალის წმინდა ეთიკა და სინიდისი.

---

[1]) ბორბალოს მთას ხალხი კიდევ უწოდებს „ხმელეთის გულს". მის ძირში გამოდის ცხრა წყარო შემდეგ იქცევა მდინარეებად და რწყავს ამიერ-იმიერ კავკასიის გაშლილ კალთებს.

2) კარატე ფშავლების ძლიერი ხატია.

3. მუშაობის პირობები

მეტად მძიმე იყო ჩვენი მუშაობის პირობები. არა იმიტომ, რომ ამბულატორული ავადმყოფები ბევრი იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ არ ვიცოდით როდის იწყებოდა ჩვენი მუშაობა და როდის თავდებოდა იგი. მიღებისა და მუშაობის დანიშნული საათები ჩვენთვის არ არსებობდა. 8 საათის სამუშაო დრო ჩვენთვის არ იყო, შეუძლებელი იყო ჩვენ მიერ დროს განსაზღვრა. ეს იმიტომ, რომ ავადმყოფები მოდიოდნენ არა სამოთხე ვერსიდან, არამედ 15, 30 და ხშირად 60 ვერსის მანძილიდანაც. ამისათვის ჩვენ, კიდევაც რომ ყოფილიყო რაიმე გასართობი, ან ოჯახი, სადაც მოღლილი ადამიანი თავს გაირთობს, იქ ვერ წავიდოდით, რადგანაც იგი ჩვენთვის აკრძალული იყო უკვე ხსენებულ პირობების გამო. ერთად-ერთი გასართობი მარტო მეცნიერული წიგნები იყო. ამის გამო საექიმო პუნქტს ვეღარ ეშორდებოდით, განსაკუთრებული შემთხვევის გარდა.

როგორც მოგახსენეთ, ჩვენ ისეთ მხარეში გვიხდება მუშაობა, სადაც ხალხი პირველყოფილი წესებით ცხოვრობს და მათი სახალხო კულტურულ საქმეში ჩათრევა და დაინტერესება მეტად ძნელია. ერთის მხრივ ამაში ხელს გვიშლის თვით აქაური ხალხის თანდაყოლილი ბუნებრივი მოუდრეკელი თვისება, მეორეს მხრივ კი უკვე წარსულის უკეთმართი ცხოვრებიდან შეძენილი უნდობლობა. ეს უკანასკნელი გამოწვეულია რუსეთის ცარიზმის მოხელეების უგუნური თარეშით ამ მხარეში. წინათ აქ ექიმი ან სხვა ვინმე გულწრფელი, პატიოსანი სახალხო მუშაკი თვალით არ უნახავთ და ამიტომ ხალხი ყოველ იმ სახალხო მოკეთეს, რომელიც მასთან სულით და გულით მიდის,—პირველში ყოველთვის ძლიერი ეჭვის თვალით უყურებს. ჩვენი მუშაობა ჯერ-ჯერობით გამოიხატება ამბულატორულ მუშაობასა და ბინაზე ავადმყოფთან სახიფათო მგზავრობაში და ეს გარემოება—შეგნება იმისი, რომ ჩემი ცოდნით ვეშველი გაჭირვებულ ადამიანებს, თანდათან მახალისებს და ისე მალალებს, რომ ვერც კი ვგრძნობ სინამდვილეში ჩემს გარშემო სიბნელის არსებობას.

მარტო დანახვით ჩვენ ვერ გავიცნობთ რომელსაც ხალხს. საჭიროა მასთან ყოფნა მუშაობაში, ლხინში, გაჭირვებაში, გზაში, ბინაზე, ღღისით, ღამით, სიზმრიან ძილში, საღსა და ხალისიან ფიქრებში, სასიხარულო განცდებში, ოჯახურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში და მძულვარების გამომჟღავნებაში, გაზაფხულის მხიბლავ ღღეებში, ზამთრის სუსხიან თვეებში და ყოველგან, სადაც მას უხდება თავისი სიცოცხლის ტარება. ამ სინამდვილეში შეიძლება ყველაფერს გადაეყაროთ, როგორც უარყოფით სისაძაგლეს ადამიანისას, ისე სიცოცხლის დადებითი ნიშნებს.

4. პირველი შთაბეჭდილებანი

ჩვენ ვცხოვრობთ ულარიბესი ფშაველი გლეხის სახლში. მას ჰყავს წვრილი ცოლშვილი. იგი მეტად ჩამორჩენილია საერთოდ პირველყოფილ ფშაველებს შორის. ის შავი საღებავით შელესილი გათლილი ფიცარია, რომელსაც არავითარი მისთვის სასიკეთო სიტყვა, სურვილი და მოქმედება არ ეკარება. ამიტომ

იგი დაბეჩავებული ჰყავს შინაურს, ახლო და შორეულ მეზობლებს და, რა თქმა უნდა, გარეშე მტერსაც. მისი ალალი თვისების ხასიათი, აზრი და მოქმედება სასაცილოდაა აგდებული, მას მდიდარიც, საშუალოც და ღარიბი გლეხობა ყველაფენ, უსინდისო ეაპარავით ათრევენ როგორც უპატრონო ხარს და არცხვენენ თავის საკუთარ ოჯახურ ცხოვრებაშიაც. მას ჰყავს მოხდენილი ცოლი, მაგრამ ამავე დროს ისიც ზარმაცი და გაუნძრეველია. მიუხედავად ამისა მასზე ტრიალებს მთელი ოჯახი. ჰყავს ოთხი ქალ-ვაჟი, ყველა „კალმით დახატული" და სრულიად ჯანსაღი.

ფშავ-ხევსურებს მსხვილფეხა საქონელი თავსავით უყვართ. თუ ცხენს, ან ხარს რაიმე ფათერაკი შეემთხვა, ისე გლოვობენ მას, როგორც ადამიანს, თუ ვინმემ მოუკლა ის, ისევე იძიებენ შურს, როგორც ადამიანის დანაკლისზე. სისხლის აღების ადათი ამ შემთხვევაშიც იმ კანონს ემორჩილება, რომელიც ადამიანებზეა დაწესებული. რა თქმა უნდა, არის ცოტაოდენი განსხვავება, მაგრამ ის იმდენად უმნიშვნელოა, რომ ზემოხსენებული ჩვეულების სინამდვილე ერთმანეთს შორის ძირითად კავშირს არ სწყვეტს.

ერთ დღეს ამბულატორიაში ავადმყოფები ბლომად მოგროვდა, როგორც ხევსურეთიდან, ისე ფშავიდანაც. ყველა ავადმყოფის გასტუმრების შემდეგ ერთი მოხუცი ხევსური მორიდებით მოგვიახლოვდა და გვითხრა:

— გიორგი, მეზობელმა ხარი დამიჭრა მუცელში, თუ შეიძლება რამე უშველეთ, წამალი მომეცით, ან იოდი ან სხვა რამე. (სხვათა შორის, ჩვენ აქ საქონლის ექიმადაც მივაჩნდით).

— ჩემო ბერდია, შენ კარგად უნდა იცოდე, რომ მე საქონლის ექიმობისა არაფერი გამეგება, ამიტომ სამწუხაროდ ვერ დაგეხმარები.

ამის პასუხად ბერდიამ ქუდი მოიხადა და ჩემ წინ მაგიდაზე დასდო. ეს იმას ნიშნავდა, რომ თქვენს წინაშე დგას ადამიანი, რომელსაც ჰსურს თავი დაგიგირაოს, ოღონდ მიეცით მას საშუალება, განიკურნოს მისი ხარი. იმ შემთხვევაში, თუ მან კიდევ უარი მიიღო და ქუდი უკანვე აიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ იგი იქვე მოჰკალით.

რაკი მის ასეთ სულიერ მდგომარეობას აღღო აუღე, გადავწყვიტე დამეკმაყოფილებია მისი გულუბრყვილო სურვილი: მივეცი 10 გრამი იოდი. მან ეს დიდი სიხარულით მიიღო და შემდეგ დაიწყო თავის გულის ნადების მეღაენება:

—გიორგი, ჩვენ საქონელი ძლიერ გვიყვარს, უიმისოდ ცხოვრება ვერ შეგვიძლია. ჩვენ რომ საქონელი არ გეყავდეს, ვერც თავს დავირჩენდით და ვერც მთავრობის გადასახადს გადავიხდიდით. ეს სთქვა და გამომემშვიდობა.

ფშაველები არა ნაკლებ აფასებენ მსხვილფეხა საქონელს. დილის ოთხ საათზე ერთი ფშაველი ბავში დამეცა თავზე, რომელსაც თვალზე თითქმის ცრემლები მოსდგომოდა და მითხრა, რომ წუხელ ცხენი გადაქცეულა ბაგაში, თავი და ფეხი ძლიერ დაჰშავებია, თუ შეიძლება გვიშველეო. აქაც იგივე სიტყვები და ახსნა-განმარტება, როგორც ხევსურთან, მაგრამ მაინც იგივე დამფიქრებელი სურათი წამოიჭრა ჩვენს წინაშე და ფშაველმა ბავშმა თავისი გაიტანა.

წავედით. ბინაზე მივედით, შეძლებისდაგვარი დახმარება აღმოუჩინე, დავიმედე, რომ ცხენს სახიფათო არაფერი აქვს.

ყოველი ფშაველი ისეთია, რომ თავის ავადმყოფობაზე ისე არ შეგაწუხებს, როგორც საქონლის ავადმყოფობის დროს.

5. ფშაური ბინები

როგორც აღნიშნეთ, მთელ ფშავში სოფლები ტიტველ მთებშია მიჯრედილი. ყოველი სახლი მოგაგონებთ მერცხლის ბუდეს, რომელიმე წესიერი სახლის ყურეში მიშენებულს, ან ქორის ბუდეს მიუვალ კლდის ნაპრალში მიშენებულს. სტილის მხრივ ხსენებული გარეული ფრინველების ბუდეები უფრო ხელოვნურია, ვიდრე ფშაველების სახლ-კარი. მათი სოფლები მთის მიფარებულ უბეებში მდებარეობს, ეს ალბად იმიტომ, რომ ქარიდან თავი დაიცვან. ზოგიერთი სოფელი ისეთ ადგილას მდებარეობს, რომ იქ არა თუ ადამიანი, არამედ ქორი და ნადირი არ გაიკეთებს ბინას (არახიჯა, ვან-ხევი, ქუთხი, ბახია, ქინო, და სხვა). გაეცნობით თუ არა მათ მოსახლეობას, მაშინვე იტყვით, რომ ამ ხალხს არავითარი წარმოდგენა არა აქვს თუნდაც უბრალო ადამიანურ ცხოვრებაზე და ძალაუნებურად ფიქრობთ: რამ გაყინა ეს ხალხი ამ მთის ნაპრალებში ისე, რომ ერთი წერტილიდან ვერ დაძრულა?

მაისის ერთ დღეს ცხენით გავემგზავრე ავადმყოფთან. წინ დედაკაცი მიმიძღვის ფეხით.

— რომელ სოფელშია ავადმყოფი?

— მათურაში, შენი კვნესამე. მიპასუხა დედაკაცმა.

— შორს არის?

— დიახ, შენი კვნესამე, შორს არის.

— რამდენი ვერსი იქნება დაახლოებით?

— ოცი, შენი კვნესამე.

გავიარეთ ათი ვერსი და მოუხვიეთ მათურის ხეობაში. გზა გრძელდება მეტად ვიწრო და სახიფათო ბილიკით. ეს ხეობა საგულისხმოა თავისი ველური და ამაყი სილამაზით. მას საკმაოდ მოზრდილი, ვიწრო კარჩხლოვან კალაპოტში მდინარე ჩამოუდის, რომლის ხმაურიც გაფხიზლებს მგზავრობის დროს და მის აქაფებულ ჩანჩქრებს გინდათ გულში ჩაეხუტოთ.

— უკვე ათი ვერსი გავიარეთ. კიდევ შორსა ვართ?

— დიახ, შენი კვნესამე, კიდევ შორსა ვართ—მიპასუხა დედაკაცმა.

— ჩვენ უკვე 20 ვერსიც გავიარეთ, ეუთხარი შემდეგში თანამგზავრ დედაკაცს. ის სდუმს. პირველად წყაროს ცივი წყალი ამოიღო, დალია, სიარულისაგან გახურებული გულმკერდი გაიგრილა და მირბის წინ. უცბად ის მობრუნდა, შემომხედა და ისევ განაგრძო გზა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მობრუნდა და მითხრა:

— აქ ხომ არ ჩამოხტები, შენი კვნესამე. ეს დასაქცევი, ფინთი გზებია.

— არა, ნუ გეშინია, გამიძეღ წინ—უთხარი მე.

თანამგზავრი დედაკაცი ხშირად მობრუნდებოდა, ცოტას შეჩერდებოდა და ისევ განაგრძობდა გზას. კიდევ ათი ვერსი გავიარეთ.

— კიდევ შორს არის?

— კიდევ, შენი კვნესამე, შომიგო და მოკრძალებით შემომხედა. დაიქანცა ის მაგრამ მაინც მირბის წინ. ანჩხლი მდინარის ჩანჩქერი უფრო და უფრო აგორებს თეთრად შლილ გულ-მკერდსა და სისწრაფით გადადის ჩაღრმავებულ ღარისთვალებში. ფრიად წარმტაცი ეს სურათი ამ გვირაბისებური ხეობის კედლებს შუა.

გავიდა ხანი და მივადექით ერთს აქლემის კუზივით აზნექილ მთას, რომლის ბოლო პირამიდისებრ მოყვანილობით ჩვენს წინ გაშლილ ვიწრო ქალების კალთებზე შეერთებულია და რომელიც თავისი ორი კედლით ქმნის ორს ვიწრო, მაგრამ მოკლე ხეობას. აქ მას აქეთ-იქით მდინარეები ჩამოუდის აქ თანამგზავრი დედაკაცი გაჩერდა, რადგანაც წყლები იყო გასავლელი და თან არ იცის საიდან წავიდეს. გზა აებნა.

— შემომიჯექი ცხენზე.

— არა, შენი კვნესამე, ფეხით გამოვალ. მე ის ცხენზე შემოვისვი.

— საითკენ წავიდეთ?

— მარცხნივ, შენი კვნესამე,—მითხრა, მაგრამ თან ეტყობოდა, რომ თვითონ არ იცოდა სად მიდიოდა.

ჩვენ შევდივართ, მაგრამ სრულიად უგზოდ. პირდაპირ მდინარეს მივჰყვებით.

— გზები მთლად წაუშლია თოვლის ზვავს, შენი კვნესამე.

— ქალო, რა დროს თოვლია მაისში?

— კი, შენი კვნესამე, აი ახლა ვნახავთ ვეებერთელა თოვლის ზვავს.

მართლაც მივადექით ერთს დიდ თოვლის გვირაბს, საიდანაც მოჩხრიალებდა ის მდინარე, რომელსაც ჩვენ მივჰყვებოდით. ვიყურებით იქით-აქეთ, ეგება რამე გზა ვიპოვნოთ. გზა არსად ჩანს.

— საით წავიდეთ?—მეკითხება ცხენზე შემომჯდარი დედაკაცი.

— ამ გვირაბს რომ გავჰყვეთ, სად გავალთ? შეეკითხე.

— ვაჰმე, დავიღუპებით, შენი კვნესამე.

— ქალო, მითხარი, თუ იცი, სად გავალთ ამ გვირაბს რომ გავჰყვეთ?

— სწორეთ იქით გავალთ, შენი კვნესამე, სადაც ჩვენი გზა მიდის.

— შომკიდე ხელი მაგრად, ვუთხარი და ცხენს მათრახი შემოვჰკარი. ცხენი გაექანა ბნელს თოვლის გვირაბში. გამდნარი თოვლის ყლეფი გვასხამს თავზე ორივეს. საინტერესოდ საათი დავნიშნე და ისე შევჰყავი თავი გვირაბში. ათი წამი გაგრძელდა ამ გვირაბში მგზავრობა და შემდეგ თავი ამოვყავით სინათლეში, აეედით ისევ თოვლის ზვავზე, რომელზედაც კიდევ კარგა ხანს ვიარეთ. მშრალ ხმელეთზე ბილიკი შევნიშნეთ და ცხენი მასზე დავაყენეთ. ჩვენი მერანი მეტად დაიქანცა, ოდნავ შეჩერდა და ისევ ბილიკს მოუსვა. დედაკაცი გადმოხტა ცხენიდან და წინ გამიძღვა. ტყეა ულრანი, სოფელი არსად ჩანს.

— ქალო, იწამე ხატი, სთქვი, კიდევ შორსა ვართ?

— არა, შენი კვნესამე, ახლა უკვე მიველით. აი, ამ ტყეს რომ გავსცილდებით, მაშინვე სოფელს მივადგებით.

ტყეს გავსცილდით: ისეთ ხრამში გავედით, რომ ცხენი ფეხს ვერ იმაგრებს, იჩოქებს ალაგ-ალაგ. ჩამოვხტი ამერიკული ტურისტული დაჭედილი გვაცვია, მაგრამ ფეხი მაინც მიცდება და ხელებით ბალახს ვეპოტინები. ასე ფორ-

თხვით მივდივართ სამივე, ხან ზევით, ხან ქვევით და ხანაც განზე. დავიღალეთ. წანით შეეჩერდით და ხრამს ზევით თვალი ავაყოლეთ. კარგა მოშორებით შევამჩნიე, რომ ვიღაც სამი ადამიანი მოდის დაკიდულ ფერდობზე. იქვე ორი ჩალით დახურული საბძელი დავინახე.

— ეს ხომ არ არის სოფელი?

— დიახ, შენი კენესამე, ეს არის.

— რა ჰქვია ამ სოფელს?

— ბახია, შენი კენესამე.

„ჰოი, ეშმაკმა დაგხიათ თქვენ და წყალმა წაგიღოთ ყველანი ერთად", ჩავილაპარაკე მე ჩემთვის. საათს დავხედე. ნაშუადღევის სამია. ორი დედაკაცი და ერთი მამაკაცი შემოგვხვდა წინ. ჩემმა თანამგზავრმა დედაკაცმა ერთს მათგანს ხელი დაადო და მითხრა:

— ეს არის, შენი კენესამე, ჩვენი ავადმყოფი.

— შერე სად მიდის?

— ჩვენს შესახვედრად მოდიოდა, შენი კენესამე, ჰგონებია, რომ თქვენ ვერ ამოხვიდოდით ჰქ.

მაშინვე შევატყე, რომ „ავადმყოფ დედაკაცს" ავადმყოფური გამომეტყველება არ ჰქონდა და იქვე სიცხე გაუსინჯე, მაჯაც. „ავადმყოფი" სრულიად ჯანსაღი აღმოჩნდა. მე ისე გაებრაზდი, რომ ასეთი სისულელე წამომცდა: „თქვენ ყველას დაგიჭერთ". გულის მოსათურგნავად ტუჩები მწარეთ მოვიკვნიტე. ხელი ჩავაქნიე და უკანვე გამოვბრუნდი. ის დედაკაცი ისევ უკან მომდევს, ალბათ თავს დამნაშავედ გრძნობს. დედაკაცი ისე დაიღალა, რომ სახეზე ფერი დაკარგა. მე ცხენიდან ჩამოვხტი და იგი შევსვი ზედ. დედაკაცი გაკვირვებული მიცქეროდა.

ღამის ათ საათზე უკვე შინ ვიყავი. იმ ღამეს დიდ ხანს ვერ დავიძინე.

ფშაველები გაურბიან შედარებით კულტურულ ცხოვრებას. ეს აიხსნება ალბად იმით, რომ მათ არ უგემნიათ ნამდვილი კულტურის ნიმუში. მათი კუთხე ისეთი უგზო-უკვლოა, მივარდნილი, მივიწყებული, რომ თანამედროვე კულტურას ფეხის მოკიდება იქ ჯერ ვერ მოუხერხებია. ფშაველებს სწავლა-განათლებაზე გული გატეხილი აქვთ. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია ერთი ფშაველი გლეხის ჩემთან გაბაასება: „ჩვენ, შენი პირიმე, უპატრონო ხალხი ვართ. თუმცა ყოველ გადასახადს სხვაზედ მეტს ვიხდით სახელმწიფოსათვის, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენთვის არც შკოლა არის, არც სხვა რაიმე კარგი. თუ ვინმე ნასწავლი გამოგზავნეს, ის არა თუ ნასწავლი, ჩვენზედ უფრო უვიცი გაჰოდის, ერთ ხანს გაგვიცინებს, მიგვეპამს-მოგვეპამს და შემდეგ გზას გაუდგება. თუ სწავლა, შენი პირიმე, ასეთ ნასწავლებს იძლევა, იმ შემთხვევაში, შენი კენესამე, ჩვენ სულ არ გვინდა სწავლა და სამაგიეროდ ჩვენი შვილები გვირჩევნია ცხვარში გავზავნოთ. ხალხი, შენი პირიმე, სულელი არ არის, მან კარგად იცის სად რა სტკივა, მაგრამ ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენ ამ ტკივილებს ვერ ვამხელთ იქ, სადაც ეს საჭიროა".

ფშაველების სადგომი ბინა პრიმიტიულია, პირველყოფილი, მათ სახლკარს ყორის კედლები აქვს, ე. ი. ქვები ისე არის ერთმანეთზე დაწყობილი, რომ მათ

არაფერი არ ამაგრებს, გარდა ზეციდან დაყრილი ქვიშიანი მიწისა, რის სიმ-ძიმითაც ის მაგრდება ნიადაგზედ და არ ინგრევა. მისი კედლები არაფრით არ არის შელესილი არც გარედან არც შიგნიდან. არც ქვებს ამაგრებენ რაიმე და-სამაგრებელი ტალახით ან კირით, ან უბრალო აზელილი ტალახით. სახლი სა-ზოგადოდ ერთი თვალია. ისაა იმათი დასაძინებელი, სასადილო და სასტუმროც. შუაზე ცეცხლი უნთიათ, რომელსაც საბოლე პირდაპირ ჭერში აქვს ამოვრილი. აქ სახლში უწყვიათ ყველაფერი, რაც კი შეუძენიათ სიცოცხლეში. აქ არის მა-თი მამაპაპის შენაძენიც. სახლი საერთოდ მეტად დაბალი ყორითაა აშენებული, საკმაოდ მოზრდილი. ნამდვილი ლოგინი მათ არა აქვთ, არც დასაჯდომი სკამი, არც მაგიდის მსგავსი რამ. საჭმელს ჭამენ უბრალო ფიცრის ნაჭერზე. სახლის გვერდზე უდგათ საბძელი, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ყარტით, ჭვავის ჩალით არის დახურული. ესეც ქვითაა აშენებული. ჯერ მიწითაა დახურული და შემდეგ ყარტით. ამაში ჰყოვთ საქონელი. მხოლოდ ზევით ჭერზე ინახავენ ჩა-ლას და სხვა რაიმე ჭირნახულს. აქვე ფშაველი დედაკაცები ატარებენ თავის ცხოვრების თითქმის ერთ მეოთხედს. ყოველ თვეში ერთ კვირას და ყოველ მშო-ბიარობის დროს 7 კვირას ე. ი. ლოგინობისა და აგრეთვე თვიურის დროს. აქედან ისიცა ჩანს, რომ ფშაველები საქონელს უფრო აფასებენ, უფრო უფრთ-ხილდებიან, ვიდრე დედაკაცს და საზოგადოდ ადამიანს.ეს იქიდანაც სჩანს, რომ, როდესაც ნათესავები, ახლო და შორეული მეზობლები ერთმანეთს შეჰხვდებიან, ისინი თავის ყოფა-მდგომარეობას გამოჰკითხვენ ერთმანეთს და პირველად ეუბ-ნებიან: „საქონლით როგორა ხართ“? მერე კი „ჯალაფობით“.

სხვა ხალხთან შედარებით ფშაველები შრომის მოყვარენი არ არიან და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თუნდაც ის პირველყოფილი ცხოვრება, რო-მელსაც ისინი მუდამ უელფეროდ ატარებენ—წელზე ფეხის დადგმით ულამაზოდ უსიცოცხლოდ მიდის. ამიტომ არის, რომ ისინი მუდამ რაღაცას ფიქრობენ, მაგრამ ამავე დროს მუდამ ერთ წერტილზე არიან გაყინულნი. არავითარი წარ-მატება, არც ოჯახურს, არც პირადს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იკვებე-ბიან საზოგადოდ ქერით, შესატანებლად ხმარობენ: ყველს, ერბოს. ქერი მოჰყა-ვთ მათ გარშემო მდებარე მთებზე. მთელი ზაფხულის განმავლობაში მისი თეს-ვა და მკაა, ზამთარში კი მომკილის თრევა და ლეწვა. ასე რომ მათ მოსვენე-ბითი პერიოდი არა აქვთ. ეს იმიტომ, რომ არ იციან სად, ან როგორ შეარ-ჩიონ დრო, რომ ყველაფერი დროს შესაფერის პერიოდში მოაგვარონ. ერთი სიტყვით, მათ არ აქვთ უნარი ცხოვრების მოწესრიგებაში, არ აქვთ შემუშავე-ბული ერთგვარი წესი, რომ ყველაფერი თავის დროზე მოაგვარონ, თავის დრო-ზე მოამზადონ: ამიტომ არის, რომ ისინი მუდამ ჭაპანწყვეტაში კვნესავენ, მუ-დამ ტანჯვის უღელში ღაფავენ, ლევენ სულს.

შინაურ ფრინველებში ზრდიან მხოლოდ ქათამს, ამასაც მარტო კვერცხი-სათვის, მის ხორცს იშვიათად სჭამენ. სხვა დანარჩენ ფრინველებზე წარმოდგე-ნაც არ აქვთ. ღორს სრულიად არ ზრდიან, რადგანაც მისი ხორცის ჭამა აკრ-ძალული აქვთ ხატისაგან. ეს ძლიერი ხატი არის, როგორც ფშაველები ეძახიან ი ა ხ ს ა რ ი. როგორც სჩანს იგი უნდა ეკუთვნოდეს იმ ხანას, როდესაც ჩვენში კერპთთაყვანისმცემლობა იყო გავრცელებული.

6. „ხ ა ტ ე ბ ი"

იახსარი ყოფილა მეტად ლამაზი, მოსული, ღონიერი და დიდად განთქმული ვაეკაცი. იგი არავის არ შეარჩენდა ავკაცობას. ებრძოდა ყოველ უსამართლობას, ბოროტებას, თავხედობას და იცავდა სიმართლეს და აქედან—ყველა უსამართლობისაგან დაჩაგრულს. ამ კეთილი და საგმირო საქმისათვის ის დაიძმობილა თეთრმა-გიორგიმ და საერთო მტერთან ისინი ერთად გადიოდნენ, საიდანაც ყოველთვის გამარჯვებული ბრუნდებოდნენ. ამიტომ ხსენებულ ძლიერ „ხატს" ფშაელები უწოდებენ კიდევ მეორე სახელს—წმინდა გიორგის. ამ ძლიერ ორთავა ხატს ჰყავს სამი დამხმარე ხატი, კოპალა (დასავლეთ-აღმოსავლეთით), კარატესი (სამხრეთით) და ლაშარის ჯვარი (აღმოსავლეთით). კ ო პ ა ლ ა ყოფილა ბერი, რომელიც მათთვის ლოცულობდა მტრებთან შეტაკების დროს. კარატესი კი—ერთგული მხედარი, რომელიც მტრის სადარაჯოზე იდგა და თავგამოდებით იცავდა მათ. ლ ა შ ა რ ი ს ჯ ვ ა რ ი კი დასვენების დროს გამრთობი, სიამოვნების მომგვრელი, სადაც ორივე სქესის ადამიანებს ნება ჰქონდათ თავი მოეყარათ და სიამტკბილობის დრო გაეტარებინათ. როგორც ვხედავთ, ყველა „ხატს" თავისი საკუთარი დანიშნულება და მოვალეობა აწევს თავზე.

7. ფშაველები ლხინში

(სერობა)

ხვნა-თესვას ფშაველები იწყებენ აპრილის პირველ რიცხვებში და ათავებენ თიბათვის დასაწყისში (ძველი სტილით). თითქმის მთელი ზაფხულის პერიოდში თავისუფალი არიან და აქედან იწყება მათი დროს ტარება, მათი ხატობა. ამ დროსტარებაში ყველაზე უფრო შესანიშნავია სერობა. ეს სერობა მით არის საგულისხმო, რომ პირველი ივლისიდან იწყება ხალხის დენა სხვადასხვა კუთხიდან ცხენებით, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლით. თუ ვინმე სადმე შორეულ კუთხეში გადასახლებულა ოდესმე ფშავიდან, ამ დღისათვის არავინ სახლში არ რჩება. ყველა ფშავში მიეშურება, რათა წარსული გაიხსენოს, აწმყოს მიესალმოს მრავალმოწამის მუხის ძირში, სადაც „ხატის" ყორე დგას, ჩამოისვენოს, თავს მოიხადოს, ღმერთი ახსენოს, თავიანთ ნათესავთ გადაეხვიოს, გადაჭკოცნოს, მომავალს იმედიანად შეჰხედოს და ლაზათიანად რამდენიმეჯერ ყანწით გადაჰკრას. ყველაზე უფრო კარგი სერობა იციან სოფელ უძილაურთაში, შუაფხოში,—იახსრისა და კოპალას ხატში, სადაც ყველაზე მეტი ხალხი იყრის თავს. კოპალობა, რომლის უხვი მასპინძელიც არის სოფელ უძილაურთას მოსახლეობა, შესანიშნავია მით, რომ აქ იციან დოღი, რომელიც ფრიად საგულისხმოა თავისი ლამაზი შინაარსით. სამი დღის ლოცვა-ქეიფის შემდეგ კოპალას ხატიდან მრავალრიცხოვანი ქალი და კაცი ამოივაკეებენ საუცხოო გაშლილ უძილაურთას მთის მწვერვალზე, რომლის უფრო მომაღლო აზნექილ მკერდზე კოპალას ნიში დგას. მას პატარა გალავანი არტყია გარშემო. ხსენებული მთა მითია მიმზიდველი, რომ იგი ხელის გულსავით ვაკეა და თითქმის თვალგადაუწვდენელი გრძელი, რომლის შუა ადგილიც მოხრილია და ის ამ მოხრის წერ-

ტილთან სიკმაოთაა ამოზნექილი. მისი აქეთ და იქით დაფენილი კალთები რელიეფურად გადადის მომხიბლავ სწორი ვაკის კალთებში. ამ გასწვრივად თვალ უწვდენელ მთის ვაკეთა მეორე თაეში ისევ პატარანიში დგას და იგი პირველს პირდაპირ უყურებს. თვით კოპალას ხატი ხსენებული მთის გადაღმა მეფობს. მთავარი მისი საბრძანებელი პატარა მოკაზმულ ბაღს წააგავს, რომელიც მდებარეობს ფშავ-ხევსურეთის გამყოფ ხეობის შეკავებულ გუბეში, სადაც მლოცველი ხალხი პირველად იყრის თავს. როგორც ვთქვით, ოთხი დღის შემდეგ ამოვლენ უკვე აღნიშნულ მთის ვაკეზე, რომელიც ცოტად გახუნებულ ხავ-რდის პირს მოგაგონებთ და ეს იმიტომ, რომ კალთებზე ზამთრის თოვლი დიდხანს

სურ. 2. ფშაველები სერობაზე. ემზადებიან მეორე ხატში გასამგზავრებლად. წინ მედროშე მიუძღვის.

ისვენებს და მის მდელოს ჯერ კიდევ ყური ვერ აუცქვეტია. მზის სხივები აქ მომეტებულად გწვავს, მაგრამ მისგან გულის შემხუთავ ბარის სიცხეს სრულებით ვერა გრძნობს საღი ჰაერით გალაღებული ადამიანი. ნელი სიო ზომიერად ჰფანტავს ზენიტზე მდგარ ვერტიკალურ რადიუსებს და ამიტომ იქ შუა დღესაც საამოდ გრილა. ოთხი დღის ნაქეიფარი ქალი და კაცი ამ ლაღ ბუნების ტკბილეულს ორი დღე-ღამის განმავლობაში სიამოვნებით ღებულობს. ოთხი ღამის უძინარი ხალხი აქ ხელახლა გამოიღვიძებს, გამოცოცხლდება და ისევ ახალი სიხალისით ლხინობს, ლაღობს, ქეიფობს, სიამ-ტკბილობით დროს ატარებს. ეს არ წააგავს მტვერიან ქალაქის კაფე-შანტანის მოჭარბებულ ქეიფიან შაბლონს, უშნო მანჭვა-გრეხას, დორბლიან მტლაშა-მტლუშს, არამედ იქ არის ზღაპრული, მაგრამ ამავე დროს ნამდვილი სიცოცხლე, ნამდვილი ბუნებრივი განცხრომა. ამ ბუნებრივ ლხინის დასასრულში ზარს შემოჰკრავენ და ყველა კაცი და ქალი ფეხზე ადგომით პირ-ჯვარს იწერს. რამდენიმე რჩეული ფშაველი ვაჟკაცები პირველი ნიშის გალავანთან დაირაზმებიან შეკაზმული ცხენებით. გალავნის შიგ-

ნით ას-ოცი წლის ბრმა, თოვლიეით გათეთრებული წვერ-ულვაშით გიორგი კოპლაშვილი დგას და ლოცვით წარსულს იგონებს. მეორედ შემოჰკვრენ ზარს და მოჯირითე პირმღიმარი ფშავლები ცხენებზე შესხდებიან. ხსენებული მოხუცი დაულოცავს მათ აწმყოს, ნახევარ საათის სარბენ გზას, დასასრულ უსურვებს

სურ. 3. ფშაური დოღი ს. ყეფილაურთაში
ნახატი ზ. ძნელაძისა.

კარგ მომავალს, გამარჯვებას და მესამე ზარის ხმაზე ცხენები მოსხლტებიან ერთად, სამჯერ შეპოუელიან ნიშს გარშემო და გაექანებიან მეორე ნიშისაკენ. შეუდარებელი სილამაზისაა ეს სურათი. დამსწრენი მოუთმენლად ელიან, თუ რომელი ცხენი აიღებს პირველ ჯილდოს.

დაგეშილი ცხენები გადაეფარენ გრძელი მინდვრის შუა-ამოზნექილ იქითა დაკენ-ლს კალთებს. ხალხის გალაზიანებულ მხედველობის ველს ერთი წამით წაერთვა მომხიბლავი სურათი, რომელიც წამშიეე შეიცვალა: ცხენები ზოგი, წინ, ზოგიც უკან გამოჩდენ მეორე ნიშის ახლო. წინა მხედრებმა დაუცადეს უკანა ცხენოსანთ. ყველანი მისვლისთანავე დაეწყვნენ მეორე ნიშთან, სამჯერ შემოუარეს მას და დაეშვნენ პირველი ნიშისაკენ. ყოველ მლოცველს ცალ-ცალკე აქვს გაშლილი სუფრა და ფეხმოკეცით ქეიფს შეეცევა შენაცრულ მწვანე მდელოზე. ზოგიერთ გაწყობილ სუფრაზე წმინდა სანთელი ანთია. ზოგი დოღის შედეგით არის დაინტერესებული და მოუთმენლად ელის მას, ზოგი ცეკვავს, არშიყობს და სხვა.

დაგეშილი ცხენები მიუახლოვდენ დანიშნულ ადგილს. ორი მათგანი ჯიბრითი სითანასწორით მორბის წინ, დანარჩენნი კი დაბნეულად, ზოგი უკან, ზოგიც განზე გარბის. ორმა აიღო პირველი ჯილდო: ორი ჩაფი ლუდი. გამარჯვებულნიც და დამარცხებულნიც ერთად დასხდნენ და დაიწყეს მხიარული ქეიფი.

გამარჯვებული მერიქიფედ დგას და გალაღებული თავს დასტრიალებს თავის სტუმრებს.

ყოველი ხის ძირში არის გამართული ქეიფი, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად არის დაყოფილი. ყოველ ჯგუფში შედის როგორც ბავშვი, ისე ახალგაზრდა, საშუალო და მოხუცი ორივე სქესისა. დრო გამოშვებით ხალხი დაიძვრის მიჩნეული ადგილიდან და ადის დიდ მინდორზე. ისევ ჯგუფ-ჯგუფად გაივლ-გამოივლიან, ერთმანეთს გაეთამაშებიან, ზოგი ოხუნჯობს, ზოგი ჯგუფს გამოეყოფა და ციხკენ ხელ აპყრობით წამოიჩოქებს ხატის ყორესთან. რამოდენიმეჯერ ემთხვევა მას, განმეორებით პირჯვარს დაისახავს და ისევ მხიარულად იმედიან მღიმარ სახით თავისსავე ჯგუფს შეუერთდება, ლხ ნს განაგრძობს. აქ ქმრიანი დედაკაცები თითქოს სხვა ხალხს შეადგენს,—გამოყოფილი არიან და ისინი სრულიად განცალკევებით ქმნიან თავისავე წრეს, ააგ ღინებენ „გარმონიკას“ და განურჩევლად ჰასაკისა ყველა შესაფერისად წყნაოად, რაღაც სიცოცხლით სავსე თვალებით, ჩუმ მომღიმარ სახეებით ცეკვაობაში დროს ატარებს. საგულისხმოა ის სინამდვილე, რომ აქ სრულიად მოხუცი დედაკაცი გაახალგაზრდავებულია და, როგორც თხუთმეტი წლის ქალი, ისე ჩამოუკლს ხოლმე. მცირე პაუზით „გარმონიკა“ შეჩერდება, ატყდება თითქმის მორიდებული სიმორცხვით აფერადებული დედაკაცთა კისკისი და ისევ „გარმონიკის“ ხმაზე დაიწყება თამაში. შემორტყმულ წრეში აღარავინ ტრიალებს, დედაკაცები ერთმანეთს ეპატიჟებიან. უცბად ვიღაც შუახნის დედაკაცმ მღიმარედ, სამჯერ პირჯვარი გადაიწერა და შემოფარგლულ წრეში ცოცხლად ჩამოუარა. მას ბევრი გაუბედავი ხან-შესული დედაკაცები აჰყვნენ. ამ დროს ვიღაც „მთვრალმა“ ფშაველმა წესი დაარღვია, დედაკაცების წრეში შეიჭრა და იგი უშნოდ ჩაშალა. ეს იდილია წარმტაცია და მიმზიდველი თავისი გადაუჭარბებელი, ლამაზი მხიარულებით. რომ ჩაუკვირდებით ამ მშვენიერ ჩვეულებას ფშავლებისას, იგი უშუალოდ გაფიქრებთ თავის შინაარსში. აქ ჰქრება ფშავლის ერთი წლის განმავლობაში დაგროვილი ტანჯვა, ბოლმა და გადადის განუწყვეტლივ მხიარულებაში. აქ

თვითეული ფშაველი მოდის მთელი ოჯახის შემადგენლობით და დროებით ივიწყებს თავის ყოველდღიურ ჭირვარამს. ეს არის მათი გასართობიც, ყოველგვარი ცოდვის მამხილებელი და მოქტევებელი, მათი სამკითხველო, კლუბი, თეატრი და კინოც. მიეცით მათ უკეთესი გასართობები და ისინი უკან არ დაიხევენ, მანამდი კი ამ მათთვის წმინდათა წმინდას ხელის ხლება შეუძლებელია.

სხვათა შორის აქ ცუდი, არა სასურველი ის არის, რომ დიდი ხატის წინ მეტად ბევრ საქონელს ჰკლავენ შეწირვის სახით, იქვე ატყავებენ, იქვე შიგნავენ და ეს გარემოება იწვევს ანტისანიტარულ მდგომარეობას, რაც მათ ხალისიან დროის ტარებას, მხიარულებას და გემოიან სმა-ჭამას ყოველგვარ ღირსებას უკარგავს. აქ ჩვენ ფრთხილად ვკადეთ, რომ მათ დაკლული საქონელი სადმე იქვე მოშორებით რუს-პირზე გაეტყავებინათ, გამოეშიგნათ და ისე აეტანათ საქეიფოზე, მაგრამ მიიღებენ თუ არა ჩვენს რჩევას ეს საკითხია, თორემ ისე ყოველი „ხატი" პირდაპირ სასაკლაოს წარმოადგენს, რაც დიდ უსიამოვნებას იწვევს ყოველ უცხო სტუმარში.

საერთოდ ფშაველების ყოველ-ი ამნაირი დროსტარება წყნარი და მშვიდობიანია. მხოლოდ იშვიათად შეიძლება მოხდეს რაიმე ჩხუბი და უსიამოვნება. თუ ფშაველმა კაცი გაიმეტა, უთუოდ სასიკვდილოდ გაიმეტებს, ამ მხრივ ისინი მეტად გულჩახვეულნი არიან.

სურ. 4. ფშაველი დედაკაცები სერობაზე. წინ ფშაველი ყმაწვილი დგას შესაწირავი ცხვარით. აწყვია ქადები, ელოდებიან ხევის ბერის დალოცვას

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქმრიანი დედაკაცები გამოყოფილნი არიან მამაკაცებისაგან, მაგრამ ეს არ ითქმის ახალგაზრდა ქალებზე. დროს ტარების ადგილზე ახალგაზრდა ქალი და ვაჟი გააკეთებენ ხოლმე წრეს და ასე შერეუ-

ლად ატარებენ დროს. მათ დროს ტარებას, ცეკვას სხვა რაიმე თამაშს სულ სხვა სიცოცხლის ელფერი აზის. აქ ქალი და ვაჟი ერთმანეთს იწვევენ ცეკვაში, რომლის დროსაც მოცეკვავეთა ყოველი მოძრაობა უფრო გრძნობებს გამოხატავს, ვიდრე პლასტიურ მომენტებს. მათი ცეკვა თითქმის საათობით გრძელდება და ბოლოს, თუ ვაჟს ქალი მოეწონა, იგი მას ძლიერ ენებიანი ამბორით აცილებს. ამას ფშაველი ქალი არ თაკილობს და არც მისი ახლო ნათესაობა.

სერობის დროს აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქ არეულ სილუეტებს, შეუფერებელ ადამიანთა უმზგავს ლანდებს ადგილი არ აქვს, თუმცა ჩვენს მხედველობის არეს ამ სერობაზე ზოგჯერ ეჩხირება გადაგვარებული ფშაველის აჩრდილიც.

რა თქმა უნდა, სინამდვილეს ყოველთვის ახლავს თან თავისი აუცილებელი დისონანსებიც, მაგრამ აქ ყველაფერს თავისი განსაზღვრული ადგილი აქვს, როგორც უარყოფითს მოვლენას, ისე დადებითს.

სერობის დაწყებიდან ორი დღე უკვე გავიდა. ხალხი არა თუ აკლდება, არამედ მატულობს, ხატში ადგილი აღარ არის, არც ხალხისათვის არც ცხენებისათვის. თითქოს გგონიათ, რომ აქ დიდი სალაშქრო მზადებაა, სადაც აუარებელი ხალხი სადგურობდა, ნამდვილ ბრძოლის ბანაკს მოგაგონებთ. ისევ მხიარულება, კიდევ მეტი სიცოცხლის ხალისიანობა, თამაში, არეულ-დარეული მოძრაობითი ჩოჩქოლი, კისკასი. დროს შერჩევითი ძალდაუტანებელი გაბუმრება და მრავალრიცხოვან სახეებზე უსაზღვრო კმაყოფილების ღიმილი კიდევ უფრო იპყრობს თავისივე უცხო მოძმის ყურადღებას. რომ ავდარი მოვიდეს, ირსად თავშესაფარი არ არის გარდა ერთი ჰატარა ტაძრის მზგავსი სამლოცველოისა. ყველა მოსული სტუმარი ისეა მომზადებული, რომ მას მთელი თვეობით შეუძლია ავდარში გაატაროს. ისინი მოდიან დღეობაში ბარგით, გუდით და ნაბდით. ხალხის დროს-ტარებას უფრო და უფრო ემატება ქეიფის შინაარსიანი ელფერი მრავალნაირია მათი დროსტარების ხასიათი და სურათიანობა. ერთი მხრეს შეათამაშებს და ახალგაზრდა ქალს ამოუდგება გვერდში, რაღაცას ყურში ჩასჩურჩულებს, ქალი შემპარავად გაიღიმება და ყმაწვილს მკერდში მხარს გაჭრავს თან არაყს გადაჭრავს; მეორე—ყანწით ხელში წაიბორძიკებს, თავის ამხანაგს გადაეხვევა, თან არაყს გადააკვრევინებს, მესამე ქეიფით მოქანცულია—მას ხის ძირში მისძინებია. მოხუცთა ჯგუფს წრე გაუკეთებია და ერთმანეთს საოხუნჯო ლექსს სთავაზობენ, ქალები და დედაკაცები ცალცალკე ჩამწკრივებულან და ერთი მეორეს ულიმიან.

მოსაღამურდა. ჩამავალმა მზემ დასვენების უკანასკნელი ამბორი უძღვნა სერობის ხალხს. ერთი საათის შემდეგ ცა ვარსკვლავებით მოიკედა. მზე მთვარემ შესცვალა. მისი შუქის ანარეკლი ფოთლებიან ხის ტოტებში დანაწილდა. ნელმა სიომ ხის ფოთლები შეარხია, მთვარის სინათლეს ადგილი მისცა და ყველა მოქეიფეს სახეზე შეითამაშა. ძირს, ღამის აჩრდილში აქა-იქ ჭრაქები ბჟუტავს, ზოგან კოცონი დაუნთიათ, ზედ ქვაბები დგას და ხორცს ხარშავენ, ზოგ ჯგუფს ნაბადი წამოუსხავს და მისძინებია კიდეც. ღამის სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ხანდახან მთვრალების ბოდვა არღვევს ამ სიჩუმეს. ვითომდა შორიდან

ექემი გ. თედორაძე. „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში".

ჩახლეჩილ ხმიანი სიმღერა მოისმის. აქა-იქ ნაბადს ქვეშ რაღაც მორიდებული ხითხითი მოისმის, ასე, რომ დაინტერესებულმა მეთვალყურემ არ იცის როგორ გაანაწილოს თავისი წაქეზებული ყურადღება. ამ თვალის სეირში გათენდა კიდეც.

ამმავალმა მზემ მიძინებულ სერობის ხალხს უხვათ მიანათა გამაცოცხლებელი სხივები.

მძინარე ხალხმა თავი წამოყო და შებრუნებული ხელის ზურგით ნამძინარევ თვალის გუგები დაიზილეს, ყველამ გაიგო, რომ გათენდა. ადგნენ და ქვაბები ისევ ცეცხლზე შემოჭკიდეს. ქვაბები ჩუხჩუხებენ. თვითეული ჯგუფი სამგზავრო მზადებას შეუდგა, ყველა მათგანი ცხენს ეძებს, ბარგს ჭკრაკს. ამ დიდი დღესასწაულის წესი და თადარიგი ყველას დაზეპირებული აქვს: დროს ტარებაში არავინ ივიწყებს დანიშნულ დღეს და საათს.

უკვე 12 საათი იქნებოდა, რომ ხალხი მინდორზე გაშლილ სუფრას მოუსხდა და მთვრალებმა დაუწყეს ერთმანეთს პირში არყის ჩასხმა. ისევე ქეიფი, ისევ მხიარულება, ისევ ცეკვა და თამაში. მზე ზენიტზე დგას და თავის გაძლიერებულ ხშირ რადიუსებს აფრქვევს მოქეიფე ხალხის გალაღებულ სახეებზე. მათი გვერდზე გადაშლილი საყელო გულმკერდს საკმაოდ აშიშვლებს. გამოყოფილი დედაკაცების ჩუმი მხიარულება მათ არ უერთდება. მათი ცოცხალი დროს გატარება თავიანთ წრის ფარგლებს არ სცილდება. ახალგაზრდა ქალებმა და ვაჟებმა წრე გააკეთეს და ცეკვა დაიწყეს. ერთი სიტყვით იგივე სიცოცხლის სურათიანობის განმეორება. იგივე განცდითი ნეტარება. მზე შესამჩნევად გადიხარა დასავლეთისაკენ. მხიარულების სიჩქარე ოდნავ მიყუჩდა. ერთხელ ზარს შემოჰკრეს. ხალხმა თავზედ მოიხადა, პირჯვარი გამოისახა, უკბად ისევ თავზე დაიხურეს და სწრაფი მოძრაობით ბარგის შეკვრას შეუდგნენ. ზოგს ცხენი მოჰყავს და ჰკაზმავს, ზოგი თითქოს განკარგულებას იძლევა და ზოგიც კი არ ინძრევა საქეიფო ადგილიდან, ამ უკანასკნელთ ჯალაბობა უმზადებს ცხენს და ბარგს. ნახევარი საათი გავიდა. ისევ სიჩუმე. ზარს მეორედ ჩამოჰკრეს. ცხენები უკვე შეკაზმული და ბარგშემოკრულნი თავისი მხედრებით ჩამწკრივდნენ დანიშნულ ადგილას ხატის წინ, ხალხი თანდათან გროვდება. მთავარი ხევის ბერი ფაცურობს, ხალხს იქით აქეთ მირეკს, მოკარგული მშვენიერი წითელი დროშა გამოაქვს, მედროშეს გადასცემს და იქ, სადაც ხალხია შექუჩებული, წინ დროშით ხალხში დადგება. შექუჩებული ხალხი ისევ იმ ადგილას დგას. „აბა დაიწყეთ, ბიჭებო“, შესძახებს ხევის ბერი და იწყებენ სიმღერას „ფერხი“-სას ე. ი. სიგამხნეოს. ფერხისას ყოველთვის იწყებენ რომელიმე რჩეული ისტორიული ლექსით. სანიმუშოდ მომყავს ერთი ხალხური ლექსი:

„ბრძანებდა დამბადებელი: მე დავდგი მიწა-წყალია.
სულ თავის მართულობითა შამ[illegible]ბარი მთა და ბარია“.

მეფერხისეებში ერთი ლექსის მცოდნე ურევია, იგი ალექსებს და სხვები განმეორებით უმღერენ მას. სიმღერა მართლაც მგრძნობიერია და ტკბილხმოვანი. მედროშე და მეფერხისეები ცხენოსან ჯარს დაუდგებიან წინ. მესამე ზარის ხმაზე ცხენოსანნი დაირაზმებიან და ნელი ნაბიჯით გაემგზავრებიან კარატეს ხატისაკენ. მელექსე განაგრძობს:

„მურგველთ მოშველეთ სამი ხღეა: თეთრი, წითელი, შავია,
ზედ გადავხურე ზეცადა სინა, ჭიქა და რვალია,
შიგ გაუჩინე მზე-მთვარე, მრავალი ღღე და ღამია
შემოჯდა წმინდა გიორგი ოთხა კუთხეზე ბრძანია
ქრისტიან სალოცავადა გამოსახული ჯვარია:
ღვთის შვილთა ჰყავის წმინდაი თამარი დედოფალია
ხმელეთ თავისად დაიგდო, იმდენი ჰქონდა ძალია.
შუა ზღვას ჩადგა სამანი, სამანი რკინის სარია.
პირდაპირ უდგა გორზედა ლაღი ლაშარის ჯვარია,
გვერდს უდგა ნისლის ფერაი, მტრედის ფერ ჰქონდა მხარია
ოქროს წყლის უნაგირ უდგა, ოქროს წყლის ლაგმის ტარია,
წელსა ეტანა მაარახი შვიდ-კეცა, შვიდი მხარია,
დიდებულ გამარჯვებული, ძალიან არის ჩქარია,
ვისაც ეწყინოს ნათქვაში, მისთვის დაკრული მწარია
ერთგულს კი ძიეშველება, არ იყოს მისვლის ხანია".

ამ ლექსით მიაცილებენ მედროშე და მეფერხისეები მეორე ხატში კარატე-სში—მოქარგულს და წითელ დროშას. აქ მას მოწიწებით დაასვენებენ. ამასო-ბაში დალამდება კიდეც. ამ ღამეს არაფერს არ აკეთებენ, მისვლისთანავე დაი-ძინებენ. დილა ადრიან ადგებიან და შეუდგებიან დროს ტარებას. ეს მეორე ხატის აღვილი მთიანი ალაგია. იგი საკმაოდ მაღლა დგას. თვით კარატესი კი-დევ უფრო მოწყვეტით, კიდევ უფრო მაღლა დგას და ამაყად გადაჰყურებს თვალ უწვდენელ ადგილ-ზიდამოებს. ერთი შეხედვით იგი თითქოს მიუვალია, მაგრამ ხევის ბერი იქ თავისუფლად ადის. იქ საკლავს მიიყვანს, შეეეედრება ერთს იახსარს და წმინდა გიორგის ხატს გადმოხედავს და ორ-სამ საკლავს კიდევ მიიყვანს მათ სასსხვერპლოზე. ეს ხატი ნიშვიეთ გადაჰყურებს მთელ არე-მარეს, მის დაფენებაზე ბშვენიერი ვაკე-მინდორია, თვალწარმტაცი ამწვანებულ მდე-ლოთი. თვითეული ფშაველი აქ იმდენად გალაღებულია, რომ თავი უძლეველი ჰგონია და იგი ამ შემთხვევაში სრულიად მართალია. იგი ამ დროსტარებას არ გასცელის სამხატვრო თეატრებში, ათას მხატვრულ და შინაარსიან წარმოდგენე-ბზედაც კი.

სერობის ცერემონიალურ მიმდინარეობაში ერთი საგულისხმო წვრილმანია, საყვინო, რომელსაც მართავენ კარატეს გამგზავრების წინა დღეს და გამოიხა-ტება იმაში, რომ მთავარი ხევის ბერი ჰატარა თასით, რომელზედაც ვერცხლის სასმისი სდგას, ერთ ამორჩეულ ადგილას, დიდი კოკიდან ღვინით *) თუ ლუდით ავსებს და აწვდის ყველა მსურველს. მსურველი შეძლების და გვარად თავის წვლილს სწირავს, აბაზს თუ მანეთს. დაგროვილი ფული მიდის ხატის მამულე-ბის ვასაშენებლად. ასევე მეორდება მეორე ხატში—კარატესში. აქ იმართება იგივე ქეიფი, იმავ ხასიათისა და შინაარსისა, როგორც დიდ იახსარში იმართე-ბა ხოლმე.

*) ამ დღისთვის ფშაველებს ღვინო კახეთიდან მოაქვთ. ზოგიერთ სოფლებს თავიანთი ხა-ტის მამულიც აქვთ კახეთში.

ფშავლების ცხოვრებაში აღსანიშნავია კიდევ აპრილის უკანასკნელ რიცხვებში საკვირაოს დროს ტარება, სადაც მთელი თემი იყრის თავს და სადაც ბევრ საქონელს ხოცავენ. ამავე ხანებში იმართება ლაშარის ჯვარობა. აქაც მხიარულება და გალაღებული დროს ტარება.

ასეთი ზნე-ჩვეულება ფშავლებისა იმითია კარგი, რომ აქ ერთდება მთელი თემის მოსახლეობა და ერთმანეთს გაიხსენებენ, ყოველგვარ ჭირვარამს დაივიწყებენ, წარსულს მოიგონებენ, აწმყოს ურთი-ერთ შორის ამტკიცებენ და მომავალს იმედიანათ შეჰყურებენ. ამგვარ დღეობას მტკიცე ტრადიციული ხასიათი აქვს ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და ის თავის მნიშვნელობას არ დაკარგავს მანამდი, სანამ მას თანდათანობით არ შეცვლის ფრთხილად ჩატარებული, მაგრამ რადიკალური კულტურული შენება. რაიმე ჩხუბი, აყალ-მაყალი იშვიათია ხსენებულ დღეობებში. დროს ტარება ხშირად გრძელდება მთელი კვირაობით, განსაკუთრებით სერობის დღესასწაულებში და საკვირველი ის არის, რომ აქ არავითარ კინკლაობას ადგილი არა აქვს. სხვა კუთხის ხალხთან შედარებით ფშავლები გაცილებით უფრო მშვიდობიანი ხალხია. ფშავლებს საზოგადოდ მეტად მდიდარი ისტორიული წარსული აქვს, მაგრამ ახლა ისინი თითქმის არც კი არსებობენ ჩვენი ქვეყნის სივრცეზე. ეს მიეწერება იმას, რომ ეს ხალხი ბუნებით მეტად დინჯი, ფლეგმატიური ტემპერამენტისა არის. ამ თვისებებს ჩვენ უფრო ვრცლად სპეციალურ ნაწილში შევეხებით. მათი პრიმიტიული მდგომარეობა ამ მხრივ მეტად საგულისხმოა.

ეს ლამაზი ლხინი დიდხანს არ გრძელდება. ერთი კვირის სწორზე ხალხი იშლება და მწყობრ-მწყობრად ცხენებით ძირს დაეშვება უძილაურთის თუ კარატეს მთის დაკიდულ ბილიკზე.

8. ფშავლები ჭირში.

ჩვენ გავიცანით ფშავლები ლხინში, რაც ცალი მხარეა მათი ყოფა-ცხოვრებისა. ახლა გავიცნოთ ისინი ჭირშიაც. როგორც ლხინში განსხვავდებიან ისინი ჩვენი კუთხის სხვა ხალხისაგან, ისე უბედურ შემთხვევებშიაც თავისებურება აქვთ მათ. მათი გლოვა და კვნესა არაჩვეულებრივი განცდითი ხასიათისაა. თავისებური ხმა, თავისებური მოთქმა-მოტირება, თავისებური ღრმა-ჩუმი განუსაზღვრელი სევდა, ნაკადულისებრივი ცრემლები, თავისებური ბოღმა-ვარამი. ყველა ეს სხვა უცხო მაყურებელსაც ააცრემლებს და მისი თანაგრძნობა გულწრფელად უერთდება მათ მწუხარებას. აქ არ იციან ის გადაჭარბებული კაწვრა სახის, გულშემზარავი წივილ-კივილი, როგორც ეს დასავლეთ საქართველოშია.

ფშაველები ჭირშიც ისეთივე მშვიდი და წყნარია, როგორც ლხინში. როდესაც ფშაველი დედაკაცები ერთმანეთს მიუტირებენ ხოლმე, მაშინ მამაკაცები არაყს შეექცევიან, გულის ბოღმას მასში ჰკლავენ და ჩუმად, სრულიად უხმოდ ცრემლებს ღვრიან. აქ უცხო მაყურებელი განცვიფრებაში მოდის. რა თავისებურებაა, რა ღრმა განცდებია სულიერი ტანჯვისა და მწუხარებისა!

ბავშვი ცრუმორწმუნოების მსხვერპლი.

ჩვენი პუნქტის ახლო ერთ გლეხს ბავშვი გაუხდა ავად წითელათი. მახ ჩვენ შეგვატყობინა თითქმის ორი კვირის შემდეგ. ჩვენ ბავშვი ვნახეთ ყველა იმ გართულებებით, რომელიც შეიძლება მოჰყვეს წითელას. ფილტვების ანთება (Bronchopneumonia), ლიმფატური ჯირკვლების ანთება (limphdenitis), ხახის ანთება (laringitis). ასეთი გართულების შემდეგ ხსნა არსაიდან იყო. აქ ჩვენ აშკარად ვიგრძენით მშობლების საშინელი უვიცობა, რომლებმაც მკითხაველებისა და მლოცავების კითხვა-დარიგებაში ბავშვი დაღუპეს. აქ ჩვენ პირადად განვიცადეთ ფსიქოლოგიური ტანჯვითი უძლურება, რადგანაც ამ შემთხვევაში ჩვენ უიარაღო ჯარის კაცს წარმოვადგენდით სამხედრო ბანაკის ფრონტზე. აქ მედიცინამ დაჰყარა თავისი ძლევა-მოსილი ფარხმალი.

გლეხის საერთო ოჯახურ გლოვას ჩვენც შეუერთდით. უდროოდ მოწყვეტილი სიცოცხლის ნაშთი სამარის კარებს მივაცილეთ. სანამ ბავშვის ცხედარს სახლიდან გამოასვენებდნენ, კარების პირდაპირ სახურავზე უღელი დასდეს, რაც მაჩვენებელია იმის, რომ ამ ოჯახში ეს უბედური შემთხვევა უკანასკნელია და შემდეგ იგი არასოდეს არ უნდა გამეორდეს. ბავშვის ცხედარი სამარის კარებზე დევს, ახლილ კუბოდან ბავშვის ცხედრის სახე ისე იყო მიძინებული, თითქოს ეს-ეს არის ახლა გამოიღვიძებსო. ბავშვის თავთან ერთი პატარა ბოთლი წყალი ჩადგეს, ნაცვლად არაყისა. ეს იმიტომ, რომ ფშაველი ბავშობაში, სანამ წლოვანი არ გახდება, არაყს არ სვამს, მოზრდილს კი აუცილებლად არაყს ჩააყოლებენ სამარეში.

კუბოს თავი დახურეს, თვითეული მიმცილებელი, მშობლები, ნათესავები და მეზობლები,—მწარე მოთქმით უკანასკნელად ვამოემშვიდობნენ ცხედარს. ერთი დედაკაცი ექიმის უძლურებასაც შეეხო და ბავშვის ცხედარს დაატირა თავზე: სულ ყველაფერი ტყუილია, სიკვდილს ვერც დოხტური და ვერც ღმერთი ვერ დაუდგებაო წინ. უკანასკნელად დედა გამოეთხოვა თავის საყვარელ შვილს და შემდეგ საფლავში გადაუშვეს იგი, მიწა დააფარეს. დასასრულ ყველა მამაკაცებმა თავი მოიყარეს, რამდენიმე ხელადა არაყი დალიეს, იმათ სმაში ყველა იქ მყოფმა დედებმა თავ-თავიანთი უდროოდ დაკარგული შვილები გაიხსენეს მრავალ-რიცხოვან ადამიანთა სასაფლაოზე, მიუტირეს, გული მოიჯერეს და დაღვრემილი, თვალცრემლიანები თავ-თავის სახლებში დაბრუნდნენ. იქვე საფლავზე ყველას ხელი დაგვაბანიეს მათი ჩვეულებისამებრ. ჩვენ აქაც ვამბობლეთ ყველა დამსწრეთ, რომ ბავშვი გახდა მათივე უვიცობის უდანაშაულო მსხვერპლი და რომ ასეთი რამ შემდეგში მაინც არ განმეორებულიყო, ვსთხოვე, რომ მშობლებს დროზედ ეცნობებიათ ჩვენთვის. ეპვს გარეშეა, რომ ბავშვი არ დაიღუპებოდა. საკმარისი იყო უბრალო, მარტივი დარიგება ექიმისა, რომ ბავშვს სიცოცხლე შერჩენოდა.

პირველად, როდესაც ახლად მიცვალებულს აცილებენ მოყვრები და მეზობლები, ამას უწოდებენ თავზე რიგს, რომელიც თავის-თავად პირველ გამოსათხოვარს ნიშნავს და ტარდება ჩვეულებრივ ზეზეური წესით. აქ დიდ ხარჯს არ ეწევიან.

საზოგადოდ ფშაველების წესი მიცვალებულის შესახებ მეტად გაჭიანურებულია, მოსაწყენი, მომბეზრებელი. ეს წესები ასე შეიძლება დავანაწილოთ:

1. თავზე რიგი,—პირველი გამოსათხოვარი.

2. შვიდი, ე. ი. შვიდეული,—გარდაცვალებიდან შვიდი დღის შემდეგ მართავენ პირველ მოსაგონარს ხარჯით.

3. ორმოცი—მესამე მოგონება, რომელსაც მეორმოცე დღეს მართავენ, მხოლოდ აქ სწევენ შედარებით ზომიერ ხარჯს და მას არც აქვს დიდი მნიშვნელობა მათი ჩვეულების წესით.

4. ხალარჯობა—ეს ყველაზე დიდ მნიშვნელოვანი და ხარჯიანი მოსაგონარია მიცვალებულისა. იგი ხდება ჩვეულებრივად ამაღლების სწორზე, ე. ი. ერთი კვირის შემდეგ. აქ იციან დიდი წვეულება, მოდიან ყველა ნათესავები, მოყვრები და მეზობლები. თვითეული მათგანი ვალდებულად ხდის თავის თავს, მიცვალებულის ჭირისუფალს დაეხმაროს ხარჯებში და მკვდრის მოსაგონრად მოაქვს ზოგს ქადა, ზოგს არაყი, ზოგს კიდეე ხმიადი და სხვა. როდესაც ყველა ნათესავისა და მეზობლის მოსვლა დასრულდება, დაიწყება ერთგვარი ქეიფი და მიცვალებულის მოსაგონრად ილხენენ, ყველა დროს ატარებს. აქ აუცილებლად მღვდელი უნდა იყოს, რომელმაც უნდა სწიროს მიცვალებულის მოსაგონრად. თუ მღვდელი ვერ იშოვეს, მას სცვლის ხევის ბერი.

5. წელთავება—ხდება წლის თავზე და აქვს უბრალო მოგონების ხასიათი, აქ ვალდებულად არავინ სთვლის თავს მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ მიცვალებულის მოგონებაში.

6. ხორცის შაბათი—ყველიერის წინა შაბათი, გარდა დამარხვებისა მკვდარსაც მოიგონებენ და მის მოსაგონრად საკლავს დაჭკლავენ.

7. სულთა-კრეფა—ეს ხდება დიდმარხვის მეორე კვირას, სადაც თითქოს თავს იყრიან ყველა მიცვალებულის სულები და ერთმანეთს ნახულობენ ვითომ აქ ცოცხლებსაც რაიმე კავშირი ჰქონდეთ მიცვალებულის სულებთან.

აქ ჩამოთვლილ მიცვალებულის წესებში აღსანიშნავია მხოლოდ ერთი—ხალარჯობა, რომელიც დაახლოებით გრძელდება ერთ კვირას. აქ ყველა ნათესავები, მოყვრები და მეზობლები მოვალენი არიან მიიღონ მონაწილეობა საჭირისუფლო მოგონებაში მკვდრისადმი. ვინც ამ დღეს არ მივა მიცვალებულის ჭირისუფალთან, მერე ის მასთან ვერასოდეს ფეხს ვერ დაადგამს.

ამ დროს შორეული ნათესავებიც იხსენებენ მიცვალებულს და მოდიან მის მოსაგონებლათ. ასეთი უსაზღვრო მოგონებანი მიცვალებულისა არსად არ იციან. ეს აიხსნება მით, რომ ფშაველები კულტურულად მეტად ჩამორჩენილი არიან და ამიტომ მათი ჩვეულებანიც პრიმიტიულია.

მკვდრის მოსაგონებლად მათ აქვთ კიდეე ერთი ჩვეულება, რომელსაც ეწოდება სულის ღაბახი. ამ დღეს მიცვალებულის მოსაგონებლად და სიყვარულის ნიშნად აიღებენ რაიმე ნივთს და ცოცხალ საქონელს ჯილდოთ, რომელიც უნდა მიეცეს ამ დღეს გამართულს სროლითი შეჯიბრებაში. მოიყრიან თავს მამაკაცები განსაკუთრებით ახალგაზრდები და მართავენ ერთგვარ სროლითი შეჯიბრს. ვინც ნიშანში ზოარტყანს, იმას რჩება მკვდრისადმი პატივსაცემლად გადადებული ცოცხალი საქონელი.

ზოგჯერ ფშავ-ხევსურს უხდება ხოლმე მგზავრობა ბარში. იქ ისინი თანდათანობით იგნებენ უკეთესი ცხოვრების გემოს და ნაწილობრივად კიდეც ჩამოდიან უფრო ხელსაყრელ მოსავლიან ადგილებში. ასე, რომ მათს წინაპართა მიწა-წყალს ყოველ წლობით აკლდება თითო-ოროლა მოსახლე. უმთავრესად ისინი ჩამოდიან კახეთის თავისუფალ ადგილებში. ამრიგად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფშავ-ხევსურებისათვის მთავარი საკითხია ფიზიკური არსებობა. ამის გარშემო ტრიალებს მათი მთავარი მოქმედებისა, აზრისა და გრძნობის ბორბალი. ეკონომიური ცხოვრების ირგვლივ უვლის მათი ყოფა-ცხოვრების ჩარხიც. ამ უკანასკნელის ძიებაში ილევა მათი სიცოცხლე და სხვა რაიმე აუცილებელ სულიერ საზრდოსათვის, კულტურული საჭიროებისათვის მათ დრო აღარ რჩებათ, და, თუ დარჩათ, მას ანაწილებენ ხატების სამსახურისა და მხიარულებისათვის.

9. ახალი წელი ფშავში.

სხვა მრავალ დღესასწაულებს შორის ფშავლები ახალ წელს ყველაზედ უფრო კარგად ჰხვდებიან. შობის წინა დღიდან ახალი წლის პირველ დღემდე სოფლის მთავარი და უმცროსი ხევის ბერები თავისი დასტურებით ურთ ხატში ატარებენ.

ახალი წლის წინა ღამეს სოფლის ყველა მამაკაცები (დედაკაცები აქ მონაწილეობას არ ღებულობენ) თავს იყრიან ხატში, დაჭლაეენ საკლავს, ხარშავენ ლუდს, გამოხდიან არაყს და შემდეგ შეექცევიან ლუდსა და არაყს. განთიადზე ყველა ფეხზე წამოდგება ქუდებს მოიხდიან, დაჰყრიან ნაბდის ქვეშ, შიგ ხელის შეყოფით ქუდებს არევენ, შემდეგ გამოჩნდება მთავარი ხევის ბერი, შეყოფს ნაბდის ქვეშ ხელს, გამოიღებს ერთ ქუდს და ვისი ქუდიც აღმოჩნდება, ის იქნება ახალი წლის მეკვლე. მეკვლე შემდეგ გაუძღვება ხალხს წინ, ჩამოივლის ყველა ოჯახებს და მიულოცავს ახალ-წელს. მის მეკვლეობას დაიხსომებს ხალხი; მომავალი წელი თუ კარგი მოსავლიანი დარჩა, თუ ავადმყოფობა არ გავრცელდა და არავის არაფერი არ დაზარალდა არ მოუკდა ე. ი. ყოველმხრივ უნაკლო გამოდგა მაშინ ყველა მას ლოცავს, თუ არა და ყველა მას სწყევლის. ამ ახალ წლის შესახვედრ ცერემონიას ფშავლები უწოდებენ ლიტანიაობას.

10. მუსიკალობა.

საერთოდ, ფშავლები მუსიკალური ხალხი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ცხოვრობენ ისეთი ბუნების წიაღში, სადაც ბულბულის საამო მომჯადოებელი ხმა ხშირად გვიტკბობს სმენას და შაშვის საამო ჭუკჭუკი მომხიბლავად აფხიზლებს სმენას. როდესაც ფშაველები დასხდებიან საქეიფოდ და დაიწყებენ თავიანთ სიმღერას, ასე გონიათ, რომ სადღაც ტირილში დედაბრებს ჭოუერია თავი და უგულოთ ერთმანეთს შესტირიანო. მათი სიმღერა აუცილებლად იწყება ექსპრომტული ლექსით. თვითეული მათგანი ახალ-ახალ შაირს იგონებს და ასე მიუმღერებენ ერთმანეთს. მათი მიმღერება ხან სევდიანია, ზოგჯერ სამხიარულო, მოსწრებული, საოხუნჯო და ხანდისხან შეუბრალებლად ცინიკური, დამცინავი. ეს არის მათი სიმღერის დადებითი

მხარე, თორემ სხვა მხრივ იგი ვერ იტანს ვერავითარ კრიტიკას. არავითარი კეთილხმოვანება ბგერითი რხევაში, არავითარი აწევ-დაწევა, არავითარი მოძახილი, არც პირველი, არც მეორე და არც ბანი, განუწყვეტლივი ერთნაირობა ხმის თანდათანობითი გადასვლაში და, რაც უმთავრესია, არავითარი სიცოცხლისებური გამოძახილი მათი სიმღერის ხმიანობაში.

ასეთი უსიცოცხლო ერთნაირობა სიმღერაში აშკარად ახასიათებს ფშაველების ნახევრად მკვდარ ბუნებას. რამდენადაც უშნოა მათი სიმღერა, იმდენად საარაკო და მომხიბლავია მათი საუბრის ნელი, მშვიდი და ტკბილი ინტონაცია, სასიამოვნო სასაუბრო ბაასის ხმიანობა. აქ ფშაველები განსხვავებულია მთის ყველა ხალხისაგან.

ყველა ხალხს აქვს კარგი რამ დამახასიათებელი თვისება ისე, როგორც უარყოფითი მხარეც, სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგანაც ყოველ სოფელს, ყოველ კუთხეს აქვს თავისი ნაკლიც და ღირსებაც, რა ტომსა და მოდგმასაც უნდა ეკუთვნოდეს, სულერთია. ამიტომ ჩვენს ძმებს, ფშაველებს ნუ ეწყინებათ, თუ ჩვენ მათ კარგ თვისებებთან ერთად ცუდ მხარეებსაც აღვნიშნავთ.

11. მესაქონლეობა ფშავში.

როგორც ჩვენ უკვე ზევით აღვნიშნეთ, ფშაველების მთავარი საზრუნავი არის საქონლის მოვლა, რომლის გარეშეც მათ ცხოვრება ვერ წარმოუდგენიათ. ვერ ნახავთ ისეთი ფშაველის ოჯახს, რომ სამი-ოთხი მეწველი ძროხა, ერთი უღელი ხარი და ათი-თხუთმეტი ცხვარი არ ჰყავდეს. აქ ჩვენ ვამბობთ საშუალოდ. მათში ბევრია ისეთიც, ვისაც ხუთმეტ ათასი ცხვარი ჰყავს, 50 სული მსხვილ ფეხა საქონელი. ვისაც ბევრი ჰყავს, ისინი ზამთრობით შირაქის ველზედ მირეკენ საქონელს საძოვრად, ვისაც ნაკლები, ისინი ადგილობრივ აძოვებენ და ინახავენ.

მათი ბავშვები ორივე სქესისა 8 წლიდანვე სამწყემსოში ატარებენ თავის სიჯიელეს, ისინი თავიანთ ცოცხალ გონებას, გრძნობას და ენერგიას ამ საქონლის მოვლაში ლევენ. თვითეული ფშაველის სიყვარული საქონლისადმი ფანატიკოსობამდი მიდის, მას უმისოდ სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია და მის გარეშე არც სწამს არაფერი. აქედან ცხადია, რომ ამ მათთვის საყვარელ საქმეს, მესაქონლეობას მათ ადვილად ვერ მოაშორებთ და ამიტომ არის, რომ მათი ბავშვები სწავლა-განათლებას არ ეწაფებიან.

მათ რომ ჰკითხოთ, სწავლა იმდენს არას არგებს, რამდენსაც საქონელი. ჩვენთვის ხმირად უთქვამთ: შენ რომ ნასწავლი ხარ, რითი მჯობიხარ, ფერით, ხორცით თუ ჯანსაღობითო?

12. ფშაველი ბავშვები.

ფშაველი ბავშვები თავის სიცოცხლის პირველ პერიოდში ნიჭის მხრივ, თავისი ფიზიკური სტრუქტურით დიდ იმედს იძლევა, ხოლო მიაღწევენ თუ არა ისინი სრულ წლოვანების ასაკს, მათი სახე, მიმიკა და გამომეტყველება ღებულობს არა ნორმალურ სახეს. ეს მით აიხსნება, რომ ისინი მოიზრდებიან თუ არა,

მაშინვე ეჩვევიან ლოთობას და არა-ბუნებრივ სქესობრივ ცხოვრებას, რის გამოც შედეგად ვღებულობთ ნახევრად დაკარგულ, უსიცოცხლო ინდივიდუმს.

სურ. 5. ფშაველი ბავშვები

სურ. 6. ფშაველი 130 წლისა (ქალთარ ქისტაური)

სამწუხაროდ აქ აშკარად სჩანს გადაგვარების ნიშნები, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯერ ფეხი არ გადაუდგამთ სიცოცხლის განვითარების პირველ საფეხურებში. მათ უფრო მეტი ნიშნები ექნებოდათ გადაგვარებისა, რომ არაჩვეულებრივი მთის ჰავა არ აჯანსაღებდეს მათ ყოველდღიურ ფიზიკურსა და ფსიქიურ დანაკლისს. აგრეთვე ეს მთის ჰავა იცავს მათ იმ არა ჰიგიენურ ცხოვრებაშიც, რომელსაც ისინი ატარებენ ნეხვში და ყოველგვარ სიბინძურეში. ამ მხრით მათი ცხოვრება არ განსხვავდება იმ ცხოველებისაგან, რომლებთანაც ისინი ცხოვრობენ.

13. დედაკაცის ცხოვრება ფშავში.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს ფშაველი დედაკაცების ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ ფშაველი გლეხის ეკონომიური კეთილდღეობა მათ დედაკაცებზეა დამოკიდებული და მთელი ოჯახური სიმძიმე დედაკაცის თავზე ტრიალებს, ისინი მაინც განდევნილია ადამიანური ცხოვრების ფარგლებიდან და ატარებს მოძულებულს, განწირულს, უდანაშაულოდ დასჯილის შეურაცყოფილ ცხოვრებას. მამაკაცების დამოკიდებულება მათთან პირდაპირ ხვადურია და

ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. ყველაფერი ის, რაც შეადგენს ოჯახურ ბედნიერებას, გამომდინარეობს დედაკაცისაგან და ამავე დროს მან არ იცის მისი გემო.

ფშაველი გლეხი თავის ცოლთან პირდაპირ ჯალათია, მისი უხეში მხეცური ქცევით დედაკაცს მოძულებული აქვს პირადი ცხოვრება და იგი ხშირად თვათმკვლელობაზედაც ფიქრობს.

სურ. 7. ფშაველი დედაკაცი ბავშით

ამ მიზეზით მან არ იცის რა არის სიამოვნება, სიხარული და თავისუფალი გულღია ღიმილი. იგი მხოლოდ ანაყოფიერებს, წარმოშობს, ზრდის.

მიუხედავად ამ აუტანელი ცხოვრებისა, ფშაველ დედაკაცის ფიზიკურ „მე"-ში მაინც არაჩვეულებრივი სიცოცხლის ნიშნები გამოიყურება.

მან არ იცის საზოგადოდ რა არის სისუფთავე, მიუხედავად ამისა იგი მაინც მიმზიდველია თავის ეუეყიან სამოსელში. ისინი საერთოდ თავს ძრობის შარდით იბანენ, რაც არა სასიამოვნო სუნს ავრცელებს მათთან მიახლოვებისას. ამას ისინი სჩადიან იმიტომ, რომ ეუეყის მოსაშორებლად სხვა არაფერი აქვთ და ეს კი, როგორც ისინი ამბობენ, ჰკლავს ყოველგვარ პარაზიტს, მძოვარას, ქერტლს, ალაბაზებს და ბრწყინავ ელფერს აძლევს თმას. და მართლაც, რომ დააკვირდეთ მა ი თავზე, თმა ბრწყინავს და მასში ვერავითარ ეუეყიანობას ვერ შეამჩნევთ. სხვათა შორის ფშავხევსურების მოხუც დედაკაცების უმრავლესობას ჩვეულებრივ ბუნებრივ ჭაღარას ძლიერ იშვიათად შეამჩნევთ.

14. ფშაველი დედაკაცის ტანისამოსი და ხელსაქმე.

ფშაველი დედაკაცისა და ქალაის (ქალიშვილის) ტანსაცმელი არის შემდეგი: წელს ზევით შავი თავსახური, წითელი საგულე თავისი შიბით[1]) ,ზედ

[1]) შიბი - მძივად ასხმული ვერცხლის ფულები. პატარა ფშაველი ქალები ქულაჯას უწოდებენ.

შავი კურტკა, წელს ქვეეით წითელი, ან ჭრელი კაბა, ფეხზე ლამაზად მოქარგული ჭრელი წინდები, ზედ კოხტად შეკერილი ქალამნები, წვივზე ლამაზი პაჭიჭები. ზამთარში ზეევიდან გადაცმული ბატკნების ტყავისაგან შეკერილი ქულაჯა, ზაფხულში კი წმინდა შალისაგან მოქსოვილი პალტო, ხელში კოხტად შეკერილი პატარა სავეჯე, [1]) რომელშიაც უწყვიათ ყოველგვარი ფერის საქსოვი ძაფები ჭრელი წინდების საქსოვად. საზოგადოდ ფშაველი დედაკაცების ხელსაქმიანობა მრავალნაირია. მათ ხელსაქმიანობაში პირველი ადგილი უჭირავს შალის ქსოვას, რომელიც ყველა დედაკაცმა უნდა იცოდეს, შემდეგ წინდების ქსოვა, ხელთათმანებისა და სხვა. ყოველგვარი ოჯახური წვრილმანი—საქონლის მოვლა, მათი მოწველა, ყველის ამოღება, კარაქის შედღვება, ბავშვის მოვლა, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ძირითად საქმიანობას შეადგენს. საზოგადოთ ფშაველი დედაკაცები ზედმიწევნით შრომის მოყვარულნი არიან და, როგორც ვთქვით, მათზე ჰკიდია ფშაველი გლეხის ეკონომიური კეთილდღეობა. საოცარი დამახასიათებელი თვისება შრომის მხრივ ფშაველი ახალგაზრდა ქალისა და საერთოდ დედაკაცისა ის არის, რომ მათ ტყვილა გაჩერებულს ვერ ნახავთ მთელი დღის განმავლობაში. ის აუცილებლად რაღაცას აკეთებს. ზის—საქმეს აკეთებს, მიდის—წინდას ქსოვს, ცხვარშია თუ საქონელში—მაინც რაღაცას ქსოვს, წყალზე მიდის—ისევ ქსოვს, ზურგზე ბავშვი ჰკიდია—თავ-ჩაღუნული ქსოვს, ნათესავთან მიდის შორს გზაზე—კიდევ წინდას ქსოვს, სულერთია რა მიზნითაც უნდა მიდიოდეს იგი სასეირნოდ თუ სამგზავროდ, მთაში მიდის, სიარულის დროს მაინც ქსოვს, გულში დარდები იქვს—ქსოვს, მხიარულია—ისევ ქსოვს, არშიყობს, ხელს არ ასვენებს, გაბნეულ საქონელს ეძებს,—ისევ ყაისნაღებს, წინდის ჩხირებს ათამაშებს, საუბარშია შალის ბურგეს ახვევს, ბოსელშია—ქსელში მაქვას-ცხემლას გააცურებს, სახეს გაუს-გამოუსვამს და შემდეგ ზედ ბეს [2]) ურტყამს. რამდენადაც ფშაველი ზარმაცი გაუნძრეველია, იმდენად მისი დედაკაცი ან ქალი მოუსვენარი და მომქმედია. ფშაველი ახალგაზრდა ქალის დასახასიათებლად ჩვენ მოვიყვანთ ერთს ფშაურ ლექსს:

მზე ამობრწყინდა წითლადა, სხივსა ჰფენს არე-მარესა,
მის ნახვა ყველას დაატკბობს, ყვავილთაც გაიხარებსა.
ქალამ გაუშვა საქონი, შამოაყოლა ჭალებსა,
თავ-დახრით წინდას მიიქსოვს, თვალს ავლებს არე-მარესა
გულში ვინ იცის რას ფიქრობს, ან ვის დარდს იზიარებსა...
ფშაველი დედაკაცები ვუდაში ჩასმულ ბავშვს ზურგით ატარებენ.

15. თვიური და ჰიგიენა.

ამბობენ: „ზოგი პირი მარგებელიაო“ და ეს თქმულება ფშაველ დედაკაცებზედ ჰიგიენური თვალსაზრისით, ერთგვარად მართლდება. ფშაველ ქალებს თვეში ერთხელ გარეთ უხდებათ ყოფნა მთელი კვირაობით, რის შემდეგაც მათ

[1]) რუდიკული მათებურად—კალათი.

[2]) დაკბილული ნაკერი ფიცრისა, რომელსაც მართლაც ბეკისებური მოყვანილობა აქვს და რომლითაც ქსელში ძაფები ერთი—მეორეზე მჭიდროდ მიჰყავთ.

უნდა დაიბანონ, დაირეცხონ და სახლში და მეზობლებში ისე გავიდნენ. ეს ჩვეულება მათ საშუალებას აძლევს, ოდნავ მაინც დაიცვან თავი იმ ქუქაისაგან, რომელშიაც ყოველ დღიურად ისინი ტრიალებენ. რაიმე ქალურ ავადმყოფობას მათ შორის—99 % შემთხვევაში უარყოფენ. თუ ეს მართალია, ამ მხრივ ისინი იდეალურად დაცული, თავ-შენახული ყოფილან. თითქოს არც სხვა რაიმე ავადმყოფობით უნდა იყვნენ ისინი შეპყრობილნი.

მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ ისინი მართლადაც სრულიად დაცული იყვნენ ქალთა სნეულებისაგან, რადგანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი ექიმს მეტად ერიდებიან და ვერავითარ ზომებით ვერ დააჯერებს კაცი იმაში, რომ საკერო გამოტეხით გითხრან ყველაფერი ის, რაც მათ აწუხებს სქესობრივი ორგანოების ფარგლებში. საზოგადოდ ფშაველი დედაკაცები მეტად ამტანი არიან ყოველგვარი ტანჯვისა, დამცირებისა და ფიზიკურ-ფსიქიური ტკივილებისა. როდესაც ფშაველ დედაკაცს ასტკივდება რამე, მაშინ იგი მკითხავებს მიმართავს ხოლმე. ოღონდ როცა ძლიერ გაუქირდებათ ან სიკვდილის აჩრდილი თვალწინ წარმოუდგებათ, ე. ი. როცა ექიმის საქმეში ჩარევა უკვე დაგვიანებულია, მხოლოდ მაშინ აღარ ერიდებიან ექიმს და ყველაფერს უმხელენ.

ეს ითქმის მხოლოდ ქალის სნეულებათა შესახებ. რაც შეეხება სხვა ავადმყოფობას, აქ ისინი თავისუფლად მიდიან ექიმთან. ამ მხრივ ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ ხალხმა ვერ შეიგნო ექიმის მნიშვნელობა. საზოგადოდ, ფშაველი - ხალხი, თუმცა თავის პრიმიტიულ ყოფა-ცხოვრებას მისდევს, მაგრამ შედარებით კარგათ არჩევს ავსა და კარგს. მხოლოდ ამ თვისების შემჩნევა უცხო კაცისათვის ხანდახან მეტად ძნელია, რადგანაც ისინი თავის გულის ნადებს უცხოს ძნელად თუ გაუმეღავნებენ ხოლმე, ამ მხრივ ამ ხალხს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენი ხალხის სხვა ტომებს შორის.

16. ფშაური საღებავები.

ფშაველი დედაკაცები ქსოვენ ფარდაგებს, შედარებით კარგად. ამისათვის ისინი დამზადებულ შალის ძაფებს ღებავენ სხვადასხვა საღებავებით, რომელსაც თვითონ დედაკაცები ამზადებენ ადგილობრივ. ამ საღებავებს აკეთებენ სხვადასხვა ბალახისაგან, ბალახის ძირისაგან, ერთგვარი მიწისაგან, მურყნის (თხემლას) ქერქისა, მუვარტლისა ანდა ტყის ვაშლისაგან. ამ საღებავებს ურევენ დუქანში ნაყიდ ყოველგვარ ნაქსოვს და ძაფებს. თუ მათ უნდათ სახლში ნაქსოვი ფარჩა*) უფრო კარგათ შეღებონ, ისინი შინაურ საღებავს ურევენ ბაზარზე ნაყიდ საღებავ ლიღას და სხვა. საღებავად აქ იხმარება:

1) ხაქოლი—ბალახია, ყვითლად ღებავს.
2) ლები—მიწა, ყვითლად ღებავს.
3) თავ-შავა
4) რკინის წიდა } ორივე შავი საღებავია.
5) ენდრო
6) ტყის ვაშლი } ბალახის ძირია და ორივე წითლად ღებავს.

*) ფ ა რ ჩ ა მთაში სახოგადოდ ქსოვილს (მატერიას) ნიშნავს.

ამ საღებავებით ფშაველი დედაკაცები აფერადებენ წინდებს, შალს დაფარდაგს. ამ გვარად ისინი მაინცა და მაინც არ საჭიროებენ ბაზარს. მამაკაცის საშარვლეს, საჩოხეს, წინდებსა და სხვას სახლში ამზადებენ. აგრეთვე თავის საქულაჯეს, საკურტკეებს და მაღალ ყელიან წინდებს.

17. მასიური სიღატაკე.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ ფშაველი ხალხის პირველყოფილი მდგომარეობა შედეგია იმისა, რომ მკვდარი და ცოცხალი ქონების გამოყენება არ იციან სათანადოთ, რის გამო იქ მეფობს მასიური სიღატაკე, ეგრეთ წოდებული პაუპერიზმი.

აქ მდიდარი და ღარიბი ერთნაირად ცხოვრობს, თითქმის არავითარი განსხვავება მათ შორის ცხოვრების მხრივ არ არის და ეს ასეც უნდა იყოს. სადაც მონდომება, სურვილი უკეთესი ცხოვრებისა, სწრაფვა ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებისა არ არის, იქ მკვდარია ყოველგვარი ქონებრივი სიმდიდრე.

ფშაველ გლეხს საარსებო ქონება აკლია, არ ითქმის, მაგრამ იგი თავის ქონებას სათანადოთ ვერ ხმარობს და ცხოვრობს ღატაკად და უსუფთაოდ.

18. ფშაველი მწყემსი (ძალი და ვაჟი).

გარიერაჟდება თუ არა, ვეებერთელა მთის ფერდობებზე ჯგუფ-ჯგუფად მოეფინება ცხვრის ფარა. აქ, როგორც ვთქვით, გაზაფხული არ იცის და ამიტომ მის მაგიერობას ეწევა ზაფხული. მწყემსი, რომელიც ცხვრის ფარის ახლავს, თუ ქალაი არის,—ხის ბუჩქს მიეფარება, თავ-ჩაღუნული წინდას ქსოვს და „გულში ვინ იცის რას არ ფიქრობს“, თუ ვაჟია,—დრო და დრო მიეძინება, ხან კი მის მახლობლად მდგომარე მწყემს ქალას დაედევნება, გვერდს გაჰკრავს, არშიყულ საუბარში ცოტა კვინწარ სიტყვებს გამოურევს, ქალაი ქვევიდან შემპარავად გაუღიმებს, შემდეგ ისევ გვერდს გაჰკრავენ ერთმანეთს და ვაჟი თავისივე ცხვრის ფარას დაუბრუნდება.

19. ხაბმელი ბალახები.

ფშავლები, განსაკუთრებით მათი ქალები, უმეტეს დროს, თავისუფალი ბუნების წიაღში ატარებენ, საქონელთან ერთად. ამიტომ ისინი გასცნობიან სხვადასხვა საქმელ ბალახებს. აქაც ერთგვარი უცნაურობა არის. ისინი ხანდახან მთელი დღე ერთგვარ ბალახსა სჭამენ, რომელიც ხილის მაგიერობას სწევს მთელ ფშავ-ხევსურეთში. ხშირად სახლშიაც მოაქვთ მთელი კონები, აწებენ ხაქოიან რძის შრატში და ისე შეექცევიან. ამ შეზავებით ეს მცენარე საკმაო გემოს იძლევა და თავის გემოთი ძლიერ წააგავს ჩვენებურ ოხრახუშს. ამ მცენარეს სახელად ეძახიან ხიფხოლას. მაშინ, როდესაც იგი ახლად ამოსულია, სინორჩის დროს ის კარგი სათქვეფია და მას უშრატოდაც სიამოვნებით სჭამენ. როდესაც ხიფხოლა აყვავდება, მაშინ მას უწოდებენ ხიფლის ყივას (ხიფხოლას ყივას). ბალახი, რომელსაც უმთავრესად ისინი სჭამენ—ხუთნაირია:

1. ხიფხოლა (სინორჩის დროს) ანუ ხიფლის-ყივა (აყვავებული),—ოხრახუშის გემოსია.

2. კენკეშა (მოტკბილო გემოსი არის).

3. მჟავანა (მჟავე გემოსია; ამას უფრო ხევსურები ეტანებიან, გურულებიც სჭამენ).

4. დუცი (ლულისებრივი მოყვანილობისაა, ფართო ფოთლიანი, მწარე გემოსია).

5. შუპყა (ესეც დუცს წააგავს თავის შენებით, მაგრამ გემო ტკბილი აქვს).

20. ფშავლების უმთავრესი საკვები.

როგორც ზევით ვთქვით, მათი მთავარი კვების წყარო არის: 1) ერბო, ხაპო (საპატიო სტუმართათვის), 2) ყველი (ცხვრისა), 3) რძე (ძროხისა), 4) რძის ხაპოიანი შრატი, 5) ხორცი, როგორც ახალი, ისე შენახული (გამხმარი), 6) კარტოფილი.

რაიმე წვნის მაგივრად რძის შრატს ხმარობენ (დოს, როგორც ასინი ეძახიან). ამასთან ერთად პირველი საპატიო საჭმელი ფშავში არის ხინკალი; ჰურის ცომში გამოახვევენ დანაყილ ხორცს და მოხარშავენ.

ჰურს უმთავრესად ქერისას სჭამენ.

სურ. 8. ფშავლები (ლოფ. შუაფხო).

II. ხევსურეთი.

ა. პირაქეთ ხევსურეთი.

1. მდებარეობა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევსურების ცხოვრების მთლიანად ამოწურვა ადვილი საქმე არ გახლავთ. ხუთი წლის მანძილზე ჩვენ შეეძელით შეგვესწავლა მხოლოდ ზოგიერთი მხარე მათი ცხოვრებისა, რომელზედაც ქვემოთ გვაქვს საუბარი.

ხევსურეთი ძევს კავკასიონის მთავარი ქედის ორსაღე მხარეს, სანხრეთით და ჩრდილოეთით.

გადმოლმა ხევსურეთი (პირაქეთი ხევსურეთი) მდებარეობს მიუვალ მთიან ადგილებზე და მათი სახლ-კარი, ეზო-მიდამო მოგაგონებთ დროებით ტყეში გახიზნული ხალხის კარ-მიდამოს.

2. ზამთარი-ხევსურეთში.

ზამთარი ხევსურეთში (ფშავშიაც) მეტად მკაცრია და ულმობელი თავისი ხასიათით. მიუხედავად ამისა აქ დიდი თოვლი არ იცის. მისი სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატება. იცის მხოლოდ მაგარი და მწვავე ყინვები, რომელიც ჩრდილო რუსეთის ზამთარს მოგაგონებს. მთელი ფშავ-ხევსურეთი ზამთარში სულ დამუნჯდება, თითქოს აღარავინ ჩქამობს, არავინ მოძრაობს. ქარ-ბუქი ძლიერ იშვიათია აქ, რაც აიხსნება გეოგრაფიული თავისებურობით. შიშველ მწვერვალზე კი დიდი თოვლი მოდის, რომლის სიმაღლეც ორ მეტრს ხშირად სცილდება. ამ მწვერვალების შუა და ქვემო ფარდისებურ კალთებზე არიან დასახლებული ფშავ-ხევსურები. შუა ზამთარში სოფლებს შორის სიმეზობლო მიმოსვლა თითქმის შეწყვეტილია, რასაკვირველია, თუ რაიმე იშვიათი შემთხვევა (სიკვდილი, მტრის დაცემა, ფათერაკი და სხვა) არ მოხდა. საზამთრო მარაგი (შეშა, თივა, პური) ყველა ხევსურს მომზადებული აქვს ზედვე, სახლების ბანზე—კარებთან. თუ გარეთ გამოვლენ—მხოლოდ სანადიროდ, მეზობლებში დროს გასატარებლად. მთელი ზამთრის თვეები ხევსური მამაკაცისათვის დასვენების ხანაა—მაშინ, როდესაც ხევსური დედაკაცები ყოველსავე ამას მოკლებულია. ფშავლებმა მომარაგება არ იციან ზამთრისათვის. მათ არ იციან დროს შესაფერისად მომზადება. ფშავლებს არ უნდათ, რომ დროს მისდიონ, არამედ დრო უნდა მიჰყვეს მათ. ყოველი ფშაველი აუჩქარებელია საქმიანობაში. მას ვერც დრო და ვერც გარემოება ვერ ააჩქარებს. პირაქეთ ხევსურეთში უფრო ნადირობენ დათვზე, მელაზე და კვერნაზე; პირიქით ხევსურეთში კი, როგორც შატილელები,

ისე არხოტელები ნადირობენ ჯიხვებზე, ველზე და კვერნაზე, რომლების ტყავსაც საბეწვგარეთოსათვის [1]) ხმარობენ. ჯიხვისა და ველის ხორცს ცხადია ჭამენ. პირველ ღვინობისთვიდან, როგორც პირაქეთ, ისე პირიქით ხევსურეთისაკენ გზა ყველა მიმართულებით იკეტება, იშვიათად კარგი დარებიც დგება და ასეთ შემთხვევაში გზა შეიძლება არ დაიკეტოს ნოემბრის დამლევამდინაც კი. გზა გაიხსნება ივნისის შუა რიცხვებში მარტო პირიქითისაკენ, პირაქეთ ხევსურეთში კი—მაისის პირველ დღეებში. ამიტომ მთელი ფშავ-ხევსურეთი ზამთარში პირდაპირ ცოცხლების სამარეა. [2]) ამ დროს გიჟი არაგვიც შესწყვეტს თავის მოუსვენარ ღრიალს და ჩვეულებრივად არ ანჩხლობს. როგორც ხევსურეთის, ისე ფშავის არაგვი თითქოს ქურდულად მიიპარება თავისებური სწრაფი ნაბიჯით ყინვის გამსქვირვალე მინებს ქვეშ, რომლის მოზრდილ ნაპრალებში მრავალი გარეული იხვები ჩაძვრებიან ხოლმე სათევზაოდ. აქა-იქ, არაგვის კარჩხლოვან კიდენაპირებს ყინულის ჩამოსხმული ლუსტრები ამშვენებს—ამას ნაწვეთართან უკანა-ფშავში და პირაქეთ ხევსურეთში სოფელ მოწმაოს ძირთან შესვლისთანავე შეამჩნევთ. აქ ძალა-უნებურად ამბობთ: ზამთარი ცივ მხარეშიაც თავისებურ სილამაზეს ატარებს, რაც უცხო თვალს გადაუმეტებლათ სიამოვნებას ჰგვრის.

ფშავლები საზამთრო მომარაგებისათვის დიდ თოვლს უცდიან, რათა ზნები პურისა და თივის ბულული ადვილად ჩამოათრიონ მაღალი მთის დაკიდებულ ბილიკებზე. უგზოობისა და ადგილ-მდებარეობის გამო ურმის მაგიერობას მარხილი, ჯორი, ვირი და თვით ფშავ-ხევსურები ეწევიან. დაკიდულ მთის ფერდობზე ფეხის დასამაგრებლად წრიალებს ხმარობენ. ზნების ჩამოთრევას მაინცა და მაინც დიდი ძალა არ სჭირია. ძალა მხოლოდ მის დაკავებას ესაჭიროება, რომ დაკიდულ ფერდობზე ზნა არ დაუცურდეს ფშაველს და ზნასთან ერთად სადმე უფსკრულში არ გადაიჩრას. ამიტომ თვითეული ფშაველი, რომელიც ზნას მოათრევს მთის დალმართზე ზურგით აწვება მას და ასე ნელ-ნელა ორივე მოცურავს ქვევით. ზამთრის პერიოდში საექიმო პუნქტზე ავადმყოფთა რიცხვი საგრძნობლად მცირდება, რადგანაც ფშავ-ხევსურეთის სოფელთა შორის გზა იკეტება და თოვლის ზვავების გამო მგზავრობა სახიფათოა.

ჩვეულებრივად თებერვლიდან ჰაღა იცვლება. ცივი ტაროსი თანდათან თბება. აი აქედან იწყება დიდი ზვავები, რომელიც ხშირად მთელი ტყის მიდამოს მილეწ-მოლეწავს, საცხენოსნო ბილიკებს სავსებით გაანადგურებს, წალეკს, ჩამორეცხს და სრული სამი თვის განმავლობაში გზა-ბილიკები დაკეტილია. აქაურ ზამთრის სტიქიას ბევრი ფშაველი და ხევსური მოუტნევია ქვეშ და გამოუსალმებია თავის კარ-მიდამოს. მთელი ზამთრის სამყოფ ქერის პურს ფქვავენ შემოდგომის თვეებში, რადგანაც მდინარე ხშირად იყინება და წისქვილის წყალი დგება.

როგორც ვიცით ფშავ-ხევსურეთში უმთავრესად მესაქონლეობას ეწევიან. ზამთრის გრძელ პერიოდში საქონლის საკვები ხშირად აკლდებათ. ამიტომ ისინი გაზაფხულის სამი თვის განმავლობაში ნეკერით კვებავენ საქონელს. ნოემბრიდან

[1]) საზამთრო ტყავის ქულაჯა.

[2]) ფშ.-ხ.-ხევსურების სახლები ზამთარში პირდაპირ მგლის სოროებს წაგავს, რომლის საკოშურებიდან ისინი იშვიათად გამოდიან.

თებერვლის დამლევამდი თივით კვებენ. რომელსაც ხევსურები თიბათვესა და მკათათვეში ამზადებენ.

მსხვილფეხა საქონელს ხევსურები უფრო კარგად უვლიან, ვიდრე ფშაველები. ხევსურ დედაკაცებს იმდენად უყვარს საქონლის მოვლა, რომ ბოსლიდან მათ ნეხვს პირდაპირ ხელით ხვეტენ. ზოგიერთი კუთხე ხევსურეთში, განსაკუთრებით კი არხოტის თემში, მეტად მწირია ტყიანი ადგილებით, რის გამოც ხსენებულ მხარეში შეშა ძვირი საშოვარია. ამიტომ იქ შეშად საქონლის გამხმარ ნეხვს ხმარობენ.

ლანქრობა (წყალდიდობა) ფშავ-ხევსურეთში თითქმის ოთხი თვე გრძელდება—მარტი, აპრილი, მაისი და თიბათვე. ამ დროს ორივე არაგვი მომეტებულად გიჟია და ულმობელი. გაშლილ ჭალებზე კალაპოტს რამდენიმეჯერ იცვლის, ვეებერთელა ლოდებს ისე გაიგდებს წინ, რომ მისი ხრიალი კარგა შორ მანძილზე გესმით. ამიტომ ფშავ-ხევსურებს არაგვი გაზაფხულზე მომეტებულად აფრთხობს. ბევრიც იხრჩობა.

ორ წყალთან გახვალთ ხიდზე და მარჯვნივ შეუხვევთ ხევსურეთის ხეობას. არაგვი საზოგადოდ მოზრდილი მდინარის სახელია ფშაესა, ხევსურეთსა და მთიულეთ-გუდამაყარში. მოხეველებიც თერგს არაგვის სახელით იცნობენ. მაგრამ პირაქეთ ხევსურებს რომ ჰკითხოთ, ნამდვილი არაგვი ის მდინარეა, რომელიც მათ სოფლებს ჩამოუდის. ეს ხეობა შედარებით არ არის მდიდარი თავისი ჭალებით, ისე, როგორც ფშაევის ხეობა. მართალია, აქა-იქ შეგხვდებათ კარგად მოზრდილი, ატეხილი ჭალები, მაგრამ ისიც ორიოდე; არც ერთი სოფელი თითქმის არ მდებარეობს ხსენებული ჭალების ფენებზე გარდა ბარისახოსი. დანარჩენი სოფლები მდებარეობენ ან სულ მაღალი მთის ფერდობებზე ანდა მდინარის სათავეებში.

აქ წელიწადში ოთხი სეზონი კი არ არის, როგორც ბარში, არამედ ორი: ზამთარი და ზაფხული. ზამთარი იწყება ოქტომბრის პირველ რიცხვებში და თავდება აპრილის გასულს (ძველი სტილით). ასე რომ შემოდგომა და გაზაფხული ისეთი გაგებით, როგორც ბარშია, აქ არ იცის. იცის მხოლოდ ზაფხული, რომელიც თავისი სიკეკლუცით ჩვენებურ გაზაფხულს წააგავს.

3. ჭიანჭველების ქალაქი.

სოფ. ბარისახოს ახლო მდებარეობს ლამაზად გაშლილი დიდი მინდორი, შემოსილი მწვანე მდელოთი. ამ დიდ მინდორზე მოსჩანს მწყობრად და თანაბრად პატარა გუმბათებივით ჯარად ამოზნექილი ადგილები. აქ ძალაუნებურათ დაგაფიქრებთ ეს ჯგუფ-ჯგუფად მიწაზე დაწყობილი მწვანე ქუდები და გინდათ გაიგოთ თუ რა ბუდობს დედამიწის ქვედა ფენებში.

საექიმო პუნქტში ჩვენი დაბინაევების შემდეგ *) გავიდა ერთი თვე. მოხუცი ხევსური მოვიდა ცხენით და ავადმყოფთან წამიყვანა. ეს ჩემი პირველი მგზავრობა იყო გადმოლმა ხევსურეთში. აპრილის უკანასკნელი რიცხვია. მზე შუადღის

*) ბარისახოს საექიმო პუნქტი იმჟამად იმყოფებოდა არა ბარისახოში (ხევსურეთში) არაჩედ შუაფხოში (ფშავში), ოთხიოდე კილომეტრის მანძილზე ორწყალს ზემოთ.

ზენიტზე დგას და დედა-მიწის ზედა პირს შესამჩნევად სწვავს. გავემგზავრე ავადმყოფთან ცხენით, მოხუცი ხევსური კი ფეხით მომდევდა. გზაში ის შემეკითხა:

— შენი სახელი?

— გიორგი, ვუპასუხე მე.

— ჩემი სეხნა ყოფილხარ. გიორგი, ჩამოხე ცხენიდან და ერთ ხანს მე შევჯდები, შენ ჩემზედ ჯიელი ხარ.

მისმა სითამამემ ძლიერ გამახარა, რადგანაც იგი გამომდინარეობდა ნამდვილ თავისუფალ და უმერყეო პირდაპირობიდან. სიამოვნებით გადმოვხტი ცხენიდან და მას დავუთმე. მე წინ და ის ისევ უკან მოდის ცხენით. გავიარეთ დაახლოებით სამი კილომეტრი გზა, ის ჩამოხტა ცხენიდან და ახლა მე შემომთავაზა.

მზემ დასავლეთისაკენ გადიხარა. სოფელ ბარისახოს მივუახლოვდით. ხსენებულ მინდორზე გავედით. მოხუცს შევეკითხე, თუ რას ნიშნავდა ეს აუარებელი ქუდებივით ამოზნექილი მწვანე ადგილები. მან მიპასუხა—ეს, გიორგი, ჭიანჭველების სახლებია, ამაში ჭიანჭველები ცხოვრობენ. თქმისთანავე თავის ფიტყვის დასამტკიცებლად, ჰკრა გრძელი ჯოხის წვეტიანი ბოლო ამოზნექილ მწვანე ქუდს და მიწაზე მრგვალი ბელტი გადმოაბრუნა, რომელზედაც ჭიანჭველების ფარა იყო მიფენილი. ავარდნილი ბელტი ისევ ზედვე დავახურეთ და გზა განვაგრძეთ. მე ეს ადგილი განსაკუთრებით დავიმახსოვრე და მას ჭ ი ა ნ ჭ ვ ე ლ ე ბ ი ს ქ ა ლ ა ქ ი დავარქვი. ამ ჭიანჭველების შუაგულ ქალაქში ხშირად მიხდება გავლა. ვაკვირდები მათ ყოფა-ცხოვრებას და იგი დიდ განცვიფრებას იწვევს ჩემში.

პირაქეთ ხევსურეთში თავის მდებარეობით საგულისხმოა სოფ. ბარისახო, მოწმაო, ქ ო ს ტ ი, რ ო მ ჯ ა, ბ ა ც ა ლ ი გ ო, ქ ო ბ უ ლ ო და ღ უ ლ ი. ამ უკანასკნელ სოფელში არის მეავე წყალი, რომლის მინერალურ შემადგენლობაშიც უნდა იყოს რკინა და სოდა.

4. ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ა ნ ი.

ფშავში უფრო ხშირად გვიხდება ავადმყოფთან წასვლა ვიდრე ხევსურეთში. ეს იმიტომ, რომ ხევსურები უკიდურეს შემთხვევაში მოგვმართავენ. როგორც ხევსურეთში, ისე ფშავში, ზოგიერთი ინფექციური ავადმყოფობა სრულებით არ შემხვედრია. მაგ. ყოველგვარი ტიფი და სხვ. და ამ გარემოებას ჩვენის აზრით უნდა ხაზი გაესვას. როგორც ზევით აღვნიშნეთ, არსებობს მხოლოდ გარდამავალ ხანებში ტიპიური ავადმყოფობანი, განსაკუთრებით ფილტვების ანთება ორივე ფორმისა—კრუპოზული და ბრონქო-პნევმონიური. აქ წელიწადს ორი უმთავრესი გარდამავალი ხანა აქვს: შემოდგომა და გაზაფხული. ამ ხანებში ხსენებულ სენთა მიმდინარეობას ეპიდემიური და წმინდა სეზონური ხასიათი აქვს. რაკი დავრწმუნდით, რომ აქაურ ავადმყოფობას წმინდა სეზონური მიმდინარეობა აქვს, ამიტომ შემდეგი სეზონისათვის მივიღეთ პროფილაქტური ზომები: ვაწარმოეთ გამაფრთხილებელი დარიგებანი და შემდეგ წელს აშკარად დავინახეთ ხსენებულ ავადმყოფობის გავრცელების თვალსაჩინო შემცირება პროცენტულად.

ხევსურეთში რაიმე თანდაყოლილი ავადმყოფობანი იშვიათია. არც ფშავში და არც ხევსურეთში სრულიად არ შეგვიმჩნევია ფარისებრივ ჯირკვლების ავად-

მყოფობა (ჩიყვი), რომელიც საერთოდ მთიან ადგილებს სჩვევია (სვანეთში, აჭარისტანში და ზემოსურებში (გურიაში), ფშავში ეს ავადმყოფობა სრულებით არ არის. როგორც ყველას სმენია, ხევსურებმა იციან ჩხუბის დროს დაკრა და ეს გარემოება ბევრ დასახიჩრებებს იწვევს, განსაკუთრებით თავისას. დასახიჩრება ხდება არა იმდენად მიყენებული ჭრილობისაგან, რამდენადაც ადგილობრივი მკურნალებისაგან *).

5. ხევსურის დახასიათება.

ხევსურები თავისი ბუნებრივი ტემპერამენტით სრულიად განსხვავდებიან სხვა მთიელებისაგან, განსაკუთრებით მათი მოსაზღვრე მეზობლებისაგან, ფშაველებისაგან. ეს ხალხი არაჩვეულებრივია თავისი ხასიათით, ქცევით მიხვრა-მოხვრით, ლაპარაკით, მოქმედებით, სიარულით, ტანისამოსით, ადათით, ზნეჩვეულებით და თვით იმ პირველყოფილი ადამიანის სიცოცხლით მეღავნებით, რომელსაც ისინი ატარებენ. ხევსური თუ მღერის, აუცილებლად საგმირო სიტყვებით აფერადებს თავის მკვირცხლ სიმღერის ხმიანობას, მას არ სწამს რაიმე გრძნობიერებაში გადასვლა, სანტიმენტალობა. ისინი უთუოდ ცხოვრების სინამდვილეში სახავენ ყოველნაირ სიამ-ტკბილობას, ყოველგვარ ჭირ-ვარამს; მათ არ სწამთ სიყალბე არაფერში, არც თავხედური მედიდურება, თავგასული ამაყობა მეზობლობაში, არც ღალატი მოძმისადმი. და თუ ვინმე მათგანს ეს თვისებები გამოაჩნდა თავის მეზობლებში, ისინი მას აღკვეთენ, სამუდამოდ სიცოცხლეს გამოასალმებენ, არა თუ იმას, რომელმაც ღალატი, გამცემლობა გამოიჩინა, არამედ თვით მის მოდგმასაც კი. ამის მაგალითები ბევრია მათ ცხოვრებაში და ერთს აქვე მოვიყვანთ საილუსტრაციოდ:

გადმოგვცეს, რომ სოფელ მოწმაოში ცხოვრობდა ბათირა არაბული, რომელიც მეფის მთავრობის დროს დიდი გავლენიანი პირი ყოფილა. მეფის მოხელეების იმედით იგი თავის მეზობლებს გასდგომოდა და თავის სოფლის მებატონობა დაესახა მიზნად. მოუნდომებია თითქმის მთელი სოფლის მიწა-წყლის დაპყრობა, რისთვისაც მეზობლებს ავიწროებდა თურმე. ამასთან ერთად არ თაკილობდა თავის მოძმეების დასმენას მთავრობის მოხელეებთან. ერთი სიტყვით, გასაქანს არ აძლევდა თავის მეზობლებს. ხევსურებმა შეავიწროვების დროს ძლიერი შემჭიდროება, შეკავშირება, მტკიცე ურყევი სიტყვის მიცემა იციან ერთმანეთისადმი. ამ შემთხვევაშიც ასე მოიქცენ.

რაკი მათ არ ასვენებდა თავგასული ბათირა, მათ მყისვე პირი შეჰკრეს და გადასწყვიტეს ეს ავ-ზნიანი ადამიანი სამუდამოდ თავიდან მოეშორებინათ. ერთ დღეს სოფელმა თავი მოიყარა, შეიარაღდნენ, ბათირას სახლ-კარს მიადგნენ. ბათირა ცოლშვილიანად გამოიძახეს გარეთ და თოფები დაუშინეს. ბათირას უდანაშაულო ცოლ-შვილი ხესა და კლდეს ედებოდა თავის დასაცავად, მაგრამ გვიანღა იყო. პირველად ბათირა ამოიღეს ნიშანში, შემდეგ ცოლ-შვილი. ხალხი ამბობს, ოჯახის დიასახლისი ჩვილი ბავშვით ხელში თავს იცავდა. როდესაც დე-

*) მათს მკურნალობაზე ცალკე გვექნება ლაპარაკი.

და დაეცა მიწაზე უსულოთ, ჩვილი ბავშვისათვის ხელი არ გაეშვა და ბავშვი მკლავებს შუა შეაცივდა დედის გულ-მკერდსო.

თვით ხალხი მწარედ იგონებს დედა-შვილის განუყრელ სურათს, რომელნიც სიკვდილშიაც ვერ დაშორებოდნენ ერთმანეთს. „ეს სურათი ახლაც ისე გველანდება ცხადში, თუ სიზმარში, რომ ბევრს ვერ მოგვისვენია მისი აჩრდილის ქვეშო“ მითხრა მოხუცმა იმედამ და მწარედ ამოიოხრა.

„დედა-შვილი, თორემ იმ ძაღლზედ ჩვენ არას ვნაღვლობდით, არც ვიგონებთ მას, იგი წამსვე დავივიწყეთ, ისეთი უღმერთო, ისეთი შეუბრალებელი იყო იგი მთელი ხევსურების წინაშე“, დაუმატა იმედამ. მის მიდამოზე არ დაუტოვებიათ არც-ერთი მოდგმის ნაშთი, ისე გაუნადგურებიათ მისი კერა და ეზო, მისი სახლი და ნადავლი. ერთი კვირის განმავლობაში მკვდრები ეზოში ეყარა და მათ ბუზები და ყვავ-ყორნები ესეოდაო. მეზობლები არ მიჰკარებიან, რადგანაც მთელი მოწმაოს მოსახლეობა შეფიცული ყოფილა ერთმანეთზე და არავისთვის, ნათესავებისთვისაც-კი ნება არ მიუციათ მკვდრებს დაჰპატრონებოდნენ. ვინც მათთვის ხელს გაანძრევდა, უარესი დღე მოელოდა. სოფელმა არავის არ მისცა ნება დაემარხათ ისინი თავის სოფელში. ამიტომ სადღაც შორიდან მოვიდნენ მისი ნათესავები და მათ წაიღეს ყველა და სადღაც შორს, ოცი სოფლის იქით დაასაფლავეს. ახლა ბათირა არაბულის ნასახლარზე მგლები ღმუიან და იქ გამველელი მომსწრე მოწმაველი ხევსური კიდევ მწარე შურით იგონებს მას. საოცარია ეს სინამდვილე ხევსურების პრიმიტიულ ცხოვრებაში. მაგრამ კიდევ უფრო საკვირველია მათი ბუნების ურყევი სიმკაცრე, მათი ჯიუტობა.

გადმოღმა ხევსურები ცოტაოდნათ განსხვავდებიან გადაღმა (პირიქითელ) ხევსურებისაგან. პირველნი განსხვავდებიან უფრო მეტი პრიმიტიულობით, გონებრივი ჩამორჩენილობით. არხოტელები და შატილელები (გადაღმა ხევსურეთია) გაცილებით მეტი გაგების, მეტი შეგნების არიან, ვიდრე გადმოღმა ხევსურები. ეს მიტომ, რომ 1) არხოტელ-შატილელები საზღვარზე დგანან და ეს გარემოება ხელს უწყობდა მათ შედარებით მათზე უფრო კულტურულ ხალხს (ქისტებს და სხვ.) დაახლოვებოდა. 2) აქ ეს ადგილები, როგორც ძველად, ისე, რუსის მეფის ბატონობის დროს ყოველთვის სადარაჯო ადგილებად იყო მიჩნეული. ეს ორი გარემოება ხელს უწყობდა გადაღმა ხევსურებს გონებრივად ცოტათი წინ წასულიყვნენ. 3) კიდევ იმიტომ, რომ ისინი ახლო არიან კავკავზე და გროზნოზე. მათ საშუალება ჰქონდათ გადასულიყვნენ ამ ქალაქებში, როგორც ზამთარში, ისე რა თქმა უნდა ზაფხულშიაც. არხოტელები (ანუ ხევსურების ენაზე: არხოტიონები) ახლო არიან კავკაკთან, შატილელები კი (იმათებურად: შატილიონები) გროზნოსთან. ხსენებულ ქალაქებში მიმოსვლის ზეგავლენით არხოტელებმა და შატილელებმა მიიღეს ერთგვარი ფერისცვალება. ზოგი შატილიონი და არხოტიონი ქისტურათ იცვამს, ბევრი მათგანი ქისტურადაც ლაპარაკობს. არის ხშირი მიმოსვლა ქისტებსა და არხოტიონ-შატილიონებს შორის. პირაქეთელი ხევსურები ასეთებს სრულიად მოკლებულია და ისინი, თითქმის სრულიად მოწყვეტილია ამ ქვეყნის ზეგავლენისაგან. მათ არც ტანისამოსი აქვთ შეცვლილი, არც ზნე-ადათი და არც სხვა ენა იციან.

ხევსურები თავისუფალია მოქმედებაში, თავისებურ ფიქრებში, თავისებურ სიამ-ტკბილობაში. მათ უკვირს ყველაფერი უცხო. ბრქყვიალა. გადმოღმა ხევსურმა თუ რამე კარგი შეგამჩნიათ ტანზე, ან ფეხზე, აუცილებლათ უნდა მოვიდეს შენთან და ხელით უნდა გასინჯოს, იმ წამსვე მას გთხოვს ან შეგეეკერება. ამ შემთხვევაში თუ სურვილი არ აუსრულდა, მაშინ ეცდება ის ნივთი, რომელიც მას მოეწონა, ან წაგართვას ან მოგპაროს. ეს ნაკლი განსაკუთრებით გადმოღმა ხევსურებს მიეწერება.



სურ. 9. ფშავლის ბინა.

6. ხევსურული ბინები.

ხევსურები ცხოვრობენ საკმაოდ მაღალ ადგილებში. მათი სახლები შესდგება სამი განყოფილებისაგან. ქერხო, იგი წარმოადგენს მთელი ოჯახის ავეჯეულობის საწყობს, ზაფხულობით დასაძინებლად არის. აქ დგას მაღალ-ფეხიანი ლოგინი, ნოხი, ფარდაგი, სხვადასხვა გვარი ქურქლეული, სპილენძეულობა, ქერი გოდრით, ჩალა და სხვა. ქვედა-სართული, რომელსაც ხევსურები საკვამურს უწოდებენ, არის სასტუმრო, რომლის გვერდითაც ან წინ მოთავსებულია ბოსელი, სადაც საქონელი აბია. ამ სასტუმროში შუაზე ცეცხლის კერაა, რომლის გარშემოც ქვისა ან ფიცრის გრძელი დასაჯდომია გაკეთებული. კერას პირდაპირ პატარა გამოკრილი ქუქრუტანაა, რომელსაც ორგვარი დანიშნულება აქვს: გარედან სინათლე ჩამოდის და

შიგნიდან ბოლი ადის. მესამე ნაწილში ისევ საქონელი ჰყავთ და ნეხვია. შიგ დაგროვილი, რომელიც გაზაფხულზე გააქვთ გარეთ, მაშინაც იქვე კარებთან დაჰყრიან. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც მათ საცხოვრებელს შეიცავს, ამ სამ განყოფილებაშია მოთავსებული. სახლები მათი ჯგუფ-ჯგუფად არის ერთმანეთთან მიჯრილი. ამას გარდა ყოველ მოსახლეს აქვს, ეგრეთ წოდებული, პატარა სახლი, სამრელო, სადაც დედაკაცები და ქალები მშობიარობის და თვიურის დროს გადაბარგდებიან ხოლმე. ვისაც ეს უკანასკნელი არა აქვს, ისინი გადიან იქ, სადაც საქონელი ბინადრობს. ეს მაშინ, თუ ბოსელი მოშორებულია მათ ხსენებულ სასტუმროს, თუ არა და სრულიად გარეთ ბოსლის გვერდით პატარა ჩალით გადმოხურულ მინაშენებ-მინაღობ [1]) კუთხეში გადიან მშობიარე დედაკაცები. სხვა ქვეყნებში შეიძლება ძაღლს არ ეპყრობოდენ ისე, როგორც ხევსურეთში მშობიარე დედაკაცებს. და ეს მაშინ, როცა ყოველი ხევსურის ყოფა-ცხოვრება, ავლადიდება, ოჯახური ბედნიერება, სიხარული, სიამოვნება, სიმხნეევ და ყოველგვარი იმედი დედაკაცზე ჰკიდია.

7. მესაძონლეობა ხევსურეთში.

უმთავრესი სასიცოცხლო წყარო ხევსურებისა არის მესაქონლეობა. უმეტეს შემთხვევაში ისინი მსხვილფეხა საქონელს ამრავლებენ. მეცხვარეობას ხევსურეთში იშვიათად ეწევიან. ეს მხოლოდ გადმოღმა ხევსურეთზე ითქმის, გადაღმა ხევსურთაგან კი, განსაკუთრებით ჭარდოტის ხეობაზე. შატილის რაიონში კი გარდა მენახირეობისა, მეცხვარეობასაც ეწევიან. მხოლოდ აქ აღსანიშნავია ერთი საყურადღებო ფაქტი: შატილიონები ცხვარში მწყემსად თვითონ არ გადიან, რადგანაც ისინი ამას თაკილობენ და მწყემსად სხვა მოდგმის ხალხს ქირაობენ. საკვირველია ის გარემოება, რომ მთელ ხევსურეთში წოდებრივი დაყოფა არასოდეს არ ყოფილა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შატილიონებს რაღაც პრივილეგიური მიდრეკილება ემჩნევა თავისივე მოსაზღვრე სოფლებს შორის.

პირაქეთ ხევსურეთის მდგომარეობა უფრო ცუდია პირიქით ხევსურეთთან შედარებით. როგორც ზევით ვთქვით, გარდა ბარისახოს მიდამოისა არც ერთ სოფელს მიმზიდველი, გაშლილი მდებარეობა არ აქვს და ერთი სოფელი მეორისაგან სრულიად მოწყვეტილია. ამ მხრივ ხევსურები ვერ არიან სასურველ მდგომარეობაში, მაგრამ გაპირვების დროს მათ ეს მიუვალობა მთიან-კლდოვან ადგილებში არ უშლის ხელს და წამსვე, როგორც ერთი კაცი, თავს იყრიან ხოლმე.

8. ხევსურის ხაოჯახო მეურნეობა.

ხვნა-თესვას ხევსურები იწყებენ ზაფხულში ივნისის პირველ რიცხვებში და ათავებენ მკათათვის შუა რიცხვებში. ეს მიტომ, რომ გაზაფხული იქ თოვლის დნობის პერიოდია და გაზაფხულის თვეები, როგორც ასეთი არ არსებობს, მხოლოდ ზაფხულის თვეები გაზაფხულის თვეებად არის ქცეული თესვენ უმთავრესად ქერსა და სვილს (ქვავს). ხნავენ მხოლოდ ერთი უღელი ხარით, მაშინ

[1]) ჭერზოს კედლები უმრავლეს შემთხვევაში წნელით არის ამოღობილი და შელესილია ტალახით ან საკონლის განავალით (ნეხვით), ქვედა სართული ქვის ყორით არის ნაშენი.

როდესაც მათი მოსაზღვრე მეზობლები, ფშაველები, ორს და ხანდახან სამ უღელა ხარსაც აბამენ. ვინც კარგად დაუკვირდება ფშავ-ხევსურების ცხოვრებას, ის აშკარად შეამჩნევს, რომ ხევსურს უფრო მეტი შრომის მოყვარეობა ახასიათებს, უფრო მეტი შნო აქვს სიცოცხლისა, იგი უფრო მეტად მოძრავი და მომქმედი ელემენტია, ვიდრე ფშაველი. მოკლედ რომ ვთქვათ ხევსურებს საარსებო მომარაგების უნარი გაცილებით უფრო მეტად აქვთ განვითარებული და გამოჩარხული, ვიდრე საერთოდ ფშაველებს.

ამ თვისებას მათში აშკარად დაინახავთ მაშინ, როდესაც მათ კარმიდამოს ზამთრის პირზე მიადგებით. მათი ადგილები უფრო მოუსაველიანია, მწირი, მაგრამ ზამთრის პირზე მათ ყველაფერი მომარაგებული აქვთ: პური, ჩალა, თივა და შეშა—ყველაფერი შინ მიტანილი აქვთ, მაშინ როდესაც ფშაველები მთელი ზამთრის სეზონში პურისა, თივის და შეშის ზიდვაში წელზე ფეხს იდგამენ და ისე ატარებენ მთელ ზამთარს. იკვებებიან ხევსურები ხორცით, ერბოთი, ყველით და ქერის პურით. საუკეთესო საპმელი მათი არის ხორცი, ხინკანლი და ხორციანი ქადა.

რამდენადაც ჩვენ გვიხდებოდა ხევსურთა წრეში ტრიალი, დაუახლოვდით მათ, შევისწავლეთ ცხოვრების ყოველგვარი წვრილმანი და დაინტერესებულ მკითხველს ვაწვდით იმას, რაც ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთ და განვიცადეთ. მაგრამ ამ ხალხის ცხოვრება იმდენად რთულია, რომ მისი სავსებით ამოწურვა, ვიმეორებ, შეუძლებელია, ოღონდ ჩვენი დაკვირვებანი იმ ხრივ არის საყურადღებო, რომ ჩვენ ამ ხალხში სრული ხუთი წელი დავყავით ზამთრიანზაფხულიანად და არა ისე, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მგზავრობით აიელ-ჩაიელის ხოლმე აქ ზაფხულობით.

ხევსურების ეელური რაინდობა წარმტაცია და ლაშაზი, მათ ყოველნაირ მიხვრა მოხვრაში, ყოფა-ქცევაში საუკუნოების მიერ გამოპედილი დამოუკიდებელი ეელური თავისუფლებაა გამოსახული. ამიტომ არის, რომ ჩვენ მათ არაფრად არ მივაჩნიეართ. იმათ ჰგონიათ, რომ ქალაქიდან შემოპრილი თავისუფლება ათასგვარი წამბაძველობისა, იმიტაციის სახეებს ატარებს არსებითად. ყოველნაირი წამბაძველობა არის ბუნებრივი სილაღის აშკარა დასუსტება. ამიტომაც ისინი მას ინსტიქტურად გაურბიან და კულტურას, მისგან ბოძებულს არ ღებულობენ. ხევსურის ბუნება სწორედ იმ თავისუფალ ტყის ფრინველს წაგავს, რომლის გარშემო არ არსებობს არავითარი შემბორკავი წესი და ზნე-ადათი, არავითარი წამბაძველობის ნასახი და სადაც კი ეს უკანასკნელი შეიპარა, იქ უკვე წმინდა ხევსურული ფიზიონომია შერყეულია. ყოველი ხევსური თავისებურად მეტად თავაზიანია.

9. ახალი წლის დღესასწაული ხევსურეთში.

ხევსურებს ბევრი დღესასწაული აქვს. დღესასწაულებში საყურადღებოა ახალი წელი, რომლის შეხვედრაც გრძელდება ექვსი დღე: ახალი წლიდან ნათლის ღებამდე. მისი შინაარსი ასეთია: ახალი წლის წინა ღამეს სოფლის ყველა მცხოვრებნი შეიყრებიან ხატში. ყველა ოჯახიდან თითო მეკვლე მიდის იქ საკლავით (ერთი ვერძით და ერთი ვაცით), რომელსაც ხევის ბერი მაშინვე ჰკლავს-

მეკვლეების (მფერხავების) სადღეგრძელოდ. ამის შემდეგ ყველა მეკვლე შინ მიდის. თავიანთ ოჯახებში ივახშმებენ და მერე ისევ ხატში ბრუნდებიან ღამის სათევად. ღამის თევის დროს გათენებამდი მხიარულობენ, გათენდება თუ არა, ყველანი ერთმანეთს მიულოცავენ ახალ წელს და უსურვებენ ერთმანეთს ხანგრძლივ სიცოცხლეს და ყველაფერ კარგს. დასტურები და ხევის-ბერი ყველა მეკვლეებს სამ-სამ თასს არაყს მიაწვდიან და ქვიფს განაგრძობენ. მხიარულება გამოიხატება თითქმის განუწყვეტლივ ცეკვაში, სიმღერაში და ხუმრობაში.

ამ სიამ-ტკბილობის შემდეგ ხევის ბერი უბრძანებს მეკვლეებს, რომ უკვე დრო არის ხატის სახლში შესვლისა. დაუყონებლივ ყველანი შევლენ, საიდანაც ფეხს ვერ გაანძრევენ, სანამ ხევის-ბერი არ აცნობებს მათ. ამ წესს ვერაკინ ვერ დაარღვევს. ცოტა ხნის შემდეგ ხევის ბერი გამოვა გარეთ, ახვეტს თოვლს ჩოხის კალთაში, შევა ხატის სახლში. მეკვლეებს თითო მუჭა თოვლს გადააყრის თავზე საახალწლო სიტყვების დაყოლებით: „ყველა თქვენგანს ვუსურვებ ასე გათეთრებას, ასე აყვავებას", რაც ნიშნავს კეთილად სიცოცხლის გატარებას და რომელიც სიმბოლოა ტკბილი მოხუცებულობისა. თოვლი თუ ყველას არ გადააყარა ხუცესმა, ხალხი ესაყვედურება მას, უკმაყოფილო მივარდება მასთან და ამბობს—არა მე მაკლია, არა მეო, აგრეთვე ბავშვებიც მოსვენებას არ აძლევენ ხევის ბერს, თუ ისინიც დარჩენ უთოვლოდ. შემდეგ ხევის ბერი წინ გაუძღვება მეკვლეებს და გარეთ გამოვლენ, აქ ისევ დაიწყება ცეკვა-თამაში, მხიარულება და ლუდ-არაყის სმა. ცოტა ხნით ლხინი შეჩერდება, ხუცესი პურის ნამცეცებს ჩააწებს ლუდიან ჭურჭელში და დაურიგებს ყველა მეკვლეს. ყოველი მეკვლე მას უბეში შეინახავს და სახლში წაიღებს.

ახალი წლის დილას ხევსური სახლიდან ვერ გამოვა, ვერც კაცი, ვერც დედაკაცი, ვერც მოხუცი და ვერც ბავშვი მანამ, სანამ ოჯახში მეკვლე არ მივა. თუ ეს წესი ვინმემ დაარღვია, იმის ცხოვრება იმ წელს ცუდათ წავა და ხატი მას გარისხავს. შინ წასვლის დროს მეკვლეები ხატის წინ დაიჩოქებენ, პირჯვარს გადაისახვენ და სიმღერით პირს სახლისაკენ იბრუნებენ; ხევის-ბერი ლოცავთ მათ: „მეკვლენო, წაიღეთ შინ ყოველგვარი წყალობა ხატისა და ანგელოზისა".

სახლში მისვლის დროს მეკვლეს კარებში ორი კაცი ხვდება, ერთი მათგანი სამეკვლეოს მიუტანს, მეორე კი წყლის მოსაპარავად გავარდება კარში, რომ წყლის ამოღება არავინ მოასწროს.

ვინც პირველად წყალს ამოიღებს, იმის საქმე იმ წელიწადს დოვლათიანი და ნაყოფიერი იქნება. მდინარე წყალი ხევშია, ყველა იქითკენ მირბის. მეკვლე ყველა ოჯახის წევრს მიულოცავს შემდეგი სიტყვებით: „ჩემიმც კვალი კაზე დაგიჯდებისთ, წყლიან-პურიან სახელ-გამარჯვებანი. ახალ წლის გამოცვლისად ბედნიერი წელი კვალიმც გამოგეცვლებისთ", სამაგიეროდ დამხვედრი წინ მომზადებულ მრგვალ კვერს უხმოდ შიაწვდის მეკვლეს. ამ კვერს სახლში გააგორებენ სამხელ, თუ კვერი სამივეჯერ პირაღმა გადაბრუნდა ან ორჯერ—ბედნიერებას და დოვლათიანობას ნიშნავს. თუ ერთხელ, ან სულ არ გადაბრუნდა—უბედურებას. მეოთხეთ კვერს აღარ გააგორებენ. ამის შემდეგ იწყება ლუდ-არაყის სმა, დროს ტარება, ხვევნა-კოცნა და ასე გასტანს იგი ექვს იანვრამდი. დროს ტარება ხდება იმისას, ვისაც ახალი გარდაცვალებული ჰყავს. ყველანი იქ წაი-

ღებენ ლუდს-არაყს. თუ იმ სოფელში ახალი გარდაცვალებული არ არის, იმ შემთხვევაში სადმე სხვა ალაგას აიჩენენ და ყველანი იქ ეწევიან ლხინს.

ახალი წლის შეხვედრის დროს ძალიან ფრთხილობენ ხევსურნი, რათა ერთმანეთს შორის რაიმე ფათერაკი, უბედურება არ მოხდეს, მაგრამ მათი თანდაყოლილი მოუსვენარი ბუნება და ხასიათი ვერ დგება თავის ფარგლებში და ხშირად საბედისწერო მარცხიც მოსდევს.

როგორც ყველა დღეობაზე, ისე ახალი წლის დღესასწაულებზე ალკოჰოლის ზეგავლენით ხშირად ხდება ჩხუბი, კენჭაობა და მრავალნაირი აყალ-მაყალი. ამ დროს შეიძლება მოხდეს ისეთი შეტაკება, რომელიც ხელჩართულ ომს მოგაგონებთ.

ჩვენი იქ ყოფნის დროს იყო ასეთი შემთხვევა: სოფ. გუდანში წაიჩხუბა ორი გვარეულობა: არაბულები და ჭინჭარაულები. ამ ჩხუბის დროს დაიჭრა 60 კაცი, ერთი მოკვდა, ერთიც სასიკვდილოდ დაიჭრა.

ამ დაჭრილთაგან ჩვენ მხოლოდ ორს ვმკურნალობდით, დანარჩენნი თავიანთ შინაურ აქიმებთან მკურნალობდნენ. მორჩენით ყველანი მორჩნენ, მხოლოდ კი ბევრი დასახიჩრდა. ხევსურის დაჭრა ისევ ხევსურისაგან ჩვეულებრივი მოვლენაა, ეს თან სახელიც არის მათში, განსაკუთრებით ახალგაზრდათა შორის. იშვიათია ისეთი ხევსური, რომელიც თავზე, ან სახეზე, ან და სხეულის რომელსამე ნაწილზე არ იყოს დაჭრილი. ვისაც ჭრილობის ნიშანი არა აქვს, იმას ლაჩარს უწოდებენ და ხშირად სასაცილოდ ჰყავთ აგდებული. მაგრამ თუ ვინმე დაჭრისაგან მოკვდა, ეს დიდ უბედურებას ნიშნავს, როგორც დამჭრელისათვის, ისე მკვდრის პატრონისთვისაც, უფრო კი პირველისათვის. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, დამჭრელის მთელი ოჯახი განადგურდება ეკონომიურად, მეორე, სოფელი მას აითვალწუნებს და, მესამე, ის მუდამ შიშშია. აქ საყურადღებო ის არის, რომ ხევსურები ადამიანის სიცოცხლეს დიდად აფასებენ და მისთვის ყოველი მათგანი საწინდრად თავსა სდებს.

საღამოთი ხევის ბერი თავის დასტურებს გაგზავნის სოფელში, რათა ყოველ მოსახლეს თავს დაეცეს და რაღაც მოჰპაროს. ამ დასტურებს იმ ღამეს დაარქმევენ ქურდებს. ქურდი დასტურები დაივლიან სოფელს და ყოველ სახლში ცოტცოტას რაღაცას მოიპარავენ, ან არაყს, ან ხორცს ან სხვა რაიმეს. მხოლოდ ბევრის მოპარვის ნება არა აქვთ და ვინც ამას ჩაიდენს, მას საყვედურს ეტყვის ხევის-ბერი: „განა ჩვენ რამე გვაკლია, რომ რომელიმე ოჯახი დავლოპოთ, ეს არ არის ჩვენი წესი. ჩვენი ჩვეულებაა ხალხი ეალხინოთ. ახალი წლის დღეები სიამტკბილობაში გავატაროთ და ყოველ სამომავლო ახალს პირნათლად შეეხვდეთ. ვინც ფხიზელია ოჯახში, ის დაიჭერს ქურდებს, ჯერ კარგად თავაზიანად მოეპყრობა, დაჰპატიჟებს, აქმევს-ასმევს, შემდეგ დაიჭერს, შეჰკრავს, აჰკიდებს ზურგზე ბარგს და ისე წაიყვანს ხატისაკენ. თუ ოჯახის პატრონი ვერ გამოდგა ფრთხილი, მაშინ თვით ქურდები დაიყვირებენ სახლში შესვლის დროს და ჭუმალ სახლის პატრონი დაიჭერს მათ. ასე რომ არ ჰქნან, ისე ლხინს კარგი ელფერი არ ექნება. მეორე დილას ამ ქურდებს დააყენებენ ერთად მთელი სოფლის წინ, აჰკიდებენ ზურგზე შეშას, ყინულს და დაუწყებენ ცემას ხუმრობით, თან ეუბნებიან: „ვის სახლებს სტეხავდი, შე კატაო“. შემდეგ შეიარაღდებიან და მოეშზა-

დებიან საომრად ხატის მოსამსახურეების წინააღმდეგ. შეიქმნება ვითომდა ხელ-ჩართული ომი, დაუწყებენ ერთმანეთს მსუბუქად ცემას, თან უყვირიან ხატიონთ: „კარში გამოდით, რას იმალებით ხატში? არ შეგარჩენთ ჩვენი სახლების გატეხას". ხატის მოსამსახურეები უპასუხებენ, როცა გამოვლენ მოწინააღმდეგე ბანაკთან საომრად. ამხედრებული სოფლელები გაიძახიან: „ხალხის ცოდ.-ბრალი თქვენს კისერზე იყოს",—„ჩვენი ბრალი არაფერი არ არის, არც იქნება",—„აბა რას სტეხდით ჩვენ სახლებს?—„აბა ენახოთ რითი გვიპასუხებთ",—„რითი და ხმლებით და იარაღით",—„აბა დაგვიხვდით თუ ბიქები ხართ", უპასუხებენ ხატონები და შეიქნება ისევე ომი, ცისკენ თოფების სროლა. ყოველი თოფის სროლაზე თითო კაცი ძირს ეცემა, ვითომდა კვდებიან, შემდეგ კიდევ ერთმანეთს დაერევიან და ხმლის ყუით დაიწყებენ ბრძოლას. ხევის-ბერი, რომელიც იმ ომში არ ღებულობს მონაწილეობას, მივა თვითეულ „მკვდართან", დაუწყებს სინჯვას ვითომდა „დოხტურაია", დაალევინებს ყველას თითო არაყს და ყველა ერთად მორჩება. როდესაც ყველა მორჩება, დაიწყება ლაპარაკი შერიგებაზე, რაიც მშვიდობიანად თავდება. ამის შემდეგ ისევ დაიწყება სმა, ცეკვა თამაში და ქეიფი გრძელდება იანვრის 6-დე.

10. ონჩხარი.

ხევსურებში არსებობს ერთი ლამაზი ჩვეულება, რომელსაც ისინი „ონჩხარს" უწოდებენ. იგი იმაში მდგომარეობს, რომ სოფელმა უნდა იცოდეს თავისი წმინდა მოვალეობა მეზობლის შემთხვევითი გაჭირვების დროს. ხევსურების ასეთი სამაგალითო ჩვეულება ვრცელდება არა მარტო თავის სოფელზე, არამედ მთელ თემზედაც. ეს საუცხოო ჩვეულება ასეთია: როდესაც სოფელში, ან თემში ვისმეს რაიმე გაჭირვება მიადგება კარს, მისი ახლო მეზობელი ამაზე აცნობებს ჯერ თავის სოფელს, მერე მთელ თემს ცუდ მდგომარეობაში მყოფი ხევსური გამოხდის არაყს, ან ლუდს, დაუგზავნის სოფელს კაცებს (შვილს ან ძმას), რომელსაც დააბარებს: „აბა, ახლა არის ჩემი განსაცდელის დრო, ვისაც რა შეუძლია, იმით მომეხმაროს".

გაჭირვება უმრავლეს შემთხვევაში იმაში გამოიხატება, რომ ზამთრის პირზე მას დააკლდება საქონლის გამოსაკვები თივა, ან თვით საარსებო პური, მაშინ ყველა გონიერი მეზობელი მივა გაჭირვებულის სახლში, შეეკითხება მას, თუ რამდენი და როგორი ღირებულების დახმარების აღმოჩენა არის საჭირო. ჯერ სანამ სმას დაიწყებენ ყველა სიფხიზლეში დაჰპირდება, ვინ რამდენს დაეხმარება და შემდეგ დაიწყებენ სმას. ეს იმიტომ, რომ ონჩხრის მომწყობმა არ სთქვას—სიმთვრალეში დაპირებას ფასი არა აქვსო. დახმარებით ყველა თავის ქონების მიხედვით ეხმარება. ამ რიგად, ყველა ხევსური ზნეობრივად მოვალეა „ონჩხარის" მომწყობ გლეხს დახმარება გაუწიოს, მის გაჭირვებულ მდგომარეობაში შევიდეს, ხელი გაუმართოს მოძმე მეზობელს იმ შეგნებით, რომ შეიძლება თითონაც უარეს მდგომარეობაში ჩავარდეს მომავალ წელს. ასეთ შემთხვევაში ყოველი ხევსური მოვალედ სთვლის არა თუ მარტო თავის თავს, არამედ ის აგრეთვე აიძულებს იმ უთანაგრძნობო, ბუნებრივად მიუკარებელ ხევსურსაც, რომელიც თავისივე წრის კეთილ საქმეებს გაურბის. ასეთი ჩვეულება შენახულია ფშაეშიაც. ოღონდ იქ ეწოდება „ონჩხარი".

11. ДАСАСВЕНЕБЕЛИ ДА САКЕИФО АДГИЛЕБИ.

ხევსურებსაც აქვთ ფავიანთი გასართობი ადგილი, სახლი და მრავალსაუკუნოებით გაშენებული ბაღი, სადაც, გარდა ფრინველებისა, ვერავინ გაივლის, სადაც საარაკო სისუფთავე სუფევს. ასეთ ადგილებს ხევსურები უწოდებენ „წმინდა“ ადგილს. ასეთი ადგილები-ბაღები ფშავლებსაც აქვთ, მაგრამ იქ ისეთი სისუფთავე არ არის დაცული, როგორც ხევსურების „წმინდა“ ადგილებში. ზოგიერთ „წმინდა“ ადგილებიანი ბაღი მართლაც ისე არის გაშენებული მრავალნაირი მცენარეებით, რომ პირდაპირ ბოტანიკურ ბაღს მოგაგონებთ. მათ შორის არის ისეთი ადგილებიც, სადაც ადამის ძეს ფეხი არ დაუდგამს და არავის ნება არა აქვს მის ჩრდილოვან ხეივნებში თავისუფლად ამოისუნთქოს. ეს იმიტომ, რომ იქ წმინდა გიორგის ხატი, ან რომელიმე კერპის სახელი მეფობს და ამ ფეტიშის მკაცრ დისციპლინას ექვემდებარება ყველა ხევსური — განურჩეველად სქესისა და ასაკისა.

სურ. 10. ხევის ბერის ლოცვა ათენგენობას (დიდი ხატის წინ) ყორე მთლად მორთულია ვერცხლის თასებით, მოსჩანს ანთებული სანთელი (სოფ. შატილი).

ყოველ სოფელს აქვს თავისი ხატი და ამ ხატთან გაშენებული ლამაზათ მორთული თაიგული, რომლის გარშემო თითქმის ყოველ კვირაობით ისვენებს მუშაობით დაქანცული ხევსური და წელიწადში ათჯერ მაინც იქეიფებს, დროს გაატარებს, დაქანცულ სხეულს ლუდით და არყით გაჟღენთს, მტრებს მზგავს სიამოვნებას შეუგინებს, თავის ახლობელს კეთილად მოიგონებს, მიცვალებულს შენდობას გაუგზავნის. ისეც ხდება, რომ ამის შემდეგ გალეშილი ვისმეს ხანჯალს დაჰკრავს ან და ოჯახში თავის ცოლ შვილს სცემს,—ეს ერთ შემთხვევაში, მეორეში-კი —წინააღმდეგ—ყველასთან კარგ განწყობილებაში არის, როგორც გარეთ, ისე შინ.

ხევსურებს აქვთ მრავალი ღვესასწაულები. ამათში ჩვენ ჩამოვთვლით უმთავრესს: როგორიც არის ამაღლება (მაისში), ათენგენობა და უკვე აწერილი

ახალი წელი. ორი პირველი დღესასწაულის დროს ყველა ხევსური, თუნდაც ის სხვაგან იყოს გადასახლებული, ერთად იყრიან თავს ხატში. მთელი კვირის განმავლობაში აქ ლხინი და ქეიფია. ამ დღესასწაულებისათვის ხევსურები განსაკუთრებით ემზადებიან—ხარშავენ ლუდს, ხდიან არაყს, მრავალ საკლავს ხოცავენ. ცერემონია იმავე სახისაა, როგორც მაგ. ფშაური სერობა, მხოლოდ, როგორც ეს ხევსურის ტემპერამენტს შეეფერება, დროს ტარება უფრო ცოცხალია, გატაცებული ხშირად თავდავიწყებამდე. რადგან უმრავლეს შემთხვევაში ლხინი თავდება ჩხუბით და ბეგვით.

სურ. 11. საკლავი მზადდება შესაწირავად—უკირავთ დასტურებს, ხოლო ხევის ბერი ხანჯალით ხელში ლოცულობს (სოფ შატილი).

ამ ლხინში უმთავრეს მონაწილეობას იღებენ ხევის ბერი და მისი დასტურები, ხოლო მზარეულად ჰყავთ მიწვეული სოფლის დარბაისელი მოხუცი დედაკაცი, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში ვალდებულია ემსახუროს ხატს. დასტურები კი წარმოადგენენ ხევის ბერის დამხმარე პირებს, რომლებსაც ხალხი ირჩევს ზოგ სოფელში 1 წლით, ზოგან კი 2—3 წლით.

ხევის ბერს და დასტურებს ხევსურული წესის თანახმად უფლება არა აქვთ გაიარონ ხევსურის სახლის წინ ან ბოსლისა და სამრეულოს წინ. აქ ისინი ამ შენობებს უკანიდან უვლიან და სახლში შედიან მხოლოდ მათთვის სპეციალურად გაკეთებული კარიდგან, ჭერხოდგან. ამავე კარით ხევსურის ოჯახში შეჰყავთ საერთოდ სტუმარი.

ხევის ბერის მოვალეობა არის: ლოცვა, ე. წ. ქადაგობა სოფლის საპირბოროტო საკითხების შესახებ, სოფლის წინამძღოლობა ხატში, საზოგადო-სასოფლო საქმეში, შეწირვა მსხვერპლის (საკლავის დაკვლა). დასტურები ამზადე-

ბენ დასაკლავ საქონელს ხატში და ატყავებენ როცა ხევის ბერი მათ დაჰკლავს. დაკვლის დროს დასტურებს უპირავთ საკლავი. გარდა ამისა, საერთოდ დასტურები ასრულებენ ხევის ბერის ყოველგვარ განკარგულებას.

დიდ ხატობას, როგორც მაგ. ათენგენობაა, ხევსური დედაკაცები დროს ატარებენ სრულიად განცალკევებით, რადგანაც ხევსურული წესის მიხედვით ქალს უფლება არა აქვს მამაკაცების ლხინში მონაწილეობა მიიღოს. ამას გარდა ყველა ის ქალი, რომელსაც კი ამ დროს თვიური აქვს, არამც თუ განცალკევებულია მამაკაცისაგან—მას დედაკაცებში გარევაც ეკრძალებათ. ამისათვის თვიურიანი ქალები ხატობაში სრულიად განცალკევებით დგანან.

სურ. 12. მსხვერპლის შეწირვა—დასტურებს უპირავთ ცხვარი, ხევის ბერი ჰკლავს. (სოფ. შატილი.

12. ბეჭზე მკითხაობა.

ცრუმორწმუნოებათა შორის საკულისხმოა საქონლის ბეჭზე მკითხაობა ის მდგომარეობს შემდეგში: როდესაც საქონლის პატრონი ნადიმს, ლხინს იხდის, ის თავის საკუთარ ცხვარს, თხას, ან ხარ-ძროხას ჰკლავს-საკლავის პატრონი დაინტერესებულია უფრო მისი ბეჭის გაჩხრეკაში, რომ გაიგოს მისი ოჯახური მდგომარეობა, შოელის თუ არა მას რაიმე ხიფათი საქონლისა, მოსავლისა, ან და ადამიანის მხრივ. როცა ბეჭის ძვალს სინჯავენ, არჩევენ შემდეგ ნაწილებს:

თუ ბეჭის თავს მარგილა (მომაღლო ადგილი) აქვს, ეს ნიშნავს ცხენის მოპარვას; ბეჭის უღელი თუ ჩაქედილია, დაპრის ნიშანია; თუ უღლის გვერდზე ბნელი ფონია, კარგი მოსავლის ნიშანია; თუ ბეჭის ფიცარი სინათლიანია, კარგი ნიშანია; თუ მისი ფიცრის სინათლე გადადის ამავე ფიცრის წინა კიდურზე,

სურ. 13. ხესლარები ათვალწარმოსა (სოფ. შატილი).

ნიშნავს, რომ ქურდს ცხენი წაუყვანია; თუ ბეჭს ყელზე პატარა სისხლის ძარღვის ხვრელი აღმოაჩნდა, ახლო გვარეულობაში ვინმე მოკვდება; უღლის ყელზე ცოტად ამოზნექილი ვაეის შეძენის ნიშანია; თუ გასწორებულია — ქალის შეძენის; თუ ბეჭის შიგნითა ყელზე ოდნავ ხვრელი ჩანს, ავადმყოფობას ნიშნავს, თუ ბეჭის თეთრ ფონზე ოდნავ ლაქა ჩანს, ნიშნავს ძროხის გადავარდნას და თავისთა-



სურ. 14. ხევსურეთ-დედაფლავები. ათე'ლეგობაზე (სოფ. ნატელი).

ვად-ნიშნავს ძროხის ტყავს: თუ იგი თავ-გამოშვებულია, სიმგლოვიარეს ნიშნავს. საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ ხსენებული ძვლის რაიმე დეფექტი, ან აუცილებელი საპირო (ანატომიური) ნიშნები ფშავ-ხევსურების აზრით უბედურებას, ან ბედნიერებას ჰხატავს. ეს ცრუმორწმუნოება მეტის-მეტად ძირგადგმულია მათში.



სურ. 15. მკითხაობა საქონლის ბეჭზე: 1) ზოგის ახსნით ნიშნავს ბევრი ცხვრის ყოლას, 2) ზოგის ძროხის დაკარგვას, (3) უეჭველად ვაჟის შეძენა, 4) ოჯახის წევრის სიკვდილს, 5) თეთრი ფონი, კარგის მომასწავლებელია, 6) ნიშნავს გვარეულობის სიკვდილს (ნახ. შ. ძნელაძის).

13. ყაჩაღობა ხევსურეთში.

როგორც ყველგან, ისე აქაც ყველა ერთნაირი მშრომელი არ არის. უმრავლესობა მათ შორის მშრომელია, ნაწილი პროფესიონალური ყაჩაღი და იშვიათად კი ბეჩავი. ხევსურის ბუნება ვერ იტანს გაუნძრევლობას, იგი რაღაცას უნდა შვრებოდეს: ან მუშაობდეს, ან და ვისმეს უნდა (განსაკუთრებით მგზავრს) დაეცეს, გაძარცეოს და წართმეული ნადაელით თავი შეინახოს. დაცემას ახდენს წელიწადში ერთხელ შერჩეულ დროს, უფრო შემოდგომაზე, ძვირად ფშაველების სერობის დროს. ყაჩაღობა ხდება მუდმივ შერჩეულ ადგილს არა ხევსურების მიწა-წყალზე, არამედ ფშაველებისა, მოხევეებისა, ან და ქისტების ადგილებში. ხევსური თავის ახლო-მახლო მეზობლებში არაფერს არ მოიპარავს, თუ მოიპარა, მას ამისათვის შავი დღე მოელის, სოფელი მას შეარცხვენს და ეს პირადად თვითეული ხევსურისათვის დიდი სირცხვილია. მხოლოდ თუ იგი სხვა კუთხის ხალხს დაეცა, გაძარცვა, ან რაიმე მოჰპარა, მაშინ მას თავისივე მეზობლები კიდეც წააქეზებენ, კიდევ უფრო გასამხნევებლად შეაქებენ, თვით ყაჩაღ-ქურდს ასეთი „საქმიანობა" გმირობად და სასახელოდ მიიჩნია. წართმეულ ნადაელს მთელი ხევსურეთის სოფლებში ისე უშიშრად გაატარებს, თითქოს მას ერთი საბძელიდან მეორეში თავისი ნაშრომი პური ან ქერი გადააქვსო. მას ამ დროს კაცი ხმას არ გასცემს, პირიქით ყველა ხელს უწყობს და მისთვის თვითეული მოსახლე ხევსური (თუნდაც იგი მთავრობის მოხელე იყოს) წარმო-

ახალციხისა ხუნსარის ძეგლი

ნახ. დარ. ძნელაძისა.



ახალგაბრდა ხეკუბური ფალის ლაკუნაცარი

ნახ. დარ. ძნელაძისა.

ადგენს მტკიცედ ნაფიც სანაპირო დარაჯს, რომელიც მას არავითარ შემთხვევაში არ გასცემს, არ უღალატებს.

ასეთი შეურყეველი სიმტკიცე ახასიათებს მთლიანად მთელ ხევსურებს ყველა მოქმედების სათემო, სასოფლო თუ კერძო ოჯახურ ფარგლებში. თუ ვინიცობაა, რომელიმე მათგანმა უღალატა ასეთ ადათს ის წინდაწინვე განწირულია, მას ვერ იხსნის ვერავითარი ძალა ვერავითარი შუამდგომლ ბა.

სურ. 14. თვიურიანი ხევსური კალეები ათენგენობას შეადგენენ სრულიად ცალკე ჯგუფს (სოფ. შატილი).

13. ანტიჰიგიენა.

ხევსურების ანტიჰიგიენური ცხოვრება საშინელია, მაგრამ საკვირველია ის გარემოება, რომ ამ ანტიჰიგიენურ პირობებში ერთ პარაზიტს ვერ უნახავთ. შეჰხვდებით ისეთ ხევსურს, რომელსაც მთელი თვის განმავლობაში პირი და თავი არ დაუბანია, მაგრამ მკბენარს კი ვერ უნახავთ. ხევსურმა დედაკაცმა შეიძლება პირი არ დაიბანოს მთელი თვის განმავლობაში, მაგრამ თავს, თმას იგი ყოველ კვირაში იბანს ძროხის ან ხბოს შარდით. *) მამაკაცი თავს იბანს მხოლოდ წყლით.

ავადმყოფთან მივყავდი მოხუც ხევსურს. ახალი მისული ვიყავ და გზა დაუსრულებელი მეჩვენებოდა. როგორც ხევსურები იტყვიან მზის ჩაბძანებას უკვე ცოტა უკლდა. გიორგი—მომმართა მოხუცმა—წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ ცხენზე შემოგიჯდე.—ცხენი თუ არ გებრალება უთხარი მე—შემომიჯექი, ჩემი ცხენი ასეთს აიტანს. ამ სიტყვით მოხუცი ხევსურუ შემომიჯდა ცხენზე და ცოტა მოუჩქარეთ კიდეც. მზე მთლად მიეფარა დასავლეთის ჰორიზონტს. კიდეე შორს არის?—შევეკითხე მე, ჩემს თანამგზავრს – აბაი კიდეე შორს

*) ძროხის შაოდს აგროვებენ რაღაც უნაური ხერხით: შებრუნებული ხელის ზურგით აღიზიანებენ ძროხის სქესობრივ ორგანოს-გარეთა ჩარბებს და ამგვარად თითქმის წველიან შარდს სათანადო თიხის ჭურჭელში. ამ ხერხით ისინი როცა უნდათ, მაშინ აგროვებენ შარდს.

სურ. 16. ხატობის დროს ფშაველი დედაკაცები და მამაკაცები ულმეგენ ქედაგს. თვით ქალაგი წახრილია და კარგად არ ჩანს.

არის, ჩვენ ამაღამეერ მივალთ დანიშნულ ადგილას, ღამე უნდა გავათიოთ ჩემს ნათესავისას, სოფ. ბუჩუკურტაში.—მერე სად არის ეს სოფელი?—აი მიეედით კიდეც. ცხენს თავი დაუჭირეთ მარცხნივ. ჩვენ შეუდექით ისეთ გვირაბისებურ ხეობას, რომ იქ ღამე კი არა დღეკ ღამეთ არის ქცეული. დაღამების შემდეგ კარგა ხანს ვიარეთ. ვიწრო ხეობა გათავდა, აღმართს შევყევით. აქაც კაი ხანს გაგრძელდა გზა. როგორც იქნა მივედით ხსენებულ სოფელში. ჩვენს გარშემო რაღაც აჩაჩეულებრივი საუბარი გვესმის. საუბარს ნამდვილი ქართული კილო აქვს, მაგრამ მეტად აჩქარებული და გაურკვეველი. წინ ორი ახალგაზრდა ხევსური შეშოგვეგება, მოგვესალმა, ცხენი ჩამოგვართვა და იქვე ვითომდა აივანზე ჩამოვჯექით. წამსვე აქ რამდენიმე ახალგაზრდა ხევსურმა მოი-

სურ. 15. ხევსურების გამგზავრება ერთი ბატიდან მეორეში. გაბავერილის წინ: ხევი ბერი(?) ლოცულობა დროშით ხელში. დასტურები ლუდზე და პირველს ასაბეს.

ყარა თავი. ყველამ სალამი მოგვცა, ჩვენთან მჯდომი ხევსურები ფეხზე ადგომით მიესალმენ. ერთდროულათ ყველა ერთმანეთს ეკითხება: როგორა ხართ თავად, ჯალაბობით, საქონლით, ნათესავებით მხოლოდ შემდეგ, როდესაც ამ ჩვეულებრივ გამოკითხვას გაათავებენ, მერე მოყვებიან ერთმანეთს თუ რამე უჭირთ, ან ულხინთ. ორი ახალგაზრდა ხევსური ხშირ-ხშირათ აგვიელის და ჩაგვიელის, აგვხედ-ჩაგვხედავს თავიდან-ფეხებამდი და შემდეგ ისევ თავიანთ

ადგილზე სხდებიან. ერთი რაღაც სხვანაირი თვალით გიყურებს, ეტყობა, რომ რაღაცას ცუდს ფიქრობს ჩემზე. ერთმა თვალი ჩაუკრა მეორეს, გავიდნენ, ცალკე ილაპარაკეს, მობრუნდნენ და ღიმილით დაიწყეს ბაასი. მე გამომკითხეს ვინაობა, სადაური ვარ, როგორ მომწონს ფშავ-ხევსურეთი და სხვ. მე აქვე შევამჩნიე, რომ ეს ხალხი მეტად ცნობის მოყვარე ყოფილა. უცბათ რაღაც ფიქრმა გამიტაცა, გულში ათასნაირი რამ გავიფიქრე: სადა ვარ ან სად წამოვსულვარ, ვის ან რას ვემსახურები ან რა ნაყოფს მოიტანს ჩვენი გულწრფელი მოღვაწეობა, შრომა და მრავალნაირი საბედისწერო განცდები, დაეფასებს თუ არა ეს ხალხი ჩვენს ერთგულებას და რაზდენათ. ამ ფიქრებში გატაცებული წამსვე შემაჩერა ერთმა ხევსურმა და არაყი შემომთავაზა. რაზედაც უარი უთხარი. ბნელი ღამეა. სახლში მიმიპატიჟეს. სადღაც მივდივართ; ხევსურმა ხელი მომკიდა და თან მითხრა—მე მომყევ; მივადექით ერთ ამოკვრილ ჩასავალს. აბა ჩამომყევ—მეც მიეყვები და სად მივალთ არ ვიცი. ჩავყევი კიბეს და ჩავედით ერთ ბნელ საშინელ ადგილას, სადაც ერთ მხარეზე საქონელი აბია, მეორეზე კი შუაგულში ცეცხლი ანათებს, სადღაც ქვის ყორეში პატარა ჭრაქიც ბჟუტავს. ესოწარკვეთილებას მიეცი, სული შემეხუთა, რომ ვისუნთქო კარგს არაფერს შეეისუნთქავ; ცხვრისხოცი ავიკარი და ისე ვსუნთქავ. საჯდომ ქვაზე ფარდაგი დააგეს და გვითხრეს: გიორგი, აქ დაბრძანდით—ჩვენ ჩამოვჯექით, მივიხედ-მოვიხედე გარშემო და თავი ბნელ საუკუნოების კატაკომბებში ვიგრძენი. ამ კატაკომბების ზევით, ჭერში პატარა ჭუჭრუტანა არის, საიდანაც სინათლე შემოდის და სადაც ბოლი გადის, მეტი მას არც კარი აქვს და არც ფანჯრის მზგავსი რამ. რძე ადუღეს პატარა ქვაბში, რომელშიც ყველაფერი ცვივოდა—ქვარტლის ნაფლეთები, საქონლის ნეხვის ანარეკი და ცეცხლის ანაფერფლი. რძე ჯამით მომაწოდეს; მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი სიმპატიები ამ ხალხის ეხარეზე იყო მე მაინც ჯოჯოხეთში ვიგრძენი თავი და მოუთმენლათ ველოდი, თუ როდის დავახწეყდი თავს ამ ჯოჯოხეთურ ჯურღმულს.

ძალა უნებურათ შევეკითხე მასპინძელს—შეიძლება თუ არა სადმე დაძინება—როგორ არ შეიძლება იყო ერთხმათ პასუხი. ცოტა ხანი გავიდა და წაგიყვანეს დასაძინებლათ. ისევ იმ კიბეს ავყევი, რომლითაც იქ ჩავედი. ავედით იმ ადგილს, სადაც ბოლი არ დგას, მაგრამ სიბნელეა სრული. მასპინძელმა ჭრაქი აანთო და ლოგინთან მიმიყვანა. ხევსურების ლოგინი მეტად მაღალ ფეხებზე დგას. ასე, რომ მასზე დიდი გაკირვებით ადიხარ. ლოგინი იყო დაგებული ნალეწი ჩალით და ფარდაგით სახურავათ კი—ისევ ფარდაგი. მარტო ფეხსაცმელები გავიხადე და ყოველი შემთხვევისათვის ლოგინის ყურეზე ჩამომიკიდეს თათები. ლოგინზე შევხტი. მეტი დაქანცულობისაგან ერთი პირი მიმეძინა. მაგრამ პირველი ძილის შემდეგ მალე საშინელი შეწუხება ვიგრძენი—რწყილები დამსცოდნენ. ადგომა არ შეიძლებოდა—სად წავსულიყავ არ ვიცოდი, გათენება კი მეტად იგვიანებდა—ძალაუნებურად დამშეული რწყილების საჯიჯგნი შევიქენი. ხან გავინაბებოდი, მაგრამ არავითარი ხმაურობა არ ისმოდა ეტყობა. რწყილები ხვას არავის აწუხებდა ჩემსავით. გარიჟრაჟდა თუ არა თანამგზავრს ხევსურს ვსთხოვე ცხენი შეეკაზმა. მან დაუყოვნებლივ ამისრულა თხოვნა, საჩქაროდ ცხენს მოვაჯექით გზა განვაგრძეთ. მოხუც ხევსურს ხანდისხან ცხენს,

უთმობდი და დრო გამოშვებით მუხლს ვიმართავდი. უკვე შუადღე მოახლოვდა. კიდევ შორს ვართ? შევეკითხეთ ჩვენ დაქანცულ მოხუცს,—არა ეხლა კი მალე მივალთ. კიდევ გავიარეთ ხუთი ვერსი გზა და დანიშნულ ადგილას მივედით. მისვლისთანავე ავათმყოფი გავსინჯე, რომელსაც ქონდა ფილტვების ანთება შემდეგ—ცოტა საჭმელი—ქერის პურის ქერქი ერბოთი და შინისკენ გზას გაუდექით.

14. ტანისამოსი.

ხევსურს სეზონური ტანისამოსი არ აქვს და არც საჭიროა მისთვის იგი. მას აქვს მხოლოდ ორი წყება ერთნაირი ტანსაცმელი—ერთი ძველი და ერთიც ახალი. ეს არის მისთვის საცვალიც, საგარეო და საშინაო სამოსიც. იცვამენ ჩაცმა კოხტად და სადად, უკვართ ყოველგვარი ბრჭყვიალა ნივთები, ფოლაქი, ქამარ-ხანჯალი მამაკაცებს, დედაკაცებს კი საგულმკერდე—ყელსაკიდი, საგულე, რომელიც აკინძულია ვერცხლის ძეწკვზე, იცვამენ აგრეთვე საყურეები.

15. ხევსური დედაკაცის მდგომარეობა.

როგორც ვთქვით, მთელი ოჯახური კეთილდღეობის სიმძიმე ხევსურის ოჯახში დედაკაცს აწევს კისრად. მიუხედავად ამისა იგი იმდენად დამონებული ჰყავს ქმარს, რომ მას არავითარი უფლება არა აქვს ოჯახურ ცხოვრების მოწესრიგების საკითხში. ხევსურის ოჯახში დედაკაცის სახე იმდენად დამცირებულია, რომ მან არ იცის, თუ რა არის ნამდვილი ოჯახური ალერსი, სიყვარული, პატივისცემა და ოჯახური ბედნიერება ჩვეულებრივი გაგებით.

16. დედაკაცი საგრელოში

როდესაც დედაკაცს მართლაც განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს, ის მაშინ იდევნება ადამიანის ყურადღების ფარგლებიდან და მას შეუბრალებლად გარიყავენ გადმოხურულ მინგრეულ-მონგრეულ შეულესავ ყორის კუთხეში,—სამრელოში. ვისაც ეს უკანასკნელი არ აქვს, იმ შემთხვევაში ბოსელში გააგდებენ ხოლმე დედაკაცს და ახალგაზრდა ქალს. აქ ატარებს დედაკაცი ყოველ თვის ერთ მეოთხედს, სანამ ისინი კლიმატერიულ ხანას არ მიაღწევენ. აქ ატარებენ ისინი მთელი წლის თითქმის ერთ მეოთხედს, ამავე დროს ეკვს გარეშეა, რომ ყოველგვარი ოჯახური საქმიანობა მათ იქ გადააქვთ, განსაკუთრებით ქსოვითი ხელსაქმიანობა, სხვა ოჯახურ საქმეებს ან ბავშვები აკეთებენ, ან და, თუ ბავშვები არ არიან,—მამაკაცი, იქნება ის ქმარი, მაზლი, ძმა თუ მამამთილი.

17. დედაკაცი ოჯახში.

ხევსური დედაკაცის ხელსაქმიანობა მრავალნაირია, ყოველგვარი ოჯახური საქმე, გარდა ხვნა-თესვისა (ზოგჯერ ამასაც აკეთებენ) ყველაფერი დიასახლისზე ჰკიდია. საქონლის მოვლა, რძის შედღვება, კარაქის გაკეთება, ყველის ამოღება, ერბოს გადადნობა, წისქვილში წასვლა, სხვადასხვა შალის ქსოვა,

ჩაცმა-დახურვა, ბავშვის მოვლა. ხევსური მამა თავის ბავშვს ხელს არ მოჰკიდებს, თუნდაც რომ კლდეზე ვარდებოდეს. თუ ვინიცობაა ბავშვს ხიფათი რაიმე მოელის, მაშინ მამა პერანგის კალთას ფეხით დაუჭერს, სანამ დედა მიეშველება.

18. სითამამე ხევსური ქალისა.

ხევსურ დედაკაცს არ ახასიათებს ისეთი ჩუმი და შემპარავი იერი, როგორც ფშავლ დედაკაცს, ისინი უფრო თამამად და ამაყურად გამოიყურებიან. როდესაც მათ უცხო ვინმე შეხვდებათ, მას პირდაპირ ცქერით თვალებს სჭრიან, თვალს თვალში გაუყრიან.

19. დედაკაცის დამცირება ხევსურეთში.

ხევსურეთში როგორც დედაკაცები, ისე მამაკაცები იმოსებიან თავის სახლშივე მოქსოვილი შალეულით. არაფერს ქალაქში არ იყიდიან, გარდა სპილენძეულობისა, ქამარ-ხანჯლისა, ხმლისა და ცხენის მოკაზმულობისა. ყველაფერი ეს კეთდება ხევსური დედაკაცის ხელით და ამის სამაგიეროდ ხევსური მამაკაცები მათ ყურადღების ღირსად არ ხდიან, და საკვირველი ის არის, რომ დედაკაცები მათი შეხედულებით მშობიარობის საშინელ ტკივილებს არ გრძნობენ, არ განიცდიან. ალბათ ასეთია რკინის კანონი საუკუნოებით შექმნილი ზნე-ადათებისა.

გზაში დედაკაცი მამაკაცს უკან მისდევს, ცხენით თუ მიდის, დედაკაცი ფეხით მიძუნძულებს უკან. ოჯახში არავითარი უფლება დედაკაცს არ აქვს, არც საკეთილდღეო და არც საქირბოროტო საკითხში: ამავე დროს, თუ დედაკაცი ან ახალგაზრდა ქალი ვაჟს ახლავს და ის ვინმე გარეშემ შეურაცხყო, მაშინ მან შეიძლება დედაკაცის შეურაცხმყოფელს თავი შეაკლას. ამ ჩვეულების ნიშნები უფრო მაშინა ცხადდება, როდესაც ახალგაზრდა ვაჟი ახლავს ახალგაზრდა ქალს.

20 ხევსური ქალის დახასიათება.

ხევსური ახალგაზრდა ქალი იმავე მკვირცხლი ბუნებისაა, როგორც ხევსური მამაკაცი. მათი სიტყვა-პასუხი, მიხვრა-მოხვრა, საქმიანობა, საუბრის აწევ-დაწევა, სიცილი, ცხიარულება და ყოველგვარი მოძრაობითი თუ ხმიანობის გამომეტყველება ერთი და იმავე მზგავსებისაა. ხევსური ქალი არ წააგავს საქართველოს სხვა კუთხის ქალებს არაფერში, იგი თითქოს რადიკალურად განსხვავებულია მათგან. ხევსური ქალს მარტო გარეგნობა არ იზიდავს ვაჟსა, ის მასში უფრო საგმირო საქმეებს დაეძებს და არ გაიკარებს იმას, ვისაც რაიმე საქმეში ლაჩრობას შეამჩნევს. ვაჟი აუცილებლად უნდა იყოს დაჭრილი სხეულის რომელსამე ნაწილში, აგრეთვე მანაც უნდა დასჭრას ვინმე, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მას არ სთვლის ვაჟკაცად. რა თქმა უნდა, აქ ვაჟს სხვა დადებითი მხარეებიც უნდა ჰქონდეს, როგორც მაგალითად, შრომის მოყვარეობა, გამრჯელობა, თავაზიანობა, თავმოყვარეობა, კარგი მიხვრა-მოხვრა, ეშხიანი, ტკბილი საუბარი და ვაჟკაცური გამომეტყველება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მას ზურგს

შეაქცევს. ეს ერთის მხრივ, მეორე-მხრივ ქალიც უნდა იყოს შესაფერისად მომ-ქმედი, მეოჯახე, მოხელესაქმე, ლამაზი და სათნო.

რადგანაც, როგორც ვსთქვი, ხევსური გლეხის ეკონომი-ური კეთილდღეობა უმთავრესად დამოკიდებულია დედაკაც-ზე, ამიტომ ისინი დაქორწინებას დიდი სიფრთხილით ეპყრო-ბიან.

აქ გასაოცარი შერჩევა სუფევს და ყველა ეს ხდება პრიმიტიულ ცოდნით. ამიტომაცაა, რომ ხევსური ვერ გადაშენებულა და დღემდის შემონახულა.

21. ხევსური ქალის ხელსაქმე.

ხევსური ქალების ხელნაქნარი წმინდა, მკვიდრი და პირდაპირ მხატვრუ-ლი ნაწარმოებია. ყოველნაირი ნაქსოვი ისეთი ფერადებით არის შერჩეული, რომ ყოველგვარი ფერი ერთმანეთს ეფარდება რელიეფურად, ნწყობრად და გა-დაუპარბებლად. საღებავად ისინი ხმარობენ სხვადასხვა მცენარის ფოთოლს, ძირს და ქერქს, აგრეთვე ერთგვარ თიხის ნაფლეთებს და მეგვარტლს. რომ ეს ნათლად წარმოვიდგინოთ, მას ჩვენ აქაც ჩამოვთვლით, თუმცა ზოგი მათგანი მოხსენებულია ფშაველ ქალთა ხელსაქმიანობის ზოგად ცნობებში.

1) ენდრო—ბალახის ძირია
2) ლები—(შაბის მსგავსი მიწა) ღებავს წითლად
3) თერემლი (თხიმლი)—ხის ქერქია
4) წერო ხალა—იგივეა, რაც ფშაური ხაქოლი, ბალახია, ღებავს ყვი-თლად.
5) ჭერთხანა—ბალახის ძირია,
6) მეგვარტლი,
7) მურყნის (თხემლას) ქერქი, ღებავს შავად.
8) თავ-შავა (ბალახია).

აქედან აშკარად ვხედავთ, რომ ფშაველი და ხევსური დედაკაცები თითქ-მის საღებავად ერთსა და იმავე მცენარეებს იყენებენ. განსხვავება არსებობს მარტო ხსენებული საღებავების სახელებში. აქაც ხმარობენ ქალაქიდან მოტა-ნილ საღებავებს და ურეფენ ადგილობრივ საღებავებში. ხელსაქმის ნაწარმოები, როგორც ფშავში ისე ხევსურეთში არის ნხოლოდ შალისაგან ნაკეთები, სხვა რაიმე მასალიდან ფშავ-ხევსურეთში არაფერი კეთდება. საზოგადოდ მატყლი ხევსურეთში იშვიათია და ამიტომ გადმოდიან ფშავში და დღიურად მუშაობენ მატყლზე. ეს ითქმის მხოლოდ პირაქეთ ხევსურებზე, რაც შეეხება პირიქითლებს, —აქ მატყლი საკმარისად აქვთ.

22. ხევსური ქალი საძოვნელში, ცეკვა-თამაშში.

საქონლის ზოვლა განსაკუთრებით ხევსურ დედაკაცს აწევს თავზე და ამის გამო ისინი მუდამ საქონელთან არიან სახლშიაც და მთაველებშიაც. აქ მათ უხდებათ თითქმის 6 თვის გატარება, სულერთია იქნება ეს დრო წვიმიან-ელვეფიანი, თუ მზიან-დარიანი. საქონლის მწყემსობის დროს, ისე, როგორც

ფშაველი ქალები, ისინი ხელსაქმიანობენ, ქსოვენ წინდას ან სხვა რაიმე ხელსაქმეს აკეთებენ. მათ ხშირად შეხვდებით ბუჩქის ძირში მიძინებულს. ხან რაღაც თავისებურ ფიქრებში.

მწყემსობა ითქმის მხოლოდ პირაქეთ ხევსურ ქალებზე, ხოლო რაც შეეხება გადაღმელ ხევსურის ქალებს, იქ ეს საკითხი სულ სხვანაირად სდგას—იქ ქალები სამწყემსურში არ მიდიან, ისინი ამას არ კადრულობენ და საქონლის, განსაკუთრებით ცხვრების, მწყემსებად ქისტები უყენიათ.

ხევსური ქალები თმას ირგვლივ იკრეკენ, თან იღებავენ მას მოხარშულ ნაცრის გამონაწურით, რომელიც თმას ბრწყინავ ოქროს ფერს აძლევს.

გადმოღმა ხევსურეთში დედაკაცების ცეკვას იშვიათად შეხვდებით, ეს უფრო გადაღმა ხევსურეთშია. აქ საცეკვაო მუსიკ ლური ინსტრუმენტები გარმონიკაა და ფანდური, უფრო უკანასკნელი.

ცეკვა-თამაში უფრო არხოტშია შემოღებული, დანარჩენ ხევსურეთში იგი იშვიათი მოვლენაა, მაგალითად შატილის მხარეს მას სულ ვერ შეხვდებით, არ ოტის თემში მას ვამჩნევთ იმიტომ, რომ იქაურ ხევსურ ქალებს ხშირად უხდება ხოლმე მიმოსვლა ყაზბეგის თემში, სადაც მოხეველები ცხოვრობენ და ალბათ მათი გავლენის მიხედვით შეითვისეს ეს. საზოგადოთ ხევსური ქალები ნაქებია ფანდურზე დამღერებაში, დამღერიან მოხდენილად, და რაც დამახასიათებელია—მეტად აჩქარებული გამოთქმით. სამაგიეროთ ისინი ისეთი თავისუფალია თავის მოთქმებში, რომ მათი ლაღი თავისებური სინაზე ძალა უნებუ რად იზიდავს ადამიანის ყურადღებას. ფშაველი ქალი უცხო ადამიანს მით გიზიდავს, რომ ის მუდამ თავჩაღუნული, ქვეშ-ქვეშ შემპარავი ცხადებით თითქოს ნდობას გიცხადებს და გულში კი ვინ იცის რასა ფიქრობს; ხევსური ქალი კი, წინააღმდეგ, უფრო მუდამ თავ-აღებული პირდაპირ გიყურებთ.

ᲔᲗ. ᲗᲐᲛᲑᲐᲙᲝ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲨᲘ.

ნამდვილი თამბაქო ფშავ ხევსურეთში არ მოჰყავთ, მის მაგიერ მოჰყავთ ეგრედწოდებული წეკო, რომელსაც იშვიათად თუ ვინმე სწევს, დიდი უმრავლესობა კი (95 პროც.) ღეჭავს მას. გამხმარი წეკოს ფოთლის ნაგლეჯს ჩაიდებენ პირში, მოიქცევენ ცალ მხარეზე და ცოხნიან. აქვე აღსანიშნავია, რომ ხევსური დედაკაცებიც ეწევიან წეკოს, მხოლოდ სულ სხვა წესით, განსაკუთრებით ხანში შესული დედაკაცები—ცხვირით სუნთქავენ ხსენებულ წეკოს ფხვნილს, ისე როგორც ძველად ზოგიერთ ხალხში გავრცელებული იყო ბურნუთის წევა. ახალგაზრდა ხევსური ქალები არ ეჩვევიან ასეთებს, ეს მათთვის დიდი სირცხვილია. ხევსურების ახალგაზრდა ვაჟების უმრავლესობა კი სწევს წეკოს ან ცაცხვის ხის ნათალით ნაფლეთით, ან და რაიმე ნახმარი ქაღალდით, უმთავრესად გაზეთის ქაღალდით. [1]).

---

[1]) ასევე ითქმის ფშავლებზედაც, ხოლო საპაპიროსე ხის ნათალს ისინი ბ ო კ ო ნ ი კ ა ს უწოდებენ—ხევსურები კი-ნ ა თ ა ლ ს.



სურ. 16· ფშავ-ხევსურეთის საპაპიროსე—ცაცხვის ხის ანათალი.
(ხევსურულად-ნათალი. ფშაურად-ბოკონიკ) ნახ. შ. ძველაძის.

24. საკმელი ბალახები ხევსურეთში.

ხევსურეთში ვაზი არ ხარობს და, მაშასადამე, მათთვის ღვინო მუდამ სანატრელია. არა მარტო ღვინო, არამედ ხილსაც ვერსად ჰნახავთ ხევსურეთში. ამიტომ აქ ღვინის მაგიერობას სწევს ლუდი და არაყი, ხილისა და ბოსტნეულის მაგიერობას კი გარეული ყოლი, მოცვი და სხვა მრავალგვარი ტყის მცენარეულობა. ზოგ მათგანს აქვე დავასახელებთ:

1) დუცი
2) დიყი
3) შუპყა
} სამივე ერთმანეთს წააგავს, როგორც გემოთი ისე ანატომიური შენებითაც, ყველა ტკბილი გემოსია.

4) ჰიმა (ეწოდება ზემო ნაწილს) ან ხიფხოლა (ძირში)
} ორივე ტკბილი გემოსია. მხოლოდ კვლიას წამლადაც ხმარობენ მუცლის ტკივილის დროს, როგორც საქონლისათვის, ისე ადამიანებისათვისაც.

5) კვლია
6) წერთხალა
7) მეავია
} ორივე მჟავე გემოსია.

8) შიბუ
9) ხოპნუტა
და 10) ძირხვენა
ორივე მწარე გემოსია, მხოლოდ პირველს მწნილად აკეთებენ. ლუგუში გემო აქვს, ე. ი. გულს ურევს ადამიანს.

ჩვენ აქ კიდევ ბევრს ჩამოთვლიდით მსგავს ბალახებს, მაგრამ სანიმუშოდ ჩამოთვლილიც სრულიად საკმარისია.

ზოგიერთ მათგანს, განსაკუთრებით ჭიმა-ხიფხოლას, ამოაწებენ ხაპოიან დოში (რძის შრატია, რომელშიაც ხაპოს აურევენ და ისე სპამენ) და მადიანად შეექცევიან მას, ხშირად ისინი ამ ბალახს ისე მიაძღებიან, რომ შემდეგ სადილი არ არის საჭირო. ამ ჩვეულებას უფრო დედაკაცები მისდევენ.

25. ხევსურთა მუსიკალობა.

საზოგადოდ ხევსურები არ არიან მუსიკალური ხალხი და მათში არც აღინიშნება რაიმე ტაბილხმოვანი სიმღერა. თუ მღერიან, უთუოდ ისტორიულ საგმირო ლექსებს მღერიან, სიმღერა მეტად ცოცხალი ტემპისაა. უფრო ხშირად ისინი ფანდურზე დამღერიან საგმირო, რაინდულ ლექსებს. ხევსურებს ძლიერ უყვართ მეფეერეკლე და მას, როგორც საზოგადოდ სიმღერაში, ისე ფანდურზე დამღერებაშიც იგონებენ. როგორც თვით ხევსურები ამბობენ, — ერეკლე ხშირად ეწვეოდა ხოლმე ხევსურებს, ხშირად ატარებდა დროს ხევსურეთში და ხშირად საუბრობდა მათთან.

სურ. 18. ხევსური ბავშები. (მარცხნით ქალია მარჯვნით ვაჟი)

26. ხევსური ბავშვები.

როდესაც ხევსურს ვაჟი გაუჩნდება, ეს მისთვის დიდი სასიხარულო მოვლენაა, ქალის ყოლაკი მზის დაბნელებაა. ქალის გაჩენას ისინი იმავე მომენტში სწყევლიან. მათი ბავშვი ისეთივე ცოცხალი მოძრაობისაა, როგორიც თვით ყოველი ხევსური. მათ შორის ისეთი განსხვავება არ არის, როგორც ფშაველ ბავშვებსა და მოზრდილთა შორის. ხევსურ ბავშვს ისეთივე სიცოცხლის ნიშნები ამოძრავებს, როგორც მოზრდილს, მაშინ როდესაც ფშაველების ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ მათი ბავშვების ფლეგმატიური ტემპერამენტი უცვლელად თანდათანობით გადადის მოზარდი თაობის უკვე დასრულებულ ინდივიდუალობაში. თუ ოჯახში მამაკაცი არ არის, პატარა ხევსური ასრულებს მის მაგიერობას და

რაიმე სასოფლო საქმის გარჩევაში სრული გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობს. მას ისე ეპყრობიან, როგორც დიდს.

სურ. 17. ხევსურეთის ოჯახი უმამაკაცოთ (სოფ. ბარისახო).

27. ORშABATI—UQME

ORშABATOBIT ხევსურები არ მუშაობენ, გარდა უბრალო უმცირესობისა, რომელიც ამ დაწესებულ ჩვეულებას არღვევს. ORშABATს უქმობის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ ერთ უბედურ წელს მთელი ხალხი დაიმშა, მთელი ჟირნახული დასეტყვა და ხალხს შიმშილის აჩრდილი აეტუზა. კარებზე. ხალხმა არ იცოდა რა საშუალებისათვის მიემართა. პირველი მზრუნველი მათთვის მეფე ერეკლე იყო. მიმართეს მას, ერეკლემ მათ ასე ურჩია: „ხევსურნო, რადგან თქვენს კარზე ასეთი უბედურება ხშირად მეორდება, მოდით ერთი კვირა დღის საპატიოდ ORშABATიც იუქმეთ და ეგებ ღმერთმა შეიწყნაროს და ამ ჩვეულ უბედურებას აგაცდინოთო“. ხევსურებმა ერეკლეს დაუჯერეს და მისი რჩევით ORშABATიც იუქმეს, რომელსაც დაარქვეს „კვირაის საპატიო დღე“. ამ დარქმევის შემდეგ ხევსურებს სეტყვა არ სწვევიათ. ამბობენ, მაშინ ისეთი სიმშილობა ყოფილა, რომ დამშეულ ხევსურს თავისი ხმალი მიჰქონდა იმ ბედნიერ ხევსურთან, რომელსაც ძველი ხორბალი კიდევ საყოფად ჰქონდა და ხმლის ქარქაშის გავსებაში ხმალს უტოვებდაო. თუ რამდენათ პოპულიარული ყოფილა მეფე ერეკლე ხევსურების თვალში, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჯერ ეხლაც, თანამედროვე ხანა-

ში, თვითეულ ხევსურს, მოხუცს თუ ახალგაზრდას ენაზე აკერია მისი სახელი. ორშაბათის უქმობა წინად ფშაეშიაც სცოდნიათ *), მაგრამ შემდეგ იგი თანდათანობით გადაუგდიათ.

28. მიცვალებულის დამარხვის წესები ხევსურეთში.

ჩვენ უნდა შეეხოთ აგრეთვე ხევსურების სამგლოვიარო ადათებსაც. ამიტომ გვონიათ, რომ ხევსურების მიცვალებულის გვამი თითქოს ნახევრად ცოცხალია, ხევსურებისათვის მკვდარი თითქმის ისეთივე ძვირფასია, როგორც ცოცხალი ადამიანი. ყოველი მოხუცი ხევსური ისე ემზადება სიკვდილისათვის, როგორც ახალგაზრდა ქალი ჯვარსაწერად. მოხუცი ხევსური წინდაწინვე შეუდგება მზადებას: იკერავს ახალ ტალავარს ტანისამოსს, საუკეთესო ტყავისაგან შეჰკერავს ჯღანს, გაასუფთავებს ყველა იმ იარაღს, რომლებსაც ის თავის სიცოცხლეში ხმარობდა და ამ მომზადების შემდეგ მას იმდენად არ აინტერესებს თავის სიცოცხლე, რამდენადაც ამ უკანასკნელის მოსალოდნელი აგონია.

დასაფლავება მიცვალებულისა ხდება ისე, როგორც ყველა ჩვენი ქვეყნის კუთხეში. აქ დიდი განსხვავება არ არსებობს. სიკვდილის შემდეგ მკვდარი შეიძლება გააჩერონ სამი დღე და შემდეგ მარხავენ. რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი პირობები, ან როგორი ქონებრივი შეძლების არის მიცვალებულის პატრონი.

გლოვის დროს ხევსური მამაკაცები მთელი წლის მანძილზე იარაღს აიხსნიან, ფანდურსა და მისთანას პირუკუღმა გადააბრუნებენ. დედაკაცები კი კოხტაო დახურულ მოქცეულ მანდილის წინა კანჭებს უკან შეაბრუნებენ.

მიცვალებულის მოსაგონათ არსებობს სხვადასხვა წესები, რომლებიც გვარწმუნებენ იმაში, რომ ხევსურები თვით სიკვდილის შემდეგაც არ სწყვეტენ კავშირს მასთან და იგონებენ მას ყოველ წელიწადს, ისე, როგორც განუშორებელს.

ამ შემთხვევაში მეტად საგულისხმოა შემდეგი ლექსი:

რომელ წამახვედ გუროთა
ორმა დაგწერა ჯვარიო,
მესამემ ჯვარი დაგწერა
ეგოც გუროველთ ქალიო,
ცხენმ გიღალატა რემაშა
მაცილმ გიქცივა მხარიო,
წყალში ჩაღვარდი წიქაო
ღმერთო, რა დიდი ბრალიო!
ჩალვარდი, ცოლიც ჩამაგყვა
მზის შუქი უფლის თვალიო,

*) ზოგიერთი სოფელი, მაგ. ახადი. ახლაც უქმობს ორშაბათს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ფშავ-ხევსურეთში მუშაობის დროს კვირაში სამი დღე გაცხოვლებული მუშაობა გვიბდებოდა. ეს დღე იყო შაბათი, კვირა და ორშაბათი. ამას, სხვათა შორის, მშვენივრად აჩვენებს ავადმყოფთა მიღების სარეგისტრაციო ფურცელი აქედან ჩანს, რომ ფშაფხევსურები (განსაკუთრებით ხევსურები). კვირაში სამ დღეს უქმობენ. ამას რომ სხვა უქმე დღეები მიუმატოთ, ნახავთ, რომ ხევსურები თითქმის ნახევარ წელიწადს. ეკ/ბ.

ბრალია წიქაისადა
შატილ რო იწვას მკვდარიო,
შატილ დაგრჩების ოხრადა
თორმეტ ქვიტკირის კარიო
კაცთაგან დაუფასები
სრულ იარაღი რვალიო
ნუმც გაჩენილა სიკვდილი
მემრე ჭალაზე წყალიო,
ერთ დას ხელშიით დაართვნა
თავის ძმაი და ზალიო.

ეს ლექსი მკაფიოთ ხატავს, თუ როგორ აფასებენ ხევსურები ადამიანს სიკვდილის შემდეგაც.

სიკვდილის პირველ დღეებში მკვდრის პატრონი მართავს პირველ ძოსაგონარს, რომელსაც უწოდებენ სამარხს. სამარხი არ აღინიშნება მაინც და მაინც.

სურ. 18. ხევსურული ტირილი და დოღი. მარცხენივ დოღის ცხენებს ქერს აკმევენ, მარჯვნივ მიცვალებულის ტალავარი აწყვია, რომლის გარშემო დედაკაცები სხედან, მამაკაცები კი ქუდ მოხდილნი დგანან. ნახ. შ. ძნელაძის.

დიდი ცერემონიით, მხოლოდ მერე მართავენ დიდ მოსაგონარს სანთელ-დღეს, რომელსაც არაჩვეულებრივი მზადებით ატარებენ და რომელზედაც ესწრება მიცვალებულის ყველა ახლო თუ შორეული ნათესავი. შემდეგ ამას მოჰყვება ტალავართ-ასამბერტყლო, ხალარჯობა, სულთა კრეფა და თავ-მოსაპარსავი ანუ საღმრთო. ყველა ამ მკვდრის მოსაგონარ დღეებში ყველაზე უფრო საყურადღებო არის მეორე მოსაგონარი. ეს მით არის საინტერესო, რომ აქ იმართება დოღი-

ხევსურული დოღი იმართება მხოლოდ მიცვალებულის პატივსადებად: სხვა შემთხვევებში ის არ არის მიღებული. ის გამოიხატება შემდეგში: რამდენიმე ახალგაზრდა ხევსური, განსაკუთრებით მორთაკს უბელო (შეუკაზმავ) ცხენს, დაუწნავს ფაფარს რომლის ლოლოებიც ფოჩიანი წითელი ქსოვილით არის წაკრული; ამ ფაფარზე ჰკიდებს ხელს, რომ არ დაცურდეს აღმართში; თეძოებს ახლო ცხენს შემოაკრავს დოღისათვის საგანგებოდ მოქსოკილ გარსაკრავს ხელის მოსაკიდებლად, რათა მხედარი არ დაცურდეს დაღმართში რბენის დროს. მიცვალებულის ტალავართან სხეიდან მოსამძიმრე ხევსურის დედაკაცები, ამ დედაკაცების ახლო ნოხია გაშლილი, რომელზედაც ქერს დაჰყრიან სადოღე ცხენებისათვის და სამძიმრის პროცესის დროს ცხენები მას შეექცევიან. გათავდება თუ არა გამოტირების ცერემონია, დოღში წამსვლელიგაზრდები შლხაესხდებიან თავ-თავიანთ ცხენებზე, ჩამწკრივდებიან, სამჯერ შემოუვლიან მკვდრის ტალავართან მჯდომ მოსამძიმრე დედაკაცებს და შემდეგ გაემგზავრებიან მიცვალებულის ახლო ნათესავთან, რომელიც შეიძლება ძლიერ შორს მანძილზე სახლობდეს. აქ ისინი დაისვენებენ რამდენიმე საათს და დაბრუნდებიან უკან. ეს დოღი შეიძლება მოხდეს მკვდრის დამარხვის დღესაც, (თუ მკვდრის პატრონი ამას შესძლებს), მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა.

რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ მიცვალებულის მოსაგონარი წესები, აქვე ჩამოვთვლით მათ:

1) სამარხი, მკვდრის დასაფლავების დღე	მცირეოდენი ხარჯებით ტარდება.
2) სანთელ-დღე	არაჩვეულებრივი ხარჯებით და ყველაზე საინტერესო შინაარსით.
3) ტალავართ-ასამბერტყლო . . .	შედარებით ნაკლები ხარჯებით თავდება, ხდება წლის თავზე.
4) ხალარჯობა	ჩვეულებრივ ტარდება და ამაღლების მეორე კვირაზე იწყება.
5) სულთ აკრეფა	ჩვეულებრივ ხარჯებს იწვევს და დიდ მარხვის მეორე შაბათს იციან.
6) თავ-მოსაპარსაო ანუ საღმრთო .	ხდება ან 1-ს, ან მე-3, ან, მე-5-წელზე.

ყველა მოსაგონარში ადუღებენ ლუდს, აარაყს, კლავენ საქონელს, ან იმა. რთება ერთგვარი ლხინი, რომელსაც სარჩულად უდევს ცერემონიანი სეკდა, მაგრამ ამავე დროს, თითქოს გგონიათ რომ ისინი ჩვეულებრივ დროს ატარებენ-საყურადღებოა უკანასკნელი მოსაგონარი—თავ მოსაპარსაო ანუ საღმრთო *). ეს მდგომარეობს შემდეგში: როდესაც ვისმე ბავშვი დაეპადება, განსაზღვრულ

*) მე შევეკითხე მოხუც ხევსურებს: „რატომ წყვილ წლებში ბავშვს არ უსდვით საღმრთოს, არ აწყობთ თავ-მოსაპარსავოს, არამედ კენტ წლებში—მეთქი: ამ შეკითხვაზე გარკვეული პასუხი ვერ მივიღე მიუხედავად იმისა, რომ ბანგზე გამოვარჩიე გამოცდილი ღომა მოხუცი ხევსურებიზოგი მათგანი პირდაპირ უარს ამბობს: „ეს მამა-პაპიდან გვაქვს დაწესებულიო“, ზოგს უნდა რომ რაღაც გამოიგონოს და კითხვაზე მიპასუხებს, მაგრამ ვამჩნევ, რომ ის რაღაც მოგონილ ზღაპრებს მეუბნება, ზოგიც სხვაზე მითითებს „იმან იციაო“.

ადგილას უტოვებენ დაპადებისთანავე დაყოლილ თმას ერთ ან 3—5 წლამდე, როდესაც ხსენებული წლები შეუსრულდება ბავშვს, მას მშობლები უხდიან საღმრთოს. ამ დანიშნულ დღეს რომელიც დანიშნულია მიცვალებულის მოსაგონარ თავმოსაპარსაო დღესთან დაკავშირებით, გამოხდიან ლუდს, არაყს, მოიპატიჟებენ ახლო ნათესავ-მეზობლებს, მოპარსავენ ბავშვს იმ დატოვებულ თმას და შეუდგებიან ჩვეულებრივ ლხინს. ეს საღმრთო უნდა გადაიხადოს ბავშვის პატრონმა უსათუოდ კენტი წლის თავზე, წყვილი წლის თავზე მას არ გადაიხდიან [1]).

როდესაც ჩვეულებრივი ცერემონია გათავდება, შემდეგ ბავშვს მოიყვანენ იმ ადგილას, სადაც სხვადასხვა იარაღი აწყვია. ამ იარაღებში რომელსაც ამოირჩევს ბავშვი, ის იქნება მისი მომავალი სიცოცხლის დამცველი სიმბოლო.

29. ჭირის წყენა.

როცა ვინმე კვდება ხევსურეთში, მაშინ მეზობლები და ნათესავები მიუსამძიმრებენ მკვდრის პატრონს და ანუგეშებენ მას. ჭირისუფალიც უპასუხებს. მისამძიმრებას ხევსურულად ჭირის-წყენა ეწოდება.

აი ნიმუში ხევსურული ჭირის-წყენისა:

მოსამძიმრის სიტყვები:

— ვერ გექნა ჩემ თავი, სანამდი ეგეთას გნახავდი; დიდ ბრალი და დიდ ღმერთის წყენაა, შენ' გული დასწუხდებოდას, შენ ძმა დაგაკლდებოდას, ჩემ კვალ კაც სიტყვას გეტყოდას და მზეს იარებოდა. უკეთის კაისად არაენ ას და არც არაავის დასცდების. ღმერთმ იმას ნუ დაულიას, შენდ ვისაც შეესვენებოდას, ნარჩომებს ჯვარ დაგიწერას, სხვა მარზე ნულარა მოგცა.

ჭირისუფლის პასუხი:

— შენ' მტერი და დუშმანი, რაის კაისად ორთ, რა კაი დაგვცდების?— ბრალი ეგეთია, თქვენ დაგკლებიათ თქვენ დაგითმიათ. ჩვენ' სიკვდილი მოსალოცავია, მოვრჩებით დალონებას და ბეჩაობას.

B. პირიქით ხევსურეთი.

a) შატილის მხარე.

შატილის მხარე მდებარეობს საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარზე, მთავარი ქედის გადალმა. იგი წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ სიმაგრეს შატილისაკენ შეიძლება წახვიდეთ ორი მთავარი მიმართულებით: ერთი მიემართება ფშავიდან მათურის ხეობაში, მეორე ხევსურეთიდან ლებაის კარით. ეს ორი გზა იყოფა ორ წყალთან. პირველი მოუხვევს მარჯვენით, მიჰყვება უკანაფშავის არაგვის პირს და სოფელ მუქოს ძირში მარცხნივ უკვე ხსენებულ ხეობას გაჰყვებით, რომელიც მიადგება ვეებერთელა ბოროლას მთის ძირს. აქ მგზავრი ჩვეულებრივად ისვენებს, ცხენს მოაძოვებს და შემდეგ ნელ-ნელა შეუდგება ამ მთის დაკიდულ ვიწრო ბილიკს. ოთხი საათის შემდეგ მის მწვერვალზე ახვალთ.

[1]) მგლოვიარობის გასვლის შემდეგ აგრეთვე იპარსავენ გაშვებულ წვერს.



სურ. 21. სოფ. შატილი

ასვლისთანავე დაეშვებით ქვევით, თითქოს უფსკრულისაკენ. გრძელი დალმართის შემდეგ ოდნავ დაივაკებს და გაჰყვებით ე. წ. ვიწრო ჭანჭახის ხეობას, რომელიც თავდება სოფელ ხახაბოს მისავალში, სადაც წყაროზე ლამაზად აგებული ძეგლი დგას ვიღაც მიცვალებულის მოსაგონარად. ჭანჭახის ხეობა საკმაო თვალსასე

სიმშვენიერეს, რომელსაც მთელი დედამიწის ზურგზე ბადალი არა ჰყავს თავის ეელურ სიკეკლუცეში.

ხსენებულ სოფლებსშორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოფ. მუცუს. სოფ. მუცუ აგებულია მაღალ მთის კუნძულოვან კარჩხალზე და წარმოადგენს (ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, წარმოადგენდა) პირველხარისხოვან სიმაგრეს საქართველოს ჩრდილოეთის საზღვარზე. მუცუ შატილიდან (ქვემო მხრიდან) პირველი სოფელია, ხოლო ზემო მხრიდან მეოთხე დამდებარეობს თითქმის შატილის პირდაპირ. ეს სოფლები ერთმანეთისაგან გაყოფილია შუაზე გაწოლილი საკმაოდ გრძელი ქედით, რომლის კონუსისებრივი ბოლო აერთებს შატილიდან და არდოტის ხეობიდან ჩამომდინარე წყლებს— არაგვის საერთო სახელწოდებით, რომელსაც ქვემოთ ქისტები არღუნს ეძახიან. თვით მუცუ საყურადღებოა მით, რომ იქ თვითეული ხევსურის ბინა გაშენებულია კლდის ნაპრალოვან გამოქვაბულში ისე რომ ერთ-ერთ კედლად გამოყენებულია ბუნებრივი კლდე, დანარჩენი კი კაცის ხელით არის ნაშენი. სოფელს, როგორც დასავლეთით, ისე აღმოსავლეთით საზღვრავს მიუვალი დაკიდული კარჩხლები, რომლებზედაც, გარდა ჩიტისა, ვერაფერი ვერ იკიდებს ფეხს და შესუდრულია განსაკუთრებული ჯიშის ხავსით; სოფლის თავი ოდნავ დაივაკებს. ამ პატარა ვაკეზე ვეებერთელა სიპი დგას, სიპზედ აგებულია მეტად მტკიცოდ ნაშენი ციხე—ნიში, რომელსაც ხალხი ჩოლოყაანთ ციხეს უწოდებს. ამჟამად მას კაცი ვერ უდგება, ისეა წამოსკუპული პიტალო სიპის კუნძულზე. ხსენებული ვაკის კენი ისევ გრძელდება მაღალი მთით, რომლის მწვერვალიც ამაყად გადმოჰყურებს მუცუს და რომლის ძირში რვა დი-

სურ. 22. ძველი სოფ. მუცუს ნაშთი. ზემოთ მოსჩანს ჩოლოყაანთ ციხე.

დი აკლდამაა ჩამწკრივებული. ჩვენ ყურადღებით დავათვალიერეთ ეს აკლდამები და შევამჩნიეთ, რომ ისინი ერთნაირი შენებისა არ არიან. ზოგი დიდია, ზოგი კი ზომიერი. თვითეული აკლდამის კედლები საკმაო სისქისაა, რომლის ნაშენსაც ვერ შლის წვიმის პერიოდული ნიაღვარი, დახურულია ქვით, ფორმით ოთხკუთხია. შიგნით მეტად ღრმაა. შიგნითა კედლებზე ყოველ მხრივ რამოდენიმე თაროსებური ქვის ლოგინებია გაკეთებული, ზედ უთვალავი ადამიანთა ჩონჩხები ჰყრია. ზოგი მათგანი ფეხზეც დგას და ბევრს ტანსაცმელის ნაშთიც აქვს შერჩენილი, არა თუ შერჩენილი, არამედ ზოგი მათ შორის თითქო ხელუხლებელია, მაგალითად. ხევსურული შარვალი და ჯღანი. აუარებელ თავის ქალათა შორის ჩვენ ერთი არაჩვეულებრივი ქალა შევამჩნიეთ, შევქვერი აკლდამაში და ის თან წამოვიღეთ, რომლის სურათსაც აქვე ვათავსებთ. იგი მეტად საყურადღებოა თავისი შენებით და, როგორც ასეთი, საგულისხმოა ანატომიური შენების მხრივ. ამ ქალაზე თავის კანი მიმაგრებულია, როგორც ფიქსაცია ქმნილი, რომელზედაც თმის ნიშნები აშკარადჩანს. იგი ძლიერ საინტერესოა



სურ. 23. ხევსურის ფეხი გაღცვეთელი პაპიპებით და ჯღანით. გამოტანილია სოფ. მუცუს აკლდამიდან. ჯღანში პირველი ორი თითი მოსჩანს. 1) შემონახული შალის ხევსურული პაპიპები, 2) ხევსურული ჯღანი, 3) ფეხის ცერი და მეორე თითი, 4) წვიეის ძვალი და 5) თასების ბანდი.

სურ. ნახ. შ. ძნელაძის

და მისი ანატომია დაახლოვებით თვით სურათთან არის ნაჩვენები. აკლდამები სოფლის ბოლოზედაც არის, მაგრამ შედარებით უკვე ხსენებულ აკლდამებთან არაფერს წარმოადგენს. აკლდამებში ბავშვების აკვნებსაც შეამჩნევთ. საკვირველი სანახავი ის არის, რომ ერთ აკვანზე დედის ჩონჩხია გადაკიდებული, ის ისეა გადაწოლილი, თითქოს აკვანს მჭიდროდ ჩასჭიდებია და ერთ-ერთი ხელის ოიგი აკვნის ფიცარზეა შემორტყმული. ჩვენ ვცადეთ მისი მოშორება, მაგრამ უიარაღოთ ვერ მოვაშორეთ. ჩონჩხთა შორის ბავშვებისას იშვიათად შეხვდებით. ეს ალბათ იმიტომ, რომ ისინი შლის პრო-

ცესის დროს სრულიად გაქრნენ. რომელი საუკუნისაა ეს აკლდამები, ჩვენ არ ვიცით და ვერც ვერავინ გვითხრა. თვით ხევსურების 'გადმოცემით ისინი თითქოს შვიდი საუკუნისაა, თამარის დროინდელია, მაგრამ ჩვენ ამ ცნობას ვერ დავეყრდნობით. აქ არქეოლოგიური კვლევა ძიებაა საჭირო. მუცუში ამ ეამად

ხევსურის თავის ქალა დაახლოებით სამი საუკუნის წინ. გამოტანილია სოფ. მუცუს აკლდამიდან 1) მიმხმარი შუბლის კუნთი (m. frontalis); 2) მიმ. საფეთქლის კუნთი (m. parietalis) 3) შერჩენილი თმა 4) ქალას კანი, 5) კბილები. თავის ქალა გაზომა პრივ. დოც. ვლ. ცეცხლაძემ, რომელმაც მიიღო ქვემოთ მოყვანილი ზომები: თავის ქალას გარშემოწერილობა უდრის 55,1 სანტ. (prot occip. ex.-glabella) საგიტალური მანძილი უდრის 19,2 სანტ. (glab —prot occip ex) განივი დიამეტრი (duber parietalis) — 16,0 სანტ. ტვინოვანი ნაწილის სიმაღლე (dub. front)—8,3 სანტ. Aper. pirit—3,4 სანტ. სიმაღლე ap. pirif ზედა ბ-გემდის—2,2 სანტ. სიმაღლე ქვედა ბაგიდან mandibulae-ს ქვედა კიდებდის -3,1 სანტ. ყურიმალის რკალთაშორის დიამეტრ. 5,0 სანტ. თვალბუდის ფოსო-მარჯვნით სიმაღლ. 4 სანტ. განივი მისი .4,1. ფუძე protib. occip. ex-for. occip magn. 5,2 მანძილი spin. nas, anl spin nas. post—6,5 ზედა ყბის გარდი-გარდმო დიამეტრი საბრძნე კბილებ შორის 7,1 სანტ. გარშემოწერ. porusacusc ex. შორის ზევიდან 35,3 სანტ. სიმაღლე დაწყ. Sut. Nasofron-mamdiguloel-ს ძყვდა კიდ.—12,7 სან. პრივ.—დ.ოც. ვ.ლ. ცეცხლაძის აზრით—„ძვალი არის მასიური, ზოლები კაგრად გამობატულია, კბილები ყველა შენახულია (32). თავის ქალა არის მამაკაცისა არა ნაკლებ 35 წლის და არა უმეტეს 45 წ. ტვინი არ არის. სახის წინა ნაწილი კარგად განვითარებულია. ფორმა—16,000—19,2=ბრახიცეფალურია. (ნახ. შ. ძნელაძისა).

აღარავინ ცხოვრობს; სოფელი მხოლოდ ცარიელ კედლებს წარმოადგენს. მისი მცხოვრებნი ყველა კახეთში გადასახლებულან. ახლა გადასახლებულთაგანი ბევრი ბრუნდება ისევ მუცუში, ისინი ძველ ნასახლარში არ სახლდებიან, არამედ იქვე ახლო ახალ სახლებს იშენებენ. გადასახლების მიზეზი ყოფილა ქისტების განუწყვეტლივი თავდასხმა, განსაკუთრებით რუსეთის დიდი რევოლიუციის პირველ დღეებში.

ძველ მუცუში ცხოვრობს ერთად-ერთი ქისტი თავის ცოლშვილით, სახელად სუხია, გვარად კი, ქართული გამოთქმით, ბორჩაძე. სუხიამ ქართული კარ-

გად იცის, თუ კარგად არ დაკვირდით, ვერც კი შეატყობთ, თუ ის სხვა ტომს ეკუთვნის.

როდესაც სუხიას სახლს მიუახლოვდებით, შეამჩნევთ შინაურ ფრინველებს, ქათმებს და უცბად ეს გარემოება თქვენ მეტად გაკვირვებთ, რადგანაც მთელ ხევსურეთში თქვენ შინაურ ფრინველებს ვერ შეხვდებით.

სურ. 25. მიცვალებულთა სახლები სოფ. მუცუში (აკლდამები).

სუხიას სახლთან სხვანაირათ (არა ხევსურულად) ჩაცმული დედაკაცი შემოგვხვდა წინ. ჩვენ მას გამოვეხმაურეთ ქართულად, მაგრამ მან ხმა არ ამოიღო, გაიღიმა კი. გამოირკვა, რომ ქართული არ იცოდა. თავაზიანად სახლში შეგვიძღვა, სკამი დაგვიდგა. საარაკო სისუფთავე მოხვდა თვალს ხევსურულ ცხოვრებასთან შედარებით. აგერ ლამაზად მიკეცილი ხუთი წყება ლეიბი და საბანი, იქვე სუფთად დაგებული ფიცრული ტახტი და სხვა საოჯახო ავეჯი, ყველა წესიერად მოლაგებული, ასე რომ ეს ოჯახი მოგაგონებთ დასავლეთ საქართველოს სუფთა გლეხის ოჯახს მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სუხიას ქვის სახლი მუცუს მიუვალ კედლებშია მიგდებული.

სურ. 26. თორღვაის ციხე სოფ. მუცუში.

სამხრეთით მუცუს ისევ მაღალი მთები უყურებს, რომლის ფერდობებზეც ხევსურებს თავის სარჩო მოჰყავთ. დასავლეთის მხარეზე მუცუს ამშვენებს თორღვაის ციხე, რომელიც არწივის ბუდესავით მიუვალ კლდეზეა აგებული და რომლის უნძრეევი კედლებიც ჯერ კიდევ ამაყად იყურებიან. ამ თორღვაიზე სხვადასხვა ლეგენდები არსებობს ხალხში: ზოგი ამბობს ვითომ ის თუში ყოფილა, ზოგიც თავადობას აკუთვნებს, ე. ი. ბუში ყოფილა ვიღაც თავადისა და ზოგი კი ნამდვილად. გარწმუნებთ, რომ იგი გაქცეული ალექსანდრე ბატონიშვილის ნაბიჭვარი იყოვო. ხალხის გადმოცემით თორღვა განთქმული გმირი ყოფილა, მას მტერი იშვიათად ამარცხებდა, მაგრამ ყოველი განთქმული სახალხო გმირი ყოველთვის უბრალო შემთხვევით კვდება. ასე მოსვლია თვით თორღვასაც, როგორც ჩანს ამ ლექსიდან:

თოვლიან ყინულიანი ჩანან ლეკეთის მთანია,
სად იყოს აბანოს კევი თორღვაის ნაციხვარია,
თორღვა ყოფილა კევსური, ლევანის ნაბიჭვარია,
ფშაველებს რო დასდვა ბეგარი თითო შიშაგი ცხვარია,
თითო ნაცრიან ტომარა,—ამშრალებინა წყალია,
სამუცო გამომიყოლეთ თითო არწივის მკარია,

„ვინცა შენ მოგცეს ბეგარა, წაუწყდეს მამა მკვდარია"
ამაიტანა ჩოთლამა ისარი მჭარტლიანია,
დაწია, დაჰკრა გულზედა, ცხროვობს *) მიწაზედ მკვდარია.

ამ ლეგენდარული პირის ფიზიკური ზომა ციხესთან არის აღნიშნული დიდ სიპზე, რომლის ნახვაც მიუვალობის გამო მეტად საძნელოა. თორღვაის ისეთი ᲯᲐᲕᲘᲡ პერანგი ეცვა თურმე, რომ მას თოფიდან გასროლილი ტყვია არ ეკარებოდა, ტყვიის შეხების დროს პერანგი ისე შეიკუმშოდა, რომ თოფიდან გამოტყორცნილ ტყვიას უკანვე აბრუნებდა. როგორც ხალხი ამბობს, ეს ᲯᲐᲕᲘᲡ პერანგი მას ნაჩუქარი ჰქონია ძმობილისაგან, და მას იგი არ იშორებდა არც დღე, არც ღამით. ხალხის გადმოცემით, მას მტერი ვერას დროს ვერ დაამარცხებდა, რომ ერთ უბედურ შემთხვევას არ ელალატნა. ერთხელ ის თურმე ტანს იბანდა მდინარეში; ტანის დაბანის დროს ეს ᲯᲐᲕᲘᲡ პერანგი მისთვის წყალს წაურთმევია, რის შემდეგაც მას მისივე პირადი მტერი ჰკლავს. ხალხისავე ცნობით ხსენებული ციხე თორღვას აუშენებია სოფელ ანატორის ქვებით. მას იმდენი ხალხი ჰყოლია იმ დროს, რომ მუცუდან დაწყებული სოფელ ანატორამდი ჩაუმწკრივებია და ქვის ხელიდან-ხელში გადაცემით ციხე ერთ დღეს აუგია.

მუცუდან მიდიხართ წინ და თვალს ავლებთ წარმტაც არდოტის ᲮᲔᲝᲑᲐᲡ. დასცილდებით მუცუს, თანდათან უახლოვდებით მეორე ხარისხოვან სიმაგრეს— შატილს. სანამ შატილისაკენ მიაპყრობდეთ დაინტერესებულ თვალს, მის მოხვეულში მარᲯᲕᲜᲘᲡ მხრისაკენ კლდის მკერდი ჩაგიხვევს თავის სიღრმეში. ეს კლდე შატილიონების ერთგული, ფხიზელი და ფრთხილი დარაᲯᲘᲐ ბუნებისაგან დანიშნულ საგუშაგოზე. იქვე მარცხნივ უკვე ხსენებულ თანამგზავრ ქედის სიპოვანი ბოლო დგას, რომელზედაც ᲮᲣᲗᲘ აკლდამაა აგებული. წყლის დაყოლება ბილიკს სტოვებთ და ცოტა აღმართს შეუდგებით, რომლის მანძილიც რამდენიმე საᲟᲔᲜᲘ უდრის. ამ აღმართის ბილიკი ჩქარა აივაკებს, ხსენებულ სიპოვან ბოლოს გადასპრის მარᲯᲕᲜᲘᲗ, მარცხნივ კი ხელუხლებელ ტყეს, რომლის შევაკებულ მწვერვალზეც ძლიერი ხატის სამრეკლო დგას და სადაც ᲯᲘᲮᲕᲔᲑᲘᲡ ფარა თავისუფლათ დათარეშობს, ამ ადგილას მათზე ნადირობა შატილიონებს ხატისაგან აკრძალული აქვთ. აქვე ყოველი მგზავრი ერთი წამით შეისვენებს, აკლდამებს დაათვალიერებს და შემდეგ დაეშვება აღნიშნული აღმართის თანაბარ დაღმართში, წამშივე დაივაკებს პირდაპირ შატილისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკზე, იქვე მარᲯᲕᲜᲘᲗ მდინარე არღუნის გაღმით სტოვებთ სოფელ ანატორის, ძველ ნანგრევებს და პირს იზამთ მგზავრის დროებითი სარეზიდენციო ადგილისაკენ—შატილისაკენ. მდინარე არღუნის პირზე მიმავალ ვიწრო ბილიკს მიჰყვებით, მარᲯᲕᲜᲘᲗ თვალი ჩერდება იმ ბუნებრივად ჩამწკრივებულ კონუსისებრივ ბიᲯᲒᲔᲑᲖᲔ, რომელნიც საუცხოოთ იცავს მდ. არღუნის მარᲯᲕᲔᲜᲐ ნაპირს პერიოდულ წვიმის, ჩამონგრევისაგან. ასე რომ ეს ლამაზად ჩამწკრივებული კონუსები მოგაგონებთ თანამედროვე ტეხნიკის საუცხოო ნიმუშს და ფიქრობთ, რომ ბუნება შეუდარებელი ხელოვანია. სოფელ ანატორიდან დიდი მანძილი არ არის შატილამდე, იგი დაახლოებით უდრის სამ კილომეტრს. ეს სამი კილომეტრის მანძილი თით-

*) ცხროება ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲣᲚᲐᲓ ნიშნავს ᲙᲐᲜᲙᲐᲚ-ᲪᲐᲮᲪᲐᲮᲡ.

ქოს გაუთავებელი ხდება, როდესაც დაინტერესებული მგზავრი იჩქარის შატილის ნახვას. ამავე დროს გინდათ მოთმინებისაგან თავი შეიკავოთ, მაგრამ ყველა ამ სურვილების დაგროვებაში თქვენ უეცრივ თავს ამოყობთ პირდაპირ შატილში. ეს იმიტომ ხდება ასე მოულოდნელათ, რომ თვით შატილი ისეა მომწყვდეული ახლო მდებარე მთის კალთებში, რომ სანამ სულ შიგ არ შეხვალთ, მანამ თქვენ ვერ შეამჩნევთ თუ თქვენს ახლო სადმე ხალხით დასადგურებული სოფელი არსებობს. აქ ცხადათ აშკარავდება ის სინამდვილე, რომ საქართველოს მეფეები საზოგადოთ საუცხოვო სტრატეგები ყოფილან სამხედრო მოქმედებაში.

სანამ თვით შატილის აღწერას შეუდგებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ მეორე გზა მისკენ მიმავალი. ორ-წყალთან რომ მიხვალთ, თქვენ არ უხვევთ არც მარჯენივ, არც მარცხნივ — პირდაპირ გახვალთ ფშავის ხევიდან ჩამომდინარე არაგვში და შეუდგებით გადმოღმა ხევსურეთის ათასგვარად მიხვეულ-მოხვეულ ხეობას. პირველად მხარმარცხნივ ძირში გაუვლით მთა-კორტოხზე წამოდგმულ სოფელ მაწმაოს, ერთად-ერთ ვაკე სოფელს ბარისახოს, შემდეგ სოფელ ღულს, გადაეშვებით უფსკრულოვან ღელეებში და მიადგებით გადმოღმა ხევსურეთის უკანასკნელ სოფელ ხახმატს, იქვე ვეძის წყალზე ცოტას შეისვენებთ და შეუდგებით ველკეთილის დიდი აღმართის ვიწრო ბილიკს, ერთი საათის შემდეგ აივაკებთ თვით ველკეთილზე, აქ მის გაშლილ მწვანე მკერდზე თქვენს ფილტვებს საუცხოო წალკოტის ჰაერით აზიარებთ. სიმძიმისაგან განთავისუფლებული სხეული საარაკო სიმჩატეს იგრძნობს და სრულიად გალაღებული დათვის ჯვრის მთის ვერტიკალურად დაკიდულ ვიწრო ბილიკს შეუდგებით. ორი საათის შემდეგ ხსენებული მთის უღელტეხილს მიაღწევთ და ცოტას შეჩერდებით და დაეშვებით წუბროვანის დაკიდულ ვიწრო ბილიკზე. კარგა ხნის შემდეგ სოფელ ლებაისკარის ჭალაზე გახვალთ. ამ სოფელში შესანიშნავი არაფერია გარდა იმისა, რომ დგას ერთი პირამიდალურად აწვეტილი ნიში ე. წ. ლეკის ციხე. აქედან დაწყებული სულ გაშლილი ჭალებია 12 ვერსის მანძილზე, რომლის სისწორეს ხანდახან რელიეფურად ამოზნექილი მწვანე გულ-მკერდი არღვევს ხოლმე. გაივლით სოფელ ლებაისკარის ცოტა მოშორებით ს. გუროსაც. ეს გაშლილი ველი თითქოს შეუმჩნევლად გადადის ვიწრო ხეობის ვიწრო ბილიკზე, რომლის დაკიდულ ფერდობებზედაც ჭა-იქ ფიქვნარსაც შეამჩნევთ. კარგა ხანს ივლით და უეცრივ მარჯვნით ძველი ციხის ნანგრევ კედლებს მიადგებით. გაიცვლით კიდევ ორ ნაბიჯს და სრულიად შეუმჩნევლად შატილის ძირს ამოჰყოფთ თავს. აქაც იგივე მდგომარეობა გზის შემპარაობისა, რაც პირველი გზის მიმართულებით. შატილის მიდამოს გარშემო, რომ მიიხედ-მოიხედავთ დარწმუნდებით რომ მას, გარდა ამ ორი გზისა, სხვა მისავალი გზა არა აქვს.

შატილი გახლავს სოფელი, რომელიც, ვებერთელა სიმაღლეზე წამოსკუპებულის ქვის სახლებისაგან შედგება. იგი ძველად ნამდვილ სიმაგრეს წარმოადგენდა და მას მტერი ვერას აკლებდა. შუაგულ სოფელში ორი ნიში სდგას, თუმცა უნდა ითქვას, რომ თვითეული შატილიონის სახლი ფაქტიურად ნიშს წარმოადგენს, მაგრამ ამ ორში ამჟამად არავინ არ სცხოვრობს. ერთი მათგანი ხელუხლებელია და ისევ ამაყად დგას, ხოლო მეორე ცეცხლისაგან არის გაწითლებულ-გარუჯული და კედლები ნახევრად ჩამონგრეული, ამაში იმალებოდა

საქართველოს უკანასკნელი მეფის მემკვიდრე ალექსანდრე ბაგრატიონი. მას სდევნიდნენ; როგორც შინაური არევდარევის მატარებელნი, ისე ახლად გაბატონებული რუსეთის თვითმპყრობელის თვითნება ბიუროკრატები. ამ უკანასკნელის ბრძანებით წაუკიდეს ცეცხლი იმ ნიშს, სადაც ალექსანდრე იფარავდა თავს. ალექსანდრე ბატონიშვილს სიგელი უბოძებია შატილელებისათვის, რომელსაც აქვე ვათავსებთ.



სურ. 27. წყალობის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისა. სოფ. (შატილი).

სოფელი შატილი 50-ი კომლისაგან შესდგება. თვითეული სახლი კლდეზე დგას და არის ერთმანეთზე მჭიდროთ მიჯრილი. სახლი ყველა ქვისაა. თვითეულ სახლს ფარული გადმოსახედი აქვს მტრის დასაზვერავად. რამდენიმე მოსახლეს საერთო შესავალი აქვს, რომლებიც ერთი მეორეში სახლსა და სახლს შუა დადგმულ მოკლე ხიდებით გადადიან, ანე მეორე და მესამე წყებაც შატილიონებისა. სახლების უმრავლესობა ორ-სართულიანია. პირველ სართულში ზამთრობით მთელი ოჯახი საქონლით სცხოვრობს, ხოლო მეორე სართული, ჭერხო, ავეჯეულობის შესანახად აქვთ. მათი სიმდიდრე, როგორც ყველა ხევსურისა შედგება ნოხ-ფარდაგის, სპილენძეულობის და საქონლისაგან. ვისაც ესენი ბევრი აქვს, მდიდარს ეძახიან, ზოგს მაგალითად 40, 20 და 60 სული ძროხაც ჰყავს, იმოსებიან საზოგადოდ ხევსურული ტანისამოსით, თუმცა ზოგიერთ მათგანს ქრისტურათ ჩაცმულსაც ნახავთ. აქ ტანისამოსი არეულია, რაც უცხო თვალს ძლიერ ეჩოთირება.

წამს დაფიქრდებით და ამბობთ, რომ აქ შატილიონებს შეპარვიათ გადაგვარების ნიშნები. ისინი ისევ ძველ წერტილზე ჰრიან გაყინული: არც ძველი ისტორიული სახე და არც ახალი სურვილი განათლებისა—აი თანამედროვე

მდგომარეობა შატილიონებისა. შატილის წინ ჩრდილოეთისაკენ მიმდინარე წყალი ჩამორბის, რომელსაც ქვემოურები (ქისტები) არღუნს ეძახიან. კიდევ ანკარა მდინარე მოჩქრიალებს, რომელიც მღვრია არღუნს უერთდება. აღმოსავლეთით უკვე ხსენებულ ციხის ჩამონგრეული კედლები სდარაჯობს, ერთ დროს იგი მტერს მრისხანედ წინ გადაუდგებოდა, შატილში შემომსვლელ შემპარავ მტერს გზას გადაუკეტავდა. სამხრეთით გაშლილი საუცხოო ვაკე-მინდორია, რომელსაც წინ ბუნებრივი კარჩხლოვანი ჯებირი ამაგრებს და მტრებს შატილის ეზოში ჩამოხედვის ნებას არ აძლევს. ამ ვაკე ადგილს ორი ამოზნექილი მომაღლო გორაკი დგას, რომელიც თითქოს ხელოვნური ბაღითაა გაშენებული, განსაკუთრებით პირველი, რომელზედაც ხატის სამრეკლო დგას. აქ ხშირად იყრიან თავს შატილიონები და ზარს რამდენიმეჯერ ჩამოჰკრავენ გასამხნევებლად. ეს სამრეკლო ოდესღაც მტრის შემოსევის სასიგნალო ყოფილა. ეს მშვენიერი შემოსავლიანი ადგილები ახლა ხატების საკუთრებას შეადგენს, მათ ხატების სასარგებლოდ ამუშავებენ შატილიონები და მთელი წლის მანძილზე ნაწილ-ნაწილად ყოველ დღესასწაულზე დროს გასატარებლათ ხარჯავენ ხატის მამულის მთელ შემოსავალს. ასე, რომ, ამ მამულით სარგებლობა რომელსამე კერძო ოჯახს არ შეუძლია, იგი ფაქტიურად მთელ სოფელს ეკუთვნის და მის დამუშავების: დათესვის, მომკის თანაბარ გაანაწილების ფარგლებში ერთგვარი პრიმიტიული სახის კომუნა არსებობს.

ასეთი პირველყოფილი წესი და ადათი არა თუ შატილელებში (შატილიონებში), არამედ მთელი ხევსურების ცხოვრებაში ტრადიციულად არის შემუშავებული და განმტკიცებული.

შატილის გალმით, ჩრდილოეთის მხარეს ისევ მაღალი მთაა, რომლის დაკიდულ ფერდობებზედაც სახნავ-სათესი მიწის ფენათა ნაკრები ჩანან, სადაც ახლად აქოჩრილ ჯეჯილს ნელი სიო არხევს. ამ ფერდობების დაფენებაზე კიდევ საკმაოდ გაშლილი მინდორია, რომლის ბოლოზეც ისევ ხატის სამრეკლო დგას და რომლის თავშიც განსაკუთრებული საერთო არაყის სახდელი არის გამართული. ეს სახნავ-სათესი ვაკე ითვლება ხატის მამულად, წლიური შემოსავალი მის დღესასწაულებზე იხარჯება. მკითხველი აქედანაც დაინახავს, რომ საუკეთესო ადგილები შატილის მიდამოში ეკუთვნის სხვადასხვა სახელწოდების ხატებს. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ხანაში მთელ ფშავ-ხევსურეთში ხატები უტყვნ, მაგრამ ამავე დროს საშინელი, მრისხანე მბრძანებლებია, რომელთა უძრავი გამომეტყველებაც შიშის ზარს სცემს ყურ-მოჭრილ მონებს, ფშავ-ხევსურებს. ხევსურეთში ბატონყმობის საშინელი უღელი არ განუცდიათ, მაგრამ სამაგიეროდ ცრუ მორწმუნეობის ყმები გამხდარან.

შატილიელთ აქვთ საკვირაო, თავისუფალ დროს გასართობი, ადგილი,რომელსაც საფიხნო ჰქვია და სადაც მოხუცი თუ ახალგაზრდა თავს იყრის ყოველ საღამოს ყოველ კვირას. შატილელები სწორეთ მით განირჩევიან სხვა კუთხის ხევსურთაგან, რომ მათ აქვთ თანამედროვე კლუბის მზგავსი, აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის და სასაუბრო ალაგი, სადაც ისინი, გარდა თავისუფალი ლაყბობისა, თავს იქცევენ მსუბუქი საოჯახო ხელ-საქმიანობით: გრეხენ თოკს, ისხავენ ქალამნებს ჯღანს და სხვა. ამ საფიხნოში ძევს ქვიჯასავით ამოკვეთილი მრგვალი ქვა, რო-



სურ. 28. საფიხნო (სასაუბრო) სოფ. შატილში, სადაც შატილიონები კვირა-უქმე დღეს ისვენებენ, მსუბუქ ხელსაქმიანობას ეწევიან და თან ერთობიან.

მელშიაც შატილელები თოფის წამალს ამზადებდენ წინად. აქ-სხვათა შორის წყდება მრავალი სასოფლო საკითხებიც, როგორც სადაო ხასიათისა, ისე სათემო. შატილიონების ცხოვრებაში საინტერესო ის არის, რომ მათ ერთგვარად თავი მოაქვთ. მაგალითად, არდოტის ხეობაში მცხოვრებ ხევსურს შატილელები ქალს არ მიათხოვებენ. თუ მაინცა და მაინც მიათხოვეს—მხოლოდ დიდი ხვეწნისა და სასიძოს შეუბრალებელი დაბეგვრის შემდეგ. თუ არდოტის ხეობიდან ვინმე შატილიონმა წამოიყვანა ქალი, ეს სახელი იქნება მათთვის. მეორე მხრივ შატილიონები თავისი საქონლის მწყემსობას არ კადრულობენ, რომ ვინმე მათგანი გავიდეს მწყემსად, ამას დიდ დამცირებად მიიჩნევენ. ამისათვის ისინი მწყემსად ქისტის ბიჭებსა და ქალებს ქირაობენ.

ქისტებსა და შატილის თემის ხევსურებს ხშირი მიმოსვლა აქვთ ერთმანეთში, რის გავლენითაც უმრავლესობა გადადმა ხევსურებისა ქისტურად თავისუფლად ლაპარაკობს და ზოგს ტანისამოსიც მათებური გადმოუღიათ. შატილიონების საფიხნოში დედაკაცებს ნება არ აქვთ შევიდნენ.

იქვე ორი წყალი უერთდება ერთმანეთს. ამ მდინარეთა შეერთების დასაწყისში უკვე ზემოთ აღნიშნული მაღალი ქვის ბოლოა აკუზული, რომლის უმნიშვნელო ვაკეზე ხუთი აკლდამაა ჩამწკრივებული და რომლებიც შეცდომითაა წოდებული ანატორად. ის ადგილი, სადაც ხსენებული აკლდამებია აგებული, ჩარიცხულია სოფელ ანატორის ნანგრევების ფარგლებში და ამიტომაა, რომ მას

თვით ადგილის სახელწოდების მიხედვით, სრულიად ბუნებრივათ, შატილიონები უწოდებენ ანატორას.

ანატორის აკლდამები მოთავსებულია ვეებერთელა ქედის გაგრძელებულ სიპიან კუნძულზე, რომელსაც ორივე მხრიდან კარგათ მოზრდილი მდინარეები ჩამოუდიან და იქვე ქმნიან ერთს დიდ მდინარეს—არღუნს. შატილიონთა გადმოცემით, ეს აკლდამები აშენებულია განსაკუთრებულ პირობებში, სახელდობრ, სოფელ ანატორაში შავი ჭირი გაჩენილა, რომელსაც მოსახლეობა სრულიად გაუწყვეტია, გარდა ერთი ბავშვისა, რომელიც შემთხვევით ამ დროს სადღაც სხვა კუთხეში ყოფილა, გადარჩენილა მისი მოდგმაც რომელიც ახლა შვიდ კომლამდე აღწევს შატილშიო. ეს აკლდამები აგებულია იმ ჭირის დროს დასოცილი ხალხის დასამარხავადო. აკლდამებში რომ შეიხედავთ, თვალ წინ აუარებელი ადამიანთა ჩონჩხები წარმოგიდგებათ. როგორც მუცუ'ს აკლდამებში აღვნიშნეთ, ისე აქაც შეგვხვდებათ დამდგარი ადამიანის მთლიანი ჩონჩხი, რომელსაც ძვლებზე

სურ. 29. სოფ. ანატორის ნანგრევებთან, აკლდამიდგან გამოტანილი ადამიანის ჩონჩხი, რომელზედაც ტანისამოსი ჯერ ისევ შემონახულია.

მხოლოდ გასიპული კანი და იოგები შეჰრჩენია და რომლის საშუალებითაც არის შეკავებული ყველა სხეულის სახსრები. ამ მიზეზით ჩონჩხს შეჰრჩენია მთლიანობა. ზოგიერთ ჩონჩხზე ტანსაცმელის ნაფლეთებიც ჰკიდია, რომელიც გაპოხილა კუნთების გახრწნის პროცესში. აკლდამებში შეამჩნევთ კუბოებსაც, როგორც მუცუს აკლდამებში, ისე აქაც შეამჩნევთ ბავშვების აკვნებს. თვითეული აკლდამა ეკუთვნოდა სხვადასხვა გვარეულობას, აკლდამებს აშკარად ემჩნევა სხვადასხვაობა: ზოგი საგანგებოდაა აგებული, ზოგი კი ნაკლებად, მაგრამ ეს უფრო ნათლად მოგზედებათ თვალში ს. მუცუში. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს ანატორის აკლდამები მართლაც გაკეთებული იყოს ეპიდემიური სენის დროს. ყველა აკლდამა, რომლის ნაშთებს ხევსურეთის ყოველ სოფელში და აგრეთვე ფშავშიაც შეჰხვდებით, ძველებური ტიპის სამარხებია.

ომის დროს დახოცილ ხალხსაც აკლდამებში მარხავდენ, როგორც ამას გვიჩვენებს შემდეგი ლექსი, რომელსაც ხევსურები ძველ სიმღერას უწოდებენ:

აკალდამები შეევავსეთ თქვენის ნახოცის მკვდრითაო.

აკალდამაის კარები--ქალთა ნაგლეჯის თმითაო.

ამ ჟამად ხევსურები არავითარ შემთხვევაში არ ხმარობენ აკლდამებს, არამედ უკვე ჩვეულებრივი სასაფლაო აქვთ.

ბ). არხოტის მხარე.

არხოტისაკენ ორი გზა მიდის. ერთი მიემართება გადმოღმა ხევსურეთის ხეობით, გაივლით სოფელ როშკას, ან სოფელ ბლოს. გადაივლით ე. წ. როშკის, ან ბლოს მთას, რომლის მწვერვალს ხშირად კასპის, ან შავი ზღვის რუბ-ლეგა ფერის ნისლი წაეფარება ხოლმე თავზე და ისე ეგიბნევს გზას, რომ წამსვე ბურუსიან წყვდიადში იგრძნობთ თავს.

ამ მთის მწვერვალზე რაღაც ისეთ სამარისებურ სიჩუმეს იგრძნობთ, რომ თავი გგონიათ არა მაღალ მწვერვალზე, არამედ სადღაც უფსკრულისებურ გვირაბში, რომელსაც ათასი კილომეტრის სიმაღლე მთა აწევს თავზე.

აქ გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეს ხანდახან მხოლოდ შურთხის წყნარი წიავ-წიავი არღვევს ხოლმე. ამ საამო წკრიალა ხმაზე გინდათ მოიხედოთ, რომ დაინახოთ ეს გასაოცარი სიფრთხილის მთის ფრინველი, რომელსაც მონადირე ადამიანი ძნელად მიეპარება მოსაკლავად. ამ მთის აწვეტილ კორტოხიდან დაეშვებით ფერდობზე ციცრცლოვანის ხეობის ფერდობზე რომელზედაც მხოლოდ მეჩხრად ამოსულ დეკას (მთის შკერს) თუ შეამჩნევთ, მეტს ვერაფერს. ხშირად დარჩენილ თოვლის ზოვებზე გადაივლით. საათის შემდეგ გამოჩნდება ვიწრო ბილიკი სწორედ იქ, სადაც ჯუთის მთიდან მომავალი გზის თეთრი ლარი უერთდება მას. აქ ორი სხვადასხვა კუთხის გზა ერთდება და პირდაპირ მიემართება არხოტისაკენ. ჯუთის მთით შეიძლება გადახვიდეთ ყაზბეგში, ისე, როგორც ამავე ხაზით შეიძლება გადმოხვიდეთ არნოტში. ამ გაერთიანებული გზის მანძილზე უცხო თვალს ბუნების მდიდარი სხვადასხვაობა სჭრის თვალს. არხოტთან მიახლოვებას მით იგრძნობთ, რომ აქა-იქ მსხვილფეხა საქონელს შეამჩნევთ. გარემო სურათი მხოლოდ ამით შეიცვლება: გზის ორივე*) მხრის მოფენებზე საქო-

*) ეს ორი გზა ე. წ. სალუქვის წყალთან ერთდება.

ნელი ბალახობს, მაგრამ დაუბალოვდებით თუ არა არხოტს, წინ ბუნებრივი კარჩხლის კედელი (ჭიმლის კლდე) აგეტუზებათ. ცოტას კიდევ გაიელით და იქვე უფრო დაკიდულ გზაზე დაეშვებით. ეს არის უკანასკნელი დაღმართი, რომელიც უცბად არხოტის ხავერდოვან ვაკეზე ჩაგიყვანს. აქვე აწვეტილი ოთხკუთხი ნიში დგას, რომელიც ახლაც არხოტიონების პირველი სადარაჯოა. ერთს მის წაისრულ თავს აჰხედავთ, გაიელით ორ-კომლიან სოფელს კვირწმინდას და თქვენს თვალს საამო სურათი გადაეშლება წინ. ეს არის მთლიანი არხოტი.

ეს კუთხე მით არის მიმზიდველი, რომ მას რაღაც თავისებური, ორიგინალური გამოხატულება ახასიათებს. მისი იდილიური სილამაზე საერთოდ განყენებული მცენაა და ამიტომ იგი იტევს ათასგვარ სხვადასხვაობას თავის ფარგლებში. ამისდა მიხედვით ვამბობთ, რომ ამ ლამაზ სხვადასხვაობის საზღვრებში არხოტი პირველ რიგში სდგას. აქ დავისვ ნებთ. დაკვირვებით მიმოიხედავთ გარშემო, ცნობისმოყვარე თვალი საოცარ მშვენიერებას ამჩნევს არხოტის მიდამოებში. აქ ყველაფერი თავის ადგილას არის. და ხალხშიც რაიმე ზნეობრივ წარღვნას ადგილი არა აქვს—ეს ალბად მიეწერება იმას, რომ ჯერ ერთი აქაური ხალხი ბუნებრივად არის დაჯილდოებული, და ახლა კიდევ სხვა ხევსურებზე უფრო მისდევს განათლებას. ამისათვის არხოტი წინ სდგას ხევსურეთის სხვა კუთხეებთან შედარებით.

არხოტის ბუნებრივ ადგილმდებარეობას რაღაც თავისებური, განსაკუთრებული სილამაზე ამკობს. იგი ოდნავ ჩავარდნილი ადგილია და მომწყვდეულია ოთხ მაღალ მთის კედლებში, ეს მთები ვეება გუმბათებივით აწეულან ცის სივრცეში. ამ მთათა გუმბათის ქვეშ პინადრობს ოთხი სოფელი: ახიელი, ამღა, ჭიმლა და კვირწმინდა, ყველა გაშლილ ვაკეზეა გაშენებული. მათ შორის ორი უფრო დიდი სოფელია—ახიელი და ამღა. ყოველ სოფელს ჩვეულებრივად სდარაჯობს მტკიცეთ აგებული ციხე. ხსენებული სოფლები კილომეტრ-ნახევრით დაშორებული არიან ერთმანეთზე, დაახლოებით. ასე რომ, მათ გაჭირების დროს დიდი ძებნა არ სჭირიათ ერთმანეთის. ამ სოფლების მთელი მოსახლეობა დაახლოებით შ სდგება 80-ი კომლისაგან. არხოტის კოხტად გადაშლილ ველს კარგათ მოზრდილი ანკარა მდინარე ჰყოფს, რომელიც ცისფერ ზოლივით გადაჰკვრია მის ოდნავად გადახრილ დაფენებებს.

არხოტს არაჩვეულებრივი ბუნებრივი სიმაგრეები აკრავს გარშემო და თავის შინაარსიან მრავალფეროვანებას არავის უთმობს. თქვენ არ იცით საიდან მიუდგეთ ამ ბუნებრივ მრავალფეროვნებას, რომ არც ერთი მისი სილამაზე არ გამოგრჩეთ და უკლებლივ ასწერო ის. თვით ბუნება თავისუფალი ხელოვანია თავისივე სიმდიდრის გამოქანდაკებაში და საკვირველია, რომ მას აქ, არხოტის არე-მარეში განსაკუთრებით მოუცლია. დასავლეთ-სამხრეთით არხოტს ფარავს გასაოცარი სილამაზის ბუნებრივი სიპის კედელი, რომელიც მუდამ თოვლით შელესილ კავკასიონის მაღალ ქედებივით გაწოლილა ამოზნექილ მთის ზურგზე.

ეს თითქმის წამოფერდებულია არხოტისაკენ და გგონიათ, რომ მას ყოველ წამს სურს ლამაზი არხოტი გულში ჩაიკრას. ფართო ძირი კი ირიბათაა გადგმული კლდის მაგარ საფუძველზე. დასავლეთით ისევ თვალუწვდენელი კლდოვანი კარჩხები. ამ კარჩხლოვან მთას არხოტიონები უწოდებენ კიდეგანას,

რომლის წაისრულ მწვერვალსაც რამდენიმე ბუნებრივი ფანჯრები აქვს, საიდანაც დასავლეთის თბილი ჰავა შეიჭრება ხოლმე არხოტის ეზო-მიდამოში. ეს დაკიდული კლდოვანი კარჩხლები ჯიხვების ბუდეა, მათზე არხოტიონები ხშირად ნადირობენ.

ამის დასახასიათებლად მოგვყავს ლექსი:
ვეფხვის და მოყმისა (ხევსურული).

მოყმემ თქვა პირში—შეელამა
შიშნ გავიარენ კლდისანი
მონადირენ დავლახენ
ბილიკნი ჭიუხისანი;
შამომხვდეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი,
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა
ჭალას ჯახნ იკნენ რქისანი,
შავვარდი ვეფხვსა ნაწოლსა
დრონ იყვნენ შუღამისანი.
შაიბნენ ვეფხვი მოყმეი,
მაშინ დაიძრეს მიწანი,
კლდეები ჩამაანგრიეს
შტონ დაილეწნეს ტყისანი.
დრო აღარ დარჩა მოყმესა
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი,
ფარსა უფარავს, ვერ ჰფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი
გაზით გაართვნა კალთანი
ჯაქვისა ჯავშანისანი
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი
მაშინ გაუკრა ფრანგულმა
დრონ იყვნენ წაქცევისანი.
ვეფხვი კლდეთ გადაეკიდა,
ჩაეააწითნა ქვიშანი
ქვიშას მიღებავს წითლადა
სისხლი ზედ ჩამომდინარი.
ნუ ეტყვით მაგის დედასა
კარს უსხედს ქადაგ მკითხავნი
უერთოდ კი ბრ დაიხარჯნეს
ჩვენ მონადირნის ისარნი.
იარებოდა დედაი ტირილით
თვალ ცრემლიანი:
ჩვენ შვილს გზას ვეფხვი შაჰყრია,
გაჯავრებული ტიალი

ჩემს შვილს ხმლით, იმას ტოტითა
დღე დაუღამდათ მზიანი:
არც ვეფხვი იყო ჯაბანი
არც ჩემ შვილ შეახვდა ჭკვიანი,
მათ დაუხოცავთ ერთურთი,
არ დარჩნენ სირცხვილიანი.
ტირილით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით დაკრილსა,
შვილო, არ მეჰკვდი, შენ გძინავ
დაქანცული ხარ ჯაფითა
ეს შენი ჯაჭვის კალთები
ოხერმა როგორ დაფლითა
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ
ხმალი ქნევაში გაგიცვდა
არც იმან მოგცა მეტი დრო
აღარც შენ დააცალია
ვეღარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაკერი ფარია,
ვეღარცა ვეფხვმა ტოტებით
ხმალმა დაკუწა ძვალია,
მაგრამ მეტს აღარ გიტირებ
შენ არ ხარ სატირალია
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს
ეგეც სამარის კარია.
ხან ვეფხვი ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეით აჰყის რკინასა,
ხან კიდენ იმისი შვილი
ვეფხვს გადააგლეჯს ყირასა.
აი ამ სიზმრებს ხედავდის
გამაელვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა უდედოთ
გაზდა ვინა თქვა შვილისა.
იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მეტადა სტირისა,
წავიდე, მეც იქ მივიდე
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა
მეც უთხრა ჩემის შვილისა
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაკრილისა.

აქვე პატარა, მეტად ცქვიტი მდინარე მოჩხრიალებს, რომელიც ხანდახან ისეთი გიჟია, რომ ხშირად კლდიდან მოხეთქილ ვეებერთელა ქვებს ადვილად მოაგორებს.

ეს ჩხრიალა პატარა მდინარე სოფელ ახიელს გვერდზე ჩამოუდის. მის კიდე-ნაპირებზე ცალთვალა წისქვილებია ჩამწკრივებული. აღმოაღლეთით არხოტს აკრავს ამწვანებული ფართო მინდვრები „ატეხილი“ ჭალებით. ეს ფართო ჭალა ქვევითკენ თანდათანობით ვიწროდება და ბოლოს გადადის იქ, სადაც იწყება არხოტის ჭალა, ანუ ასის ხეობა. აქ გზა თითქოს იკეტება. მაგრამ იქვე მოუხვევთ და საუცხოო ხეობის ხვეულებში გახვალთ. გაივლით ცოტას და თვალს საოცარი სიმაღლე გადაეშლება წინ: მოპირდაპირე კლდე ბის გულმკერდი ისე შესცქერიან ერთი მეორეს, თითქოს მხურვალე ამბორისათვის ემზადებიანო. აქ ერთი წამით დაფიქრდებით: „ნუ თუ უტყვი ასე ამეტყველდება“? და შემდეგ დარწმუნებით ამბობთ: „ზოგჯერ უტყვი ბუნება მეტყველზე უფრო მეტყველია“. გაივლით ეროსისა და ფსიხეას ხეობაში და გაივლით წინ თუ არა, ცოტა განსხვავებით იგივე სურათები განმეორდება. დამშვიდებული, მომღიმარე გულ-მკერდიანი მოპირისპირე კლდეთა წყება რაინდებივით ჩარაზმულან. აქედან გაჭყვებით ჭალას და გამოჩნდება სამხრეთით მდებარე მაღალი მთის საირმოს მწვერვალი, იგი საძოვარი მთაა და ამავე დროს არხოტის მცველი კედელია იმავე ხაზზე. შუაზე მას დაბალი ჯიშის ტყე მიჰყვება. აჭა იქ ფიქვნარსაც შეამჩნევთ განსაკუთრებით სოფელ ამღას მიფენებაზე. არხოტის ჭალის შესავალი არხოტიონების საგუშაგოა, სადაც ისინი ხშირად სდარაჯობდენ მათზე დაგეშილ შეჩვეულ მტრებს—ქისტებს. როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ მთის ძირებში საუცხოო წყაროები ამოჩუხჩუხებენ. აქედან ივლით და მიადგებით ასის ხეობის შესავალს, სწორეთ იმ ადგილას, სადაც კალოთანისა და ახიელის წყალი ერთმანეთს ერთვიან. მათ ულელტეხილზე მაღალ კლდეს შეამჩნევთ, რომელზედაც პატარა ქვის შენობების ნანგრევები მოსჩანან. აქ ოდესღაც სოფელი ყოფილა. არხოტიონები დანამდვილებით ამბობენ, ხსენებულ სოფლის ნანგრევები ორბელიანთა ნასახლარიაო. ისინი გვარწმუნებდენ, თითქო ორბელიანები ამ ადგილიდან გადასახლებულიყვნენ, რადგანაც მათ თოვლი არ ასვენებდათო. გადასახლების დროს ერთ მათგანს უთქვამს: „ჩვენ აქედან გადავდივართ არა იმიტომ, რომ ვაქაცობა არ შეგვწევს და თავს ვერ ვიცავთ, არამედ იმისათვის, რომ საქართველოს ისტორიაში კვალი გავაკლოთო“.

ორბელიანები ვითომც იმერეთში გადასახლებულან. ამის შესახებ ლექსიც არსებობს:

ადგეს წავიდეს ორბელნი იმერეთ წყალსა გახდესა,
იმას კი ვერავინ იტყვის: „არ იყვეს, იმით წახდესა“.

არხოტიონები სხვა ხევსურებთან შედარებით შეგნებულნი არიან. მას ჰყავს მისსავე წიაღიდან გამოსული ინტელიგენცია, რომელიც არც გადმოღმა ხევსურებს და არც შატილის მხარეს არა ჰყავს. ბევრმა არხოტში ქისტური იცის, მხოლოდ აქ მათ ზეგავლენას ვერ შეამჩნევთ. არხოტიონებში უფრო მოხევეების ზეგავლენას შეამჩნევთ, რაც იქიდან ჩანს, რომ მათი ქალები ძლიერ მოხდენი-

ლათ ცეკვავენ. ეს კი იშვიათია სხვა კუთხის ხევსურის ქალებში. საცხოვრებელი ბინები მათი იგივეა, რაც ყოველ განხევსურეთში, მხოლოდ ცოტა განსხვავებით. ზოგ არხოტიანს ბუხრიანი სახლიც აქვს, აქაც სამზარეულოსაც ჰნახავთ.

სიკვდილი და ცრუმორწმუნეობა.

ერთხელ ავადმყოფთან წაგვიყვანეს ს. ამღას. ავადმყოფი ახალგაზრდა მოწაფეა. მთელი არხოტის თემი თანაუგრძნობს მას. ავადმყოფის მდგომარეობა სერიოზულია. გავსინჯეთ და აღმოჩნდა ფილტვების მჭამელა ქლექი. ავათმყოფობა უკანასკნელ პერიოდში დგას, კავერნოზული პროცესი უკვე დაწყებულია. ფიქრი სიცოცხლის დაბრუნებაზე ამაო იყო. ავადმყოფის მომმე ინტელიგენტმა მკითხა: არის იმედი თუ არა—ჩვენ დაჯერების კილოთი უპასუხეთ, რომ ახალგაზრდა სიცოცხლე მჭამელა-ბაცილების კლანჭებშია და მისი გულის სარქვლები სამ დღეში სამუდამოდ შესწყვეტს მოქმედებას. როგორც კი ავადმყოფის ნათესავებს გამოუცხადეთ, რომ ჭდგომარეობა უიმედოა—მთელი არხოტის მოსახლეობა ცრუმორწმუნოების ხავს მოეკიდა. ხატში საკლავი მიიყვანეს შესაწირად, რათა მასს სამაგიეროდ სიცოცხლე დაებრუნებია უკვე განწირული ავადმყოფისათვის. ხევის ბერს ჭედილა უჭირავს მარცხენა ხელში, მარჯვენაში კი ხანჯალი. მთელი არხოტის დედაკაცობა დაჩოქილია ხატის წინ თავდახრით და ევედრებიან მას, რომ დაუბრუნოს სიცოცხლე ობოლას (ავადმყოფის სახელია). ხევის ბერი აღაპყრობს თავს მაღლა და შესძახებს: „ღმერთო მაღალო, ყოვლად ძლიერო, გვაჩუქე სიცოცხლე ობოლასი“. და ჭედილას ხანჯალს გაუყრის ყელში. „დიაცნო, ღმერთმა მიიღოს თქვენი ევედრება.“ და ყველა მანდილ მოხდილი მიწაზე დაიხრის თავს. ყველა სახლში დაბრუნდება იმ იმედით, რომ ობოლა მორჩება. ჩვენმა მეგობარმა ინტელიგენტმა გვითხრა: თქვენ რას იტყვით ამის შესახებ რომ ავადმყოფი მორჩეს? ამის გაგონებაზე უნებლიეთ გაგვეღიმა. ახალგაზრდა სიცოცხლემ მესამე დღეს შეწყვიტა სუნთქვა.

აქ მთავარი საარსებო წყარო, რა თქმა უნდა, მესაქონლეობაა, მოჰყავთ ქერის პური და სვილი (ქვავი).

ფშავ-ხევსურეთში განათლებული პირი იშვიათია. მთელ ხევსურეთს ჰყავს ხოლოდ ერთი ინტელიგენტი—თომა ბალიაურის სახით, რომელიც ხევსურეთში განსაკუთრებულ კულტურულ ძალას წარმოადგენს—ეწევა პროპაგანდას სისხლის აღების და სხვა ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ, ავრცელებს სწავლას და სხვა. ამ მხრივ იგი ძლიერ ნაყოფიერ შრომას ეწევა. ის თითქმის 6 წელია არხოტის კარჩხლოვან კედლებს არ გამოსცილებია. ერთი მარცხის გამო ის სრულიად გაირიყა საზოგადოებრივ ასპარეზიდან, თუმცა ასეთი კაცი ჩამორჩენილ ხევსურეთისათვის აუცილებელია და სასარგებლო. ძლიერ უყვართ ის მთელ ხევსურებს. ფრიად საგულისხმოა ინდივიდუალური სახე მისი, რომელიც ხოლერიული ტემპერამენტით ხასიათდება.

გვარები ხევსურეთში.

ხევსურეთში სამი მთავარი გვარი არსებობს ამჟამად: არაბული, გოგოლური და ჭინჭარაული. ამ გვარების წარმოშობის შესახებ ასეთი გადმოცემა არსე-

ბობს: ყოფილან სამნი ძმანი: არაბა, გოგოჭა და ჭინჭარა. ისინი ფხოდან (ახლანდელ შუაფხოდან) გადასახლებულან ხევსურეთში, სოფ. გუდანში. ამ სამ ძმათაგან წარმოიშვა სამი დიდი გვარი: არაბული, გოგოჭური და ჭინჭარაული.

როგორც ხალხი მოგვითხრობს, ხევსურების წინაპარნი ფხოელები ყოფილან, რომელნიც ფხოდან (ახლანდელი შუაფხო) გადასახლებულან ახლანდელ ხევსურეთის მიდამოებში—პირველად სწორეთ იქ ადგილას, სადაც დღეს სოფელი გუდანი მდებარეობს. ხევსურების გადმოცემით ამ სოფლის წარმოშობის ისტორია ასეთია: ერთი ფხოელი წასულა სანადიროთ ახლანდელ ხევსურეთის მხარეს—და იქ, სადაც დღეს სოფელი გუდანი არის, მოუკლავს გარეული ვერძი—ჯიხვი, რომელიც მოშეტებული მსუქანი ყოფილა, ვიდრე სხვა ადგილებში მოკლული. მონადირის შინაურები დაინტერესებულან ამ შემთხვევით და მოუფიქრიათ ასეთი რამ: თუ კი ნადირი ასე ზედმეტად მსუქანია ამ ადგილას, სულ ადვილი შესაძლებელია აქ პურიც მსუქნად მოვიდესო. ამიტომ მონადირეს სახლიდან ადგილის გამოსაცდელად გაატანეს ერთი ვერძის პუშტი სავსე ხორბალი დასათესად. მონადირე ასეც მოიქცა და ჭირნახულის მოსვლის დროს მან ერთი ქისის ხორბლის ნაცვლად ერთი დიდი გუდა პურის ხორბალი მოიტანა შინ. მონადირის შინაურებს მეტად გახარებოდათ ეს ამბავი და მაშინვე გადაწყვეტათ იქ გადასახლება. ისინი ყოფილან სამი ძმა, როგორც წინად აღვნიშნეთ: არაბა, გოგოჭა და ჭინჭარა. რადგან ერთი გუდის ხორბალმა გამოიწვია იქ დასახლება, ამიტომ მას დაარქვეს სახელად გუდანი; ამას ძველთა-ძველი ლექსის ორი სტრიქონიც ადასტურებს:

„ერთმა ვერძისა ქისამა,
გუდა შეექმნა და გუდანა“.

უკვე განზრახულ შეკითხვამდი, მოხუცმა ხევსურებმა დაამასწრეს და მითხრეს: „ეს ნამდვილ ამბავ არს, ნამდვილ“-ო. თვით ხევსურების გადმოცემის მიხედვით, ჩვ აღვნიშნე, რომ ამ სამი სახელიდან წარმოსდგა სამი ხევსურული გვარი: არაბული, გოგოჭური და ჭინჭარაული, რომლებიდანაც მთელი ხევსურეთის მოსახლეობის მეტი უმრავლესობა დღეს მათი მოდგმისაგან შესდგება. ამ სამ ძველ გვარეულობას ხევსურეთში თან მოსდევს ნაკლები სიძველის ორი გვარი; ესენი არიან: სოფ. ხორნაულთაში მცხოვრებნი ზარიძეები (ბაცალიგის თემში) და ლიქოკელები—იგივე სისოურები (ბარისახოს თემში). რაც შეეხება თვით ხევსურების ტომობრივ სახელწოდებას—იგი უნდა წარმოსდგებოდეს ორი სიტყვისაგან: ხევისა და ური-საგან, რაც ორივე შეერთებულად ნიშნავს რომელიმე ხევში მცხოვრებ ხალხს. თვით ური—საბა-სულხან-ორბელიანის ახსნით გულისხმობს რომელიმე მიდამოს სახელის დაბოლოებას, როგორც მაგალითად სადა-ური, იქაური, აქა-ური, მიწ-ური—მიწის სახლი, ხევს-ური—ხევის კაცი; ფშავის ხევი ფშაველი—ფშა*)—ნიშნავს წყაროს, რომელნიც მდინარის ახლო გამოდის. სწორეთ ფშავის არაგვის ნაპირებთან ბევრი გამოდის ასეთი წყაროა, რასთვისაც

*) ფშა—საბა-სულხან-ორბელიანის განმარტებით—ნიშნავს წყაროს რომელიმე მდინარის პირას გამომდინარეს. (იხილე ქართული ლექსიკონი ეროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედაქციით).

ამ ხეობას ხალხმა საშართლიანად უწოდა ფშავის ხეობა.—აქედან კი სახელწოდება—ფშაველები—ხალხი, რომელიც ფშავის ახლო ცხოვრობს.

როგორც თვით ხევსურები ამტკიცებენ, წმინდა ხევსურები სწორეთ ხსენებულ გვარების მატარებელნი არიან. მათივე გადმოცემით სხვა დანარჩენი გვარები, რომელნიც ამჟამად ჰრსებობს ხევსურეთში, სხვადასხვა დროს არიან გადმოსახლებულნი სხვადასხვა კუთხისა და ტომისაგან—ზოგი მთიელი, ზოგი მოხევე ზოგიც ქისტი და სხვ.

თემებისა და სოფლების მიხედვით გვარები ასეა განაწილებული ხევსურეთში

ბარისახოს თემში:

არაბული (სოფ. მოწმაოში, გველეთში, დათვისში, ბარისახოში და ჩირდილში).

ჭინჭარაული (სოფ. ბარისახოში, აკეხაში და უკანახოში).

გოგოჭური (სოფ. ბუჩუკურთაში).

ლიქოკელი (იგივე **სისოური**) (სოფ. ქობულოში, ბაგჩეილოში, აკუშოში და ციმხაში).

ქეთელაური (სოფ. სახილეში).

ბაცალიგოს თემში:

ჭინჭარაული (სოფ. გუდანში, ძეძერთაში და ჭიეში).

არაბული (სოფ. ზეისტეჩოში, წინხადუში, ბაცალიგოში, ხიტალეში, ჩხუბოში, აკნეში და უკან ხადუში),

წიკლაური და **ზარიძე** (სოფ. როშკაში და ხორნაულთაში),

გიგაური (სოფ. ბლოში),

ბურდული (სოფ. ქმოსტში),

ქეთელაური (სოფ. ბისოში),

ალუდაური (სოფ. ხახმატში),

ქისტაურები (სოფ. ღულში).

შატილის თემში:

ჭინჭარაული (სოფ. შატილში, ლებაისკარში და არდოტში),

გოგოჭური (სოფ. ქისტანში და გუროში).

არხოტის თემში:

ბალიაური (სოფ. ახიელში).

ოჩიაური „ „

ჯაბუშანური „ „

ციხკარაული „ „

ნაროზაული „ „

გაბური „ „

თეთრაული (სოფ. ჭიმლაში).

ვიგაური (სოფ. კვირწმინდაში).

ამგვარად, უმთავრესად შევეხეთ ხევსურეთში გვარეულთა, ასე ვსთქვათ, კლასიფიკაციას და აღვნიშნეთ მათი ძველთა-ძველი ძირითადობა. როგორც ვხედავთ—თვით ხევსურების მტკიცება იმის შესახებ, რომ არაბულები, გოგოლურები და ჭინჭარაულები არიან ყველაზე ძველი გვარები მთელ ხევსურეთში—ჩვენ მეფურ დაყოფაში კიდევ უფრო ცხადდება.

ახალუხალი

ხევსურ ახალგაზრდებს, როგორც ქალს ისე ვაჟს, აქვს ლამაზი საგამხნეო ჩვეულება. როცა ახალგაზრდა ხევსური ცოლს მოიყვანს, ჩვეულებრივ ქორწილის შემდეგ, პატარძალის პატივსაცემლად იმართება ლხინი, სადაც თავს იყრის მხოლოდ ახალგაზრდობა ორივე სქესისა და იმართება ცეკვა-თამაში, სიმღერა, ფანდურზე დაკვრა, მოსწრებული სიტყვებით ერთმანეთ-შორის გახუმრება და სიცილ-ხარხარი და თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებური ნამდვილი ახალგაზრდულ გრძნობათა ჭაკუნობია, ხალისიანი აზრით გაცვლა-გამოცვლა. ეს ხდება საღამო ჟამს, როცა დაბინდდება. დაიშლებიან გათენების ხანს, გარიჟრაჟზე. ასეთი მხიარული ღამის თევა ხდება მაშინაც, როცა ვინმე დიდი ხნით შორს წარსული შინ მშვიდობით დაბრუნდება ან ვინმე ახალგაზრდა ხევსური სადმე შორს მიემგზავრება, ანდა რომელიმე ახალგაზრდა ხევსურმა რაიმე გმირული საქმე ჩაიდინა. ხევსურული წესის მიხედვით ასეთ ლხინში მონაწილეობენ მხოლოდ უცოლო-უქმრო ხევსური ახალგაზრდობა. აქ მოხუცი ან ხანში შესული ხევსური მამაკაცები და დედაკაცები არ ჩაერევა; რადგან, მათ კარგათ იციან, რომ რადგანაც ხევსურ ახალგაზრდობას თავიანთი უფროსების ძლიერ ერიდებათ, ამიტომ მათი ჩარევით თავისუფალ ახალგაზრდული მხიარულება შეზღუდა, და ამით ნამდვილ ჭაბუკურ ლხინს ელფერი დაეკარგება. აი მაშასადამე, ახალმოყვანილი პატარ-ძლის პატივსაცემლად გამართულ საღამოს, ვინმე ხევსური ახალგაზრდის შორს გასაცილებელ ლხინის გამართავს ან ღამისთევაში ვინმემ შორიდან შინ დაბრუნებულისადმი მხიარულად შეხვედრ-დახვედრას ხევსურულად, ქვია ახალ უხალი (ახალუხლები).

სურ. 30. ახალგაზრდა ხევსურის ქალის ტიპი

ნაწილი მეოთხე

1) მკურნალობა ხევსურეთში*)

ამ თავში ჩვენ გავაშუქებთ ხევსურულ მედიცინას, განსაკუთრებით კი ქირურგიულ დარგს, რომელიც მთელი თავისი შინაარსით, როგორც ამას მკითხველი დაინახავს, ძლიერ ანალოგიას წარმოადგენს იმ პირველყოფილი მედიცინისას, რომლის შესახებაც ცნობები მოიპოვება პროფეს. მეიერშტეინეგისა და ზუდჰოფის ცნობილ შრომაში და სხვ.

ზოგადი მკურნალობა კი ხევსურეთში ძლიერ მოისუსტებს, ე. ი. შინაგანი ავათმყოფობისა ექიმებს ბევრი არაფერი გაეგებათ. ისე კი თვითეულმა ხევსურმა "იცის„ (თავისებურად, რა თქმა უნდა), თუ როგორი ზომები უნდა მიიღოს მუცლის ტკივილის, ან გულის სისუსტის დროს. მაგალითად, კუჭის ტკივილის დროს გამხმარ თამბაქოს სვამენ, ან რომელიმე საქონლის ნაღველას გალესავენ წყალში და დალევენ ანდა მიმართავენ სისხლის გაღებას. გულის სისუსტის დროს ქაფურს ურევენ ცხარე არაყში და სვამენ ცოტ-ცოტას. სხვა შინაგან ავათმყოფობის საშუალებანი მათ თითქმის არ მოეპოვებათ. გარდა ამისა, სხვა მრავალ ავათმყოფობაზე, როგორიცაა ყველა ფორმის ფილტვების ანთებანი, ყოველნაირი სახადი ავადმყოფობანი: მუცლისა, პარტახტიანი, და შებრუნებითი ტიფები—მათ წარმოდგენა არა აქვთ და ამ შემთხვევებში ვერც ეხმარებიან ხსენებულ ხენის შეპყრობილ ავადმყოფებს. უნდა მოგახსენოთ, რომ საბედნიეროდ ჩვენს ფშავ-ხევსურეთში მუშაობის დროს არავითარ ეპიდემიურ ავადმყოფობას ადგილი არ ჰქონია. იყო მხოლოდ ფილტვების ანთება. აქ ხევსურები სრულიად უძლურნი არიან. რაც შეეხება ქალთა სნეულებას, აქაც სრულიად უძლურნი არიან. ამ შემთხვევაში მათი საექიმო ზომები ისეთია, როგორსაც უკარნახებს ცრუმორწმუნეობა, შელოცვები და მკითხაობა.

ჩვენი საექიმო პრაქტიკის დროს, ყველაზე მეტი პროცენტი ხევსურ ავათმყოფთა შორის იყო დაპრილები. ამ შემთხვევაში ჩვენ უფრო ბევრი მუშაობა გვიხდებოდა და რამდენადაც შეგვეძლო, ადგილისა და პირობების მიხედვით,—ვასრულებდით მას. რადგანაც მუშაობა გვიხდებოდა საქართველოს მივარდნილ კუთხეში, სადაც სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა უქონლობის გამო ყველაფერს ჩვენ უნდა გაეძღოლოდით, ამიტომ ცნობილ სახელმძღვანელოებს ვიშველიებდი, კერძოდ ქირურგიული შემთხვევებისათვის საიმედო დასაყრდენი პროფ. ტრინკლერის ცნობილი სახელმძღვანელო იყო: „პრილობათა თანამედროვე მკურნალობის საფუძვლები". მრავალ ანტისეპტიკურ საშუალებათა შორის პროფ. ტრინკლერის შრომიდან, ჩვენ ავირჩიეთ იხტიოლის

*) მოხსენდა სრულიად საქართველოს ექიმთა სამეცნიერო კონგრესს 1929 წ. ქ. ბათომში.

შეზავებული მალამო, წყალბადის ზეჟანგი (H_2O_2), იოდი, იწვიათად იოდოფორმი და, რაც უფრო აუცილებელია ჭრილობის მკურნალობაში. შედარებით სისუფთავე—სტერილობა. და სწორედ იმის გამო, რომ ჩვენ შეძლებისდა გვარად, როგორც კი ამის ნებას პირობები გვაძლევდა, ეცადით ყველა იმ წესებს, რომლებიც თანამედროვე ქირურგიის თანახმად აუცილებელი არის ყოველი ჭრილობის მოსარჩენად,—მალე ჩვენს მკურნალობას შესაფერი შედეგი მოჰყვა. ყველასთვის თანდათან უფრაველი ხდებოდა აბ მკურნალობის უპირატესობა ადგილობრივი ექიმების წამლობასთან შედარებით. ჩემი ამბავიც, სწორედ ის იყო, რომ ხალხის აზრი და გონება ამ უპირატესობისკენ მიმეგართა.

მკურნალობის შედეგების წყალობით ჩვენ მალე სახელი გავითქვით და ამან საშუალება მომცა დაახლოებით გამეცნო კიდეც იქაური გამოჩენილი ექიმები. რომლებიც უმთავრესად დოსტაქრები არიან. სხვა გზით მათთან დაახლოვება ძალიან ძნელი იყო. ჩვენ მივყავდით დაჭრილთან იმ შემთხვევაში, თუ მათი ექიმი-დასტაქარი ვერ კისრულობდა მის მორჩენას. ხშირად ჩვენ კიდეეაც ვიწვევდით მათ ჩვენ კონსილიუმზე და ვეკითხებოდით, თუ, რატომ ეძნელებათ ამა თუ იმ მძიმე ჭრილობის მორჩენა. საილუსტრაციოთ მოვიყვანთ ერთ შემთხვევას, რომელიც დამახასიათებელია ხევსურ დოსტაქართა მსჯელობისა და მოქმედებისათვის.

მოვიდა ერთი ხევსური და მთხოვა დაჭრილთან წავჰყოლოდი. გავგზავნე თანაშემწე, რომელიც დაბრუნდა და გადმოგვცა, რომ ავადმყოფი მძიმე მდგომარეობაშია და ექიმს ითხოვენ, წავედი. როცა სნეულთან მივედი, გამოირკვა შემდეგი: ახალგაზრდა ხევსური უკვე აგონიას განიცდიდა: სიცხე 41,4°, ლაპარაკი უჭირდა, პულსი აჩქარებული ჰქონდა, აგრეთვე სუნთქვაც, იჯდა გაშეშებული, თავს ვერ ანძრევდა, ზევით ვერ იხედებოდა, უჩიოდა განსაკუთრებით თავის ტკივილს. მთელი ახალგაზრდა ორგანიზმი ჩაბმული იყო გააფთრებულ ბრძოლაში. ჭრილობა გავხსენით, იგი ერთ გოჯზე ცოტა მეტი იყო. ჭრილი თითქმის ძვალზე იყო დასული—სწორეთ იმ ადგილას, სადაც ორივე თხემის ძვალი ერთდებიან ე. წ. საგიტალური ნაკერით (sutura sagitalis) ავადმყოფს ორი ხევსური დოსტაქარი ადგა თავს. მათ შეეკითხე:

— რამდენი ხანია დაჭრილია ავადმყოფი?

— ერთი თვე, ორივემ ერთხმად გვიპასუხა.

— მერე აქამდე ვინ წამლობდა ავადმყოფს?

— ჩვენ ორნავე—მომიგო ერთმა მათგანმა.

— ახლაც ორივენი ექიმობთ?

— არა, პირველად მე ვექიმობდი, მერე ამან დაუწყო ექიმობა, შიმითითა მეორე მოხუცზე.

— თქვენ რატომ დაანებეთ თავი?

მან პასუხის ნაცვლად თავი დააქნია, ხელოდ შემდეგ, როდესაც ორივენი განცალკევებულად შევეხვდით ერთმანეთს, მითხრა, თუ რა მიზეზის გამო დანება თავი ავადმყოფს. მიზეზი ის ყოფილიყო, რომ მას უმალვე შეემჩნია თუ რა საბედისწერო იყო მიყენებული ჭრილობა, აღმოჩნდა, რომ მას, ადგილობრივ დოსტაქარს, თავის ქალას ანატომიაც შედარებით კარგათ სცოდნია. ეს

პირდაპირ მიგვითითა სწორეთ იმ ნაკერის შუა ხაზზე, რომელსაც მთლიან თავის ქალაზე საგიტალური ნაკერი ეწოდება. მეორე დასტაქარი 85 წლის მოხუცი იყო, რომელმაც ვერ შეამჩნია, თუ სად იყო მიყენებული ჭრილობა და მკურნალობას განაგრძობდა. ჩვენ რომ დაგვიძახეს, მაშინ უკვე გვიან იყო. როგორც ვსთქვით, ჭრილობა არ იყო დიდი, მაგრამ იგი ღრმა და სახიფათო ადგილას იყო მიყენებული. უნდა აღვნიშნოთ რომ ხანჯალი რომელსაც კეკნაობის დროს ხმარობენ ხევსურები, მეტად ბასრია და თუ ის საბედისწერო ადგილას მოხვდა, მძიმე გართულებას იწვევს, რის გამოც ავადმყოფი ხშირად იღუპება. ასეთი იყო ჩვენი შემთხვევაც. რომ თავის დროზე შეეტყობინებიათ, ეპვს გარეშეა, ავადმყოფი გადარჩებოდა. ხევსურ დასტაქრებს ჩვეულებად აქვთ გააჭიანურონ ჭრილობის მორჩენა თავზე, რათა შრომის ხელფასი მეტი აიღონ. ამ მიზნით ისინი პატარა ჭრილს უფრო აღრმავებენ, იჩხრიკნებიან შიგ, ფხეკენ მას, აღწევენ ძვალამდი და იქ ეძებენ მის ნაფლეთს. ეს იმიტომ, რომ თუ ძვალი ამოიღო ჭრილობიდან, მაშინ ის გაცილებით მეტ ხელფასს ღებულობს. თუმცა ზემოხსენებულ ავადმყოფზე ასეთი უგუნური ცდა არ ყოფილა დაშვებული.—აქ გართულება მოხდა იმ ანტიჰიგიენურ პირობებში და ანტისეპტიკურ საშუალებათა გამო, რომლებიც მუდამ ახასიათებს ხევსურების დოსტაქართა პრაქტიკას. აქ დაგვაინტერესა ხევსურეთის დასტაქრობამ და მას კვალ-და-კვალ დავედევნე. ამიტომ არც გამკვირვებია, რომ მოხუც ხევსურ დასტაქარს მარცხი მოუვიდა და ავადმყოფი დაღუპა. ასეთი შემთხვევა არა თუ შინ ნასწავლ უბრალო დასტაქარს, არამედ გამოჩენილ თანამედროვე მეცნიერ ქირურგსაც მოუვა.

ხევსურ დასტაქრების თვითგანვითარება ქალას საზღვროვანი წერტილების ცოდნაში ჩვენ დიდად გვაკვირვებდა. თავის ქალას ანატომიაში ცნობილია, რომ ეს საზღვროვანი წერტილები ფრიად მნიშვნელოვანია საზოგადოთ ტვინის ტოპოგრაფიულად დალაგების მხრივ. ისეთი წერტილები, როგორიც არიან Bregma, Lambda, Stefanion, Pterion და სხვა, თავის ქალას ნაკერებში განსაკუთრებული ალაგი უპირავს და არიან ერთმანეთში გადაბასკულნი. ტვინი მთლიანად გამოხეულია მისსავე მაგარ გარსში (dura mater), რომელიც ერთი შეხედვით, თავ-შეხვეულ კომბოსტოს მოგაგონებს. შიგნით ქალას ფუძე—მის შუაგულ ნაწილში უსწორ-მასწოროა. ამ უსწორ-მასწორო ნაწილის გვერდით მოთავსებულია სამი თანასწორი ქედი. პირველში ჩვენ შევამჩნევთ შემდეგ შემაღლებულ ნაწილებს; crista frontalis et crista gallis-ს, რომლებზედაც მიმაგრებულია მაგარი გარსის დიდი ფირფიტა, ე. ი. დიდი ნამგალი faex maior აგრეთვე თავის ტვინის მაგარი გარსი წარმოადგენს ქალას შიგნითა ზედაპირის,*) ზედაკანს რომელიც ბავშობის დროს მჭიდროდ არის შეზრდილი ძვალთან. მოზრდილ ადამიანში იგი შორდება ქალას ძვალს და ქმნის ე. წ. თავის ტვინის მაგარ გარსს, რომლის ზოგიერთი ნაწილები თანშეზრდილი რჩება მხოლოდ ქალას ფუძესთან, განსაკუთრებით ნაკერების ხაზზე, აი ყველა ის ანატომიური ნიშნები თავის ქალაზე, რომლებსაც ხევსურების დოსტაქრების აზრით, დიდი საბედისწერო მნიშვაელობა აქვს მის დაზიანების, ანუ დაჭრის დროს. რასაკვირველია, მათი ტერ-

*) ვსარგებლობ პროფ. ნათიშვილის ადამიანის ნორმალური ანატომიის სახელმძღვანელოთი.

მინალოგია ამ ანატომიურ ადგილების დასახელებაში თავის ქალაზე თავისებურია და ეს თავისებურობა მკაფიოდ გამოხატულია ანატომიური ტერმინის ზედმიწევნით ფრთხილ ხმარებაში. ის ადგილები და წერტილები, რომლებიც დაზიანების დროს ფრიად სახიფათოა, შედარებით ნათლათ აქვთ წარმოდგენილი და ეს გარემოება მათ ფსიხიკაზე დიდ შიშიანობას იწვევს. აღნიშნული ანატომიური ნიშნები თავის ქალაზე იციან ალბა თუ ხევსურეთის გამოკდილმა დასტაქრებმა, არამედ მასში საკმაოდ არიან გარკვეული თითქმის ხევსურთა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. უეჭველია, რომ თავში დაჭრის შემთხვევებში ისინიც გადამეტებულ შიშიანობას განიცდიან. ხშირია შემთხვევა, როცა ჩვეულებრივი ხევსური თვით ირჩენს თავს მიყენებულ ჭრილობისაგან. ასეთ მაგალითებს ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როდესაც დაჭრილ ხევსურს მოიპოვება საშუალება დასტაქართან წავიდეს და მისგან შესაფერი დახმარება მიიღოს. ზოგი მათგანი სიშორის გამო ვერ მიდის ექიმთან და მაშინ იგი ან ალალბედზე განიკურნება, ან და, ცხადია, მოუველოობის

სურ. 31. ხევსური შინაური დასტაქარი — გუგუა პინკარაული, თავის იარაღით. სოფ. შატილი

გამო წუთი სოფელს გამოესალმება. ასეთი მოუველოობის გამო ჩვენი იქ ყოფნის დროსაც იღუპებოდნენ ხევსურები, მომეტებულათ ზამთარში, როდესაც გზები სრულიად შეკრული იყო და არ იყო შესაძლებლობა ჩვენამდე მოეღწიათ.

როგორც ხედავთ, პირველყოფილი მედიკინის წარმომადგენელნი ხევსურეთში კარგად ერკვევიან ქალას ყველა ანატომიურ ხაზებში და რომ ამაში დავრწმუნდეთ, ჩვენ ჩამოვთვლით იმ თავისებურ ანატომიურ დაყოფას თავის

ქალასას, რომლითაც ისინი ყოველთვის ხელმძღვანელობენ. ხევსური დასტაქრები თავის ქალაზე არჩევენ შემდეგ ანატომიურ ნაწილებს:

ძვლის სკა	—უდრის თავის ქალას მთლიანად
ტვინის სკა	—ეთანაბრება ტვინის მაგარ გარსს.
შარის ბოძი	—ტვინის მაგარი გარსის თანაშეზრდილი ნაწილი საგიტალურ ნაკერთან.
ყურების ფარდები	— საფეთქლის ძვალს
კიკიმოები	— ყოფენ „ყურის ფარდები—კიკიმოები
კამარას ძვლები	— ეწოდება შუბლის ძვლის კიდურებს.
ტილთ ხვაფა	— ნამდვილად კეფის ძვალი.
შუბლის ძვალი	— შუბლის ძვალი.
საწყობები	— თავის ქალას ყველა ნაკერები.

ხევსური დასტაქარი ტვინის მაგარ გარსს უწოდებს მაგარ კანს და ამიტომ მათი წარმოდგენით ტვინი თითქმის მომწყვდეულია ორკოლოფში ჯერ ძვლის სკა, მერე ტვინის სკა, თუ ჭრილობის სიღრმე აღწევს ტვინის სკამდი, ეს მათი აზრით, დიდ საშიშროებას წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლისათვის და მათ, როგორც ასეთს, დიდი სიფრთხილით უდგებიან. ამ მხრივ ყველაზე მეტი სახიფათო, სერიოზული და თან საბედისწერო არის ის ადგილი თავის ქალაზე, რომელიც უპირდაპირდება შარის ბოძს, ე. ი. ის ადგილი, სადაც ტვინის მაგარი გარსი უმაგრდება თხემის ძვლის საგიტალურ ნაკერს. საზოგადოდ ხევსურების აზრით და კერძოთ მათი დასტაქრების შეხედულებით, თუ ამ შარის ბოძის წერტილზე მოხდა ბასრი იარაღი, ეს უსათუდ დაღუპვის ნიშანია. ეს მიტომ, რომ როდესაც ბასრი ხმალი ამ ადგილას ჰხვდება, მაშინ თვით შარის ბოძი სწყდება, შორდება ქალას ძვალს და ტვინი ეცემა მის შიგნითა ფუძეზე. ამ შემთხვევას, მათი აზრით, მოყვება ის გართულება, რომ ტვინსა და ქალას შორის რჩება თავისუფალი ადგილი, სადაც ჩნდება და გროვდება ჩირქი, რის მიზეზითაც ტვინი ზიანდება მთლიანად და ბოლოს ავადმყოფი იღუპება. ამიტომაა, რომ შარის ბოძზე იარაღის დარტყმა უსათუდ საბედისწეროა.

ამნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ ხევსურების გამოცდილ დასტაქრები არც ისე შეუგნებელია თავიანთ სამკურნალო მოღვაწეობაში და პირდაპირ გასაოცარია, თუ როგორ გამბედაობას იჩენენ მეტად მძიმე და რთული ოპერაციების დროს.

გასამრჯელოს ხევსური დასტაქარი იღებს იმის მიხედვით, თუ რამდენ შრომასა და ენერგიას დახარჯავს ამა თუ იმ დაჭრილის განკურნებაში. ამიტომ შრომის ხელფასი შემდეგნაირად არის შეფასებული:

1) თავზე ჭრილობის მორჩენა, ძვლის ამოუღებლათ—ფასდება სამ ცხვარად ანუ $7^1/_2$ გირვანქა სპილენძად.

2) თუ დაჭრილ თავის ქალაზე ძვალი ამოიღო, მაშინ გასამრჯელო ღირს ოთხი ცხვრის საფასური ან ათი გირვანქა სპილენძი, 3) თუ ორივე ძვალი ამოიღო, ე. ი. თუ თავის ქალას ძვლის გარდა ამოაყოლა კიდეე ძვლის შუა ფენის ჩხიმის ქვემო ნაფლეთი, ამ დიდი გარჯისათვის ის ღებულობს ორი ძროხას საფასურს—ოც გირვანქა სპილენძს.

აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ამ დაწესებულ „შრომის ხელფასს ისინი ღებულობენ სხვადასხვა ნივთების სახით, მაგალითად, ნაწილში სპილენძს აიღებს, ნაწილში ფარდაგსა და ასე. ეს, რასაკვირველია, დაკანონებულია ძველთაგან, მამაპაპისაგან და უცვლელად გადადის თაობიდან თაობაზე.

რა თქმა უნდა, მათ შორის იყვნენ და არიან კიდეც ისეთები, რომლებიც ალღვევდნენ და ახლაც უხვევენ მათ დაწესებულ კანონებს. ხელფასის აღებაში, მაგალითად ზოგი მათგანი იღებდა და არც ამბობს უარს ზედმეტ ხელფასის მიღებაზე; ზოგი მიდის დიდ დათმობაზე და ხელფას ნახევარსაც არ ღებულობს. ასევე იყო და არის ის გადმონაცემი ცოდნის შესახებ, დასტაქრობა ხევსურეთში უფრო მემკვიდრეობით გადადის. ზოგჯერ შვილი მამას არ ჩამოუვარდება და შეიძლება ხანდახან კიდევაც აჯობოს მას ნაანდერძევ საქმეში, ზოგჯერ კი, სულ წინააღმდეგ, „სულსაც შეუგინებს“ და შეურცხვენს იმ სახელს, რომელიც ჩალხის ზოგონებაში კეთილად დარჩენილა-ხევსურების დასტაქართა შორის ერთგვარ გაწვევებულ შეულსაც აქვს ადგილი და ამ ნიადაგზე ისეთი გაფფრებული სიძიშპეა გაჩაღებული, რო პირდაპირ განცვიფრებაში მოხვალთ.

ზოგი მათგანი გასაცარ სახელს იხვეჭს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ მათ დასტაქრულ პრაქტიკაში არსებობს ერთგვარი ვიწრო სპეციალობაც: მაგალითად, ერთ რომელიმე გამოცდილია ხანჯლისაგან მიყენებული ჭრილობის კარგად მორჩენაში; მეორე დახელოვნებულია ტყვიისაგან მიყენებული ჭრილობის განკურნებაში; მესამე ზედმიწევნით ფრთხილი, დაკვირვებული, უმერყეო ტრეპანატორია. მეოთხე მოტეხილს არჩენს და სხვა. მართალია მოიპოვება ისეთებიც, რომლებიც ცდილობს ყოველგვარ ქირურგიულ დარგში ისახელოს თავი, რადგანაც, ხევსურები ერთმანეთს მარტო ხელზე ან ბარძაყზე ხომ არ სჭრიან: ჭრილობა შეიძლება შეხვდეს სხეულის ყველა ნაწილზე: სახეზე, თავზე, მუცელში. ამიტომ ყოველი ხევსური დასტაქარი ცდილობს იყოს გაწვრთვნილი, გამოცდილი და სწრაფად მოსაზრებული ხერხის პატრონი ყველანაირ ქირურგიულ ნაწილში თუმცა ბევრი მათგანი არ ღებულობს თავის თავზე ყოველგვარი ჭრილობის მორჩენას, არამედ როგორც ვთქვით, ვიწრო სპეციალობას ეწევა. ხანდახან ასეთი სპეციალისტი ისეთ სახელს მოიხვეჭს, რომ შეიძლება უკვე ყოველმხრივ სახელგანთქმული დასტაქარი დაჩრდილოს. ამის გამო ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ მძიმე ჭრილობის მორჩენის პერიოდში რამდენსამე ექიმს გამოიცვლიან ხოლმე, ვერ ვიტყვით, რომ ამ სხვადასხვა დოსტაქრის გამოცვლით მკურნალობის მსვლელობას გაუმჯობესება ემჩნეოდეს, პირიქით ხშირად იგი საქმეს უფრო ართულებს და ზოგჯერ მსუბუქად დაჭრილი ავადმყოფი მკურნალობაში სხვადასხვა ექიმთა ჩარევის გამო იღუპება. ასეთ მარცხზე ხშირად მოგვითხრობდნენ ხევსურები და მიუხედავად ამისა, ისინი მაინც არ ემდუროდნენ მათ და ჩვენ იშვიათად მივყავედით დაჭრილ ავათმყოფთან.

ხევსურებს შორის ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე ხელის მამოძრავებელი კუნთები (განსაკუთრებით m. m. brachioradialis et pronator quadratus) მძიმედ ზიანდება იქ, სადაც pronator quadratus „ადაჭიმული“ იდაყვის სახსარზე და მას შედეგად რაიმე დეფექტი მოსდევს. რომ ჭრილობისაგან გამოწვეული დეფექტი მოიშორონ და ხელი მუშაობის დროს ჩვეულებრივ მოიყვა-

ნონ, მოძრაობაში, დასახიჩრებული ხელის პატრონი იხევეს ზედ ლამაზად დაწნულ დედაკაცის თმას ძალიან მჭიდროდ. თმა დაწნულია წვრილად და გრძლად, ისე რომ ხელზე ხუთი ან ოთხი ხკეული უნდა იყოს, იხევენ მას დაზიანებულ მკლავზე მაჯისა და იდაყვის შუა. დანიშნულება მისი შემდეგში მდგომარეობს: 1) იგი ძლიერ დიდხანს სძლებს, 2) არ ჭუჭყიანდება, 3) არ სველდება ისე, რომ მალე არ გაშრეს. და 4) (ეს კი მთავარია) ხელს უწყობს დაზიანებული ორგანოს ფუნქციონალურ მოძრაობას. ეს „პროტეზი„, მიზანშეწონილიც არის: პროტეზს,

სურ. 32. ხევსურის ხელი პროტეზ თ

ხმარობენ ხშირად თანამედროვე ქალაქებში ის მუშები და ტანთმოვარჯიშენი, რომელთაც მკლავი მაჯაში აქვთ დაზიანებული, რასაც ხევსურები „ძარღვების აურა"-ს ეტყვიან.

საგულისხმოა, რომ ხევსური დასტაქრები ზემოდ მოყვანილ ფაქტს თითქოს არავითარ ნიშვნელობას არ აძლევენ და მას ისინი სრულიად უაზრო ჩვეულებად სთვლიან. ეგების იმიტომ, რომ ჩვენთან არ აბხელდნენ თავიანთ შეხედულებას ხსენებული პროტეზის დანიშნულებაზე იმის შესახებ ალბათ იმიტომ, რომ მათ ხშირად სმენიათ გარეშე პირებისგან სრულიად უსაფუძვლო დაცინვა.

როდესაც ჭრილობასთან ერთად ძვლებიც არის დაზიანებული, ხევსური დასტაქრები მას ასე კურნავენ: (მაგალითისათვის ჩვენ ავიღებთ ხელს) თუ ნების არეში მიყენებულია ჭრილობა და თან ძვალიც არის დაზიანებული. მაშინ სჭრიან ნების ყველა შემაერთებელ ქსოვილებს: კანს, კან-ქვეშა და შემაერთებელ ქსოვილებს, კუნთებს ჯვარედინად, შემდეგ მას ხელით კალთის ყურსავით გადაკეცავენ აქეთ-იქით წვინდათ დახვეწენ კანაფს, რომელსაც ხევსურები სელს ეძახიან გარეცხენ კარგად, ამოაელებენ მარილის ფხვნილში ნოკუმშულს და დაადებენ ჭრილობის გაფართოებულ არეს. ამით ჯერ სისხლის დენა შეჩერდება, მერმე მას აქვს მათი აზრით, ანტისეპტიური მნიშვნელობა: ამოსწმენდს განთავისუფლებულ ჭრილობის არეს და ნათლად დაინახავს; თუ რა და რა ნაწილი ან რომელი ძვალი არის უფრო დაზიანებული. მერე კიდევ კარგად ამოასუფთავებენ მას ღრუბლით. ამ პროცედურის შემდეგ ჭრილზე დააყრიან საწანლო ბალახის ფხვნილს, ბოლოს უცეცხლო თაფლში არევენ ერბოს, რომელიც მალამოს მაგივრობას სწევს, კანაფის ძენძს. ეს უკანასკნელი ტამპონის როლსაც ასრულებს. ამ ორ საშუალებას ხმარობენ მანამდის, სანამ დარჩენილი ძვლების ნაფლეთები არ ამოსცვივა თავისით და სანამ ჭრილობის გარშემო შემაერთებელი ქსოვილის

თვალსაჩინო გრანულაცია არ დაიწყება. კანაფის ძენძს უფრო მიტომ ადებენ ჭრილობას, რომ მისი კიდურები არ მიუახლოვდენ ერთმანეთს. ეს მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით. რაკი ჭრილობის არე თავისუფალია ყველანაირი ინფექციისაგან და შემაერთებელ ქსოვილის გრანულაციას პირი აშკარად უჩანს, მაშინ ჭრილობას აშორებენ ყველა ხმარებულ საშუალებებს და მის კიდურებს თანდათანობით ნებას აძლევენ ერთი მეორეს მიუახლოვდეს. თუ ვინიცობაა ჭრილობა ექიმის მიწვევამდე დაიხურა და იქ ცოტაოდენი სიმსივნე შეამჩნიეს, მაშინ მას აუცილებლად, უყოყმანოთ ხელმეორედ სპირიან და უკვე აღნიშნული მეთოდით კურნავენ. ბუნებრივია, რომ ყოველ დასტაქარს ახასიათებდეს ინდივიდუალობა მკურნალობაში. როდესაც ჩვენ გავეცანით ხევსუ რეთის რამდენიმე გამოცდილ ექიმს, შევნიშნეთ, რომ ყოველ მათგანს აქვს თავისი საკუთარი აზრი, შეხედულება და ერთგვარი დამოუკიდებელი მოქმედება ჭრილობათა მკურნალობაში. ჭრილობის მოსარჩენად ერთი ხმარობს მალამოს, შეზავებულს კვერცხის ცილასა და უცეცხლო თაფლისაგან, მეორე ხმარობს ერბოსა და იმავე თაფლს და სხვ. თუ ჭრილობის გარშემო სისხლია მიმხმარი, მაშინ მას ასე აშორებენ: ნეხვის ქიებს ხოცავენ მარილით, დახოცვის შემდეგ ადებენ იმ ადგილზე, სადაც სისხლია მიმხმარი. ამით მათი აზრით, ჭრილობის არე ისე სუფთავდება, რომ მის სიღრმეში ყველაფერს ხედავს მკურნალი. თუ ჭრილობის კარებში რაიმე ინფექცია შეიპრა (მათებურად ხავი), მის გამოსაძევებლად ხმარობენ რძის შრატს, რომელშიაც ჰყრიან ძირხვენას ფოთლებს (ბალახია) და დაადებენ ინფექციურ ჭრილობას, რითაც ხავი იდევნება მის არედან. ჭრილობას ჰკურნავენ აგრეთვე ცხრა-ძარღვას ფოთოლით (ბალახია). შინაგან ოპერაციებზე ხევსურ დასტაქრებს წარმოდგენა არა აქვთ, მხოლოდ თიაქარის (მათებურად ფერდის ქარის) მოსარჩენად ისინი წინად ხმარობდნენ წავის სათესლე ჯირკვლს ან ყორნის ნაღველს, ხოლო რაც შეეხება მის შედეგებს—ამაზე გარკვეული ცნობა ვერ მივიღეთ. ამიტომ არ ვიცით თუ რამდენად მისაღებია ეს უცნაური ცდა თიაქრის მკურნალობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ჭრილობის მოსარჩენად, ხევსური დასტაქრები ხმარობენ ერთგვარი ბალახის ფხვნილს, რომლის სახელიც მათ არ იციან და ვერც ჩვენ გავიგეთ, მხოლოდ მისი გამოყენების ლეგენდარული ისტორია ასეთია: ერთხელ გველს ბაყაყი დაეპირა, მას უეცრად წააწყდა ტყეში შეშისათვის წასული ხევსური. ხევსურმა გველი მოკლა და ბაყაყი გაათავისუფლა. ბაყაყს ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. მან ცოდვით დაიწყო ხოხვა მიწაზე და იქვე ახლო ბალახში მიიმალა. ხევსური ცნობის მოყვარეობამ შეიპყრო და მას დაედევნა. ნახა თუ არა ისევ შეჩერდა მის ახლოს და დაუწყო თვალთვალი. ბაყაყი ერთ ბალახს წაეპოტინა. ვაივაგლახით მოგლიჯა იგი და თავისივე პირით დაიდო ჭრილობაზე. ხევსური უფრო დაინტერესდა და დიდხანს ათვალიერებდა მას. საღამოზე ხევსური შინ დაბრუნდა და სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა მოუვიდოდა ბაყაყს. მეორე დღეს ისევ წავიდა ბაყაყის სანახავად. როცა მივიდა, ნახა, რომ ბაყაყი უნძრეველად იყურებოდა იმ ადგილიდან, სადაც ის წინა დღით დასტოვა, ხევსური ისევ შინ დაბრუნდა. მეხუთე დღეს კვლავ მიაკითხა ავადმყოფს, მაგრამ იმ ადგილას აღარ დაჰხვდა. მოაკლო თვალი იმ არე-მარეს ხევსურმა

და ნახა დაპრილ ბაყაყს ადგილი გამოეცვალა და არხეინად ძოვდა, ხევსური დარწმუნდა შენიშნული ბალახის სამკურნალო თვისებაში, მოგლიჯა და შინ წამოიღო. და აქ ჯერ სინჯა პირუტყვებზე, მერე კი ადამიანზე. და შეამჩნია, რომ აღნიშნულ ბალახს მართლაც სამკურნალო თვისება ჰქონდა. თითქო ამის შემდეგ შემოულიათ ხმარებაში ის ბალახი ხევსურეთის დასტაქრებს.

მზგავსივე ისტორია აქვს წითელი და თეთრი გველის სამკურნალო თვისებას. ეხლოლდ, როგორც ისინი აღნიშნავენ, მას მეტი მკურნალობით ძალა აქვს. ხევსური დოსტაქრების აზრით ის უებარი წამალია ყველანაირი ჭრილობისათვის. აღნიშნული გველის სხეულის ბუნებრივი თვისება, რომ ის დარტყმის დროს მარცვლისებრ იმსხვრევა და, თუ მაშინვე არ შეინახეთ, მას ყოველი ცხოველი იტაცებსო, ამიტომ ის მეტად ძნელი საშოვარია. ხევსურეთის ექიმებმა თითქო ჯერ ის სინჯეს ცხენზე, მერე თავის თავზე და შემდეგ დაპრილ ავადმყოფებზე.

დამწვრისათვის ხმარობენ შურთხის ძვალს, მოტეხილისათვის კი დამწვარ ძაღლის ძვალს. იგი მათი აზრით საუცხოოდ ჰკურნავს ყველანაირ მოტეხილს, რომელ ეს ეთ ნაშინ, თუ მოტეხილი ძვალის ნაწილი გარეთ გამოვიდა. ჰხეკენ მას ასე: ჯერ მოტეხილს, ან სრულიად დამტვრეულს თავის ადგილას დააწყობენ, მეორე ხსენებულ წამალს დაადებენ ზედ, შემდეგ შემოადებენ ბლომად მატყლს, ზედ მწყობრად არტახებს შემოაწყობენ და ბოლოს ხვევენ ძლიერ მაგრად, ავადმყოფს აიძულებენ, რომ დაზიანებული ორგანო სრულიალად არ ამოძრაოს.

ასე რომ, იმობილიზაციის წესი მძიმე მოტეხილობის დროს ყოველთვის დაცული აქვთ. სრული მორჩენის პერიოდი. გრძელდება თვე-ნახევარი,

რაც შეეხება ყველა სახის ამოვარდნილობას, ეს ხევსურეთის დასტაქრებისათვის სულ უბრალო საქმეა და მას წამსვე თავის ადგილას ჩააგდებენ, ტეხნიკა ამოვარდნილი სახსრის ჩასაბრუნებლად თვითეული მათგანისათვის ინდივიდუალურია. მაგალითად მხარის ამოვარდნის დროს:

ერთი ასეთ წესს მიმართავს: თუ იგი შიგნითაა ამოვარდნილი, ბურთივით მაგრათ ახვევენ რაიმე ჩვარს, დაუდებენ იღლიის ქვეშ, ისე რომ დაზიანებული ხელი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში იყოს გაჩერებული, შემდეგ მას დაპიმულად დასწევენ ქვეეით, შიგნით გულმკერდისაკენ, ამავე დროს თანაშემწე ორივე ხელის ზურგს იღლიაში ამოსდებს და შიგნიდან ზევით გარეთ სწევს. ამ პროცედურით მხარი უკვე თავის ადგილას არის ჩაბრუნებული.

მეორე ბურთს არ ხმარობს, მხოლოდ მზგავსივე წესით აწარმოებს ამოვარდნილ მხარის ჩაბრუნებას.

ხოლო მესამე არც ერთ ზემოხსენებულ წესს არ მიმართავს, ერთსა და იმავე დროს ხელს ძლიერ ძალდატანებით ზევით და ქვეეით სწევს და აგვარად ასწორებს ამოვარდნილ მხარს.

მხარის ამოვარდნილობა ხშირი მოვლენა იყო სადასტაქრო მოღვაწეობაში. ამოვარდნილობას მხრისას უფრო მარტივად ასწორებენ: ხელს მისცემენ ჰორიზონტალურ მდგომარეობას, დაპიმულად ოდნავ გადასწევენ, შემდეგ ისევ დაპიმულად ქვეეით დასწევენ და იმავე დროს მეორე მხრის თავს ხელს დაკრავენ და ამოვარდნილი წამსვე თავის ადგილას ბრუნდება. სხვა ამოვარდნილობას (ზედა ან ქვედა კიდურების სახსრებისას) ადგილი არ ჰქონია

ჩვენს ხევსურეთში მუშაობის დროს, გამოკითხვებიდან კი გამოირკვა, რომ ტეხნიკა აქაც ისეთივე მარტივია როგორც ზემოაღნიშნული ამოვარდნილობის დროს.

სურ. 33. დასტაქარი მკურნალი გიგია ლიკოკელი (განსაკუთრებით ნატვიარის მკურნავი) ს. კარწეუდთა

წამლების ხმარებაშიც ხევსური დასტაქრების მოქმედება და ეხედულება აშკარა ინდივიდუალურია. მათ მკურნალობითს მოქმედებაში ყველაფერი მარტივია, აგრეთვე უბრალოა მათი საოპერაციო იარაღი, და ასევე მარტივია მათი საწამლო საშუალებანი.

ჭრილობის მოსარჩენად ხშირად ცხვრის ძველ დუმას ხმარობენ, რომელიც მალამოს მაგივრობას სწევს მას შემდეგ, როცა უკვე ჭრილობის კიდეები შემაერთებელი ქსოვილის ახალ გრანულაციის სახით ერთმანეთს უახლოვდებიან.

ნეხვის ჭიებს (რომელზედაც ზემოდ იყო ლაპარაკი), ხოლო მეორე შემთხვევაში, გამოცდილი ექიმი ასე ამზადებს: მოაგროვებს ჭიებს, გარეცხავს წყლით, ჭირიანებს გამოარჩევს და გადაყრის. დარჩეულებს ჩაყრის ქსოვილის პარკში, ჭიებთან პარკს ძლიერ გაახურებს ცეცხლზე და მერე სწურავს მასმინის შუშაში. ეს ჭიების გამონაჟონი სითხე უებარ წამლად ითვლება განსაკუთრებით მძიმე ჭრილობისათვის. ის საუცხოოთ ჰკურნავს ღრმა და ჩირქოვან ჭრილობებსო. მხოლოდ, რადგანაც ძლიერ მოქმედია, ამიტომ მას თავზე მიყენებული ჭრილობისათვის არ ხმარობენ. სპირტის მაგიერ შემოღებული აქვთ ცხარე არაყი. კულტურულ საშუალებათა შორის უფრო ხშირად ხმარობენ იოდსა და იოდოფორმას. ზოგიერთი დასტაქარი დაჭრილს სამ დღე და ღამეს მკურნალობს მხოლოდ იოდით, შემდეგ კი ფხვნილსა და ცოტა წამლებს ადებს ჭრილობაზე. ზემორე ხსენებულ ბალახს ახმობენ მხოლოდ მზეზე და ისე ხმარობენ. ცეცხლზე გახმობა ბალახისა არ არის მიღებული. ჩვენს შეკითხვაზე, თუ რატომ არჩევენ ბალახის მზეზე გახმობას დასაბუთებული პასუხი ვერ მივიღეთ. ხავის ანუ ინფექციური სიმსივნის დასაცხრომლად ხმარობენ ძოხარშულ ველის პარტას, (ტყიურ მსხალს) ან კომბოსტოს ფოთოლს.

ტყვიისაგან მიყენებულ ჭრილობას ასე ჰკურნავენ: ათ'ა, ან თხუთმეტ ცალს ცხენის ძუას, აგრეთვე სანთელსაც, რომელიც ჭრილის შესაფერისად არის ჩამოქნილი, გრძლად დაახვევენ ერთად, ჯერ გაპობენ მალამოთი, ამოაგლეზენ წამალბალ სახის ფხვნილში, გაუყრიან წინდაწინვი მომზადებულ ჯოხის ყურში და და შემდეგ გაავლებენ ნატყვიარში ისე, რომ მისი ბოლები ორივე მხარეს ჩნდეს მას სტოვებენ ჭრილში მანამ, სანამ ჭრილობას მორჩენის ნიშნები არ დაემჩნევა. ეშმერე, რაკი ჭრილობა თანდათანობით მორჩენას დაიწყებს, თითო ძუის ბეწვს დრო-და-დრო აძროვებენ. ეს გრძელდება იქამდე სანან ჭრილობა სრულიად არ განიკურნება. ჭრილობას ხვევენ ჩვეულებრივად შინაური ჩვრებით („თიკვებით") საკმაოდ მაგრად, და უცვლიან დაჭრის პირველ ხანებში ყოველ დღე, ხოლო როცა ჭრილობა ცოტას მოშუშდება, — დღეგამოშვებით.

სურ. 34. დასტაკარი გიგია ლიქოკელი თავის ავადმყოფს ჭრილობას უწმენდს, რომელსაც საფეთქელის არეში დიდი ჭრილობა აქვს მიყენებული

სისხლის შესაჩერებლად ხმარობენ შემდეგ საშუალებებს: თუ ცოტა სისხლის დენაა, გამხმარ თამბაქოს ალბობენ პირში და ადებენ ზედ. ამით სისხლის დენა შესწყდება. ეს მაშინ, როდესაც სისხლის დენა კაპილარულია, მაგრამ თუ სისხლის დენა საკმაოდ დიდია და მას ვერ აჩერებს პირში დამპალი თამბაქო, მაშინ მიმართავენ საკმევლის ფხვნილს, მარილს ან წითელ რიზინის ნაფხვევს, რის საშუალებითაც აღნიშნულ სიძლიერის დენას აჩერებენ. ამას გარდა თუ სისხლის დენა არტერიალურია, როცა როგორც ისინი ამბობენ, წმინდა სისხლის ძარღვის დაზიანებას მოასწავებს, იმ შემთხვევაში იმავე სისხლის ნაკვეთს ახმობენ ცეცხლზე, შემდეგ აქცევენ მას წმინდა ფხვნილად და ისე აყ-

რიან მჩქეფარე სისხლის ადგილას. გაივლის თუ არა ცოტა დრო, ძლიერი სისხლის დენა სრულიად შეწყდება და ხევსური დასტაქარიც თავისუფლად მოქმედობს ჭრილობის ირგვლივ. როდესაც სისხლის დენას შეაჩერებენ, მაშინვე კომბოსტოს ფოთოლს მოთუშავენ ცეცხლზე, გაპოხენ ძვლის ტვინით, დააფარებენ ჭრილობას და შეუხვევენ. თუ ვინიცობაა ჭრილობა დაჩირქდა, მაშინ მის ამოსალებათ ხმარობენ ღრუბელს.

როგორც ვხედავთ, სისხლის შესაჩერებლად ხევსურეთის დასტაქრების სამკურნალო პრაქტიკაში მიღებულია ხუთნაირი საშუალება: 1) პირის ღრუში დამბალი ხმელი თამბაქო, 2) საკმევლის ფხვნილი, 3) მარილის ფხვნილი, 4) წითელი რეზინის ნაფხეკი და 5) თვით სისხლის ნაკვეთის ცეცხლზე გამხმარი ფხვნილი. მეხუთე საშუალება, გამხმარი სისხლის ფხვნილი, მეტად საიმედოდ ითვლება. როგორც ამბობენ, არის შემთხვევები, როდესაც ექიმი გამოუცდელობით ჭრილობას ჩხრეკს, ეს კი იწვევს სისხლის შადრევანს ჭრილის რომელიმე კიდიდან. ამას იმით ხსნიან, რომ სისხლის დენა უკვე შეწყვეტილიყო თავისავე გამხმარი ნაკვეთით და ექიმმა კი ის აუშვა, ისინი ხაზს გაუსვამდნენ იმ გარემოებას, რომ თვით სისხლის გამხმარი ნაკვეთი მისივე დენის შემჩერებელად საუცხოო საშუალებაა. აქ უეჭველია, იგულისხმება ჭრილობის სისხლის დენა, და არა შინაგან სისხლის დენის შემთხვევები.

რაც შეეხება მძიმე და რთულ ოპერაციებს საზოგადოდ, და კერძოდ თავის ქალას ტრეპანაციას, რომლებსაც ხევსური ექიმები თავისუფლად აკეთებენ, საჭიროა უფრო დაწვრილებით შეეხოთ მას.

მიუხედავად იმისა, რომ ხევსურების შინაურ ექიმებს არაფერი გაეგებათ თანამედროვე ქირურგიისა, გარდა მათზეც აქვთ ისეთი შემთხვევები, როდესაც მართლაც დაუხსნიათ ავადმყოფი სიკვდილისაგან, ე. ი. ბრწყინვალე შედეგიც მიუღიათ.

მოვიყვან საკუთარი დაკვირვების მაგალითს:

1927 წლის შემოდგომის დასაწყისში ჩვენთან მოვიდა თავში დაჭრილი ახალგაზრდა ხევსური ბიძურა ბერდიას-ძე არაბული, 28 წლისა. მცხოვრები სოფ. მოწმაოში. ცოლიანი, სიცოცხლით სავსე. ის გზაში ცხენს გადმოეგდო და, შორს გატყორცნილსა ქვაზე თავი დაეკრა. ჭრილობასთან ერთად აღინიშნებოდა მოძრაობის უნარის დაქვეითება: ავადმყოფი ვერც მარჯვენივ, ვერც მარცხნივ თავს ვერ აბრუნებდა. გარედან შუბლის მარჯვენა გორაკზე დიდი ჭრილობა ჰქონდა. რაკი სხვა ადგილას ვერავითარი დაზიანება ვერ ვნახეთ პირდაპირ შევუდექი ჭრილობის მკურნალობას. ათ დღეში ჭრილობა სრულიად განიკურნა, მხოლოდ თავს წინანდებურად ვერ ანძრევდა ვერც ერთ მხარეს. ვურჩიეთ წასულიყო ტფილისს და იქ გაეკეთებინა ოპერაცია. ის თითქმის დაგვეთანხმა და ისე გაგვშორდა. გავიდა ორი თვე შემთხვევით გზაში შემხვდა სრულიად მორჩენილი. თვითონვე მომახარა: „აი მე უკვე გავიკეთე ოპერაცია და მოვრჩი კიდეც.

— სად გაგიკეთეს ოპერაცია?

— აი აქ.

— ვინ?

«ეკალი»

«ფიფინა, ანუ ბალბალა»

«ეკალი»

«ეკალი»

«ეკალი»

«ეკალი»

— ჩვენმა მგელიკამ.

ავადმყოფს ამ შეხვედრაში ხშირად ვკითხულობდი, რადგანაც ძლიერ მაინტერესებდა ჰრილობის მკურნალობის შედეგი. მისივე მეზობლების ცნობით ავადმყოფის მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა, ბოლოს ისიც შეიტყვეს, რომ მას მარცხენა მხარეზე თითქოს ზემო და ქვემო კიდურები თანდათანობით ერთმევოდა, ოტა ლაპარაკიც ეშლებაო. ამის შემდეგ დავრწმუნდი იმაში, რომ ავადმყოფს დაზიანებული ჰქონდა ფსიხომოტორული ცენტრები, რომლებიც მდებარეობენ როლანდის ღარის წინ (sulcus Rolandi) და განაგებენ კუნთების მოძრაობას განსაკუთრებით კი დაქექილი უნდა ყოფილიყო წინა ცენტრალური ხვეული (gyrus centralis anterior) უკანა ცენტრალური ხვეული (gyrus centralis posterior) და თხემის ზემო ნაწილაკი (lobulis parietalis superior), რომელშიც მდებარეობენ კანისა და კუნთების მგრძნობიარე ცენტრები, შუბლის ქვემო ხვეული (gyrus frontalis inferior) უფრო ის ნაწილი, რომელშიც მდებარეობს მეტყველების ცენტრი (gyrus Broka) და წოდებულია სამკუთხოვანად (pars triangularis). მაგრამ კარგად ვიცოდით, რომ მას უოპერაციოდ არაფერი ეშველებოდა, ამავე დროს უკმაყოფილოც ვიყავი იმით, რომ ავადმყოფმა არ მიიღო ჩემი რჩევა-დარიგება.

სურ. 35. ხევსური დასტაკარი—მგელიკა ლიქოკველი, ს. კობულო

ყველა ამის შემდეგ ეს ავადმყოფი შემხვდა გზაში და მაუწყა საბოლოოდ განკურნება.

ამ დაუჯერებელმა ამბავმა ძლიერ გამაკვირვა და გადავწყვიტე პირადად მენახა ექიმი მგელიკა. იგი 15 ვერსზე დგას ჩვენგან. ერთ მშვენიერ დღეს გავემგზავრე განთქმულ მგელიკა ლიქოკელისას. შინ დამიხვდა. გამოვკითხე ყველაფერი დაწვრილებით. მას ოტა სმენა აკლია და ეს გარემოება ხელს გვიშლიდა გამოკითხვაში. ჩემს კითხვებზე მგელიკა თავისებურ განმარტებითი

მოკლე პასუხს იძლეოდა, რომელსაც ახასიათებდა არა მარტო უბრალო კონკრეტულობა, არამედ ერთგვარი ინდივიდუალობაც, მოვისმინე მისი განმარტება, ჩვენი ავადმყოფის თავის ქალას ტრეპანაციის შესახებ. როგორც მგელიკას სტუდენტებიდან გამოირკვა, ავადმყოფის თავის ტვინი იყო დაზიანებული არა შუბლის მარჯვენა მხარეზე, იქ, სადაც ზემო თხემის ნაწილაკი (lobulus parietalis superior) და შუბლის ქვემო ხვეული (gyrus frontalis inferior) მდებარეობენ, სწორეთ ამ ადგილს თავის ეს ძვალი ოდნავ შეზნექილიყო და დასჭოლოდა ტვინს, რომელმაც თითქმის ერთი თვის შემდეგ, გამოიწვია ზემო და ქვემო კიდურების სიდამბლე და მეტყველების ოდნავ აშლა. ბევრი სინჯვის შემდეგ ეს ადგილი მოეძებნა მგელიკას და თავისი მდიდარი გამოცდილებით, თუ ინსტინქტით დიაგნოზი სწორად დაესვა და თავის ქალა გაებურღა პირდაპირ დაზიანებულ ადგილას, იქ სადაც მართლაც ქალას ძვალი და მაგარ გარსს შუა ჩირქი გაჩენილიყო.

სურ. 36. ავათმყოფი ბიძურა არაბულის თავის ჭრილობა თხემის ძვალზე, სადაც გაკეთებულია ტრეპანაცია

საზოგადოდ ხევსურეთის შინაური დოსტაქრები თავის ტრეპანაციას აკეთებენ ერთნაირი მეთოდით: ჯერ დაზიანებულ ადგილას ქალას ბურღავენ ტრეპანით და შემდეგ ფხეკის საშუალებით სჭრიან თავის ქალას. ფხეკენ ე. წ. ხოწით (სკალპელით), რომელიც უბრალო რკინისაგან არის გაკეთებული. იგი ორნაირი ფორმისაა: პირველს კავის მსგავსი მოყვანილობა აქვს და პირი პირდაპირად არის წამახული, მეორე უფრო კავის მაგარია და პირი ორსავე მოხრილ მხარეზე აქვს წაბასრული. პირველის დანიშნულებაა ზევიდან ქალას ძკლის თანდათანობითი ფხეკა, მეორესი კი უკვე ამონაჭერ ძვლის მახვილი კიდეების მობლაგვა ანუ მოქლიბვა რის გამოც ძვლის მოქლიბული პირები აღარ დააზიანებს—მაგარის, რბილის და საცრის მაგვარ გარსებს, როდესაც ტვინი ფეთქვას იწყებს ჭრილში. არის ძვალის ამოსაღები იარაღიც, რომელსაც ისინი წეპჭკალს (პინცეტი) არის ძლიერ მახვილი დანა, მხოლოდ ერთნაირი ფორმისა, არის სანახი*) და სხვა (იხ. სურ. № 37).

თავის ქალას ტრეპანაციის შემდეგ პირველად ჭრილს ჰკურნავენ მალამოთი, რომლის შემადგენლობაშიც შედის სამი თავი წამალი: უცეცხლო თაფლი,

*) მათებურად ტრეპანს სანახი ჰქვიან.

დანაყილი ძველი დუმა კარაქი. მგელიკას აზრით 1) ასეთი მალამო აჩენს ისეთი თვისების ბალღამს, რომელსაც მოყავს ახალი ხორცი, ე. ი. აჩქარებს შემაერთებელი ქსოვილის გრანულაციას, 2) იგი არავითარ კანის გაღიზიანებას არ იწ-

სურ. 37. ხევსურული სადოსტაქრო იარაღები: 1) დანა, 2) საფხეკი, (ბოწი), 3) კიდევ საფხეკი, (ორივე მხარეს წამახვილი), 4) სისხლის გასაღები, 5) მალამოს ასაღები და სხვა.

ვევს და პირდაპირ დაამების როლს ასრულებს. მას ჭრილზე ასე ადებს: ჯერ მისცემს ჯას თვით ჭრილის ფორმას და შემდეგ ფრთხილად ჩასდებს ჭრილის სიღრმეში. ზევიდან მას ადებენ კანაფის წმინდათ დახვეწილ ძონძს და ამნაირად უხვევს თავს სუფთა თეთრი „თიკვით" (მჩვარით). საზოგადოდ ბამბის მაგიერ ხმარობენ დაჩეჩილ მატყლს, კანაფის სელ ს, როგორც ზევითაც ვსთქვით, ხმარობენ იმ მიზნით, რომ ჭრილობის კიდურები ნაადრევად არ შეეზარდნენ ერთმანეთს. შემდეგ, როცა ჭრილობის ღარს აშკარად დაემჩნევა შემაერთებელ ქსოვილის გრავულაციური ზრდა, ჭრილზე ძენძის დებას მოუძვირებენ, უცბად მას არ აშორებენ მერე კი, საბოლოოდ ჭრილობის მოსარჩენად, წამალ-ბალახის ფხვნილს მოაფრქვევენ ზედ. თუ შარის ბოძია დაზიანებული და სულ არ არის მოშორებული იმ ადგილს, სადაც ის მიმაგრებულია, მაშინ ლიქოველი მას წამლობას შემდეგი საშუალებებით და მიდგომით: შარის ბოძის გარშემო ის ამოსჭრის თავის ქალას ძვალს და კუნძულივით სტოვებს იმ ადგილს, ანუ იმ წერტილს, რომელზედაც მიმაგრებულია იგი. ის ნაწილი შარის ბოძისა, რომლითაც ის მიკრულია რომელიმე დამკაკებელ წერტილზე—მათებურად წოდებულია ყუნწად: ეს ყუნწი არის ტვინის მაგარი გარსის ის ნაწილი, რომელიც თანშეზრდილია ქალას ნარეკების რომელიმე წერტილთან. დაზიანებულ შარის ბოძის ირგვლივ

ის ადებს ძროხის წვივის ძელის ტვინს*) არეულ წითელ შაქარს (ყინვარ შაქარს) ანუ, რომელსაც მისი აზრით ის მკურნალობითი მნიშვნელობა აქვს, რომ დაშავებულ ანუ მკვდარ ნაწილს აცოცხლებს, აღადგენს და ამ რიგად ტვინი მთლიანად უზრუნველყოფილია, როგორც ის ამბობს, ხიფათიანი ჩავარდნისაგან. ძვიმე ჭრილობის დროს მგელიკა ავადმყოფს განუწყვეტლივ თავს ადგია და თუ ჭრილობა თაყვზეა, მაშინ ის დღე და ღამეში, შეხვევის შემდეგ, ორჯელაც გახსნის მას იმ მოსაზრებით, რომ შიგ ჩირქი არ დადგეს. ექიმი ლიქოკელი მკურნალობითი მოქმედების დროს იჩენს ძლიერ დაკვირვებულ სიფრთხილეს, სიფხიზლეს და მკურნალის ძტკიცე ეთიკას. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მას მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა (97 წლისაა) მაინც მოსვენებას არ აძლევენ.

სურ. 38. ავადმყოფი ბიძურა არაბული ტრეპანაციის შემდეგ

თვალის ყოველანაირ ავადმყოფობას მგელიკა ლიქოკელი სწამლობს შემდეგი წამლების შენაზავით: ისეთი დედაკაცის რძეში ან ხსენში, რომელსაც პრველი მშობიარობის დროს ქალი ეყოლა, აურევს კაკაბის ნაღველს და ამ ემულსიით ვითომ იკურნება არა მარტო უბრალოდ თვალის ამღვრევა-შეწითლება, არამედ უფრო რთული, სახიფათო ავადმყოფობანიც. სახელდობრ, ტრახომა (trachoma) თვალის ბუდის შემაერთებელი ქსოვილის ანთება (conjunctivilis). და სხვა აღსანიშნავია, რომ ამ შენაზავები წამლის ემულსიას თვალის ავადმყოფობისათვის ის ინახავს საგანგებოთ გაკეთებულ სანთლის ჭურჭელში. სანთლის ჭურჭელს ის თვითონვე აკეთებს პატარა დოქის მსგავსად და შიგ, ხსენებულ წამალთა შეზავებანი სუფთად და დიდხანს ინახება.

ყოველგვარ ინფექციურ შეშუპებას, ან სიმსივნეს ის კურნავს შალარის ძირით (ერთგვარი ბალახია), რომელსაც ჯერ კარგად დანაყავს, ჩაყრის ძროხის რძეში, ადუღებს მანამდი, სანამ ნამდვილ ფაფას არ დაემსგავსება, გაწლის ფართო თიკვზე (ჩვარზე) და მით უხვევს დასიებულ ადგილს. ორი სამი დღის შემდეგ ინფექცია დაძლეულია და ამგვარად სიმსივნე სრულიად ცხრება, რაც უნდა რთული ხასიათის იყოს შესუპება, იგი ხსენებულ წამლით სრულიად ქრება.

*) წვივის ძვალი მათებურად—ბალ.

რაც შეეხება სისხლას ყოველნაირ დენას ოპერაციისა ან დაჭრის დროს, ჰგელიკა ხმარობს შაბიამანს (Cupr. sulfur.), alumen-ს რომლებსაც მომწველი თვისება აქვს. ამ საშუალებით დენას აჩერებს იგი დიდი სისხლის ძარღვებიდან. ჯერ ცერით დააწვება გაჭრილ სისხლის ძარღვის თავს და მერე აყრის ზედ ხსენებულ წამალს. ეს სისხლის შემწყვეტი საშუალება, მისთვის რადიკალურ საშუალებად ითვლება. ლიქოკელი იმდენად დარწმუნებულია თავის მკურნალობაში, რომ თავის ტრეპანაციას სხვის დაუხმარებლად აკეთებს. ამ ოპერაციის დროს ის სრულიად არ ღელავს და მას ისე სწრაფი სიმტკიცით აკეთებს, რომ ის ნახევარ საათში მზად არის. არავითარ რყევას, არავითარ შიშს მის მოქმედებაში ადგილი არა აქვს. მას ასე დინჯად ბევრი დიდი ოპერაცია გაუკეთებია.

სხვათა შორის გულ-მკერდის არეში ერთ ხევსურ დედაკაცს მკამელა, ძვლის ტუბერკულოზი გასჩენოდა. მგელიკას აქ მარჯვენა მხარეს 4 ნეკნი ამოეკვეთა, რომლის შემდეგაც ავათმყოფი სრულიად მორჩენილიყო. აგრეთვე მუცლისა და გულმკერდის მიდამოში ტყვიით დაჭრილი ბევრი განიკურნავს და სხვ. სულ თავის სადასტაქრო პრაქტიკაში, როგორც მ. ლიქოკელი გვარწმუნებს, გაუკეთებია ოთხას ორმოცი (440) ოპერაცია, რომლის 98 პროც. მშვიდობიანად დასრულებულა.

შინაგანი ავადმყოფობისათვის მას შემოღებული აქვს სისხლის გაღება. ამისათვის შესაფერი იარაღიც (სკარიფიკატორი) აქვს. საზოგადოდ ხევსურეთის შინაური ექიმების სამკურნალო პრაქტიკაში მიღებულია სისხლის გაღება. ამ საშუალებას ისინი მიმართავენ მაშინ, თუ რომელიმე შინაგანი ავადმყოფობის მსვლელობას განუწყვეტლივი და მწვავე ხასიათი აქვს.

აღსანიშნავია, რომ როგორც მგელიკა ლიქოკელი, (პირაქ. ხევსურეთიდან) ისე ალეკო ოჩიაური (არხოტიდან) თავის ტრეპანაციას აკეთებენ იმ შემთხვევაში, როცა ტვინის მაგარი გარსი ნამეტნავად არ არის დაზიანებული. თუ ის გასკდა, ან დაიჭრა და მის ნაჭრევში თვით ტვინის რომელიმე ნაწილი აშკარად მოჩანს, ისინი კატეგორიულად უარს აცხადებენ მის ოპერატიულ ჩარევაზე. იმ შემთხვევაში, თუ ტვინის მაგარი გარსი ოდნაკათ არის დაზიანებული და იგი ამ დაავადებულ ადგილას არ არის დაცხრილული ისე რომ მასში ვერ შედის მაკ., ჩირქოვანი ნივთიერება, მაშინ მის გარშემო აცლიან ძვალს, მასთან ყველანაირ უსუფთაობას და შემდეგ მკურნალობენ მას, ადებენ ზედ უკვე მათგანვე დამზადებულ ჩვენ მიერ უკვე ცნობილ მალამოს იმ მიზნით, რომ ნახევრად მკვდარი ტვინის მაგარი გარსის კანი აღადგინოს. რაც შეეხება თვით ტვინის სხვადასხვა ნაწილებს, როგორიცაა ტვინის ჰემისფეროები—კორძიანი სხეული, ბოლზოლა და სხვა, მათ ამის შესახებ წარმოდგენა არა აქვთ.

რათა ნათელი იყოს მკითხველისათვის, თუ რა მსგავსება ან განსხვავებაა ხევსურ დასტაქრებს შორის როგორც წამლების შემზადებისა ისე მკურნალობის მხრივ, მგელიკას შემდეგ ალეკოსაც გაგაცნობთ.

ალეკო ოჩიაური არხოტელია, წყნარი, დარბაისელი და მეტად გონება-მახვილი მოხუცია, 86 წლისა. თავის სიცოცხლეში მოურჩენია 350 ჭრილობიანი ავადმყოფი. მათ შორის 150 სათვის გაუკეთებია თავის ქალას ტრეპანაცია. აქე-

ღან სამი ძძიმედ დაპრილი მოჰკვდომია. ეგ სამი ავადმყოფი თავში ყოფილა საბედისწეროდ დაპრილი, რომელთაც ტვინის მაგარი გარსი (ტვინის სკა) ჰქონიათ დაზიანებული. ალ. ოჩიაური მალამოს ადგილას მხოლოდ უცეცხლო თაფლს ხმარობს უკვე დასახელებულ წამლებთან ერთად მისი მკურნალობითი მეთოდი თავისებური ხასიათისაა. იგი არავითარ შემთხვევაში არ ფხეკს ძვალს ჭრილობის სირღმეში. ის მას გაულიზიანებელი თანდათანობით — დიდი სიფრთხილით ჰკურნავს. ჭრილობას ერთი თვის განმავლობაში არ ხურავს. რადგანაც ეშინია დაჩირქებისა და დახურავს მაშინ, როდესაც დარწმუნდება, რომ ჭრილობას კარგი პირი უჩანს, როცა გაჭრილი ადგილის ყველა შემაერთებელი ფენები აშკარა გრანულაციას იწყებს. თუ ვინიცობაა ძვალია გატეხილი, ის უცდის მის თავისთავად ამოვარდნას. უმთავრესად ამ უკანასკნელისათვის არ ხურავს იგი ეკვის ქვეშ ბყოფ ღრმა ჭრილობას. ის სავსებით დარწმუნებულია, რომ თუ დაზიანებული ძვალის ნაფლეთი არის სადმე,—იგი აუცილებლად ამოვარდება. თუ ერთი თვის განმავლობაში ძვალი არ ამოვარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ ყოფილა დაზიანებული *).

სურ. 39. ხევსურეთის შინაური დასტაკარი ალეკო ოჩიაური ს. აბიელი (არბოტის თემი)

ალეკო ოჩიაური ყოველ ჭრილობას გასჭრის ჯვარედინად იმ მოსაზრებით, რომ დაავადებული არე-მარე მკაფიოდ გამოჩნდეს, რაც მისივე აზრით სრული გარანტიაა ჭრილობის გაურთულებლად განკურნებისათვის.

რაც შეეხება სისხლის შემაჩერებელ წამლებს, ალეკო ოჩიაური ხმაროს შემდეგ ნივთიერებებს: შაბს, შაბიამანს (Alumen) ნიშადურს და ე. წ. ღუბის (ლაფის, ჭონჭყოს) ბალახს. ამ სისხლის შემაჩერებელ წამლებს ის თავისებურად ამზადებს. ჯერ სამივეს აკცევს ფხვნილად, შემდეგ ძლიერ ცოტას კარაქს გაურევს შიდ, გაადნობს ცეცხლზე; უკვე გამდნარს გაახმობს კარგად და ისევ

*) შეიძლება დაკრის დროს ტვინი გამოჩნდა. მაშინ დამკრელმა უნდა გადაიხადოს 16 ძროხა ან მისი საფასური. თუ ოდნავ ჩანს ტვინი მაშინ 12-ტი ძროხა—ანდა მარტო ჩხიბი გამოჩნდა—ღირს 8 ძროხა.

ფხვნილად აქცევს. ამაშივე ურევს სუფთა კირის ფხვნილს, რომელიც ერთის მხრივ მშრალად ინახავს დასახელებული წამლების ფხვნილს, მეორეს მხრივ, მასვე (კირის ფხვნილს) აქვს სისხლის შეჩერების თვისებაო. რომ უფრო სწრაფი და ძლიერი მოქმნდებისა შეიქნეს ხსენებული სისხლის შემჩერებელი წამლები, ალეკო ოჩიაური შიგ ურევს კიდევ ღუბის ბალახის ფხვნილს. როგორც მან აღნიშნა, ხსენებული წამლები მეტად ძლიერ მოქმედებს და ყოველგვარ სისხლის დენას წამსვე აჩერებს.—მანვე სთქვა; რომ შეიძლება ამ წამლების ფხვნილი გადაუდნობლადაც ვიხმაროთო, მაგრამ უფრო მეტი გარანტიისათვის მე მას ვადნობ, ვახმობ. და ისევ ფხვნილად ვაქცევო. მისივე განმარტებით, ყველა ამ წამლებს ძლიერი მოწვითი თვისება აქვთ.

საზოგადოდ ხევსური დოსტაქრები ოპერაციების დროს რაიმე ნარკოტიკულ (დამაძინებელ) საშუალებებს არ ხმარობენ, მხოლოდ ხანდახან, ისიც უკიდურეს შემთხვევაში, ავადმყოფს ათრობენ ცხარე არაყით. ამიტომ არის, რომ ყოველი ხევსური ძლიერ ადვილად იტანს ისეთ დიდ ოპერაციებს, როგორიც არის თავის ტრეპანაცია, ნეკნების რეზექცია (ამოკვეთა) და სხვა. ამ შემთხვევაში ხევსურები პირდაპირ არაჩვეულებრივი ნებისყოფისანი არიან. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ხევსური ბუნებრივად შეუდარებელი რაინდია და მეტად თავმოყვარე, მას დიდ სირცხვილად და უმდაბლეს ლაჩრობად მიაჩნია თუნდაც ოდნავი დაკვნესება მწვავე ტკივილებისა, ან რაიმე უბედური შემთხვევის დროს.

ამ მხრივ მას ვერ შეედრება ფშაველი, რომელიც ჭრილობის დროს მიუკარებელი, მშიშარა, უნებო, მგრძნობიარე და თითქმის ლაჩარია.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. ახალგაზრდა ხევსური დაეჭრათ მაჯის სახსარში. ცუდი მკურნალობის გამო მაჯა მოხრილიყო თავის სახსრებში და ასეთ მდგომათეობაში დარჩენოდა ხელი. ეს გარემოება თავმოყვარე ხევსურს არ ასვენებდა არც დღე, არც ღამე. მან ბევრ ექიმს მიმართა, მაგრამ ვერავისაგან ნუგეში ვერ მიიღო. ერთს მშვენიერ დღეს მოხრილი ხელი დაედო სწორ ფიცარის ნაჭერზედ და თავისივე ფეხით გაესწორებია ის—ხელი შეხვია კარგად და დაცხრომის შემდეგ ხელის საშუალებით ოდნავ მოძრაობაში მოეყვანა. რა თქმა უნდა, მან მთლიანად ვერ აღიდგინა ხელის ფუნქციონალობა და მოძრაობა. მაგრამ ნათელია, გარეშეებს კი მოესპო დაცინვის საშუალება და ამით შეიმსუბუქა ერთგვარი შეურაცხყოფის განცდები, რადგანაც უშნოდ მოხრილი ხელი გამართა მაინც.

თუ ხევსურმა ასეთ შემთხვევებში სურვილი ვერ აისრულა, მაშინ ის აუცილებლად თავს იკლავს და ეს საამწუხარო ფაქტი არც ერთს მის გარშემო მდგომ ხევსურს არ აკვირვებს, ვინაიდან ასეთი შემთხვევა მათ სრულიად ბუნებრივად მიაჩნიათ. საკვირველია, რომ ვერც ერთი ხევსური ხანგრძლივ ქრონიკულ ტკივილებს ვერ იტანს, მიუხედავად იმისა, რომ იგინი არ კვნესიან, რაც უნდა მწვავე ხასიათისა იყოს ტკივილები. მეორეს მხრივ, თუ ხევსურმა იცის, რომ ის ნამდვილად იქნება თავისუფალი უსაზღვრო მტანჯავ სენისაგან, ვაქცაცურად აიტანს დროულს, საათის უმწვავეს ტკივილს. ჩვენი ხუთი წლის მკურნალობითი პრაქტიკის დროს აშკარად დავრწმუნდით იმაში, რომ ხევსურები ასეთ შემთხვევებში წარმოადგენენ უსათუოდ არა ჩვეულებრივ, ძლიერ გასაოცარ გმირებს.

ყველა კეთილთვისებიან გარეთა ხორცშეტებს, ან დიდ ჩირქოვან მუწუკებს ხევსურეთის დასტაქრები შედარებით ადვილად არჩენენ. მას ან გაკვეთის საშუალებით კურნავენ, ანდა გამომწოვი წამლის დადებით. შინაგან ავთვისებიან ან კეთილთვისებიან ხორცშეტებზე, როგორიც არიან ulcus ventriuli rotundum (კუჭის კეთილთვისებიანი წყლული) ან Cancer (ავთვისებიანი სიმსივნე), მათ წარმოდგენა არა აქვთ. ამასთანავე მათთვის სრულიად გაუგებარია და წარმოუდგენელია ქალთა სნეულებისაგან წარმოშობილი ავთვისებანი ან კეთილთვისებიანი საშვილოსნოს, კერცხსაველისა და საკვერცხეების ხორცშეტები —(salpingitis, mioma, fibromyoma) და სხვა.

რაც შეეხება ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზის მკურნალობას აქ ხევსური დასტოქრებისათვის არ არსებობს სხვა საშუალება, გარდა ოპერაციისა. ავათმყოფობას ისინი უწოდებენ მჭამელას, რომელსაც მათი აზრით ვერავითარი წამალი ვერ ჰკურნავს. ასეთ შემთხვევებში ისინი ძლიერ გაბედულად მოქმედებენ და ხსენებულ ავათმყოფობით დაზიანებულ ძვალს დაუყონებლივ ამოჭკვეთენ.

თვით კონსერვატიულ მკურნალობის შესახებ, როგორც მაგალითად, გელიოტერაპიის და რადიოტერაპიის, მათ არაფერი გაეგებათ.

სურ. 10. მცენარე „ყაფლანა", რომელსაც ხმარობენ ყიელ-ცხელების დროს. „წვეულ პირიდან ღებინებას.

ბოლო წლის პრაქტიკამ დამარწმუნა რომ კანის ავათმყოფობა ძლიერ იშვიათია მთელ ფშავ ხევსურეთში, ვენერიული ავათმყოფობა სრულიად არ შემხვედრია ამ ხნის განძილზე. ამ მხრივ ფშავ-ხევსურები შეუდარებლად ბედნიერი ხალხია. ეს ხალხი რომ უცნაური ჩვეულებით, ლოთობით წაწლობა-სწორ-ფრობით არ ღლიდეს თავის მოდგმას, მაშინ ისინი მართლა მთის არწივნი იქნებოდენ.

სამკურნალო ბალახები.

1) **ფაფანაგა** —მხეზე ახმობენ ხევსური დასტაქრები, რომელსაც გახმობის შემდეგ აქცევენ ფხვნილად და ისე აყრიან ჭრილობაზე; მას სხვა წამლებშიაც ურევენ. **გველის წამალი**—„გველის წამალი" მიტომ ჰქვია, რომ თითქოს ის შუაზე გაკვეთილ გველს არჩენდეს. ამასაც მზეზე ახმობენ. მათი აზრით იგი ითელება ჭრილობის უებარ წამლად. 3) **ჭყანტა**—ურევენ სხვა წამლებში ჭრილობის მოსარჩენად. 4) **ყვითელი სამყურა**—რომლის ყვავილს მხოლოდ თავზე მიყენებულ ჭრილობისთვის ხმარობენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაჭრილს ტვინი

უჩანს. თვისება მისი ძდგომარეობს იმაში, რომ იგი აცხრობს, ამშვიდებს ტკივილებს და თან ჭრილობასაც ჭკურნავს. მას საუკეთესო წამლად სთვლიან ხევსური დასტაქრები. ესენი ყველა ამ წამლებს კომბინიურათაც შეაზავებენ და ისე წამლობენ ხოლმე ჭრილობას.

2. ხევსურული ტანისამოსი ჰიგიენის თვალსაზრიით.

ხევსურული ტანისამოსი ჩვენი ყურადღების მთავარი საგანია. ხევსურები არა მარტო თავიანთ მდიდარ ზნეჩვეულებებით არიან საგულისხმო, არამედ თავისი ტანისამოსითაც. ხევსურული ტანისამოსი მეცნიერულად საცდელი პირველი ნიმუშია ჯანსაღობის დასაცავად. ჩვენ ის რასაკვირველია არ გვაინტერესებს, როგორც ისტორიული რამ გამოსახულება.

ხევსურული ტანსაცმელი მთლიანად კეთდება წმინდა მატყლის ქსოვილისაგან. როგორც ხევსური მამაკაცი, ისე დედაკაცი, არავითარ ბამბის ქსოვილს არ იკარებენ. არც არაფერი ურევია მათ შალეულ სამოსელში: ყველა შალის ნაწარმოები ძზადდება მათი საკუთარი ხელით, რა თქმა უნდა, მხოლოთ დედაკაცების მიერ, ეს ტანისამოსი შესანიშნავია იმ მხრივ, რომ ჰიგიენურია, სადა, მსუბუქი და პარაზიტ-მიუკარებელია. ეს პირდაპირ შეუდარებელი რამაა ადამიანის სიცოცხლის დასაცავად—და სავსებით მისაღებია ჯანსაღობის თვალსაზრისით. თუ საკოველთაოდ არა, ზოგიერთ დაწესებულებაში მაინც შალის საცვლების პერანგი და მისი ამხანაგი აუცილებლად უნდა იქნეს შემოღებული. განსაკუთრებით: გამასწორებელ სახლებში და საავადმყოფებში. ალბათ გერმანულ ზოოლოგს, გუსტავ იეგერს, ეს ჰქონდა დასახული მიზნად, როდესაც მან შალის თეთრეული გამოიგონა. აქ ფრიად საინტერესოა ის, რომ ამ მხრივ ხევსურებმა მას რამდენიმე საუკუნით დაასწრეს და ამით თავიანთი ჯანმრთელობა უზრუნველ ყვეს სისუფთავის მხრივ.

ვიდრე ჩვეულებრივი ტანისამოსის აღწერას შეუდგებოდე, საჭიროდ მიმაჩნია გაკვრით შეეეხო საომარ ტანისამოსს. იგი შესდგება: 1) ჯაჭვის პერანგისაგან, რომლის სიგრძეც მუხლამდის სწვდება, 2) ჩაჩქნისაგან ან თავზე დასახური თითბრის ქუდისაგან 3) ლითონის სამკლავებისაგან. 4) ჯაჭვის ხელთათმანებისაგან (ძათებურად საბუხრები ჰქვია) და 5) საჩერნისაგან, ან წვივზე შემოსახვეული საფარისაგან. ჩვეულებრივ ამ რკინის სამოსს ამშვენებენ შემდეგი იარაღები: 1) პირველხარისხოვანი ხმალი „დავით-ფერული", 2) მეორეხარისხოვანი ხმალი „ფრანგული" ანუ „გორდა-ფრანგული", 3) წელში ძველი ყაიდის დამბაჩა და 4) მხარზე ძველი ქართული კაჟიანი თოფი.

ეს იარაღები ყოველი შემთხვევისათვის ინახება თითქმის ყველა ხევსურის ოჯახში.

ჩვეულებრივ ხევსურულ ტანისამოსს მთლიანად ეწოდება ტალავარი, ( )აწყებული ჯღანიდან გათავებული ქუდით. წელს ზედა ტანსაცმელი

*) ხევსურები საზოგადოდ ანტიჰიგიენურ პირობებში ცხოვრობენ მაგრამ ამას ანელებს წმინდა შალის ტანისამოსი რომელიც სავსებით ეგუება ხევსურეთის ადგილ-მდებარეობას და ყოფა-ცხოვრებას.

ზაფხულობით შესდგება სამი ნაპრისაგან; ესენია: პერანგი, ჩოხა და ქუდი. ზამთრობით ოთხი ნაპრისაგან: იგინიენ და ტყავის ქულაჯა წელს ქვედა სამოსი, როგორც ზაფხულობით, ისე ზამთრობით შესდგება მხოლოდ სამი ნაპრისაგან: ესენია: შალვარი, ბაპიკები და ჯღანი.



სურ. 41. ხევსურული იარაღები: 1) ხანჯალი, 2) ფარი, 3) დავით-ფერული, 4) სამკლავე და სხვ.

ხევსურული მამაკაცის პერანგი ხელით ნაქსოვი შალია, რომელიც შეკერილია შემდეგნაირად: საყელოს უკანა ნაწილი საკმაოდ მაღალია, რომელიც ნაქარგი ნაკერებით ისეა გამაგრებული, რომ არასოდეს არ იშმუშება, არ იკეცება, დგას ისე, რომ მთელი კისრის უკანა ნაწილს ფარავს. წინ საყელო თარგისებრ მოკრილია, თითქმის ის სრულიად არ ემჩნევა, არის ზომიერად სრული ისე, რომ მასში კისრისა და გულმკერდის შეერთებანი აშკარად მოჩანს და თვით კისრის ღერძი თავისუფლად მოძრაობს შიგ. გაკრილია მარჯვნივ გვერდზე. გულ მკერდზე ამშვენებს ნაპრელა,— მოქარგულია სხვადასხვა ფერის აბრეშუმით: სახელოები საკმაოდ სრულია და ორივე იღლიის ქვეშ გახსნილია იდაყვის ბოლომდი ხოლო აქედან (იდაყვიდან) ისინი გალამბულია მსუბუქად მაჯის სახსრამდი. ეს იმიტომ რომ ყოველ სახიფათო მომენტში ხელი უცბათ გაინთავისუფლონ. იღლიის კუთხის დასწვრივ, ოთხიხუთი გოჯის სიგრძეზე გრძელდება გახსნილი, შემდეგ იწყება გვერდით ნაკერი დაახლოებით ნახევარი ადლის მანძილზე. მისი წინა და უკანა კალთები თანასწორად ეშვება მუხლამდი, რომლის ბოლო გვერდებიც საკმაოდ შეკრილია. წინა კალთის ბოლოზე მოყოლებული აქვს სპირალისებრი დაკბილებული ნაპრელა-ნაქარგი. როგორც სახელოების უკანა კალთის ბოლოებზე, ისე საყელოს ირგვლივ ზედა თავზე მოკერებული აქვს ე. წ. დაწნილი კუთხა-შილიფა: ზემოდ ორ-ორი. ქვემოთ მხოლოდ ერთი. კუთხა-შილიფა უეკველად წითელი ან ყვითელი ფერის უნდა იყოს. გულის პირის გვერდზე გაკრილს მარტო ერთი ასაბნევი აქვს, რომელსაც ხევსურულად ეწოდება ღ ი ლ შ ა ტ ა. ბეჭებზე, ზურგზე, მხრებზე, მკერდზე და საყელოებზე სხვადასხვა ფერის ჯვრებია ამოქარგული.

ხევსურული შ ა ლ ვ ა რ ი უფრო უბრალოდ არის შეკერილი. იგი ჩვეულებრივ მოკლეა, თავიდან ტოტამდი თანასწორია, ე. ი. არსად შევიწროვება და.

არც გაფართოვება არ ემჩნევა. ხევსურის შალვარის ტოტი ეშვება მხოლოდ ოთხი თითის დადებით კოჭის ზემოდ. წელში მას აჩერებს ზომიერი მოფონებით ხვანჯარი (ხევსურულად ს ა წ ე ლ ე). ორივე ტოტზე შემოყოლებული აქვს სირმისებური წითელი ნაქარგი, რომლის ბოლოებიც დამაგრებულია წითელი ან ყვითელი ორი შილიფით. ამ ტოტთა მოკაზმულობას ხევსურულად ეწოდება შ უ ქ ა ს ა რ ნ ი. აგრეთვე მუქასარნი გულისხმობ შალვრის მუხლის ქვედა ნაწილსაც. თუ შალვრის ტოტები არაჩვეულებრივადაა მორთული, მაშინ მას ჰქვიან ნ ა მ დ ვ ი ლ ად გ ა კ ე თ ებ უ ლ ი. ხსენებული ტანისამოსის ნამდვილი ჩაცმის წესია, შალვარის ტოტებს ბაპიკებში კი არ მოიმწყვდევენ, არამედ ზევიდან გადაუშვებენ მას. ხევსურული ბაპაკები აღწევს მუხლებამდე. იგი ზომიერი სისწორითაა შეკერილი და არის მორთული საგანგებო ხელოვნური ნაქარგით. დაკავებულია მზგავსივე ფერის საწვივებით, რომლებიც კიდევ უკეთესადაა ნაქარგი. ვიდრე ბაპიკები. ბოლოები წითლადაა წაქოჩრილი, რომლებიც წვივების გარეთა მხარეებს ამშვენებენ. სიგანით დაახლოვებით ერთი გოჯია, სიგრძე კი ინდივიდუალურია: ფეხზე იცვამენ კოხტად შეკერილ ყურებიან ჯღანებს, რომლებიც გათელილი ხარის ტყავისაგანაა გამოჭრილი. ძირები გაბანდული აქვს ძლიერ მაგარი თასმებით, შიგნით გააფენენ ქერის ჩალას. ფორმა მოგაგონებთ კოხტად შეკერილ მეშის ტყავის უძიროს, რომელიც თითებისაკენ კონუსისებურ ძრის წაწვეტილი. პერანგზე გადაცმული აქვთ გულმოჭრილი მოკლე ჩ ო ხ ა, რომლის კალთებიც მუხლამდი წვდება. ყოველი მისი ნაწილი აღნიშნულაა ჩვეულებრივ ჯვრით. კისრის მოყოლებაზე, მხრების ირგვლივ და გულმკერდის გასწვრივ მოქარგულია აბრეშუმის შიბით. მკერდის ორივე მხარეს სხვადასხვა ფერადებით მოკაზმული ს ა გ უ ლ ე ე ბ ი ამშვენებენ. უკან წელის არეზე რამდენიმე ლამაზი ნაკეცი აქვს დაყრილი, რომელსაც იქაურად ეწოდება ა ზ ღ ო ტ ი. ამ აზოლოტის თავზე სამ ალაგას კოხტად ჩახიდვენ წითელი ნაფთულით. ჩოხის სახელოები იღლიის ქვეშ პერანგის მსგავსად არის გახსნილი, ი ე რომ, მთელი იღლიის არე და მხარის ქვედა პირველი ნახევარი სულ შიშველად მოჩანს, რომელშიც, ეტყობა, ჰაერი თავისუფლად მოძრაობს. ჩოხის კალთების გვერდები ორივე მხარეზე გაპრილია თითქნის თეძოების არემდი. ეს იმიტომ, რომ შემთხვევის დროს, კალთები თავისუფლად შემოიკეცენ წელზე, ან ქამარში დაიტიონ, აქიტომ მას მცორენაირად ს ა მ ხ ე დ რ ო ჩ ო ხ ა ეწოდება. კალთის ბოლოზე მოყოლებული აქვს წითელი კუთხა-შილიფა. ქ უ დ ს ტყავისას ჰკერავენ, ხშოლოდ შიგნით ნაბადს აკრავენ. ამ ტყავსა და ნაბადს შუა რკინას ჩაუდებენ, განსაკუთრებით წინ, შუბლის მხარეზე, რათა ჩხუბის დროს თავის ქალა დაიცვას ხიფათისაგან. ზამთარში ჩოხაზე გადაიცვამენ ჯიხვის ტყავისაგან, (ბ ე წ ვ-გ ა რ ე თ ა) შეკერილ მოკლე ქულაჯას, რომელსაც ახლანდელ დროში იშვიათად შეჰხვდებითამ კოხტა შეკერილ მოკლე ქულაჯას ხევსურულად ეწოდება: ს ა ბ ე წ ვ გ ა რ ე თ ო. ყოველ შემთხვევისათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ცერზე ატარებენ სამჯერ გადახვეულ თითბრის მაღალ კბილებიან დასაკაწრავ ხვეულს. ახლა მას აკეთებენ რკინისაგან, რომელსაც ბორბლის მსგავს მოყვანილობა აქვს და იქაურულად ღ ა ჯ ი ა ჰქვია. მთლიანად ტალავარი შეღებილია მუქ-ლურჯად.

სულ სხვაგვარათაა შეკერილი, ხევსური დედაკაცის პერანგი რომელსაც ხევსურულად ს ა დ ი ა ც ო ჰ ქვია ანუ ჩოხა, რომლის სიგრძეც ჩვეულებრივ ფეხის კოპებამდი აღწევს, მხოლოდ როდესაც ზედ სარტყელს შემოირტყამენ, მას საკმაოდ ასწევენ ზევით და აყენებენ წვივთა შუახაზების დონეზე. სწევენ მას ს�ი მოსაზრებით: 1) რომ პერანგს ფართო უბე გაუკეთდეს, 2) რომ კალთები მისი ტალახს ან ნეხვს ასცდეს და 3) რომ ის სიარულს ან გაქცევას არ ზღუდავდეს. უბე იმდენად ღრმაა, რომ გულ-მკერდის არეში სარძევე ჯირკვლები თუნდაც არაჩვეულებრივი სიდიდისა იყოს, ისინი მაინც არ ემჩნევა მის ხელოვნურად შექმნილ ღრუს. ამიტომ ამ გულ-მკერდის საფარს მთლიანად ეწოდება ს ა დ ი ა ც ო ს ფ ა რ ა გ ი. ამ სადიაცო ფარაგს დედაკაცის ცხოვრებაში დიდი ზნეობრივი თავდაჭერითი მნიშვნელობა აქვს, იგი განსაკუთრებულად არის ნაკერი. მარცხნივ მას ჩვეულებრივი ასაბნეი აქვს, ხოლო მარჯვნივ სამკუთხოვანი სადროვო გასახსნელი, რომელსაც ხევსურულად ს ა დ ი ა ც ო კ ა ნ ჭ ი ეწოდება. ამ სადიაცო ფარაგის სამკუთხოვანი ნაკერი მაკრადაა შებნეული გარკვეულ დრომდი. იგი ხევსური ქალის სანამუსო სიმბოლოა და ამიტომ მას ყოველი სირცხვილიანი დედაკაცი შ ვ ი ლ ი ს შ ე ძ ე ნ ა მ დ ი ა რ გ ა ი ხ ს ნ ი ს. სადიაცო ფარაგს ერთგვარი შემარიგებელი მნიშვნელობაც აქვს სისხლის აღების დროს. მაგალითად: თუ მოსისხლე მტრები ვერ რიგდებიან, მაშინ დედას მოსისხლისას, რომელიც სისხლის ამღებს არ ურიგდება მოწინააღმდეგე მხრის ერთ-ერთი წარმომადგენელი მოჰკიდებს ხელს სადიაცო ფარაგზე და დიდი თხოვნით მიჰმართავს, რათა იგი აქტიურად ჩაერიოს საქმეში და მის ნათესავს სისხლის ამღებზე უარი ათქმევინოს. რაკი მოხუცი ხევსური დედაკაცის სადიაცო ფარაგს ხელით შეეხო მთხოვნელი, ამის გამო დედა მის მკვიდრ შვილად ღებულობს და მის თხოვნას აუცილებლად ასრულებს. ამ მშვენიერ ხევსურულ ჩვეულებას ეწოდება ფ ა რ ა გ ი ს გ ა მ ბ ა. სადიაცო ფარაგი მოქარგულია მრავალფეროვან აბრეშუმის ძაფებით, მისი სახელოები არ არის გახსნილი იღლის გუბის არეში, ვინაიდან ეს ხევსური დედაკაცებისათვის დიდი სირცხვილია. პერანგის ყოველ კიდურებს მოკერებული აქვთ წითელი ან ყვითელი კუთხა შილიფები. ჩვეულებრივ სადიაცო ფარაგი მოკაზმულია ფეროვან მძივებით. თუ ხევსური დედაკაცი რაიმე შემთხვევით გაუბედურდა, შეიქნა სრული უმწეო, უნათესავო, მაშინ ის ჩვეულებრივ მოკაზმულ პერანგს არ ჩაიცვამს*).

სადიაცო კალთის ბოლო ირგვლივ მსხვილად არის დანაოჭებული. მას ხევსურულად ნ ა ჩ ა ფ ი, ან ბ ო ლ ო ყ ურ ე ბ ი ეწოდება. სადიაცოს დანაოჭებულ კალთის ირგვლივ მთლიანად ნაწილს ჰქვია ქ ო ქ ო მ ო(ნ ი) (ფერადად მოკერებული). ხევსური დედაკაცის პერანგი საზოგადოდ მოასწავებს მის მაგივრობასაც წევს. ქოქმოების კიდურებზე მოაყოლებენ ფერად შილიფებს, რომელსაც სხვანაირად შ ი გ-ა ვ ო ლ ე ბ ე ბ ი ჰქვია. ხევსური დედაკაცებიც იცვამენ ბაჩიჭებს, მხოლოდ მამაკაცების ბაჩიჭებიდან იმით განსხვავდებიან, რომ დედაკაცების ბაჩიჭები წინდის ჩხრით არი ნაქსოვი. ფეხზე აცვიათ შიბიანი დაძეწკვილი თათე-

*) საზოგადოდ მგლოვიარედ ყოფნის დროს ხევსურები ტანისამოსის ყოველნაირ სიბეჭდრიალეს ფარავენ რაიმე უსახო ქსოვილით ან პირს უბრუნებენ მას.

ბი, ანუ მკორენაირათ საქალმე თათები. სადიაცოზე ანუ ჩოხაზე გადაიცვამენ საკუთარ ხელით ლამაზად შეკერილ ქალურ პალტოს, რომლის სიგრძეც მუხლამდის აღწევს და, რომელსაც ხევსურები ქოქლოს ანუ ფაფანაკს უწოდებენ. მას ჯერ თეთრი შალისაგან შეჰკერავენ, მთლად თეთრი შიბაით ააპრელებენ და შემდეგ მოქ-ლურჯად შეღებენ. წელის არეში საუცხოოთ ხელოვნური სილამაზის მრავალრიცხოვანი ნაკეცი აქვს დაყრილი, რომლის შენაკეცებშიც ჯვარია გამოსახული. რომ წელზე სწორად დადგეს, ამისათვის მას იბნევენ ერთი ლილით, თორემ ისე, საყოველთაოდ, მას გახსნილად ატარებენ. კალთის კიდურები დამაგრებულია კუთხა-შილიფით. თავზე იხურავენ უსათუოდ ლურჯათ შეღებილ მშვენიერ ნახელაქმეე შალის მანდილს, რომელიც ზმანდა დახვეწილი ძაფითაა ნაქსოვი. გაუთხოვარი ქალები კი სათაურს, ე. ი. ჩიხტიკოპას ატარებენ, არ არის წესი რომ გაუთხოვარმა ქალმა მანდილი დაიხუროს, პირიქით, თუ გათხოვილი დედაკაცი უმანდილოდ დადის, ეს დიდი სირცხვილია.

ხევსურული წესით გათხოვილი ქალი იმავე დღეს ქმარს კი არ მიჰყავს თავის სახლში, არამედ ის ერთი წლის ვადით ისევ მშობლების სახლში რჩება. პატარძალს არ შეუძლიან მოიხადოს მანდილი უფროსებთან, ხოლო თუ მანდილი არ ჰხურავს თავზე, ის ვერ მიესალმება საზოგადოდ ვერც ნათესავს და ვერც ნაცნობებს; სანამ არ დაიხურავს მანდილს, ის ვერ მიესალმება ვერავის, თუნდაც დიდი ხნის ენახავი ახლო ნათესავი შეხვდეს. ფაქტიური დაქორწინების შეიდეგ ის მანდილს იხურავს. ამ ერთი წლის განმავლობაში ქმარი და მისი ახლო ნათესაობა (დედა, მამა და-ძმა) ხშირად დადიან პატარძლის სანახავად. იმას მიხედვით, თუ რა განწყობილებაშია ახალი რძალი ქმრის ნათესაობასთან, ამის გარეშე პირი მხოლოდ მანდილის დახურვა-დაუხურველობით გამოიცნობს: თუ ქმრის ახლო ნათესავთა სტუმრობის დროს პატარძალი მიესალმა მათ მანდილით, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ღრმა პატივისცემით არის განწყობილი ქმრის ახლო ნათესავებისადმი და თუ უმანდილო ეჩვენა მათ, ეს უდრის დიდ გულისწყრომას ქმარეულის მიმართ.

სადიაცოს ფარაგს, გარდა ნაქარგისა, ამშვენებს კიდევ სხვადასხვა ფორმის აკინძული ვერცხლის ყელსადები (შიბი), მაჯაზე თითფრის ბალტები (ბრასლეტი), თითებზე ბეჭდები. ყველა ამ ნივთებს ხევსურები უწოდებენ სამკაულს. ზამთარში ხევსური ქალები ჯიხვის ტყავისაგან შეკერილ თბილ პალტოს იცვამენ, რომელსაც საყელოზე, კალთისა და სახელოების ბოლოზე ამშვენებს თეთრი ბუმბულა ხბოს ან ბატკნის ბეწვი. პირველი შვილის გაჩენის შემდეგ სადიაცოს ფარაგს ხევსურის დედაკაცი გახსნის სამუდამოდ. იმ შემთხვევაშიც კი, რომ შვილი იმ წამშივე მოუკვდეს და მეორე არას დროს აღარ ეყოლოს. თუ რაიმე მიზეზით ქმრიან დედაკაცს შვილი არ გაუჩნდა, მაშინ ის ბერდები სრულიად ფარაგ-გაუხსნელი. თუ სადიაცოს ფარაგი ხევსურმა ქალმა გაიხსნა გათხოვებამდი, ან შვილის ყოლამდი, ეს დიდ უზნეობას ნიშნავს.

საერთოდ ხევსურებს (როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს) არც თუ ცუდი გემოვნება ჰქონიათ ჩაცმა-დახურვის დროს. ასეთი მსუბუქი, სადა, ფრიად ორიგინალური, კანისა და საერთოდ სხეულის შეუდარებლად დამცველი, შემნა-

ხავი ტანისამოსი არა თუ უკულტურობა და ჩამორჩენილობა, არამედ კულტურულობასაც იშვიათად მოეპოება.

ხევსურული ტანსაცმელი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მეტად თავისებურია და ლამაზი, შეხამებულ მუქ-ლურჯა ფერებში.

შალის ტანსაცმელის ჰიგიენური ღირსება იმაშია, რომ ის რაიმე ჭუჭყს იშვიათად იკრავს, რომ იგი უსუფთაობის ნიადაგზე გაჩენილ პარაზიტს (ტილს) თავის ნაკერების საბუდო ადგილებში არ იგუებს. გაჭუჭყიანების დროს უსაპნოდაც ადვილად ირეცხება ცივ წყალში, ამას გარდა დიდ ხანსაც სძლებს. მთავარი მაინც ის არის, რომ მისგან შალის ქსოვილი ძლიერ წააგავს სხეულის ზედაკანის ბუნებრივ ანატომიურ შენებას, რაც იმას გულისხმობს, რომ კანისა და შალის ქსოვილს შორის სუფთა ჰაერი თავისუფლად მოძრაობს, ეს ერთი მეორე შალის ქსოვილს ისეთი თვისება აქვს, რომ ეს ზომიერად აღიზიანებს სხეულის ზედაკანის ქსოვილს, რაც უთუოდ გამოიწვევს კაპილარულ სისხლის წონასწორულ ცირკულაციას, მიმოქცევას. უეჭველია აქედან წარმოიშობა ერთგვარი ზომიერი სითბოც და როგორც ვიცით ბამბეული ქსოვილთა შედარებით იგი უფრო იცავს სითბოს.

3. სისხლის აღება და მასზე დამოკიდებული ფესები ხევსურეთში.

ხევსურული სისხლის აღება ისეთი რთული მოვლენაა, რომ მისი შინაარსიის გადმოცემაში შეიძლება თვით ხევსური დაიბნეს.

ვეცდებით მაინც, რამდენადაც შესაძლებელია, მკითხველს მივაწოდო სანდო ცნობები.

პირველად შევეხებით კეკნაობას, რომელსაც ხევსურული ჭრა-ჭრილობა ეწოდება.

ხევსურები ხშირად იწვევენ ერთმანეთს კეკნაობაში, რაიცა უფრო ხშირად ხდება ხატში, დღეობაში, ან შემთხვევითი ქეიფის დროს. ადათია, რომ აუცილებლად ერთმა გვარეულმა სხვა გვარეული გამოიწვიოს კეკნაობაში. ერთი გვარის ხალხი კი ერთმანეთში იშვიათად წაიჩხუბებიან *), არასდროს ერთი მეორეს არ დასჭრიან. ჭრა-ჭრილობა უ ათუოდ ხდება ორ საგვარეულოს შორის. სჭრიან ერთმანეთს მსუბუქად, ყოველ შემთხვევაში არა სასიკვდილოდ. თუ ვინიცობაა კენჭაობის დროს კაცი მოკვდა, ეს [დიდ უბედურებას ნიშნავს, ორივე მხრისათვის, ე. ი. როგორც მკვლელისათვის, ისე მოკლულისათვისაც. ეს იმიტომ, რომ ეს არის მიზეზი იმ გაუთავებელი დევნისა, შიშისა და გარიდებისა რომელნიც თან სდევენ სისხლის აღებას. უნდა აღინიშნოს რომ, ჭრა ჭრილობის დროს დედაკაცები დიდ როლს თამაშობენ ხევსურეთში. თუ ამ დროს დედაკაცი გადაუდგა მოჩხუბართ წინ, ან ხელი მოჭკიდა რომელსამე მათგანს, მაშინ, რაც უნდა მკაცრი ხასიათის იყოს ჩხუბი, რაც უნდა გაბრაზებული იყოს ორივე მხარე, ხმლით კინაღლაობა უმალვე სწყდება და გააფთრებული მოკეკნავენი სცხრებიან.

---

*) იგულისხმება ახლო გვარეული, შორეულ გვარეულობაში თავისთავად ხდება ჭრა-ჭრილობა.

დედაკაცის ჩარევის დროს, განსაკუთრებით, თუ მანდილი გადააგდო მან ბოჩხუბართა შორის, ყველა ხევსური თავაზიანი ხდება და რაინდულად განწყობილი, უმალვე სთმობს თავმოყვარეობას და სწყვეტს დაწყებულ კენჭაობას*).

კენჭაობა ხდება ფარ-ხმლით. ცხადია, ვინც ფარ ხმლის ხმარებაში მარდი, სწრაფი და მოხერხებულია, ის იმარჯვებს. ზოგი მათგანი ისეთი მარდი და გაწვრთნილია, რომ ერთ ჭრილობასაც არ მიიღებს და მოწინააღმდეგეს რამდენსამე ჭრილობას მიაყენებს. ხმლის ხმარებაში ისაა სახელოვანი, ვინც ერთს ჭრილობას არ დაიჩნევს და თვითონ კი ბევრს მიაყენებს მოწინააღმდეგეს. ყოველი ახალგაზრდა ხევსური არის დაჭრილი შუბლზე, სახეზე, თავზე ან ხელზე. ყოველი ახალგაზრდა ხევსური ატარებს ფარ-ხმალს, ვინაიდან თვითეულ მათგანს ჰყავს მტერი, რომელიც მუდამ ჟამს შეიძლება შეჰხვდეს. ამიტომაა რომ ისინი თუნდაც მოკლე შანძილზე უფარ-ხმლოდ არ გაივლიან. საუკეთესო ხმალი, რომლისათვისაც თვითეული ხევსური არაფერს დაზოგავს, არის ეგრეთწოდებული დ ა ვ ი თ-ფ ე რ უ ლ ი, შემდეგი მოდის ფ რ ა ნ გ უ ლ ი და მერმე ! ეი დანარჩენები. თუმცა ჩვეულებრივ ერთ გვარეულთა შორის არ შეიძლება სისხლის აღება, მაგრამ ვინაიდან მათ შორისაც შეიძლება მოხდეს. ვთქვათ, ძმას ძმა შემოაკედა. ამ შემთხვევაში სისხლი ვინ უნდა აიღოს? მაგრამ შემდეგ, როდესაც დრო გაივლის და უკვე მეოთხე მოდგმა წამოიზრდება მაშინ მოკლულის მემკვიდრეები გაიხსენებენ წარსულში მომხდარ ამბავს და სისხლის აღებით ემუქრებიან მკველის შთამომაველობას.

როგორც აღვნიშნეთ, ხევსურულ კენჭაობას საზოგადოდ არ ახასიათებს საბედისწერო სისხლის ღვრა, არამედ, დიდი ხნის შეჩვევა-გაწვრთნის გამო ჭრილობის უმრავლეს შემთხვევაში არის მსუბუქი, პატარა და უხიფათო. ფრიად საგულისხმოა, რომ ხმალისა ან ხანჯლის მოქნევა ჭრა-ჭრილობის დროს გარკვეული ხასიათისაა. ხმლიანი ხელის მოქნევის მომენტში მხრისა და იდაყვის სახსრები არ მონაწილეობს, არც მკლავის მამოძრავებელი კუნთები, ამ შემთხვევისათვის აამუშავებენ ხოლმე ზედმიწევნით გავარჯიშებულ მაჯის სახსრებს და მის მომხრელ კუნთებს (m. m. flexor carpi radialis et flexor carpi ulnaris) ხმლის დარტყმა რომ მკლავის სრული მოქნევის ძალით ხდებოდეს, მაშინ ყოველი მოქნევა უთუოდ საბედისწერო იქნებოდა. მოქნევის დროს მაჯის მიხვრა-მოხვრაც ფრიად ზომიერია. თუ ვინიცობაა ჩვეულებრივ მოქნევის წრეს გადასცილდა დარტყმული ხმალი, ამის პირდაპირი მიზეზი იქნება გადაჭარბებული სიმთვრალე, რაც დიდად სანაღვლებელი ხდება გამოუხილვების შემდეგ ორივე მხრისათვის: დამჭრელი ნაღვლობს იმაზე, რომ 1) მთელი მკურნალობის ხარჯი მას დააწვება (ექიმის მოყვანა, მისი ხელფასის გადახდა და ყველა ის, რაც საჭიროა დაჭრილისათვის), 2) მას ადებენ განსაზღვრულ გადასახადს იმის და მიხედვით, თუ სად, ან სხეულის რომელი ნაწილია დაზიანებული. დაჭრილი კი იმას ნაღველობს, ვაი თუ დაზიანებულმა სხეულის ორგანომ დაჰკარგოს თავისი ფუნქციონალობა, რომელიც მისთვის ყველანაირ

*) შეიძლება ეს რაინდული თავაზიანობა იქნეს დარღვეული ზოგიერთი გადაგვარებული ხევსურის მიერ, რომელნიც ძველთაგან გადმოცემულ ჩვეულებებს სათანადო ანგარიშს არ უწევენ.

ნივთზე უძვირფასესია და რომელსაც ვერავითარი ფასიანი ღირებულება ვერ დაუბრუნებს. მეტად მწვავე და ღრმაა დასახიჩრებული ხევსურის ფსიხიური განცდები, რომელმაც შეიძლება იგი თვითმკვლელობამდიც კი მიიყვანოს. ბუნებრივათ თავმოყვარე ხევსურს გაბზარული ან განახევრებული ფიზიკური სიცოცხლე არაფრად მიაჩნია და ის ადრე თუ გვიან თვითვე ხდება შეურაცყოფილ სიცოცხლის მკაცრი მსაჯული.

როდესაც ხევსური დასპრის თავის მოწინააღსდეგეს, როგორც ვსთქვით ის მისთვისაც დიდად სამწუხაროა და ჩვეული ნუგეშით ეუბნება დაპრილს: „თეთრი ოქროთი აგილესავ მაგ ჭრილობასა“, ან „ბაჯაღლო ოქროთი შეგიმკობრაგ ჭრილობასო“. ყოველმა ხევსურმა წინდაწინვე იცის, თუ რა მოელის მას, როდესაც ის სპრის ვისმეს, მაგრამ მაინც ჩადის ამას, რადგანაც უცნაური ჩვეულება ისე მტკიცედ აქვთ გამჯდარი ძვალ-რბილში, რომ თუ ვინმე არ დასჭრეს ვერ მოისვენებენ, ამის გამო ხევსურს ზოგჯერ რამდენიმე ათეული ჭრილობა აქვს მიყენებული.

ჭრილობის ღირებულების განსაზღვრა დამოკიდებულია იმაზე, თუ სხეულის რომელ ნაწილზეა იგი და რამდენად დიდია მის მიერ მიყენებული ზიანი.

თუ ჭრილობა სახეზეა მიყენებული, მაშინ გამოანგარიშება ხდება მარცვლების დადებით. სახეო, რომ ვამბობთ, იგულისხმება შემდეგი ფარგლები: ზევიდან შუბლის სამი ნაოკი, ქვეეიდან ნიკაპი და გვერდებიდან ყურის ძირები. ამ ფარგლებში მიყენებული ჭრილობას სახის ჭრილობა ჰქვია და შემდეგნაირად ფასდება: როდესაც ჭრილობა სრულიად განიკურნება და მისგან ნაწიბურები



სურ. 42. ჭრილობა. ჭრილზე ხორბალი დაწყობილი. ზოგი გარდიგარდმო, ზოგი სწორად. ~~უკანასკნელ მარცვლები რომლებიც დადებულნ~~. 1) ჭრილობა, 2) კუნ თოვანი შრე, 3) უკანასკნელ მარცვლები, რომლებიც სათვალავში არ ითვლება, 4) მარცვალები, რომლებიც შედის სათვალავში



ლია დარჩება*) ამ დაჩნეულ ჭრილობას გაზომენ ძაფით, დანიშნავენ მისზე ჭრილის სიგრძეს. ძაფს დასდებენ ფიცარზე, დააწყობენ ზედ წმინდა ხორბლის მარცვლებს. ერთ სიგრძეზე დადებულ მარცვალს უნდა **ეგასტეფეს** გარდიგარდმო დადებული მარცვალი. გაწყობილი მარცვლები არ უნდა გადასცილდეს ძაფით დანიშნულ წერტილებს. ორს მარცვალს (ერთს თავში და ერთსაც ბოლოში) მოაცლიან და შემდეგ დასთვლიან დანარჩენთ. ეთქვათ, აღნიშნულ წერტილებს შუა მოთავსდა სულ ათი მარცვალი, პირველისა და უკანასკნელის გამოკლების შემდეგ დარჩება რვა. თვითეული მარცვალი ნიშნავს თითო ძროხას, ან მის საფასურს, მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში დამჭრელმა დაჭრილის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს რვა ძროხა, ან მათი საფასური. შეიძლება სახეზე სამი ან ოთხი ჭრილობაა მიყენებული, მაშინაც ამავე წესით ხდება მათი დაზომვა და რამდენი მარცვალიც მოთავსდა აღნიშნულ ჭრილობაში, იმდენი ძროხა უნდა უზღოს დამჭრელმა დაზიანებულს. მაგალითად სამ ჭრილში მოთავსდა 30 მარცვალი უკვე აღნიშნულ დაზომვის წესით ოცდაათს უნდა გამოვაკლოთ ექვსი მარცვალი**) დარჩება 24, მაშასადამე დამჭრელმა უნდა ზღოს ოცდაოთხი ძროხა, ან მათი საფასური (ნ. სურ. 42).

თუ ჭრილობამ კაცის დასახიჩრება გამოიწვია, თუ მაგ. მას ხელი მოსჭრეს ან ხელის ნორმალური ფუნქციალობა დაერღვა ან რომელიმე თითი მოჰკვეთეს ან არა და ისე დასახიჩრდა კაცი, რომ **ვგ** შრომის უნარი არ შესწევს და ინვალიდი გახდა, ამაზე თავ-თავისი წესი არსებობს ძველთაგან შემოშავებული სამაგიეროდ თუ, სახის გარდა, ასეთ ადგილას დაიჭრა ხელსური, რომ მის ხელულს არავითარი ნაკლი არ დაჰყვა, იმ შემთხვევაში დამჭრელს არაფერი არ ჰხდება ოღონდ მეტოქენი მტრებად რჩებიან და პირველ შეხვედრისთანავე დაჭრილი სამაგიეროს უხდის დაჭრითვე.

ყოველ დასახიჩრებულ ორგანოს თავისი განსაზღვრული ღირებულება აქვს. მაგალითად, ცერი ფასდება ხუთ ძროხად, სალოკი თითი—ოთხად, საშუალო თითი - სამად, უსახელო თითი—ორად, ნეკი—ერთ ფურად. როგორც ვხედავთ, თითები ფასდება მათი ფუნქციონალური მნიშვნელობის მიხედვით. თუ მთლიანად ხელი ან ფეხი დასახიჩრდა, თვითეული მათგანი ღირს 30 ძროხაა, თუ თვალი დაზიანდა—ეს ღირს 30 ძროხა, ყურის დაზიანებისათვის 5 ძროხა დაწესებული. თუ ხევსურმა ხევსური მენჯის ახლოს ან მის არეში დასჭრა—დამჭრელი იხდის ხუთი ძროხას, მძიმედ თუ დასჭრა—მეტს. მენჯის არეში დაჭრას ხევსურები უწოდებენ **საუპატიო ადგილას დაჭრას.** თუ ხევსურმა სრული ფიზიკური დასახიჩრება მიიღო და ამით დაკარგა შრომის უნარიანობა, მაშინ იგი ფასდება

*) ჩვენმა ნიკიერმა მწერალმა მ. ჯავახიშვილმა თავის საინტერესო მოთხრობაში („თეთრ საყელოში") რომელიც ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებას ეხება ის აზრი გაატარა, თითქოს ჭრილობის გაზომვა ხდებოდეს, როდესაც იგი ახალია, თვითონ ჭრილობაში მარცვლების ჩაწყობის საშუალებით. ეს არ შეეფერება სინამდვილეს, როგორც უკვე აღნიშნა ყურ. „მნათობში" მასწ. ოჩიაურმა.

**) თუ რატომ აცლიან პირველსა და უკანასკნელს მარცვალს, ამაზე გარკვეული პასუხი ვერ მივიღე. როგორც მათს პასუხში შევამჩნიე, თითქო მარცვლების გამოკლება ნიშანი უნდა იყოს ერთგვარი ?პატიებისა.

60 ძროხად. ასეთი ურყევი წესი გადასახადისა ყოველი ხევსურისათვის მკაცრი ლაგამია, რომელიც მათ თავდაპირველობას უკარნახებს გააფთრებული სიბრაზის დროს. რასაკვირველია, 30 ან 60 ძროხა ხევსურის ოჯახისათვის ეკონომიური განადგურებაა, და ცხადია, რომ ასეთი დიდი ჯარიმა, არამარტო ღარიბს, არამედ საშუალოსა და შეძლებულ ხევსურსაც კი აფრთხობს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ თვითეული ხევსური ზედმიწევნით დაგეშილია იარაღის ხმარებაში ისე, რომ სახიფათო ჭრილობა არ მიაყენოს მოწინააღმდეგეს, და მართლაც უფრო ხშირად მათი ჭრილობა, მიღებული კეკნაობის დროს მსუბუქია და უხიფათო.

ხევსურის ბუნება ვერავითარ შემთხვევაში სილაჩრეს ვერ ეგუება, მაგრამ ამასთანავე ერთად მას ზედმიწევნით კარგად აქვს შეთვისებული პიროვნების ღირსება და ამიტომ იგი მუდამ დაჯაბნებულის, დამცირებულის, თავმოყვარეობა-შელახული ადამიანის მხარეზე დგას, თუნდაც ის მოსისხლე მტერი იყოს მისი. მაგალითად, თუ რამელიმე ხევსურის ძმა, ან შვილი ჩხუბის დროს იჯაბნებს მეშუღლეს, მაშინ ძმა ძმას, ან მამა შვილს კი არ ეხმარება, არამედ იმას, ვინც თავისი უძლურობით დაჩაგრულია. და ეს ხდება სრულიად ინსტიქტიურად. განურჩევლად იმისა, თუ ვინ ვის სჩაგრავს. სწორეთ ეს თვისებაა, რომ ანსხვავებს ხევსურებს სხვა მეზობელ მთიელებისაგან. მაგ. ფშაველმა თუ ვინმე დაიჯაბნა, მაშინ ყველა ამ დაჩაგრულს სცემს, ამცირებს. რაც დამახასიათებელია უხეში ბუნებისათვის.

ქორწილში ან სხვა რაიმე დიდ წვეულების დროს. ხევსურებს მუდამ ახლავს რამდენიმე სოფელში განთქმული, პოპულარული საპატიო პირი, რომელსაც ყველანი მოკრძალვით და დიდი პატივისცემით ეპყრობიან, და რომელთა რჩევა-დარიგებას ყოველი ახალგაზრდა ხევსური თავაზიანად ექვემდებარება. ასეთი კაცი უნდა იყოს უსათუოდ ხანში შესული, ან ყოველმხრივად დასრულებული ვაჟკაცი. ისე საზოგადოთ, ყოველ ხევსურ ახალგაზრდას შედარებით დიდი მორიდება, პატივისცემა აქვს ყველა ხანში შესულ მამაკაცისადმი, განურჩევლად ეროვნებისა და მიმართულებისა. თუ ახალგაზრდებში ჩხუბი გაჩაღდა, ან სხვა რამ ასეთი. საკმარისია ერთი შეძახება საპატიო პირისა, რომ ისინი წამსვე გაჩერდნენ.

პირველი მკვლელობა, რომელსაც სისხლის აღება მოსდევს, განზრახ იშვიათად ხდება, მას უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს. მოხდა თუ არა მკვლელობა მკვლელი იმავე წამს გარბის სადღაც შორეულ სოფელში. იქ, სადაც მოკლულის ნათესაობა, ან გვარეულობა არ იმყოფება. ხშირად მკვლელის მთელი გვარეულობაც აიყრება. კაცის შემოკვდომა ხევსურეთში ნიშნავს გაცილებით უფრო მეტ უბედურებას, ვიდრე ადამიანის ჩვეულებრივი სიკვდილი. მკვლელს სდევნის არა მარტო სინიდისის ქენჯა, არამედ მოკლულის მთელი ნათესაობა მთელი გვარი. და ის იძულებულია დაიმალოს. ეს დევნა და მალვა გრძელდება მთელი სამი წელი. ამ ხნის მანძილზე მოკლულის ყველა ნათესაობა თანდათანობით მშვიდდება, ვინაიდან დრო ყოველგვარ მძიმე შთაბეჭდილებას ანელებს. სამწუხარო შემთხვევის პირველ ხანებში მოკლულის ახალო ნათესაობა არ იკარებს მკვლელის მიერ მოგზავნილ შუა კაცებს. თუ სამი წლის განმავლობაში მოსისხ-

ლე მტერი ვერ შეეხება მკვლელს და ის გადარჩა ამ ხნის მანძილზე, მაშინ მკვლელის ახლო ნათესაობა ფრთხილად და დიდი მოკრძალებით დაიწყებს მოლაპარაკებას შერიგებაზე.

თუ მოსისხლენი ერთმანეთს შემთხვევით შეეხვდნენ გზაში, მაშინ მკვლელი მოიხდის ქუდს, დაიგდებს გზაზე და თვითონ გაიქცევა. მოკლულის ახლობელი თუ პატიოსანია, ქუდს აიღებს გაბერტყს და იქვე გზის ნაპირზე შემოდებს. თუ ქუდის დაგდების შემდეგ მტერმა ვერ მოითმინა და მოსისხლეს დაედევნა, ეს დიდი სირცხვილია და მას, როგორც არა-ვეფკაცს ნათესაობა და მეზობლობა ყველა საშინლად გაჰკიცხავს.

თუ მკვლელის შორეული ნათესავ შეეხვდა მოკლულის ახლო ნათესავს, მაშინ პირველი მხოლოდ თავაზიანათ ქუდს მოიხდის და ისე ჩაუვლის მას.

ხევსურული სისხლის აღების წესებში ჩვენ აქ მუხლობრივად გავეცნობით ჰხოლოდ რ ი გ ი ს ყ ე ნ ე ბ ა ს.

როდესაც ხევსურს ხევსური შემოაკვდება (სულ ერთია, ნებსით თუ უნებლიეთ), მკვლელი გარბის თავის არემარიდან (იმალება). იმ დღეს მოკლულს უკლავენ საკლაეს. მკვლელის ოჯახი ან ნათესაობა მოკლულის ოჯახს მიჰვერის დიდის სიფრთხილით საკლავს და უკანვე გამოიპარება. ამას ჰქვია ს ა ფ ლ ა ვ-ს ა მ ა რ ხ ი ს ს ა მ ხ ს ნ ე ლ ო. ამას მიჰყვება მ ი წ ა დ-მ ი ღ ე ბ ა (დასაფლავება). ამ დღესაც საკლავი იკვლება. შემდეგ მოდის ს ა ძ მ ო და ს ა დ ე დ ო: ა) მკვლელის ბიძაშვილები მოკლულის ბიძაშვილებს ან გვარი გვარს გადაუხდის 5 ლიტრა სპილენძს და ერთ საკლავს. ამას ჰქვია ს ა ძ მ ო. ბ) ს ა დ ე დ ო სავსებით წააგავს ს ა ძ მ ო ს მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ აქ მოკლულის დედის ძმებს გზაში ჰხვდებიან მკვლელის მოძმეები ისეთივე ქონებრივი ღირებულებით, ე. ი. ახლა დედის ძმებს უნდა გადაუხადონ 5 ლიტრა სპილენძი*) და ერთი კურატი, დედის მხრივ ეს ხდება შუაკაცებით. უნდა აღინიშნუს, რომ ყველა ეს პირველი ნაბიჯებია შერიგებისაკენ გადადგმული. ეს არის დასაწყისი იმ გრძელი შერიგების მანძილისა, რომელიც მრავალ მომდევნო ნაბიჯს იტევს. ამას მისდევს წ ყ ა ლ წ ი ს ქ ვ ი ლ ი ს ს ა მ ხ ს ნ ე ლ ო: მკვლელი თავის საკუთარ წისქვილში ვერ დაფქვავს, თუ მოკლულის ჭირისუფლისაგან ნებართვა არ მიიღო ამისათვისაც საკლავს გაუგზავნიან მოკლულის ჭირისუფალს. ამას მოჰყვება მ უ შ ა ო ბ ი ს ს ა მ ხ ს ნ ე ლ ო: მკვლელმა მოკლულის ჭირისუფლისაგან ნებართვა უნდა მიიღოს თავის საკუთარ მამულში მუშაობისა.

სისხლის აღების წესებს ახლავს ერთი საყურადღებო მუხლიც: ა რ ჭ ი თ ი მკვლელობის მიზეზი შეიძლება შეიქნეს მაგალითად, ცუდი ენის მიტანა, სისინი, შეჩენა ასეთი მითქმა-მოთქმის გმირს, რომელმაც ნიადაგი მოუმზადა მკვლელობას, აჯარიმებენ ხუთი ძროხით, ან მათი სიფასურით. თუ მკვლელმა სხვისი იარაღით ისარგებლა,—იარაღის პატრონიც სათანადოთ ისჯება. ან თუ მკვლელმა მოკლულს დაჰკვლია*), მაშინ მას სასჯელი ემატება.

---

*) ხევსურული ლიტრა უდრის 4 კილოს ანუ 10 გირვანქას.

*) დაჰკვლია—შეხედა, უყურა.

შემდეგ იწყება პირშესამყარელო ბიძაშვილებისა: მკვლელისა და მოკლულის ბიძაშვილები ერთი წლის შემდეგ ერთმანეთს შეხვდებიან დიდ ხატში. აქ უნდა მოხდეს მოსისხლეთა პირისპირ შერიგება. მკვლელი თავისი ბიძაშვილებით ხატში ჰკლავს კურატს, აკეთებს ლუდს და, როდესაც მოკლულის ბიძაშვილები ფეხს შემოსდგამენ ხატში მაშინ მოშორდებიან ხატის სამრეკლოს და მის ეზოში, შორს, ცალ მუხლზე დაიჩოქებენ. ხევის ბერი და შუაკაცები ბოსულთ მიაწვდიან ლუდით სავსე ვერცხლის თასებს. ესენიც თავიანთის მხრივ მიაწვდიან მორიდიბულებს ლუდს. თუ მოკლულის მხარე თავაზიანი ხალხია, ისინი მათ გვერდითაც დაესვამენ და თავიანთ ხელით ლუდს ასმევენ, თუ არადა, სრული ნება აქვთ, ისინი არ მოიპატიჟონ. ამას მოსდევს ჯვარში შეჯდომა. საღამო ჟამს მკვლელს ჩუმად მიაცილებენ ხატში. ის იქ დაბამს საკლავ კურატს (სამი წლისას) და ჩუმადვე მოჰშორდება იქაურობას, საკლავი ჭრჩება ხევის ბერს და შუამავალ კაცებს. ამ ჯვარში შეჯდომით იწყება ფაქტიური შერიგება. ამას მოსდევს თოფის აღება. ეს წესი იმაში მდგომარეობს, რომ ჯვარში შეჯდომის შემდეგ მოკლულის პირისუფალი ან მისი გვარეულობა თოფს აღარ ესროს მკვლელს, ან მ.ს მახლობელს. თუმცა შეიძლება მოკლულის პირისუფალს გულში ისევ ედვას ჯავრი მკვლელისადმი, მაგრამ რაკი შერიგების გზას დაადგნენ, ექვემდებარებიან კიდეც შერიგების ყველა წესებს (რა თქმა უნდა, თუ მკვლელმა და მისმა ნათესაობამ შეასრულა ყველა ის წესები და ადათები, რომელიც დაცული უნდა იქნენ, შერიგების პროცესებში). თოფის აღების შემდეგ ხდება პირშესამყარელი მკვლელისა: სამი წლის წემდეგ მოსისხლეებს პირისპირ შეჰყრიან ხატში იმავე წესით, როგორც ბიძაშვილების პირშესამყრელოს დროს. ეს არის ფაქტიური საბოლოო შერიგება. ამის შემდეგ, თუ მკვლელი ან მისი გვარეული უხეშად მოიქცა, ან არ მოერიდა მოკლულის მახლობლებს, მაშინ მას აჯარიმებენ ხუთი ძროხით, ან ცხრა ცხვრით. ამას იქაურად ჰქვია ჯურუმი. შემდეგ მიდის პატივის მიცემა. ეს ნიშნავს მუდმივ კრძალვას მკვლელისა და მის ნათესაობისაგან მოკლულის გვარეულობისადმი.ამას მოჰყვება სასუდარმამკვდრო: მკვლელის მამულს მოსჭრიან ერთს დღიურს და გადასდებენ ნიშნად მუდმივი გაფრთხილებისა, რათა ყოფილ მოსისხლეთა შორის მსგავსი მარცხი არასოდეს აღარ განმეორდეს. შერიგების ყველა ამ ნაბიჯებს აგვირგვინებს თავ-სისხლის გათავება. უკანასკნელი მუხლი ხევსურებს შემოუღიათ 10-12 წლის წინად. ის მდგომარეობს შემდეგში: მკვლელობის ჩადენიდან 80 წლის შემდეგ ყოფილ მოსისხლეთა შთამამავლობის შორის წინაპართაგან მომდინარე ფარული შუღლი მოსპობილი და დავიწყებულია. ამის შემოღებამდე, სისხლის აღებას ხევსურეთში არ ჰქონდა ვადა დადებული. ის გრძელდებოდა 7-8 თაობამდი. ამ უკანასკნელი მუხლით ხევსურული სისხლის აღება უსათუოდ განსაზღვრულია 80 წლით, სასტიკი სიმტკიცით დაკანონებულია, დაწერილია ქაღალდზე და ინახება ერთ ერთ დიდ ხატში. ამ ახალი წესის მიხედვით 80 წლის განმავლობაში მკვლელმა ყოველ წლის თავზე უნდა დაუკლას საკლავი მოკლულის პირისუფალს. ბოლო მე-80 წელს უკანასკნელად ჰკლავს სამი წლის კურატს, იხდის 16 ძროხას, ან საფასურს და ამით სამარადისოდ თავდება სისხლის აღება მოსისხლეთა შორის.

მუხლობრივად ხევსურულ სისხლის აღებაში რიგის ყენება, მაშასადამე ასეთია: 1) მკვლელობის დღეს საკლავი, 2) საფლავ სამარხის სამხსნელო, 3) მიწად მიღება, 4) საძმო და სადედო, 5) წყალ-წისქვილის სამხსნელო, 6) მუშაობის სამხსნელო, 7) არბითი, 8) პირშესამყრელო ბიძაშვილებისა, 9) ჯვარში შეჯდომა, 10) პირშესამყრელო მკვლელისა, 11) ჯურუში, 12) სასუდარ-მამკვდრო და 13) თავ-სისხლის გათავება.

გარდა რიგის ყენებისა ხევსურულ სისხლის აღებაში არის სხვა საყურადღებო წესებიც ასეთებია: უკვე ნახსენები თოფის აღება და პატივის მიცემა, საუკუნენმამკვდრო, იოგის თავად ძებნა და მკვდრის შეწირვა.

საუკუნმამკვდრო. თუ მოკლულის მხარეს შემთხვევა მიეცა და მკვლელი ან მისი ახლო ნათესავი (ძმა, ძმისწული და სხვ.) მოჰკლა, მაშინ სისხლი სისხლში გაიბრება, მაგრამ ზედმეტად უნდა გადიხადოს ხუთი ძროხა. ეს იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში უკვე მკვლელობა განზრახ მოხდა.

იოგის თავად ძებნა. თუ ხევსურს ძმა ან ბიძაშვილი მოუკლა გარეშე მტერმა მაშინ ის სამაგიეროდ შურს იძიებს მტრის თორმეტ კაცზე ხევსურები ასე მაჯელობენ: „ადამიანს აქვს 12 იოგი ამიტომ... რამდენი იოგიც ჰქონდა ჩემს ძმას, იმდენ კაცს მოუკლავ მტერსო". მკვდრის შეწირვა. ამის შინაარსი იგივეა, რაც იოგის თავად ძებნისა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ შეიძლება ხევსურმა თავისი მკვდრის პატივსაცემად სხვა ვინმე გარეშე „მტერი" მოჰკლას. ამას ის პირველი შემთხვევისთანავე ასრულებს. ამით იგი თავისებურ მოვალეობას იხდის აგრეთვე გარეშე მტრის მიერ მოკლულის ძმის წინაშე. მათი შეხედულებით შეწირული მკვდარი საიქიოში ემსახურება იმას, ვის სახელზედაც არის შეწირული.

ხევსურული რჯული

სისხლის აღების წესები ხევსურეთში იგივე ხევსურული რჯულია. საბოლოოდ შერიგების დროს მკვლელი და მოკლულის პატრონი თავთავიანთ მხრივ ირჩევენ ოროლ ავტორიტეტულ პირს—პატივსაცემი მოხუცი ან ცოტად ხანში შესული პირები. მსაჯულები შეიძლება იქნეს 5-6 პირისაგანაც. როგორც ვიცით ხევსურულ რჯულის მიხედვით ხევსურ მამაკაცის თავი ღირს 60-ცი ძროხა ანუ მისი საფასური, ხოლო ამავე კანონმდებლობით ხევსურ დედაკაცის თავი ფასდება ნახევარი იმის, რაც ხევსურ მამაკაცის თავი, ე. ი. 30 ძროხა ანუ მისი ფასი. ეს უკანასკნელი საკანონმდებლო მუხლი ხევსურულ რჯულში სხვათაშორისაა შეტანილი. თუ ვინიცობაა რაიმე შემთხვევით მოხდეს ხევსურ დედაკაცსზე სისხლის აღება, რაც ძლიერ იშვიათია ხევსურულ სისხლის აღების წესებში. შესაძლებელია ვინმე ხევსურის დაბეზღებით, ენის მიტანით რომელიმე ხევსური უმაღლესი სასჯელით დაისაჯა, ე. ი. იგი დახვრიტეს ან ჩამოახჩეს, ასეთ შემთხვევაში თუ ხევსური უგუნური დაბეზღებითაა დასჯილი, მკვდარი არსებულ ხელისუფლების მიერ, მაშინ ხევსურული რჯული აქაც დაგეშებულ ძიებას აწარმოებს. თუ კაი ხნის ძიების შემდეგ აღმოჩნდა რაიმე უსამართლო მოქმედების ნიშნები დამბეზღებლის მხრივ, აქ ის უკვეველად ისჯება სრული ხევ-

სურული სისხლის აღების წესებით. შესაძლებელია მტრები ვერ შეარიგა მსაჯულებმა, მაშინ რჯული გადააქვთ უზენაეს მსაჯულთან—ხატში: ეს უზენაესი რჯული მთელ ხევსურეთში არის—გუდანის ჯვარი. რომელიც უძველესი და ყვე-

სურ. 43. ხევსურული რჯული. სურათზე აღნიშნულია გასამართლება. მომჩივან-მოპასუხე დაშორებული არიან, რომ ბჭობის დროს წესრიგი არ დაარღვიონ. არ წაიჩხუბონ. გასამართლების დროს იარაღს ხდიან, რომლებიც იქვე აწყვია ნახ. სტუდ. ერ. ბალიაურისა.

ლაზე ძლიერი ხატია მთელ ხევსურეთში. გუდანის ჯვარი ისეთი მრისხანე და ძლიერია, რომ მის წინაშე ყველა ხევსური იჩოქებს, თავს იხრის—სიმართლისათვის ხევსურული რჯული და თვით ყოველი ხევსური ქვეყნელში ჩაძვრება ოღონდ უსამართლობა, ღალატი, ბოროტმოქმედება ნუ დაიფარება. მაქამდი კი ხევსურეთში ვერც მამაკაცის, ვერც დედაკაცის თავმოყვარეობა ვერ მოისვენებს სანამ სიმართლეს არ აღმოაჩენს. ამის დასამტკიცებლად ერთს თვალსაჩინო მაგალითს მოვიყვანთ, რომლის მსგავსი ხევსურულ რჯულს, თავის დაარსების დღიდან არ უნახავს, მაგრამ ამ ჟამად იგი ჩვენი თვალის წინ მოხდა. სოფ. ბარისახოში ერთი ქვრივი ხევსური დედაკაცი მეორე ქვრივ დედაკაცს სამი წლის განმავლობაში ხშირად აყვედურიდა, რომ ვითომ მეორეს თავის ქმარი ნაქურდალი პერანგით დაემარხოს. ეს უმართებულო ცილის წამება, დაყვედრება მართალ მეწყინას (ხევსური ქალის სახელია) ნემსივით გულში ესობოდა და მწარეთ აღონებდა. დროთა სვლაში აშეკა მომეტებულად უხშირებდა უსაფუძლო დაყვედრებას. მეწყინას ხშირი ცილის წამებისაგან აევსო მოთბინების ფიალა და ერთს უქმი დღეს დაუძახა იმ ხევსურს, რომლისათვისაც ვითომ მას პერანგი მოეპაროს მკდარი ქმრისათვის საფლავში ჩასაყოლებლად, შეჰყარა მთე-

ლი სოფელი სასაფლაოზე და მათ წინაშე საყვარელი სამი წლის მკდარი ქმარი საფლავიდან ამოიღო, ახადა პირს თავის ძვირფას მკვდარს. მიიყვანა მასთან ის ხევსური, რომელსაც პერანგი დაეკარგა, მოჰკიდა ხელი ჯერ კიდევ გაუხარწნელ გულ-მკერდის ნაწილზე ნაჭრელა, მოქარგულ, შალის პერანგს და შეეკითხა მას: არის თუ არა მისი ის? პასუხად სრული უარი მიიღო და მეწყინამ შეკრებილი ხალხი დაარწმუნა იმაში, რომ თავისი საყვარელი მკვდარი ქრისათვის თავისივე ხელით ნაჭრელა-მოქსოვილი პერანგი ჩაუყოლებია საფლავში. ამ უცნაური ფაქტის შემდეგ, მეწყინა გამართლდა ხალხის წინაშე და აშექა კი გაშავდა. თითქმის მთელი ხევსურეთი აახმაურა, შეაწრიალა ამ საინტერესო ამბავმა ჯერ ერთი მიტომ, რომ მკდრის სამარიდან ამოთხრა არ არის წესად ხევსურეთში და მეორეს მხრივ ამ უჩვეულო ამბავმა როგორც მკდრის ქერისუფალს, ისე მთელ სოფელს სიმწუხარე განუახლა. მეწყინამ ხელმეორედ ახალი სამოსით დამარხა თავისი საყვარელი ქმარი და ისევ განახლებული სიმწუხარე უეკვო თავის გამართლებით შეიმსუბუქა. მეორე დღესვე დაინიშნა რჯული, რომელსაც აშექას 16 ძროხა მიუსაჯა საერთო ხევსურულ წესის მიხედვით, მაგრამ რჯულმა მიიღო რა მხედველობაში აშექას ობოლ-ქვრივობა დაკისრებული გადასახადი საგრძნობად შეუმცირეს— ხუთმეტი მანეთის საფასურით*), მკდრის საფლავზე ერთი საკლავის დაკვლით და უკე თუ მან განიმორა ასეთი ბრალეული ცილის წამება. იმ შემთხვევაში სოფელს ნება მიეცა სრულიად აეკვეთოს იგი და გააძეონ სოფლიდან. ვიმეორებთ ეს ამბავი პირველი შემთხვევაა მთელ ხევსურეთში.—რჯულის დროს შესარიგებელ მტრებს იარაღს ახდიან და დაკითხვის დროს ერთ-ერთი მოწინააღმდეგე შორეახლო უნდა იდგეს მოფარებულად, რომ მსაჯულების ბჟობის დროს წესი არ დაირღვეს მტრების მოუთმენელ ჩარევით.

როგორც თვით ხევსურები გადმოგვცემენ, მთელი ეს რჯული უძველეს დროს ნაფუწნსებიათ, პირველად — ლიკოკის ხეობაში, სადაც ყველა კუთხის ხევსურებს მოუყრიათ თავი და დაუკანონებიათ ყოველივე ზემოაღნიშნული. ამ ლიკოკის ხეობაზე არის დიდი ხატი - იახსარი, რომლის გალავანშიც დგას ერთი ძველის ძველი იფნის ხე, რომელსაც სახელად ჰქვია **საბჭოს ხე ანუ ბჟობის ხე**

ამ განმარტებით ვათავებთ საუბარს ხევსურულ სისხლის აღების წესების შესახებ. ჩვენ აქ ზოგადად შევეხეთ სისხლის აღების წესებს ხევსურეთში, ჩვენ ვერ აღვნიშნავდით და ვერ ავწერდით ყოველივე იმ წვრილმანს, რომელიც უამრავია ხევსურული სისხლის აღების დროს. მაგრამ ნათქვამიც საკმარისია, რომ მკითხველმა ნათელი წარმოდგენა იქონიოს ხევსურების ამ ჩვეულებაზე. ასეთი ჩვეულება სხვაგანაც არის შენახული მაგ. სვანეთში, მოხევეებში და სხვა ტომის ხალხშიაც. ყოველ ასეთ ხალხში სისხლის აღების წესს ახასიათებს თავისებურობა, რომელიც გამომდინარეობს ამა თუ იმ ხალხის ყოფა ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებებიდგან. რამდენადაც ნებას მაძლევს ჩემ ხელთმისაწვდომი მასალა, ვფიქრობ, რომ ხევსურული სისხლის აღების წესი მეტად რთული და თავისებური.

---

* ხუთმეტ მანეთად ღირებული ვერცხლის თასები უნდა შესწიროს ხატს საფლავიდან ამოთხრილი მიცვალებულის სახელზე—მუდამ მისი სახელის მოსახსენებლად.

აკვანში დანიშვნა

აკვანში დანიშვნა ხევსურეთში მეტად საგულისხმო მოვლენაა, რომელიც პირველად უნდა იქნეს განხილული საქორწინო წესების მოთხრობისას.

აკვანში დანიშვნას ხევსურეთში არა აქვს მასიური ხასიათი, მაგრამ უტყუარი ფაქტია, რომ იგი არც თუ იშვიათად ხდება. შეიძლება ითქვას, რომ აკვანში დანიშვნა იძლევა დაახლოებით 10 პროც., ე. ი. ყოველ ას დაქორწინებაში ათი აკვანშივეა დანიშნული.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ ხევსურეთში საზოგადოდ დაქორწინებათა რეგისტრაცია არ ხდებოდა წესიერად. რაც ხდებოდა და როგორც ხდებოდა, იმათაც კი ვერ ვისარგებლეთ, რადგანაც ქორწინების წიგნები, რომლებიც ძველად ყოველ ეკლესიაში უნდა ყოფილიყო, რევოლიუციის შემდეგ კი დაკარგულა. ამიტომ ჩვენი ცნობები მარტო ხეპირ გამოკითხვაზეა დამყარებული. შეიძლება ბევრი რამ გამოგვრჩა. მაგრამ იმედი გვაქვს, ნაკლს შეავსებენ სხვა მკვლევარები.

აკვანში დანიშვნა ხევსურეთში ასე ხდება: პირველად პატარა საქმროს მკვიდრი ბიძა მიდის პატარა საცოლის მშობლებთან სანიშნო ნივთებით. და ნიშნის სახით უტოვებს მოშავალ საპატარძლოს ვერცხლის ფულს ან ძეწკვს, რომელსაც იქაურად ყაწიმი ან აბზინტრ ეწოდება, ეს არის პირველი ნაბიჯი აკვანში დანიშვნის ცერემონიისა. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ დედამთილ-მამამთილი და სასიძოს ახლო ნათესაობა იყიდის სამ არშინ „ფარჩას" (ქსოვილს, მატერიას) დაუბნევს ზედ ყაწიმებს, ფულს, შეძლებისდაკვარად სხვა ძვირფას სამკაულს, გამოხდიან არაყს, დააცხობენ ქადებს და გაემგზავრებიან აკვანში მყოფის პატარა რძლის სანახავად. უკანასკნელ სანიშნოს მათებურად ნიშან-სამთხოვრო ჰქვია. ამის შემდეგ ორივე მხარეთა შორის გაიბმება უკვე ჩვეულებრივი საშოყვარო ძაფი და ითვლებიან ნამდვილ მოკეთეებად. მაგრამ აკვნის პატარეებმა ამის შესახებ არაფერი იციან მანამდე, სანამ არ წამოიზრდებიან.

ხშირად, რაიმე მიზეზის გამო, მოყვრებს შორის შეიძლება ჩამოვარდეს უთანხმოება და დიდი ხნის მოყვრობა დაირღვევს, მიზეზი უფრო ძომეტებულ შემთხვევაში გამოწვეულია ხოლმე იმით, რომ უკვე ჭკუაში შესულ მომწიფებულ ახალგაზრდებს ერთმანეთი საცოლქმროდ შეიძლება არ მოეწონოთ და მათ შორის საჭუდამდე შესწყდეს ჩვეულებრივი სამზადისი ქორწინებისათვის. ამისათვის მათ დიდი ბრძოლაც არ სჭირდებათ. საკმარისია მაგ. პატარა ამიზეზება და მოტანილი ნიშნის უკანვე მოთხოვნა. ამით შეიძლება გათავდეს ყოველივე. მხოლოდ ეს კია, რომ უკეთუ საქმროს სახლში ერთხელ მაინც შეეიდა საპატარძლო, მაშინ საქმროსაგან მიტანილი ყველა სანიშნო ნივთი საცოლეს რჩება. სანამ აკვანში დანიშნული პატარეები აიზრდებოდნენ, მანამ მოყვრებს შორის დიდი პატივისდება სუფევს: ხათრი, მორიდება, რაინდული თავდადება, ნდობა, სიყვარული და სხვა. თუ დაწუნება ცოლისა ქმრის მიერ დაქორწინების შემდეგ მაშინაც ვერაფერს მოითხოვს უკან, მისთვის ყველაფერი დაკარგულია და დაუბრუნებელი, რაც ცოლეულისას მიუტანია, შესაძლებელია ცოლმაც დაიწუნოს ქმარი. ამ შემთხვევაში კი ქმარს შეუძლია ცოლს მოსთხოვოს, უკლებლივ აუნაზღაუროს

ყოველივე ის, რაც ამ ხნის მანძილზე დაჰხარჯვია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ დაქორწინებიდან დიდი ხნის შემდეგ დაანება თავი ქმარმა ცოლს, მაშინ ცოლი მოითხოვს თავის ოჯახში ნაამაგევს, საკუთარ ნაშრომს, რომელსაც ხევსურულად ნ ა ́ მ ა შ ვ რ ა ლ ი ეწოდება, დაქორწინებას მაინც და მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, დაუქორწილებელიც რომ იყოს ქალი, იგი მაინც თხოულობს საერთო წესის მიხედვით ხუთი ძროხის საფასურს. როდესაც ვაჟი თავის პირველ საცოლესთან, ან ცოლთან სრული განშორების საქმეს დააბოლოებს, მაშინ მას თავისუფლად შეუძლია მეორე ცოლი მოიყვანოს სახლში, ოღონ ასეთი რამ შეიძლება საქმის სრულ გათავებამდინაც მოხდეს.

ქმრისა და ცოლის უფლებრივი მდგომარეობა იმდენად განსხვავებულია, მამაკაცი ხევსურეთში, რომ საკმაოა მამაკაცისათვის ოდნავი ეჭვი იმაში, რომ ცოლი მას სწუნობს, რომ მაშინვე მის შეუმჩნევლად და დაუკითხავად მოიყვანოს მეორე ცოლი, მოიყვანოს იმ მოსაზრებით, რომ დაასწროს მოწუბარის ცოლის ცუდ განზრახვებს და წინდაწინვე შურისძიებით მაინც ინუგეშოს თავი. ასეთი მოულოდნელი გაწბილებით პირველი ცოლი იძულებულია დასტოიოს ქმრის სახლი და შეურაცხყოფილი დაუბრუნდეს თავის მშობლების „ბინას. *) ამ შემთხვევით მშობლებიც შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს და განებივრებულს ყოფილ სიძეს აიძულებენ გადახადოს ს ა მ ე ო რ ე დ ო. ეს იმ შემთხვევაში, თუ ქალმა დაქორწინების, ან მოტაცების შემდეგ დაყო ქმრის ოჯახში ერთი წელი. პირველი ქმრის უფლებაში ისიც შედის, რომ ფაქტიურად განშორებულ ცოლს, თუ მოისურვა, არც კი მისცეს ნება სხვაზე გათხოვდეს იტანჯება, სანამ მოწყალეობას არ მიიღებს მისგან, რომ სხვაზე გათხოვდეს, ს ა მ წ უ ნ ო ბ რ ო ს ღებულობს, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე თუ პირველი ქმარი ბუნებით მრისხანე და შეუბრალებელია, მაშინ ის არ შედის დედაკაცის მდგომარეობაში და სრულიადაც აუკრძალოს გათხოვება. ასეთ შურისძიებას მათებურათ ჰქვია ქ ე ე თ ი ლ შ ი ჩ ა ს მ ა.

ხევსური საზოგადოთ ხოლერიკული ტემპერამენტისაა და მზგავსი შურისძიება ხშირია მათ მიერ განშორებულ პირველ ცოლებზე. თუ ვინმემ გაბედა და მის ნებადაურთველად ყოფილ ცოლი წაიყვანა, მაშინ საქმე სისხლის აღებამდე მიდის. რასაკვირველია, შეიძლება შერიგებაც მოხდეს, მხოლოთ აქ დაკული არის განსაზღვრული წესები, სახელდობრ.

თუ შერიგება მოხდა, მაშინ ქალი თავისი ნაცოლევის ახალ ქმარს წაართმევს (გადახდევინებს) 16 ძროხას. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ აპიზებულმა მოწინააღმდეგემ არ მოჰკლა თავისი ჯიუტი მედიდური თავმოყვარეობის შემლახავი.

შერიგების, ანუ, უკეთ, გასამართლების დროს შეიძლება ცოლის მეორე ქმარს არ გადახდეს ზემოაღნიშნული 16 ძროხა. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მართალია ესა თუ ის მხარე. ცოცხალ ქმარს გაშორებული ცოლი რომ სხვაზე გათხოვებულიყოს იშვიათად მოხდარა. ასეთი რამ უფრო მაშინ ხდება

*) თუ შვილი ჰყავთ მათ იმ შემთხვევაში, ქალი იქნებაჰ თუ ვაჟი, მათი წესების მიხედვით ეკუთვნის მამას და არა დედას.

თუ ცოლს ნაკმარევი მკვდარი ჰყავს, ანდა ჯერ კიდევ მამის სახლშია იგი და სასიძოსას არ გადასულა. მაგრამ თუ ქმარი ნებას მისცემს დაწუნებულ ცოლს, მაშინ შეუძლია გათხოვდეს.

დანიშნულ სარძლოს ნება არა აქვს არა თუ საქმროს სოფელში მივიდეს რაიმე საქმეზე, არამედ მის ახლოსაც გაიაროს უ მ ა ნ დ ი ლ ო დ. თუ აუცილებლად საჭიროა იქ მისვლა, მაშინ საპატარძლო ღამით უნდა მივიდეს და ღამითვე წამოვიდეს, თორემ, თუ ვინიცობაა შენიშნეს, რომ ის ხსენებულ სოფელში დადის, მაშინ მას გაჰკიცხავენ საქმროს ახლო მეზობლები. თუ სასიძოს სოფელში ნარევი ნოსახლეობაა, დანიშნულ საცოლეს შეუძლია იქ მისვლა, მაგრამ სხვა საგვარეულოში, და არა საქმროსში. მის ახლო გვარეულში, წესის მიხედვით, აკრძალული აქვს აშკარა მიმოსვლა, (ჩუმად კი შესაძლებელია).

მიუხედავად ყველა ამ წესებისა, მომავალი პატარძალი საქმროს ოჯახში თითქმის სრულ წევრად ითვლება და ყოველ საოჯახო, სადღე-საწაულო დამზადებულ ტაბლაზე თავის წილი აქვს, როგორც საქმროს მშობლების მხრივ, ისე მის ახლო ნათესაობის მხრივაც. თუ დაქორწინებამდი ფათერაკი მოხდა და ერთ-ერთი მათგანი მოკვდა, მაშინ ჩვეულებრივ მკვდრის საპატიცემლოდ დოღს მართავენ. თუ მშობლები, არ ჰყავს, იმ შემთხვევაში დოღს მართავს ახლო ნათესაობა: წაღლენ ცხენებით იქ, სადაც მკვდრის საცოლესთან მომზადებულია სუფრა, ანუ ხევსურულად-ცხენთ-ტ ა ბ ლ ა. დოღის ცხენები უნდა იყოს მკვდრის ახლო ნათესავების მხრივ: ბიძისა, ბიძაშვილებისა, სიძისა და სხვა. მკვდრის დამარხვის შემდეგ, სრული წლის განმავლობაში მისი მთლიანი ტანისამოსი (ხევსურულად ტ ა ლ ა ვ ა რ ი) ხელუხლებლად ინახება, წლის შემდეგ, ე. ი. როდესაც ჩვეულებრივ ტალავართ აღება მოხდება, ტანისამოსს გადასცემენ იმას, ვინც დანიშნულებს შორის ცოცხალი დარჩა: საქმროს ან საცოლეს. ვინც ცოცხალი რჩება, გლოვობს ერთ წელს, შემდეგ კი შეუძლია დაქორწინდეს.

დანიშნულის დედა, ე. ი. ს ი დ ე დ რ ი თ ა ვ ი ს ს ა ს ი ძ ო ს ხ მ ა ს ა რ გ ა ს ც ე მ ს მ ა ნ ა მ, ს ა ნ ა მ მ ი ს ქ ა ლ ს შ ვ ი ლ ი ა რ გ ა უ ჩ ნ დ ე ბ ა, მ ხ ო ლ ო დ ს ა ს ი ძ ო ს ს ა ხ ე ლ ს ა ნ ს ი ძ ი ს ა ს ი ა რ ა ს ო დ ე ს ა რ ა ხ ს ე ნ ებ ს და ამიტომ მათ შორის საუბარი ხდება ჩვეულებრივ მესამე პირის დახმარებით, ან არა და თავისთვის ლაპარაკობს, სასიძოს საყურადღებოდ, ეგე ითქმის სიმამრზედაც, რაც შეეხება დედამთილ და მამამთილს, მათ მიმართ კიდევ უფრო მეტი სიძლიერით არის გამოხატული ეს უცნაური ჩვეულება საპატარძლოს მხრივ, რაც გულისხმობს დიდ პატივის დებას, დფასებას, მორიდებას უფროსისადმი. დანიშნულის ოჯახში სასიძო ჩვეულებისამებრ არ მიდის, ვინაიდან ეს მისი მხრით იქნებოდა უხეშობა. დაქორწინების შემდეგ, სასიძოს, ვინმე ახლობელ ახალგაზრდა კაცის თანხლებით საცოლის ოჯახში მიაქვს არაყი, ლუდი, ან სხვა რაიმე მოსაკითხი იმ შემთხვევაში თუ საცოლე უკვე ქმრის სახლშია დამკვიდრებული. ამ უკანასკნელ ადათს ხევსურულად ეწოდება ს ა ს ი ძ ო დ მ ი ს ვ ლ ა.

ახალი წლის პირველ დღეებში საქმროს ახლო ნათესაობას დანიშნულ საცოლესთან მიაქვს ბ ე დ ი ს კ ვ ე რ ა, რომელიც მათი შეხედულებით სიმბოლოა ბედიცე სიცოცხლისა, სასიამ-ტკბილო ცხოვრებისა მომავალში. წესით ეს კვერი

უნდა სპამოს მხოლოდ სარძლომ და არა სხვა ვინმემ, (მაგრამ ეს წესი სინამდვილეში ზოგჯერ ირღვევა).

ჩვეულებრივი დაქორწინება ხევსურეთში.

ჩვეულებრივი დაქორწინება ხევსურეთში სულ განსხვავებულ ფორმებს იძლევა. როგორც სხვადასხვა ზნე-ადათებში, ისე აქაც ხევსურები რადიკალურად განსხვავდებიან სხვა ტომის ხალხისაგან.

დაქორწინების წლები ხევსურეთში დედაკაცისათვის უფრო უახლოვდება მონწიფების წლოვანების პერიოდს, ვიდრე მამაკაცისათვის, ხშირია შემთხვევა (და ეს წესადაც არის მიღებული) რომ დედაკაცი, რომელიც თხოვდება—ან ათხოვებენ, უნდა იყოს 21 წლისა მაინც. საქორწინო ვაჟი გაცილებით უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე გასათხოვარი ქალი. შეიძლება ითქვას, რომ თუ ვაჟი ფიზიკურისა და ფსიქიკური მხრით რამოდენადმე მოუმწიფებელია, ამას ერთგვარად ქალის მონწიფებული ორგანიზმი შეავსებს და ამიტომ მათი ჩამომავლობა, სხვა უგუნური ჩვეულებით რომ არ ანადგურებდნენ, უთუოდ მტკიცე საფუძველზე დგას.

ჩვეულებრივ ქალი ქორწინდება 23—25 წლისა და ხშირია შემთხვევა, რომ 30—35 წლისაც გათხოვდეს. რამდენად უფრო ხნიერი გათხოვდება ქალი, იმდენად უფრო სახელია მისთვის თანახმად არსებული წესისა, დაქორწინების პერიოდი იტევს 23—35 წ. წ. და არავითარ შემთხვევაში იმას არ გადასცილდება. მამაკაცების საქორწინო წლები ეფარის 20—21, და მაქსიმალური კი 25 წ. რასაკვირველია, შეიძლება იყოს გამონაკლისებიც, როგორც ქალების საქორწინო წლების მხრივ, ისე მამაკაცების მხრივადაც.

ლიშან თუ გელიშნებოდა, ვინ გშველდა ქერის მკასაო,
ქალი ვარ ოცის წლისაი, ჯალაფნ მაძლევენ ქმარსაო.
ნეტავინ ხევსურიშვილი დამანებებდა თავსაო,
ან ქალაღდს გამოღგზავნიდა სიტყვას მაველი თქმასაო.
ზაფხულის მაესვლას მაველი უნდა გადაშრას მთასაო,
აგებაღ გამავარჩევდი ჩემის გუნების ქმარსაო.

წინანდელ დროში მთელ ხევსურეთში ახალგაზრდა მამაკაცები ცოლს ვერ ითხოვდნენ მანამ, სანამ „ულეაშებს კბილით ვერ დაიკერდნენ“. ო თუ ეს მართალია, ჩანს, რომ ხევსურები წინად დაქორწინებისათვის ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ გარეგნულ სქესობრივ მომწიფების ნიშნებით, რომელნიც მეცნიერულ თვალსაზრისით ბუნებრივ (ფიზიკურს და ფსიქიურ) მომწიფებას სრულებით არ გულისხმობს. ეს ძველი წესი დაქორწინებისა ნორმალურ პერიოდს მაინცადამაინც დიდი მანძილით არ აჭარბებს.

საკუთარი ჩვენი დაკვირვებით და ამბულატორიულ ავადმყოფთა რეგისტრაციის მიხედვით, რომლებსაც ხუთ წელიწადს ვაწარმოებდი ფშავ-ხევსურეთის

---

*) ამ ლექსიდან ნათლად სჩანს, თუ როდის თხოვდება ხევსური ქალი, და ისიც აშკარადა გამოთქმული, რომ ხევსურ გასათხოვარ ქალს ძალდატანებითი გათხოვება არ სწამს.

ჯვარედინთან, — დამარწმუნა, რომ გასათხოვარი ქალების დაქორწინებისას გაცილებით სჯარბობს მამაკაცებისას. რომ ეს წლოვანება უკულმა შეგვიბრუნებია (ე. ი. ქალების საქორწინო წლოვანება მიგვეკუთვნებია ცოლ სათხოვ ვაჟებისათვის და ვაჟებისა კი გასათხოვარი ქალებისათვის, მაშინ მივილებთ რაციონალურად განაწილებულ ბუნებრივ საქორწინო წლებს.

გათხოვების წესები.

უკვე გათხოვილი ხევსური ქალი პირველად დაქორწინდება ქმრის ოჯახში, სადაც ის რჩება ექვსი დღე. ამ ექვს დღეში ერთ დღეს წვება ქმართან, მაგრამ სქესობრივი აქტი, წესის თანახმად, ყოველად დაუშვებელია. ქალი მიდის ქმართან დასაწოლად აუცილებლად ქმრის ბიძაშვილის თავაზიანი წინადადებით. თუ ეს დაწოლა ჩვეულებრივი მშვიდობიანი აღერსით გათავდა, მაშინ ახალი რძალი გულდამშვიდებით ბრუნდება თავის სახლში ერთი წლის ვადით. თუ ვინიცობაა ვაჟმა, წესის დარღვევა მოინდომა, შეიძლება შეურაცხყოფილმა ქალმა ახლად გაცნობილი ქმარი სულ შეიძულოს. ქმრის სახლში დაბრუნების შემდეგ ცოლ-ქმარს ერთ ოთახში არ სძინავთ შვილის ყოლამდი. ცოლი ქმრის ახლო ნათესავებს მიჰყავს ქმართან დასაწოლად, ხოლო, როდესაც შვილი ეყოლება, მერმე ცოლი ქმართან დასაწოლად მარტო მიდის. ოჯახურ ცხოვრებაში გამეფებულია პატრიარქალური წეს-წყობილება, ცოლი სრული მონაა ქმრისა, რასაც ის ბრძანებს, ცოლი უსიტყვოდ ემორჩილება. თუ ქმარმა ძალიან გადააჭარბა იგი მას ადვილად შეიძლება გაჰშორდეს. ჩვეულებრივ ცოლის მოკვანა და გათხოვება ხდება შუამავლის გარიგებით, ან გატაცებით. შუამავლობას უმრავლეს შემთხვევაში კისრულობს ნათესაობა. შვილებს იყოლიებენ ორიდან maximum ხუთამდი. ამ რიცხვს იშვიათად სჯარბობს. თუ შვილები არ გაუჩნდათ, ცოლ-ქმარს შორის გათიშვა ადვილად და ხშირად ხდება. ადათის მიხედვით ახალ გათხოვილი ქალი ქმარს დაქორწინების შემდეგ ეცნობა და თუ არ მოეწონათ ერთმანეთი, განშორება სულ ადვილი შესაძლებელია. ახალ რძალს მოყვანისთანავე ქმარი ეუბნება: „თუ შენ აქ არ გემყოფინების, სჯობია ახლავე წახვიდე შინ, შე შენ ძალას არ დაგატან“-ო.

ძალის გატაცება.

გატაცების დროს, როგორიც ხშირად ხდება ხევსურეთში და საზოგადოდ მთელ ხალხში, ქალი ხმას არ იღებს, არც შეუძლია ხმა დასძრას, ვინაიდან მას ძლიერ აშინებს, ჯერ ერთი მომტაცებლები, მეორე ის, რომ მისი ყვირილი შეიძლება გაიგოს ქალის მშობლებმა, ძმამ, ბიძაშვილებმა, რომლებიც დაედევნებიან მომტაცებლებს და მათ შორის შეიძლება მოხდეს სისხლის ღვრა, ამას მოტაცებული ქალი დიდ ანგარიშს უწევს. საერთოდ მოტაცება ხდება საქმროს ნათესავების მხრიდან. ხევსურულ ჩვეულების მიხედვით, ჯვრის წერა მიღებულია შვილების ყოლის შემდეგაც. მოტაცება ხდება როგორც გასათხოვარი ქალის ნებართვით, მოწონებით, სიყვარულით, ისე მისავე უნებურათ, გაუცნობლად, გაუგებრად, განშორება მათი შესაძლებელია როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორე მხოლოდ გაცილებით უფრო ხშირად უკანასკნელშია. ნებაყოფლობითი და

მოტაცების საშუალებით დაქორწინება, რიცხვრივად არაიშვიათად ერთმანეთს ეთანასწორება. ასე რომ, მოტაცება ხევსურებში ხშირი და ჩვეულებრივი მოვლენაა, ყოველი ხევსური ისე უყურებს მას, როგორც საერთოდ მიღებულ წესებს, ამიტომ ყოველ მომტაცებელს, ნაძალადევ ქმარს შეუძლია კვეთილში ჩასვას უკვე განშორებული, ძალდატანებით შერთული ქალი.

უნდა დაეუმატოთ, რომ თუ მოტაცება ხდება ქალის მშობლების ნებართვით, ხოლო გასათხოვარი ამის წინააღმდეგია, ასეთ შემთხვევაში მოტაცებული ქალი თუ კი იგი ქმარს ვერ შეეგუა, ვერ ბრუნდება შინ, თავისიანების შიშით, და ან სადღაც შორეულ ნათესავს შეეხიზნება, ანდა მისი ახალგაზრდული, ყველასაგან განწირული ასეთი მდგომარეობით გამოწვეული თვითმკვლელობა ხევსურეთის გასათხოვარ ქალებში ხშირია.

ვაჟის მხარე ქალის მშობლებს დაეკითხება, თუ როდის შეიძლება რომ ქორწინებისთვის დაემზადონ (ეს იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარე მგლოვიარედ არ არის). ახლო ნათესავები წავლენ საკითხავად ქალის მშობლებთან არაყით, ამას იქაურად ეწოდება დასაკითხავად წასვლა. დაქორწინებისათვის დანიშნავენ განსაზღვრულ დროს, გზავნიან საზოგადოთ საპატიო პირებს-მომყვანელებს, რომლებიც როგორც ვსთქვით, არაყით მიდიან ქალის მშობლებს სახლში და საკლავით კი ხატში. თუ ქალის სოფელში ვინმე საპატიო პირია მკვდარი, მაშინ ქალი მანამ არ გაჰყვება, სანამ საქმარეულო ახალ „ფარჩას" არ მიიტანს მკვდრის ტალავარზე პატივსაცემად. თუ მიცვალებული ახლო ნათესავია, იმ შემთხვევაში შეიძლება საკლავიც მოსთხოვოს, საერთო წესით მომყვანებლებმა ორი დღე უნდა სიამტკბილობაში გაატარონ ქალის მშობლების ოჯახში. მესამე დღისათვის ახალ-რძალი ემზადება, თვითონ ჰპატიჟობს მყოლებს (მაყრიონებს). გამოაცხობენ ჩვეულებრივ ერთ ხავიწიან ქადას (ხავიწი ჰქვია ერბოში ფქვილ-მოკიდებულ ფაფას) და გაემგზავრებიან ქმრის ბინისაკენ. ეზოდან საკმაო მანძილზედ ახალ გასათხოვარ ქალს ჩვეულებისამებრ აცილებენ ახალგაზრდა ქალები, მანდილოსნები და ბავშვები. იქ გამომეშვიდობებიან ახალ-რძალს. გამოთხოვების ადგილას სჭრიან ხსენებულ ხავიწიან ქადას, ყველანი დაინაწილებენ ქადის ნაჭრებს, ახალ გათხოვილის საკეთილდღეოდ დალევენ არაყს, დალოცავენ და უსურვებენ ბედნიერებას. მეორე ქადას, რომელიც თან მიაქვთ, გასჭრიან ვაჟის მამულში. აქ ორივე ახლად დაქორწინებულის საკეთილდღეოთ დალევენ იმგვარადვე, როგორც ქალის მამულიდან გამოცილების დროს. როდესაც მყოლები (მაყრები) პატარძლით მიუახლოვდებიან ქმრის სახლს, ერთ-ერთი მყოლი თოფს გაისვრის. გაიგებენ თუ არა მაყრებისა და ახალ-რძალის მიახლოებას, ქმრის შინაურები ლუდით და არაყით წავლენ შესახვედრად. შეხვედრის ადგილას ხდება ერთგვარი გახუმრება: ახალ-რძალს დამალვენ და მის მაგივრად სხვას აცნობენ ქმრის ნათესაობას. ახალი რძლის მიყვანა აუცილებლად დაბინდების ხანს ხდება. მეორე შეხვედრა ბოლოვდება ბანზე, აქაც ისევ ქმრის ახლო ნათესავობა ახვედრებს ერბოიან ლუდს სპილენძის კოშით, რომელიც ღრმა ტაფის მსგავსია. აქაც საერთო მხიარულება. ამ ცერემონიის შემდეგ ახალი რძალი მიჰყავს ისეთ დარბაისელ ხნიერ მანდილოსანს, რომელსაც ოჯახურ ცხოვრებაში სანატრი ბედი სწვევია,—მიჰყავს სადღეღფლო მორთულ ძირეულ, მტკიცე სა-

ფუძვლიან სახლში, სადაც მარჯვენა ხელჩაკიდებულნი დადე-დედოფალი პირველად შევლენ. ახალ რძალს მარჯვენა ფეხს ხსენებული მანდილსანი გადაადგმევინებს კარის ზღურბლზე და პირდაპირ დასვამს სადიასახლისოზე, ე. ი. იმ ადგილას, სადაც ჩვეულებრივად დიასახლისი ჯდება. დაჯდება თუ არა, მაშინვე ჩაუსმენ კალთაში ვისმეს პაწია ვაჟს, რომელიც სიმბოლოა ვაჟიშვილის შეძენისა. კალთაში ბავშვის ჩამსმელი პატარძლს შემდეგი სიტყვებით მიჰმართავს: „ემისა აღისები მოგაკეს ღმერთმა“-ო თავის მხრივ ახალ რძალი პატარა ბავშვს მისცემს ხელში ქადის პაწია კვერს, რომელიც მას ჩვეულების თანახმად თანვე უნდა ჰქონდეს საგანგებოდ გაკეთებული. ხანგრძლივი ბედნიერი სიცოცხლის ნიშნად, ახალ მოყვანილს თავზე აყრიან თეთრ ფქვილს და თან ლოცავენ: „ესე თეთრად აგაყვაოს ღმერთმაო.

ყველა ამის შემდეგ დედამთილს ულოცავენ მექორწილენი და ახლო ნათესავები. ამავე დროს მაყრიონებს მასპინძელი სხვა სახლში უწყობს მაგიდას და ისინი იქ შეექცევიან მხიარულ ქეიფს.

ახალ მოყვანილს მანდილის კანჭი (თავსახურის კუთხე. ყური) წესის მიხედვით ჩაკეცილი აქვს მისსავე ნაკეცებში. მილოცვების შემდეგ ხნერი დარბაისელი დედაკაცი მანდილის ერთ-ერთ კანჭს მოუფონებს და „გადმოუგდებს“, რომელიც ქმართან აძრახებამდი *) ექნება ჩამოშვებული. აძრახების შემდეგ ისევ ჩვეულებრივ გაიკეთებს მანდილის ყურს და აქვს მუდმივ ჩაკეცილი. მას მხოლოდ მაშინ ჩამოუშვებს, როცა ვინმე ახლო ნათესავი გარდაეცვლება. ექვსი დღე-ღამის განმავლობაში (გარდა ძალის საათებისა) ახალი რძალი სულ ფეხზე დგას და მოქმედობს, აკეთებს (გარდა წყლის მოტანისა და პურის გამოცხობისა) ყოველგვარ საოჯახო საქმეს, აქ მას აფასებენ, სწონიან, სინჯავენ, როგორც „მინაურები, ქმრის ნათესაობა, ისე მახლობელი მეზობლები, რომლებიც ჩვეულებრივ სოფლის ცხოვრების მკაცრად გამომცდელ აუდიტორიას წარმოადგენს.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ექვსი დღის შემდეგ ახალი რძალი ბრუნდება თავის სახლში და იქ რჩება ერთი წლის ვადით. იმ შემთხვევაში, თუ ქმრის ოჯახმა ერთი-ორი დღით სთხოვა, ის მოვა, მოასაქმებს ყოველივე იმას, რისთვისაც დაიბარეს და ისევ წავა. შესაძლებელია ერთი წლის მანძილზე რომელიმე მათგანს რაიმე ფათერაკი შეემთხვა და გარდაიცვალა, მაშინ მასზე ხარჯის გაწევას ორივე მხარე თანაბრად კისრულობს. ვინიცობაა ახალი რძლის წაყვანის დროს გზაში მოხდა ფათერაკი და პატარ რძალი მოკვდა, ასეთ შემთხვევაში გავლილი გზის მანძილს გაზომვენ, შეადარებენ გასავლელ ბილიკს სიძის სახლამდი და საითაც მოკლე მანძილი აღმოჩნდება,—ის კისრულობს მიცვალებულის დამარხვას. ე. ი. თუ სიძისაკენ გამოვიდა მოკლე გზა, სიძე მარხავს მიცვალებულს, თუ პატარ-რძლის მშობლებისაკენ აღმოჩნდა მოკლე შარა, მაშინ მშობლები ან ახლო ნათესავები იღებენ თავზე მკვდრის დასაფლავებას. შეიძლება ორივე მხარეზე თანაბარი მანძილი გამოვიდეს, იმ შემთხვევაში ერთიც და მეორეც თანასწორად ინაწილებს დამარხვის ხარჯებს. გაივლის თუ არა ერთი წელი, გათხოვილ ქალს ძმა ან ბიძაშვილი წაიყვანს ქმართან, რის შემდეგაც ის

*) აძრახება ანუ საუბარი ცოლს აკრძალული აქვს ქმართან დაწოლამდი.

სამუდამოდ რჩება ქმრის სახლში და, ცხადია, ითვლება დამკვიდრებულ წევრად ოჯახში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველა საკუთრება კი არ მიაქვს თან ქმრისას, არამედ მისი ნაწილი. მაგალითად, მას აქვს ორი ხელი ტანისამოსი, ერთი მიაქვს, მეორეს სტოვებს თავის სახლში. ეს იმიტომ, რომ მას შეიძლება მალე მოუხდეს ქმართან განშორება და ამისათვის ერთი წყვილი ტანისამოსი მომზარაგებული აქვს ამ მოსალოდნელ შემთხვევისათვის. სახელსაქმო: საქსოი, საკერი და სხვა, რომელიც ყოველ გასათხოვარ ხევსურ ქალს ჩვეულებრივ ბლომად აქვს, მიღებულია სულ ყველა წაიღოს ქმრის სახლში.

როგორც ვთქვით, ხევსური ქალები გვიან თხოვდებიან და ეს იმიტომ, რომ ძლიერ ეძნელებათ მოშორება ახალგაზრდული ცხოვრებისა, რომელიც ადამიანის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მოდის, და თანაც გათხოვების შემდეგ ჭაბუკაკენ თავის უფლებას: ისინი ამბობენ: „გათხოვებით ცალი ფეხი სამარეში გადავდგი“-ო.

გათხოვილი დედაკაცი ცხენით ქმრის სოფელში ვერ შევა იმიტომ, რომ ეს გულისხმობს მოურიდებლობას, უხეირობას და თითქმის უნამუსობასაც კი. ხევსურელი ჩვეულების მიხედვით, ახალ ჯვარდაწერილნი ერთი წლის განმავლობაში ისე არიან, როგორც სწორ-ფერნი, ე. ი. ამ ხნის მანძილზე მათში სქესობრივი კავშირი არ ხდება. ამ ხნის განმავლობაში დროს ატარებენ მხოლოდ სატრფიალო სიამტკბილობასა და ალერსში. ჩვეულებრივ პირობებში ქმართან დასაწოლად ცოლი მიდის. ცოლს სრული უფლება ენიჭება ყოველგან წასვლა-წამოსვლაში. წასვლა მხოლოდ ხევსურთან შეიძლება და სხვა კუთხის კაცთან არავითარ შემთხვევაში. ცოლი ოჯახში ქმრისაგან შეძენილ ქონების, აგრეთვე თავის შენაძენ ნივთების ბატონ-პატრონია, ამ მხრივ ხევსურის ცოლი ან დედაკაცი მატრიარქალური დროის პირობებში დგას. მაგრამ ამასთანავე ერთად იგი მოკლებულია ყოველგვარ საზოგადოებრივ აზრს, ნებისყოფას, საზოგადოებაში საუბრის უფლებას, თავისუფალ ღიმილს, მიხვრა-მოხვრას, რაიმე სასოფლო საქმეში ჩარევას, სჯას, კრიტიკას და სხვა. მრავალ ადამიანურ უფლებებს. ამავე დროს ყოველივე საოჯახო მძიმე საქმე მას აქვს დაკისრებული: ოჯახის წევრების შემოსვა (თავის თავის, ქმარ-შვილისა, დედისა, მამისა, ძმისა), საქონლის მოვლა, საოჯახო ქონების მომარაგება და სხვა. მიუხედავად ასეთი მტკიცე ოჯახის დამფუძნებელი როლისა, ცოლი მაინც მოკლებულია ელემენტარულ ადამიანურ ღირსებას, დაფასებას და იგი ქმრისაგან არცა თუ საკუთარ სახელის წოდების ღირსია. ხევსური ქმარი თავის ცოლს საკუთარ სახელს არ უწოდებს, იმდენად დამცირებულია ის მის წინაშე. არათუ მარტო მისი ცოლის სახელი ამცირებს მას, არამედ ყველა ის, ვინც მის ცოლის სახელს ატარებს: საკუთარ სახელის ნაცვლად ის თავის ცოლს უწოდებს: „დიაცს“, ან „ჯალაფს“. და როდესაც ეს „დამამცირებელი“ სახელი უნდა თქვას ვისმესთან, მისი წარმოთქმის წინ მოიბოდიშებს: „პატიები თქვენთან და მორიდება,—ჩემი დიაცი“... და სხვა.

ჩვეულებისა და ცოლ-ქმრულ თვისიერ განწყობილების მიხედვით სადილ-ვახშმის მაგიდას (მთებურათ ტაბლას) ერთად მოუსხდებიან, ხოლო თუ სტუმრები ჰყავთ, ცოლს და საზოგადოდ მდედრობით სქესს ნება არა აქვს სადილის ან საუზმის დროს მამაკაცებთან დასხდნენ. ამ უფლებას მოკლებუ-

ლია არათუ შინაური დედაკაცები, არამედ ეს წესი ვრცელდება სტუმარ დედაკაცებზედაც.

საერთოდ ხევსურ დედაკაცებს ისეთი ქმარი მოსწონთ, რომელსაც, სხვა ეაქკაცურ თვისებებთან ერთად ცოლისადმი დიდი სიმკაცრეც ახასიათებს. ხშირად ხევსურებმა ცოლის ცემაც იციან. ხევსურ მამაკაცებს საზოგადოდ ცუდი წარმოდგენა აქვთ დედაკაცებზე: ისინი მათ საქონელს ადარებენ და ამბობენ ასე: „როგორც ხარში და ფურშია განსხვავება, ისე მამაკაცსა და დედაკაცს შორის დიდი ზღუდე ძევს. განა ფური და ხარი ერთნაირად უნდა ვკვებოთ?—ამბობს ხევსური მამაკაცი—ხარს თიბას ვაკმევთ, ფურს კი ჩალას".

როგორც ჰხედავთ, ხევსური მამაკაცები თავიანთ ცოლებს არც იმის უფლებას აძლევენ, რომ იმგვარი საკვებით გამოიკვებონ, როგორც თვითონ მათ შეუძლიათ მიიღონ დახარისხებული ნოყიერი საკმელი. საზოგადოთ ხევსური ქმარი ძლიერ მარტივად სწყვეტს ყოველნაირ ცოლქმრულ დამოკიდებულებათა საკითხს. ხევსური ქმარი ამბობს: „მე ყველაფერი ვარ, ცოლი კი არაფერიო".

ქმარმა რაც უნდა თქვას, ნათქვამი ცოლისათვის კანონია და თუ იგი წინააღმდეგი გაუხდა, მაშინ ქმარი საშინლად სჯის მას.

ასეთია „ღვთისაგან" ბოძებული „წერა" ხევსური დედაკაცისა როგორც ოჯახურ ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე. როდესაც ხევსური ქალი თხოვდება, მან უკვე იცის, რომ იგი სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს შვებასა და ხალისიან სიცოცხლეს, იგი ვერ ნახავს, თუ რაა სიყვარული თბილი გრძნობა და თავაზიანი მოპყრობა, არამედ ტანჯვა-მწუხარება, აუტანელი ჯაფა, და კვნესა მწველი ცრემლებით, ყოველგვარი პირადი ღირსების ფეხქვეშ გათელვა და დამცირება, ამიტომაა, რომ ყოველი ხევსური ქალი ფეხს ითრევს ბუნებრივი საქორწინო დროის მოახლოებისას და სიამოვნებით გადასდებს მას ხუთი და ათი წლითაც. ასეთ გადადებას პირდაპირ მასიური ხასიათი აქვს ხევსური ქალების ცხოვრებაში. ამის მიხეზი, ჩვენ უკვე ვთქვით.

დაახლოებით და ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ აღნიშნული დაგვიანებითი დაქორწინების პირობები გამომდინარეობენ პირდაპირ შექმნილ მდგომარეობიდან.

ის სოციალური პირობები, რომლებშიაც გათხოვილ დედაკაცს უხდება ცხოვრება ქმრის ოჯახში შეუბრალებლად სჭის მას.

მაშასადამე, გამოვდივართ რა ყველა ზემოთ მოყვანილ სხვადასხვა მეცნიერულ ნარკვევებიდან და ამავე დროს საკუთარი დაკვირვებიდან, ვამბობთ, რომ ნამდვილ ბუნებრივ საქორწინო ასაკად მამაკაცის მხრივ უ-და ჩაითვალოს 25-დან 35 წელი, დედაკაცის მხრივ კი 20—25 წლები. დაქორწინებისათვის ბუნებრივად მომწიფებული პერიოდები სწორეთ აღნიშნულ ციფრებში იგულისხმება.

უეჭველია, რომ დაქორწინების პერიოდებში გამონაკლისები და დისონანსები მრავალია, როგორც საერთოდ ყველა ხალხის ცხოვრებაში, ისე ხევსურეთის ყოფა-ცხოვრებაშიც.

ხევსურებში ეხვდებით აგრეთვე, როგორც უკიდურეს ანტიფემინისტებს [1]) ისე ბელემინისტებს. [2]) ცხადია, პირველი უცოლოდ რჩებიან, ხოლო მეორენი

---

[1]) კაცი, რომელსაც დედაკაცი თვალით დასანახად სძულს.

[2]) სხვა და სხვა ლამაზ ქალების მოტრფიალენი.

სოფლიერული ოსური ჩოხიდან და ბიბილათ

ხაბ. დარ. ძნელაძისა

ცოლს ხშირად იცელიან და ოჯახი მუდამ აწეწილ-დაწეწილი აქვთ, ხასიათი გარყვნილი, გალაზღანდარებული, უსულ-გულო, გამოფიტული.

როგორც ყველგან, ისე ხევსურეთში ბევრია ზარმაცი, სოფლიდან სოფლად მოხეტიალე, შექმნილი მდგომარეობით დაბეჩავებული, გონებრივ შემოქმედებას მოკლებული, და თანდაყოლილი ნაკლის გამო ათვალწუნებული. ისინი არც ღებულობენ მონაწილეობას საერთო ცხოვრებაში, დაქორწინების საკითხი მათთვის არ არსებობს—უვარგისებია.

ხევსურ ახალგაზრდა ქალებში ასეთი უვარგისობა იშვიათი მოვლენაა. და თუ სადმე ასეთი აღმოჩნდა, ისე აშკარად არ გამომჟღავნდება, როგორც ამას მამაკაცების ახრივ ვამჩნევთ: ხოლო გასათხოვარი ხევსური ქალები სხვა რამ საბედისწერო თვისებებით განსხვავდებიან მამაკაცებისაგან. სახელდობრ მით, რომ მათში გავრცელებულია თვითმკვლელობა, რომელიც ზოგჯერ პირდაპირ ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს მთელ ხევსურეთში.

საკმაო ხნის ძიების შემდეგ გამოირკვა, რომ თვითმკვლელობა განსაკუთრებულ შექინილ პირობების მიხედვით და საქორწინო წლების პერიოდში ხდება. უფრო კი იმ გარდამავალ ხანაში, როდესაც ახალგაზრდა ქალი საქორწინო წლებს უახლოვდება. რა თქმა უნდა, თვითმკლელობის მიზეზი სხვაც ბევრია: აუტანელი სოციალური მდგომარეობა, რაინე თვალსაჩინო ფიზიკური ნაკლი. მშობლების უსულ-გულობა, საკუთარი სურვილების აუსრულებლობა, თავისივე სწორის დაკარგვა და მოსალოდნელი იმედების გაცრუება. სამწუხაროდ, ნამდვილი სტატისტიკური ცნობების შეკრება ვერ მოვახერხეთ, რომ ზოგიერთი დეტალი სისწორით გაგვეშუქებინა. მაინც შეიძლება ითქვას, რომ თვითმკვლელობა (უმრავლეს შემთხვევაში) ხდება მაშინ, როდესაც ქალს თვიური სჭირს, ანდა თვიურის მოახლოვების წინა დღეში, ე. ი. მაშინ, როდესაც ყოველი დედაკაცი ცოტათ თუ ბევრათ ფსიქიურად აშლილია და გაწიწმატებული. ჩემი მუშაობის დროს ხევსურეთში ხშირი შემთხვევა იყო გასათხოვარ ქალების თვითმკელელობისა და ეს სწორეთ იმ პერიოდებში ხდებოდა, როდესაც მათ თვიური სჭირდათ. ერთხელ ჩემთან მოვიდა ხევსური და მთხოვა წავყოლოდი დაჭრილი ქალის სანახავად. გზაში მე შევეკითხე, თუ რატომ დაიჭრა თავი მისმა ქალმა, მან ცოტა პაუზის შემდეგ ორი სიტყვით მიპასუხა: „არ ვიცი, კაცო" და თავისთვის კიდევ რაღაცა ჩაილაპარაკა. როდესაც ბინაზე მივედით, დაჭრილი ავადმყოფი ჩვეულებრივ სადგომ სახლში კი არ დაეწვინათ, არამედ გაეხიზნათ სამრელოში, რომლის კედლებიც უბრალო ქვის ყორიდან იყო აგებული, დახურული იყო ხრეშიან მიწით, ისეთი პატარა იყო და დაბალი კედლები ჰქონდა, რომ მეორე ადამიანი შიგ ძლივს მობრუნდებოდა. შიგ შესვლის დროს წელში უნდა დაიხაროს და ამ დახრილ მდგომარეობაში იმყოფებით მანამ, სანამ გარეთ არ გამოხვალთ. დაჭრილი ავადმყოფი მიწაზე ეგდო. გასინჯვის შემდეგ გამოირკვა, რომ ჭრილობა საბედისწერო არ იყო. თოფი დაეკრა კისრის მიდამოში მარცხენა მხარეს და ტყვიას მხოლოდ sterno-cleido-mastoidei-ს კუნთი გაეჭრა. კაი ხნის სისხლის დენას ავადმყოფი ძალზე დაესუსტებინა, რომელიც ჩვენ მისვლამდე შეჩერებულიყო ჭრილზე მიმხმარი ნაკვეთი სისხლით.

ავადმყოფი კვირის წამლობის შემდეგ განიკურნა გაურთულებლად, მხოლოდ იდნავი ნაკლი დარჩა: კისერს ნორმალურად ველარ ამოძრავებდა ხსენებული კუნთის დაზიანების გამო. ახალგაზრდა ქალს თოფი დაეკრა თვითმკვლელობის მიზნით, რომელიც უთუოდ შემთხვევით იქნა აცილებული. ქალი თოფის დაკვრის მოპენტში თვიურის წინა დღის მოლოდინში იდგა. იგი დანიშნული იყო.—ანალოგიური შემთხვევა მეორეც მქონდა, ხოლო გაგონილი—ბევრი. ამ გაგონილ შემთხვევათა შესახებაც ვაწარმოებდიო კვლევა-ძიებას და ვარკვევდით, თუ რა პირობებში ხდებოდა გასათხოვარი ქალების თვითმკვლელობა. აქაც გამოირკვა, რომ თვითმკვლელობა მომეტებულად ხდებოდა მაშინ, როდესაც ქალები თვიურის პერიოდში იდგენ, ან ჰქონდათ ასეთი. აქედან აშკარაა, რომ ახალგაზრდა ხევსური ქალი, რომლისათვისაც საკმარისია ოდნავი წყენა, გულის მოყელა, გაღიზიანება, რომ თავის მოკვლაზე იფიქროს, თავის სიცოცხლეს უფრო მაშინ იმეტებს როცა მას თვიური სჭირს ან მის მოლოდინშია. ამავე დროს ჩვენ ისიც შევამჩნიეთ, რომ სხვა მიზეზით თვითმკვლელობა იშვიათად ხდება ხევსურ გასათხოვარ ქალების ცხოვრებაში.



სურ. 44. ხ ე ლ ი
ხევსურული სისხლის აღების წესით.

1. ცირი ღირს 5 ძროხა, 2. სალოკი თითი—4 ძროხა, 3. შუა თითი—3 ძროხა, 4. უსახელო თითი—2 ძროხა, 5. ნეკი—ერთი ფური, 6. ხელი მთლიანად ღირს 30 ძროხა (იხილეთ „სისხლის აღება" — გვერდი 113).

სწორ-ფრობა ხევსურეთში.

ხევსურები გადმოგვცემენ, რომ სწორფრობა, როგორც გარკვეული მოვლენა, გადძოლებულია თავის მეზობელ ფშაველებისაგან და შემდეგ იგი გადაკეთებულია თავისებურად. მათი გადმოცემით, სწორფრობა თითქოს შემოულიათ ორი-სამი საუკუნის წინ, როცა საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიურად ერთგვარ ოლვევას განიცდიდა, როგორც შინაური ფეოდალების ყოველდღიური კინკლაობით და ღალატით, ისე გარეშე მტრებისაგან.

ამ დროს ფშავ-ხევსურები (მათი გადმოცემით), როგორც განაპირას მცხოვრები ხალხი, განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებოდნენ. მათ განუწყვეტლივ ლეკები და ქისტები ესხმოდა თავს. ამიტომ იძულებული იყვნენ მუდამ თოფიარაღის ქვეშ მდგარიყვნენ. ეს გარემოება ქმნიდა აუცილებლობას, რომ ფშავსა და ხევსურეთში მტრის დაცემის გამო გახიზვნის დროს ქალსა და კაცს ერთი ნაბდის ქვეშ სძინებოდათ და ამით ერთმანეთი გაემხნეებინათ. რადგანაც თავდასხმის შემთხვევები ხშირი იყო, ამიტომ მისგან გამოწვეული შედეგი ჩვეულებათ იქცა, რომელსაც ამ ჟამად ხევსურეთში ს წ ო რ ფ რ ო ბ ა ეწოდება. არა მგონია, რომ ეს მართალი იყოს. ალბათ მის წარმოშობას სხვა რამ საფუძველი უძევს.

როგორც ხალხი მოჰმობს, სიტყვა სწორფრობა მარტო ახალგაზრდა მოტრფიალეებზე კი არ ვრცელდება, არამედ ისეთ ახალგაზრდებზედაც, რომელნიც ბავშობიდანვე ერთმანეთს შეზრდია და თავის სიყმაწვილე ერთად გაუტარებიათ. ხევსურულ კილოში სიტყვა „დობილი" არ არსებობს და როგორც ვაჟს ისე ქალს სატრფიალო ალერსიანობაში ცალ-ცალკე „ძმობილი" ჰქვია და ორივეს ერთად კი — სწორ-ფერნი.

ხევსურული სწორფრობა თავის თავად ნიშნავს ტრფიალს, სიყვარულს, მხოლოდ და მხოლოდ სულიერ კავშირს სხვადასხვა სქესის ორ ახალგაზრდათა შორის. ყოველი სახის სიმრუშე უარყოფილია და არავითარ სიმტლაშეს მათ ტრფიალში ადგილი არა აქვს.

სწორფრობა ასე იწყება: ერთი ბოთლი არაყით ქალი მიდის ვაჟთან დასაწოლად, თუნდაც ისინი ერთმანეთს ახლო არ იცნობდენ და მხოლოდ შორიდან მოსწონდეთ ერთმანეთი. პირველად — კოცნა, მკლავზე დაწოლა და ხევნა-ალერსი ძლიერ მორიდებით ხდება, მოკრძალებით, ხოლო შემდეგ, როდესაც ისინი თანდათანობით ერთმანეთს კარგად დაუახლოვდებიან, ეს ხევნა-კოცნა უფრო თავისუფალი ხდება. შეიძლება სწორფერთა შორის მოხდეს ერთგვარი დამდურება, ან და როგორც ეს საზოგადოდ მიღებულია, — მოტრფიალეთა ჯაბუკური ბუტიაობა, რომელსაც დროული ხასიათი აქვს. შემდეგ კი შეიძლება ტრფობა უფრო და უფრო გამტკიცდეს, გაღრმავდეს და ხდებიან განუყრელნი.

დაწოლა ხდება ისე, რომ სწორ ფერნი თავის ფეხებს ერთმანეთს იშვიათად მიაკარებენ, არც მუცლით შეეხებიან ერთმანეთს, ხოლო გულჰკერდით და პირბაგეებით ისე ეკვრიან ერთმანეთს, რომ ხშირად გულმკერდი ორთავეს საგრძნობლად სტკივათ.

ფარაგის გახსნა, რომლის მნიშვნელობაც ჩვენ უკვე ვიცით, ამ შემთხვევაში ყოველად დაუშვებელია. ამ ალერსის დროს კისრის ღილსაც კი ვერ შეეხება ვაჟი. როდესაც გრძნობა უკვე კაი ხნის ხევნა-ამბორისაგან თავისთავად დაცხრება და

მოდუნდება, როცა სატრფიალო, საალერსო ენერგია დაშრება და ძილის დროც დადგება, ისინი ერთმანეთს ზურგს შეაქცევენ და ისე იძინებენ, ან კიდევ ვაჟი გულალმა დაიძინებს და ქალი კი მის გულმკერდზე თავს დადებს და ისე მხარ-თეძოზე მიიძინებს.

სწორფრობა ხდება აგრეთვე თითქმის ახლო ნათესავებს შორისაც, მხ-ოლოდ ამ შემთხვევაში მათ სწორფრებს იშვიათად ეძახიან. სწორფერთა შორის შეიძლება მოხდეს დაქორწინებაც, თუმცა ეს იშვიათი მოვლენაა ხევსურეთში. არ არის წესი, რომ ერთი სოფლისანი დაქორწინდნენ, რაც უნდა შორეული იყვნენ ისინი სისხლით. თუ ასეთი რამ მოხდა, სოფლელები მათ „ბოიკოტს“ უცხა-დებენ, აღკვეთენ, ხოლო შემდეგ, როდესაც დრო თავისას იზამს—საკმაოდ დაც-ხრება, შერიგება ადვილად ხდება. წარსულში სწორფერთა შორის დაქორწინე-ბა იშვიათად ხდებოდაო, ახლა კი შედარებით ხშირია. როგორც ხევსური ქალი, ისე ვაჟი თავის სატრფოს ეცნობა ან პოულობს სადმე შეკრებულებაში: ხატში, დღეობებზე, საზოგადოებაში, სადაც ერთმანეთს ათვალიერებენ. სწორფრობაში რაიმე შუღლი, წასისინება, უხეში ღვარძლი-მტრობა არ არის წესად, მხოლოდ ფარული ეპვიანობა მათ შორის ხშირი მოვლენაა. თუ სწორფერთ შორის გრძ-ნობა ოდნავ შენელდა, ან ერთმანეთისადმი გულცივობა შეიპარა, მაშინ მათი სწორფრული ურთიერთობა თანდათანობით სუსტდება და შემდეგ სრულიად ქრება კიდეც. ასეთ შემთხვევაში მიჯნურები ერთმანეთს ხშირათ შორდებიან და როგორც ფუტკარი წამ-და-უწუმ ერთი ყვავილიდან მეორეზე გადაფრინდება, აგ-რეთვე ისინიც ერთმანეთს წამსვე გამოიცვლიან. ასეთი რამ ხდება როგორც ქა-ლის მხრივ, ისე ვაჟის სურვილითაც. თუ ვინიცობაა ხევსური ქალი (ან დედა-კაცი) ვინმემ რაიმე გზით ძალით დაიმორჩილა და მისი სურვილის წინააღმდეგ მასთან სქესობრივი კავშირი დაიჭირა, ეს მაინც არ გაამჟღავნებს ამ მდგომა-რეობაში ჩამყენებელს თავის ახლო ნათესაობასთან.

ის არავითარ შემთხვევაში არ გასცემს მას, არც ძმასთან, არც ქმართან, რადგანაც კარგად იცის, რომ ენის მიტანას, გაცემას მოჰყვება სისხლის ღვრა და შეიძლება კაცის სიკვდილიც. ამიტომაა, რომ ხევსური ქალი ასეთ სა-ბედისწერო საიდუმლოებისათვის პირდაპირ მუნჯია. დაქორწინებულთა შორის სწორფრობა სხვა ვისმესთან შედარებით იშვიათად ხდება, განსაკუთრებით ცო-ლის მხრივ. ქმარს შეუძლია იყოლიოს სწორ-ფერი ქალი, შეიძლება მას ცოლმაც დაუწვინოს მკლავზე. ამ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა ქმარს გული აუცრუვდა თავის ცოლზე, ცოლი ამაზე თითქოს არას ნაღვლობს—იმდენად თავმოყვარე და ამაყია ის ბუნებრივად. ამ მხრივ მას სრულიად ზედმეტად და უგუნურად მიაჩნია რაიმე გულის წყრომა, ჩხუბი, აყალ-მაყალი და, რაც უფრო ჩვეულებ-რივია ყოველი დედაკაცის აჩემებულ შეტევით ბრძოლაში, ცრემლები. ამ მხრივ ხევსური დედაკაცი ან ქალი პირდაპირ შეუდარებელია.

თუ უცხო კაცმა—არა-ხევსურმა, ხევსური ქალი ნიშანში ამოიღო და ქალს კი არ მოსწონს იგი, შეიძლება რომ გასცეს და საშინელ ხიფათში ჩააგდოს, მა-გრამ ასეთი შემთხვევა ხევსურეთში საზოგადოდ ძლიერ იშვიათია. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ერთი ვინმე ახალგაზრდა ვაჟი მოსწონს რამდენიმე ქალს, რო-მელთა შორისაც ხდება ერთგვარი შეჯიბრება, თუ რა ხერხით დაჩრდილოს თა-

ვისი მეტოქე, რომელიც ხელს უშლის სატრფოს დაპყრობაში. ამ შემთხვევაში ხევსურ ქალს გაშმაგემული ვნება კი არ იტაცებს ვაჟისადმი, არამედ იგი მეტად წმინდა გრძნობითაა გატაცებული და თუ ვინმემ შეურაცყო, ის შურს იძიებს: შეუბრალებლად განდევნის ის შეურაცყოფის მიმყენებელ ვაჟს და წყველა-კრულ-ვით მოიხსენიებს მას. იგი მისთვის ნიშნავს ნახევრად სიკეთილს, ხალისიანი სიცოცხლის განახევრებას, რადგანაც მის შემდეგ აღარ არის ტრფობა, თბილი ალერსი, წმინდა სიყვარული. ამიტომ ხევსურ ქალს მოსწონს ისეთი თავის სწორი ვაჟი, რომელიც მის ასეთ შეხედულებას, სურვილს ექვემდებარება, რომელიც სოფლის პირობაზე ნამდვილ ვაჟკაცურ სინდისს და პატიოსნებას უნდა წარმოადგენდეს. ამ მოთხოვნილების შინაარსი კარგად იციან ხევსურეთის ახალგაზრდა ვაჟებმა და მათშორის იშვიათია ისეთი, რომ ამას ანგარიში არ გაუწიოს. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ერთი ლექსი:

რახელ კარგი ხარ ზაფხულო! როდის მოგვიყა რთველიო?
ისით დრო როდის მოგვიყა, ილასტებოდეს ქერიო;
ბარში ჩქამობდეს ნამგალი, მთაში ელობდეს ცელიო,
ემზადებოდეს მხედარი, ნალებს იკრავდეს ცხენიო?
ვაჟი ჩვენ სოფელს ბევრია—მხრით მფრინავ შევარდენია,
ბევრია სხვა სოფელშიაც ბაგაზე დასაბმელია.
ვაჟ უნდა იყოს ისეთი.....
არ აშინებდას ხანჯარი, ფოლადის სათითენიო;
მთვრალად დაიწყებს კვეხნასა: სახელ თუ ვერა ვქენიო!
უნდა წავიდე ღილღოსა, ცხვარი მყავს მოსასხველიო
მოვრალმა ბევრ იცის კვეხნაი, რომ მოფიზლდების ძნელიო,
ამა ლექსისა მათქმელი ან გრილი ხახის ფერიო.
აღარ წვებიან ქალები, სახელ თუ ვერა ვქენიო.

ამ ლექსში მკაფიოდ არის გამოხატული, რომ ხევსური ვაჟისა და ქალის ცხოვრებაში ყველაფერი მარტივია და სადა, ასეთია უსაზღვრო მისწრაფებაც ტრფობისადმი, ურომლისოდაც ხევსური ახალგაზრდები ნორმალურად ვერ სუნთქავენ, ნამდვილ სიცოცხლეს ვერ განიცდიან.

სწორფრობა მარტო ხევენა-მტლაშა-მტლუშს არ ნიშნავს, იგი ერთგვარად საქმიანობის ხალისის მომგვრელია სწორ-ფერთა მოქმედებაში. იგი უფრო ახალისებს, აჩვევს ორივე სწორს სამერმისო საქმიანობას, სასახელო საქმეს. ვინც სახელის მოხვეჭას არ ცდილობს, არ უყვარს შრომა, გარჯა ანდა არ არის ეშხიანი, იგი ვერ დაიმსახურებს ხევსური ქალის ყურადღებას. „აღარ წვებიან ქალები სახელ თუ ვერა ხვქენიო“, ე. ი. აღარ წვებიან ქალები, ალბათ იმიტომ, რომ სახელი ვერ მოვიხვეჭეო. ეს გამოთქმა იმდენად დამახასიათებელია სწორ-ფერთა ურთიერთობისათვის, რომ ის კომენტარიებს არ საჭიროებს.

ხევსურეთში ხშირია ყაჩაღად გავარდნა. ასეთები განსაკუთრებით მოსწონთ ხევსურ ახალგაზრდა ქალებს, უფრო მომეტებულად ეტრფიან მათ. ამის დამახასიათებელია ერთი პატარა ლექსი:

გიორგი, ჩემო ძმობილო, ვაჟკაცო ილეთიანო,
იმით გშურობენ სწორები, ალბათ, რომ ყაჩაღ ქვიანო.

ხევსური ქალები უფრო იმათ ეტრფიან, ვინც ვაჟკაცობით განთქმულია, ვინც მკაცრი, შეუდრეკელი ტემპერამენტისაა, ერთი სიტყვით, ვინც საგმირო საქმეში გაბედული, მხნე და გონება მახვილია. ხშირად სწორფრული კავშირი შეიძლება სხვანაირად მოტრიალდეს, როდესაც, მაგალითად, მათდა უნებურად იძულებულია ერთი მათგანი სხვაზე გათხოვდეს ან სხვა შეირთოს. ასეთ შემთხვევაში ისინი დიდ საგონებელში ვარდებიან და რომ მდგომარეობას თავი დააღწიონ, იგონებენ სხვადასხვა ხერხს, რომელიც იძულებით დაქორწინებას დროებით მაინც შეაჩერებს. ხევსურ ქალს ჩვეულებრივ ხშირი ცრემლები არ სჩვევია. მხოლოდ ამ განსაკუთრებულ მომენტში იგი უსაზღვროდ ტირის, იცრემლება. ზოგ შემთხვევაში სიყვარულით მთვრალი ვაჟი ტარიელს ენგავსება: ახლოს არავის იკარებს, სპრის, ჰკლავს, ანადგურებს და შემდეგ შეიძლება ველადაც გავარდეს.

ვ ა ჟ ი

ნისლი წავიდა ცისაკენ, ნამი შაბერტყა ქარმაო
ჩამოაბნია ცრემლები შაწუხებულმა ქალმაო.

ქ ა ლ ი

ვაიმე, პირსა ვერ უტეხ დედა-მამასა, ძმასაო,
თორ შინაც მოგივიდოდი, არაის ვკითხავდი სხვასაო.

ვ ა ჟ ი

დაებრუნდი გაფოთებული, შევგმე თავისა თავსაო
რად არ ჩავიცვამ ბექთარსა, წელზე შავირტყამ ხმალსაო
ავკაფამ გველებურადა მე შენ შინ წამყვან ქმარსაო,
ესრე უცადოთ ერთმანეთს, ერთუცის პირობასაო,
დაგვითქმენ პორის ნაძრახსა, ნუ ჩამოვიტანთ თავსაო.

ამ ლექსში აშკარად მოსჩანს ის თავისებური ფალი აზრი და დამოუკიდებელი გრძნობათა კარნახი, რომელიც მხატვრულად ასურათებს ხევსურული სწორფრობის შინაარსს.

ქალი ვორ სამწყესოჩია ხევ-ხუვთ ვაძოვებ ცხვარსაო,
შინავ ეზოსიხომ საგძალსა სამწყემოს წანატანსაო:
თეთრ-ჩოხამ გარმაიარა, მასრან უცემდეს თვალსაო.
ვაფერე ჩემსა ნაძმობსა, ხოლიგათ თათარასაო.
მე მონადირე მეგონა, ვიყურებ თოფის ჩქამსაო;
დავნატრი გუროს ციხესა, ქვაზედ ნადებსა ქვასაო,
შიგათი ნაჯდომ ვაკაცსა ხოლიგათ თათარასაო,
ჩემი ნათქომი უთხროდით იმ ჩემი სულის სწორასაო.—
ნუ შენ შაირთავ დიაცსა, არც მე შავირთავ ქმარსაო—
ბეკედა გადმომიგზავნე მეც შამიხთება ქალსაო,
გან შინით წაგალალვინებ გამახელაის ქალსაო... *)

როდესაც სწორფერნი ერთმანეთს თანდათანობით კარგად დაუახლოვდებიან, მათ შორის ხდება ერთგვარი დაუმთავრებელი სქესობრივი აქტი,

*) აქ აშკარად არის გამოხატული ის რაინდული სულისკვეთება, დათმობა, პატივება და ალალ თავისებური, შეუდრეკელი ხასიათის სიმტკიცე, სულგრძელობა, რომელზედაც საკმაოდ ა თქმული.

coitus interruptus, რაც ხევსურეთში ჩვეულებრივი მოვლენაა. რა თქმა უნდა წესის მიხედვით ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, როგორც სჩანს, ბუნებას თავისი გააქვს.

ეს არა ბუნებრივი სქესობრივი აქტი იმიტომ ხდება, რომ სწორფერთ ძლიერ ეშინიათ დაორსულებისა, რაც ორივე მხარისათვის დიდ უბედურებას ნიშნავს. რომ ასეთ უბედურებას არ ჰქონდეს ადგილი, ამიტომ აღნიშნულ ხერხს მიმართავენ, როგორც ერთგვარ პროფილაქტიურ ზომას დაორსულების წინააღმდეგ. თუ რამდენად მავნებელია ასეთი არანორმალური მოვლენა მათს სქესობრივ ცხოვრებაში, ამაზე მათ არავითარი წარმოდგენა არ აქვთ. ასეთი სქესობრივი კავშირი განსაკუთრებით ანადგურებს ახალგაზრდა ყმაწვილის ყოველ წამში მოზარდს და განუმეორებელ ენერგიას, ასუსტებს მის ფსიხიკას, ადუნებს ახალი სიცოცხლის წადილს, მისწრაფებას ხალისიან ცხოვრებისადმი და უმოკლებს ბუნებით დაკანონებულ ხანგრძლივ სიცოცხლის ჯანსაღობას. რომ ხევსურს ეს ესმოდეს, მაშინ, ცხადია, თავისი მტკიცე ნებისყოფის წყალობით ერთი დაკერით განდევნიდა მისგან ამ მავნე ჩვეულებას.

სწორფრობას მრავალი კარგი მხარე აქვს, მაგრამ ზემორე აღნიშნული მოვლენა უთუოდ ჩრდილს აყენებს მას.

სწორფრობაში დასაშვებია, რომ ორ ვაჟს ერთი ქალი უყვარდეს, მხოლოდ ამ შემთხვევაში ერთი ვაჟთაგანი უთმობს მეორეს, ისე, რომ მათ შორის არავითარი კინკლაობა არ ხდება და საქმე ამ რაინდული დათმობის ფარგლებში მშვიდობიანად თავდება. ამავე დროს ისიც შეიძლება, რომ ქალი ორივე ვაჟისადმი თანაბარი სიყვარულით იყოს გატაცებული და წარმოიდგინეთ აქაც ვაჟი მიდის დათმობაზე: ერთ-ერთი ვაჟი უყოყმანოთ შორდება ქალს ფრთხილი, თანდათანობითი თვალის არიდებით: თუ ვინიცობაა ორ მოტრფიალეთა შორის ქალმა ერთი უკეთესად მიიჩნია, მაშინ მეორე თავის თავად შეურაცყოფილი რჩება და ამის შემდეგ იგი ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რათა შეურაცმყოფიდანწუნებელი გესლიანი სარკაზმით მოწამლოს: მოუძღვნის მას საუგო ლექსს. აი ერთი ნიმუში:

ქალო, ნუ მიქეზ ძმობილსა, შენ ძმობილ არაფერია.
მე ვიცნობ შენსა ძმობილსა, ბევრი დროს გამამცვლელია,
სხვასთან იკეთებს სხვის გულსა, პირად მოსული ჩვენია,

იმ შემთხვევაში, როდესაც ორ ქალს მოსწონს ერთი და იგივე ვაჟი, რაც არა იშვიათად ხდება, მაშინ მათ შორის ხშირია შეჯიბრი ან, უკეთ რომ ვთქვათ, ერთგვარი გრძნეული ჭიდილი, ისინი ერთმანეთს თავისებურ ლექსსაც სთავაზობენ:

დადინჯდი, ხევსურის ქალო, თავ დაამძიმე თმიანი,
ძმობილთან წილი გაეყაროთ ან ორთავ გვყანდას ზიარი,
ან საქცევ*) გამამიგზავნე, ან საყურ ზინზილიანი.

*) სიტყვა „საქცევი"—მათებურად გულისხმობს სამაგიეროს და ეს გვარწმუნებს იმაში, რომ ხევსური ქალი უსწორფეროთ ვერ სძლებს, ვერ ცოცხლობს. თუ ძას ასეთ შემთხვევაში ვინმე უკეთესი მეტოქე გაუჩნდა. რომელიც მას სატრფო ვაჟის თვალში სავსებით ჩრდილავს, ნაშინ ის თავისებურ დაცინვის კილოთი შურს ძიობს თავის მოქიშპეზე.

როგორც ხედავთ ეს პატარა ლექსი წარმოადგენს ერთგვარ დაცინვას, სადაც ორი ქალი ერთმანეთს ზნეობრივად თითქოს ბეჯრავენ და ამით ერთი მათგანი ვითომდა გაკაწრულ გულს იმრთელებს. როდესაც ორ სწორფერთ ერთმანეთი მომეტებულად უყვართ და ამავე დროს მათ დაქორწინება არ შეუძლიათ, ასეთ შემთხვევაში ისინი შორდებიან ერთმანეთს იმ პირობით, რომ ვაჟმა შეირთოს ისეთი ქალი, რომელზედაც თავის სწორფერი მიუთითებს და პირიქით, ქალი გაუვეს ისეთ ვაჟს, რომელსაც თავის სწორფერი ვაჟი ურჩევს. ასეთი რამ ხშირი მოვლენაა ხევსურ ახალგაზრდა მოტრფიალეთა შორის.

სწორფერნი არავითარ შიშს არ განიცდიან თავიანთ მშობლების წინაშე, მათი ტრფობა და ალერსი სრულიად თავისუფალია. ეს თავისუფლება არც გასაკვირველია: მთელ ხევსურეთში არ მოიპოება ისეთი მოხუცი მშობელი, რომ სწორფრული ალერსი თავის დროზე არ ეგემოთ. და არ განეცადოთ.

ზოგჯერ შეიძლება ჯიუტი მშობლების იძულებით სწორფერნი ერთმანეთს დაჰშორდნენ: მაგრამ ამ განშორებას, როგორც სხვისი ძალდატანებით გამოწვეულს და არაბუნებრივს, არ შეუძლია სწორფერთა აღგზნება დაიაცხროს, რასაც მშვენიერად ადასტურებს შემდეგი ლექსი:

სამშაბათ გათენებასა თვალზე მდიოდა ცრემლიო.
გამაწირვიეს, ძმობილი, მომაწერიეს ხელიო,—
გული ვერ გამომიცვალეს, ჯავრით იამბეს ბევრიო,
თქვენ იყოს ბათირიშვილი, ძმობილ აღარ ას ჩემიო,
ახლა სამუდმოდ გავწირე, უნდა ავიღო ხელიო.
აწიდგეს შენთან დამწოლი იქნების შენი ფერიო,
გულად ჩავიდა ნდობაი, თანთან ამხადა ფერიო.
ლიშან თუ გენიშნებოდა, რომ გამავიდეს მზენიო.
სოფლის თავ გადმავიარე, ხელში მეჭირა ცხენიო,
შენ იდექ ქერხოს კარშია, სიტყვა მიძახე სენიო,
აწიდგე აღარ მოგიხდეს, ბიჭო, ჯავრება ჩემიო.

ხევსური ქალი არც მაშინ იშლის სასიყვარულო ტკბილ განცდებს, როდესაც მის ნორმალ ფსიქიურ განწყობილებას დაარღვევს თვიური ხუთი დღის განმაელობაში:

სამრეველოს კარში ჩამავჯექ გამზრალი ვორ, გაყინული.
აღარც ჯალაფთ მამიგონეს დაცილებულ-გაწირული.
ვაჟა რაიმ ჩამაჩინდა, ვით მარსკვლავი მაწილული.
ვთქვი, რომ მაგას გაუკეთა *) გაკრელებულ-გასირმული.
შენი სხვასთან წოლა მწყინდა, აკი დავწვი ჩემი გული!
მაშ, ისეთა ვისა უნდა—სუყველაის გაწირული
ეგეთაი კარგია—ნაღდ ჯვარშია შეწირული.

ზემოდ მოყვანილ სატრფიალო ლექსებში მარტო გრძნობა კი არ იხატება, არამედ აგრეთვე მტკიცე ნების ყოფა, სიფრთხილე, თავდაჭერილობა, გულისწყრო-

*) გაეუკეთო.

მა, სიამაყე, თავაზიანობა, ზნეობრივი სუსპეტაკე, რაინდული სიდარბაისლე სულისა და ყოველივე ის, რაც ადამიანის მოქმედებას აკეთილშობილებს.

ჩვეულებრივ თვითეულ სწორფერს ჰყავს თავისი საკუთარი ელჩი, რომლის პირდაპირი დანიშნულება დაზვერვაა და რომელიც ცდილობს სწორფერთა სულიერი კავშირი უფრო განამტკიცოს. მაგ., იმ სოფელში, სადაც სწორფერი ქალ-ვაჟი ცხოვრობს, ქალს ესტუმრება ან მიიპატიჟებს სხვა სოფლის ნაცნობ ლამაზ ქალს. სწორფერი ქალი გამოცდის მიზნით განგებ მოპატიჟებულს, ან შემთხვევით შემოსტუმრებულ ლამაზს განზრახ აწვენს თავის სწორფერ ვაჟთან, რომ ამით დანამდვილებით გაიგოს, თუ რამდენად უყვარს ის თავის თანაბარს. ასეთ ცდას თავის მხრივ ახდენს ვაჟიც. რაკი დარწმუნდებიან ერთმანეთის ერთგულებაში, მერმე ჩვეულებრივი ხდება თავის სწორფერის სხვასთან დაწვენა. თუ რა-გორ თავაზიანად ან უხეშად მოეპყრო ვაჟი ამ უცხო ქალს,—ამას ყველაფერს გაიგებს სწორფერი ქალი, მაგრამ არა თვით მისგან, ვინც საცდელად იწვა ცდის პირთან (სწორფერ ვაჟთან), არამედ სხვისაგან, რომელსაც იგი უამბობს. ამის შემდეგ ხმა გავარდება, რომელიც ცხადია, მიაღწევს მცდელის ყურამდი. თუ ჩვეულებისამებრ თავაზიანად მოექცა ვაჟი განგებ მიგზავნილ ლამაზ ქალს, მაშინ, ჰო, მაგრამ თუ წინააღმდეგი მოხდა,—მაშინ სწორფერნი უეჭველად შორდებიან ერთმანეთს. სწორფერთა ურთიერთობაში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პატიოსნად იცავს ორივე მხარე იმ ლამაზს წესებს, რომლებიც საზოგადოდ სწორფერობის დამახასიათებელია. შესაძლებელია სწორ-ფერნი სხვა რაიმე მიზეზით დაშორდნენ ერთმანეთს. ამგვარ შემთხვევაში ორივე მხარე ცდილობს, რათა ერთიმეორე დაამკირონ, სახელი გაუტეხონ სხვის თვალში, და ყოველივე ეს ხდება ჩუმად, შეუმჩნეველად, ყოველი ფეხის ნაბიჯზე. ყოველ შერჩეულ მოშენტში, ხალხში, საზოგადოებაში, კერძო პირთანაც. როდე-საც ისინი ჩვეულებრივად მშვიდობიანი გზით ერთმანეთს შორდებიან, მაშინ მათი სულიერი კავშირი და ახალგაზრდა სიცოცხლის კაი ხნის ტკბილი განცდები რჩება მარადიული, დაუვიწყარი, თითქოს რაღაც ნათესაური დამოკიდებულებაა, ე. ი. სიამტკბილობით დაშორებული ნასწორფერევი ქალი და ვაჟი რჩებიან სრულ მეგობრულ განწყობილებაში და სიკვდილის უკანასკნელ ღღემდი დაქმარ-შვილებულ-დოცოლშვილებულ სწორფერთ პერიოდული მიმოსვლა აქვთ ერთმანეთთან. ისინი საკლავსაც მიჰგვრიან ერთი-მეორეს და ხშირად ორი-სამი დღის განმავლობაში ახალგაზრდა წარსულის ტკბილ მოგონებაში მხიარულობენ. ყველა ეს კარგად იცის თვითეულმა მასპინძელმა ცოლ-ქმარმა, რადგანაც, მსგავსი რამ ყოველ მათგანს უგემნია წინად და განიცდის ახლაც. ამიტომაა რომ ყოველი დაქორწინება მათთვის ნიშნავს არა სიხარულს, ტკბილ განცდას, არამედ ნოასწავებს მწარე ცრემლებს, სევდა-მწუხარებას, ტანჯვას, მუდამ ოფლში წურვას და ყოველდღიურად სხვისი ბედნიერებისათვის ზრუნვას, შრომას, მოქმედებას. ხევსური ახალგაზრდა ქალი, რომელსაც საქორწინოდ ამზადებენ, არ არის ქალწული. იგი უკვე კაი ხნის ნაყოლიერია გრძნეულ სატრფიალო ტალღებში.

ქმარი არც იკვლევს მის წარსულს, სიქალწულის ელფერი არც სახეზე უკრთის და ამიტომ გამომეტყველება მისი დაქორწინების პერიოდში მუდამ დაღვრემილია.

ჩვეულების მიხედვით, ყოველი საქორწინო ქალი დაქორწინების შემდეგ ერთ-ერ პერიოდში მუდამ თავდახრილი, მოწყენილი უნდა იყოს, ამას ყოველთვის ვითომდა ხელოვნური ხასიათი აქვს, მაგრამ ხევსური ახალგაზრდა ქალი ბუნებრივად მოწყენილია და ყოველი ჩვეულებრივი დაქორწინება მისთვის ნახევრად დასამარებაა.

თავის სოფელში ვერც ქალი და ვერც ვაჟი ვერ დაქორწინდება. ამიტომ დაქორწინება ხევსურეთში ჩვეულებრივად ეგზოგენურია, ე. ი. იგი ყოველთვის სხვა (სისხლით უნათესაო) სოფელში ხდება.

აქედან ცხადია, რომ მთელ ხევსურეთში ენდოგენური შემთხვევა (თავის სოფელში დაქორწინება) ძლიერ იშვიათია.

ხევსურული სწორფრობა ლამაზი შინაარსისაა, მრავალსახოვანი და სურათიანი:

პატარა ამბავს გიანბობ, ჩონგურო საკიჟინაო,
რაიც რომ გითხრა, ისწავლე, შენც არა დაიცილაო,
უნდა ჩაგიგდო გულადა ჩემი საღამო, დილაო,
მე ვიყავ ქაჯთა სოფელში—გუშინ გათავდა კვირაო,
ვუყურებ ქაჯის გოგოსა—სწორფრობა გამიპირაო
არცა გინება მწადიან,—ქაჯ იყო, მაბილბილაო,
მე იმას გამოვეპარე ეჯავრა, გამაწბილაო.
ცხეთას შამავხე ბანზედა, ვერვინ მავხელე შინაო
მარხედ ორ შაწუხებული, ხანდიხან ამავშინაო,
მხარ-გვერდზე შამავეჭადლე, დაღალულს დამეძინაო.
გონთ მაველ გახარებული სიზმრად მინახავს თინაო,
გარმავხენე და არ იყო სიცოცხლე მამეწყინაო
მაგასაც სხვასად უსმევავ ჩემთვის შანახულ მინაო
ჯაბრობას თავი ვანებოთ, ქალო, გონთ მოედ, თინაო
თორემ ბევრი მყავს ნაცნობი, თუ გინდა გაიცინაო,
შენის გულისთვის გავწირე ოცდათორმეტი ბინაო,
ლექს სხვაზედ გადავაქციოთ, ბან მამეც საკიჟინაო
გარმავიტანე ქაღალდი, დავწერე „ანა-ბანაო"
გაღმა სოფელში მაწვიეს,—მასპინძელმ წამიყვანაო
მეგულდიდების ქალები,—თინა იქ აღარ მტანაო.
ღმერთმა მასპინძელს უშველა, მალედ იქ მაიყვანაო.
მენიშვნებოდა ქაღალდი, შუქ დადგა საკვამთანაო,
მარსკვლავმა თენებისამა პაპიროს მაუტანაო,
ჩემზე ხევსურებ ჯავრობდეს: „აქ რასთან მაითარაო"!
ზოგებ მითრევდეს: „დაწეეი", ქრთამ ვინამ გაიტანაო,
არ შეძინების, ქალებო, არ ვწვები, ღმერთის მამაო*)
სრულ თეთრად უნდა გათენდას შინ წასვლა მგულავ ხვალაო.
ცის პირიც შამაბედენდა, კარი გააღო ცამაო,

*) „მამაო" არის შემოკლებული „მადლმაო".

ბიაც ძალიან დამათვრა შარაში ლუდის სმამაო.
გაყრაბა უწადინოდა, ვეღარცარიის თქმამაო,
ახლა შენ იცი ძმობილო დუშმანთა შენმა ჭკვაძაო!
ეგ ლექსი გამოგიგზავნეთ მე და ფანდურის ხმამაო. *)

ამ ლექსში გამოხატულია სწორეთ ის სიმძლავრე გამაბრუებელი გრძნობისა, რომელიც ყოველ ახალგაზრდა ხევსურს ასე არეტიანებს და ხდის ასე ცისანაბარა მოხეტიალეთ. ხევსური ახალგაზრდა ვაჟი იმდენად მთვრალია სწორფრუული თბილი გრძნობით, რომ მან მიატოვა ყველაფერი: სახლი, კარი, ახლო ნათესაობა და გრძნეული სიგიჟით ეუბნება თავის სატრფოს: „უნდა ჩაგიგდო გულადა ჩემი საღამო-დილაო". ე. ი. ჩემი დღიური სასიამტკბილო წუთები ყველა შენ გადმოგილოცეო. ამ ლექსში საუცხოოთაა გადმოცემული სიყვარულისაგან მთვრალი ახალგაზრდა მოხეტიალე ხევსურის აღგზნებული გრძნობა-გონება. სოფელი, როცა „ვეფხის ტყაოსნის" ტარიელის ხვაშიადს გებულობს, მას ხან ბრძენ ავთანდილისა, და ხან ერთგული ასმათის მაგიერობას უწევს:

„გაღმა სოფელში მაწიეს, მასპინძელმ წამიყვანაო,
ღმერთმა უშველოს იმასა, ქალაც იქ მაიყვანაო,
მარსკვლავმა თენებისამა პაპიროს მამიტანაო".—

ცხადია, რომ აქ ყველა მის მდგომარეობაში შედის და რითაც შეიძლება, სოფელი თუ ცალკე პირი, ყოველნაირად ხელს უწყობს სიყვარულისაგან გზააბნეულს. ხშირად ხევსური მოტრფიალე ვაჟი ამ მძლავრი ეროტიული გატაცებით ისეთ დეპრესიულ მდგომარეობაში ვარდება, რომ ის ვერ ახერხებს უბრალო ჩვეულებრივ საუბარს, სანამ თავის სწორფერს არ იპოვნის, რომლის მიგნებაც მას ზოგჯერ მეტად ძვირად უჯდება. ის მხოლოდ მაშინ დამშვიდდება, როცა „მარსკვლავი პაპიროს მაუტანს" და მომხიბლავი ეშხით თვალში-თვალს გაუყრის.

აი კიდევ ხევსურული სწორფრობის დამახასიათებელი ლექსი:

დღეი სჯობავ, თუ ღამეი, ხალხნო, მე ჰკითხავ ამასა.
ღამე ნიადე კარგია, დღეი სინათით ძალავსა.
ხმელეთზე მანათობელი მზეი მაუდის თანაცა.
მააშრობს დილის ცვარ-ნამსა, მწყერ ყანას ეტყვის სალამსა.
ცხვარ-ძროხა მაეფინება, მაღლა მთას, დაბლა ჭალასა.
მაგრამ რო ღამე არ იყოს, ისი ღმერთმ დაიფარასა.
ნამეტნავ ქურდებისადა—ვერ დაიწყებდის პარვასა.
ნათქვამსა ქვეყანაზედა რამდენს სიუფრეს **) მალაკსა—
რა დადგეს ღამის წყედიადი ბევრსა უბარის ქალასა.
ძმობილთან წასვლა გულავის, ძნელა რო დაეშალასა.
ვაჟსაც მოლოდინი აქვ, არ უცდის პურის ჭამასა.
წავა—გაიგებს ლოგინსა, გაიბუნბულებს ჩალასა.

*) ლექსი თქმულია ხევსურ მიხა ოჩიაურისაგან.
**) სიუფრე—სახავს ფინთს, ცუდს.

გულშია გულის მისნადა. თანა კი ფიქრობს ამასა:
კი რო არა მამიეიდას, რომ რაით დაიშალასა.—
ქალი მიდის წყნარი ბიჯით, არ აჩეჩუნებს ჩალასა
ამოიტოლებს ბოთლასა, ჯალაფთად მანაპარავსა:—
რა ყინჩად[1]) დამძინებია, მოყმე დაიწყებს ზარვასა[2])
ქალ მალე გამაალვიძებს, არც ალევიებს ხანასა
ყბა რო ყბას გამეეტოლას, მკერდი-მკერდს შაახალასა
უწინდელ ნაცნაურია, ნადობს აღარას მალავსა,—
მემრ დაიწყებენ კოცნასა, პირიდან ნერწყვის პარვასა
სამადლო საქმეს ვინ იქამს, ქალ-ვაჟთად ელჩისთანასა,
ელჩო, გულ ნუ გაგიტყდების, ქალი მით გეტყვის არასა
რა ორთავ ეცინებოდას, მხარს ხელ წაჰკიდე ქალასა—
ეგ ლექსი დაუბარებავ კახეთით ალამქარასა.

ეს ლექსი ისე ახასიათებს ხევსურულ სწორ ურობას, რომ ამაზე მეტის დაწერა ვფიქრობთ საჭირო აღარ არის.

სამრელოში გახიზვნა, თვიური და მოლოგინება ხევსურეთში.

ვისაც ხევსურების ყოფა-ცხოვრების შესახებ რაიმე ჰსმენია, ის ალბათ სამრელოში გახიზვნის შესახებაც გაიგონებდა. და ვისაც ამის შესახებ რაიმე უთქვამს ან დაუწერია, ის აუცილებლად მოიხსენებდა იმ საპყრობილეს, სადაც ხევსური დედაკაცები კლიმატერიულ ხანამდი თავისი სიცოცხლის კარგა ნაწილს ატარებენ. ეს საპყრობილე მეტად პრიმიტიულია და ერთის მხრივ გულისხმობს ხევსური დედაკაცების სახელსაქმო ადგილს, მეორეს მხრივ წარმოადგენს დაწყევლილ—მოძულებულთა სადგურს, რაც იმავე დროს მათთვის ხან საგამხნეო*) გასართობია, ხან კი საშინელი განცდების ბუდე.

თვიურის ხანაში ხევსური და ფშაველი დედაკაცები აუცილებლად სამრელოში ან ბოსელში უნდა გაიხიზნონ. ეს ჩვეულება ისე მტკიცედ არის დაცული, რომ თუ ვინმემ აუკრძალა თავის ცოლს, დას, ან გასათხოვარ ქალს ხსენებულ ქოხებში გასვლა, მაშინ როგორც ფშავში, ისე ხევსურეთში დედაკაცები ასეთ აკრძალვას, არავითარ შემთხვევაში არ ეკვემდებარებიან და ამ უგუნურ მტანჯავ ჩვეულებას თითქმის სიამოვნებით ასრულებენ.

ფშავ-ხევსურების ყოფა-ცხოვრებაში ხსენებულ ქოხებში გახიზვნას თვიურის დროს მრავალი საუკუნოების ისტორია აქვს და ამიტომ ის იმდენად ძირგადგმულია მათს ცხოვრებაში, რომ მას ძალდატანება, სიმკაცრე, მუქარა და დაშინება ოგრე ადვილად ვერ შეარყევს. ერთად-ერთი იმედი თანამედროვე კულტურულ მონაპოვართა გავრცელებაზეა დაყრდნობილი.

ასეთ სოციალურ პირობებში აუცილებელია სხვადასხვა ტიპის სასწავლებლები, საიდანაც ნათელი სხივები მოეფინება ფშავ-ხევსურეთის ბნელ

---

[1]) ყინჩი— ნიშნავს კარგს.

[2]) ზარვა—გულისხმობს წოდინს, ზმორებას.

*) საგამხნეო იქაურად ნიშნავს — სამხიარულოს, გასამხნევებელს.

კუთხეებს. სხვა გზა მათი დედაკაცების ამ საშინელებისაგან გამოსახსნელად არ არსებობს. ჩვენ პირადად ბევრჯერ ვცადეთ პროპაგანდის გაწევა ხსენებულ ზნე-ადათის თუნდაც ოდნავათ შენელებისათვის, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაიარა. მათ არა თუ მიიღეს ჩვენი ფრთხილი დარიგება სამრელო—ბოსელში გახიზვნის წინააღმდეგ მიმართული, არამედ სასაცილოდაც არ ჰყოფნიდათ იგი.

ჯგუფური საუბარით რომ ვერას გავხდი, მივმართე ე. წ. დაჯერებით საუბარს ცალ-ცალკე პირთან. განმეორებითი საუბარის შემდეგ ჩვენ დავითანხმეთ ორიოდე ფშაველი გლეხი იმაზე, რომ მათ თვიურისა ან მშობიარობის დროს, ცოლი ბოსელში არ გაეგდოთ. ისინი შეეცადნენ კიდეც დაპირება შეესრულებინათ, მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს, ცოლები ყურს არ უგდებდენ და თვიურისა და მშობიარობის დროს მაინც აღნიშნულ ქოხს მიაშურებდენ.

აბა რა არის იმაზე საშინელი, როცა ადამიანი ფიზიკურადაც მწვავე ტკივილებს გრძნობს და ფსიქიურადაც ვერ არის კარგად, სწორედ მაშინ როცა მას განსაკუთრებული მოვლა სჭირია, ცივ ზამთარშიც კი უკარო, უფანჯრო, თითქის უსახურავო ქოხში შეუბრალებლათ აგდებენ...

ხევსურების გადმოცემით სამრელოს ეტიმოლოგია ასეთია: წინად მას სამირეულოს უწოდებდენ, რომელიც წარმოსდგებოდა მ ი რ ე უ ლ ი ს ა გ ა ნ, რომ ლის პირდაპირი შინაარსი გულისხმობს უწმინდურს, უსუფთაო ადგილს; ამჟამად ეს სამირეულო (უწმინდური ადგილი) ხევსურეთში. წარმოადგენს დედაკაცების ყოველთვიურ 5-6 დღის საკარანტინო ადგილს. სიტყვიდან ამოვარდნილა ასოები „ი“ და „უ“—სამირეულო და გადმოკეთებულა ასე: სამრელო. ეს დედაკაცების სათვიურო 5-6 დღის კარანტინი შეზოგლია ერთ ხევისბერს, ხ ა დ ე ლ ს (ჰადელს). ამ მიზეზით: ხსენებულ ხევისბერს ჩვეულებრივ ჰქონია ორი წყვილი თათი*) ერთი მათგანი ყოფილა საშინაო, მეორე კი განსაკუთრებით სახატო. უკანასკნელს უფრო სუფთად ინახავდა, ვიდრე საშინაო თათებს. ერთი ჩვეულებრივი ხატობის დროს ხევის ბერი ხადელი შეცდომით იცვამს საშინაო თათებს და ისე მიდის ხატში, ეს ხატს არ ესიამოვნა თურმე და მას საშინლად გაუწყრა. ამ გარემოებამ ხევის ბერი დიდ საგონებელში ჩააგდო და ის მოიგონა, რომ ყოველი დედაკაცი თვიურის დღეებში უწმინდურად გამოაცხადა და განდევნა ოჯახიდან სამირეულოში თავიანთ რიგის მოსახდელათ. წინად, სანამ ასეთ დამსჯელ წესებს შემოიღებდა ხევის ბერი ხადელი, ხევსური დედაკაცები თვიურს ვითომც საერთო საოჯახო სახლში იხდიდა, რის გამოც ყოველი ხევსურის სადგომი სახლი ხატთან შედარებით უწმინდურ ადგილად ითვლებოდა და ამიტომ ყოველივე ის, რაც იქიდან იქნებოდა გატანილი ხატში, მიუღებელი იყო.

რა თქმა უნდა, ეს გადმოცემა შორს არის სინამდვილისაგან, იგი ოდნავადაც არ შეეფერება სიმართლეს, მაგრამ თუ ის მაინც მოვიყვანეთ, ეს იმისათვის, რომ ჩვენთვის ისიც საყურადღებოა, თუ როგორ ესმის ხალხს ამა თუ იმ ჩვეულების წარმოშობა.

სამრელოში გახიზვნის სიმძიმეს მთელი თავისი სიმწვავით გრძნობენ მხოლოდ დედაკაცები. მათი ეს მწარე ხვედრი არც ერთი მამაკაცის გულს არ სწვდე-

*) სქლად ნაქსოვ ნაქარგი, ქვეშიდან ტყავ-გამოკრული წინდა.

ბა. ისინი სამრელოში გახიზნულ ავადმყოფ დედაკაცებს არა თუ რაიმე დახმარებას უწევენ, არამედ შორიდან ყურადღების ღირსადაც არ ხდიან. თვით უერთ-

სურ. 45. ხევსური დედაკაცი სამრელოში თვიურის დროს, რომელიც სამრელოს კარებთან ზის და შორიდან დედაპურს აწვდის. (ს არხოტი).

გულესი დედაც კი ერიდება სამრელოში გახიზნულ ავადმყოფ შვილს. ეს მაუკარებლობა იმდენად კულიოზულია, რომ თავის ღვიძლ შვილს, თითქოს ძაღლიაო ლუკმა პურს შორიდან მიუგდებს ხოლმე.

რადგანაც თვიურის დროს ხევსური დედაკაცი ოჯახიდან იდევნება და ვარდება მოძულებულ პირობებში, ამიტომ ძაა სწორად აქვს გამოანგარიშებული თვიურის მოახლოვების ხანა. იცის აგრეთვე მენსტრუაციის წინა დღე რომელსაც ხევსური დედაკაცების მახვილი გამოოქმით ეწოდება ძაშიში. ეს დედაკაცებში შიშიანობას იწვევს. ამიტომ ისინი ამ დღეებისათვის წინდაწინვე ემზადებიან: საერთო ჭერ-ქვეშ თვიურის წინა დღეებში ამზადებენ დაფქულს, და-

ასუფთავებენ სახლს, კარ-მიდამოს, მოუმზადებენ შინაურებს ყოველივე იმას, რაც ოჯახს სჭირია ერთი კვირის განმავლობაში, მოიმზადებენ თავისათვის საქსოვ ხელსაქმეს, იქაც, სამრელოში, ალაგებენ ერთი თვით მიტეცილ დანოტიავებულ თავისებურ ლოგინ-ქვეშაგებს. გაამზეურებენ მას, გაასუფთავებენ სამრელოს და მოუვათ თუ არა თვიური, მაშინვე გარბიან იქ. სადაც ჩვეულებრივ რჩებიან 5-6-8 დღე. ხანგრძლივობა სამრელოში დაყოვნებისა საზოგადოთ დამოკიდებულია თვით ხიზანი დადაკაცის ინდივიდუალურ თვისებებზე. პირიქით ხევსურეთში, მაგ., არ-ხოტში, თვითეულ სოფელში ერთი ან ორი სამრელოა აშენებული. სოფელ. მას აშენებს შეერთებული ძალით. ვინც აშენების დროს ჯამოეთიშება, მისი ოჯა-ხის დედაკაცებს ეკარგება უფლება საერთო სამრელოში გახიზვნისა. თვითეულ ხიზანს სამრელოში თავისი საკუთარი საწოლი, კუ ..ხე და. რა თქმა უნდა, თავის სა-ქსოვი საკერავი ან სხვა რაიმე სახელსაქმო აქვს. სამრელ ს ხიზანი გარდა თა-ვის ლოგინისა სხვისას არაფერს არ შეეხება. ამიტომ თუ სამრელოს ხიზანს რაიმე ძირს დაუვარდა, მას აიღებს ცეცხლის ალში გააგლებს, ხელს დაიბანს და შემდეგ საქმეს შეუდგება. თუ იმ ადგილას საქმელი დაუვარდათ, სინმილს მოითმენენ ოუნდაც სამ დღეს და მას არავითარ შ.მთხვევაში არ მიიღებენ. კარგ დარში სამრელოს ხიზნები გ.ნ.ლიან გარეთ სამრელოს პატარა ეზოში სადაც გაკეთებულია ნამგლისებური, დაბალი ქვის ყორით შემოფარგლული მათთვის სახელსაქმო ადგილი.—რომლის იქითაც ისინი ფეხს ვერ გადასდგამენ სახელსა-ქმოდ. ამ გამოჯნულ სახელსაქმო ადგილს მათებურად ეწოდება შ ნ ა ქ ო. თუ სამრელოში ყოფნის დროს რომელიმე დღესასწაულმა მოუსწრო, მაშინ მეზობელ ქალებს მიაქვთ მოსაკითხი სამრელოს ხიზნებისათვის, რომელსაც მათებურათ ს ა-კ ვ ლ ე ვ ი ჰქვია. როდესაც ახალგაზრდა ხევსური ქალი პირველად გაიხიზნება სამრელოში, ასეთ შემთხვევაში ქალები ვალდებული არიან მოსაკითხი მიუტანონ დღესასწაულის გარეშეც. სამრელოს ხიზანი დედაკაცები ჯვარის ყანაზე ვერ გაივ-ლიან, ვერც მამაკაცებთან ისაუბრებენ, ვერც ასძრახდებიან, სოფელში გასვლა. საც ვერიდებიან.

სამრელოდან შინ დაბრუნების, ან, როგორც თვით ხევსური დედაკა-ცები იტყვიან, სახლში შემოსვლის ჟამს, ყოველი სამრელოს ხიზანი თვიურის გათავების დროს თავის ლოგინს, ფეხსაცმელს, ტანისამოსს, წყლის და სამ-რელოს ყველა საჭირო ჭურჭლებს ინახავს იქვე ერთ-ერთ კუთხეში. ამის შ.მ-დეგ სახლიდან მიუტანენ სუფთა ტანისამოსს, კარგათ გაიბანენ ტანს და ისე გამოიცვლიან. ყოველივე იმას, რაც შინ უნდა წაიღონ — გაასუფთავებენ, გარე-ცხენ, მაგრად გაბერტყენ და ისე მიაქვთ საერთო ბინაზე. ყველა ამას მათებურად ეწოდება გ ა ნ წ ე ვ ა. ყოველი ხიზანი, რომელიც თვიურის შემდეგ სამრელოდან შინ ბრუნდება—ვალდებულია გასწმინდოს სამრელო, ავრეთვე მიალაგოს თავის საკუთარი კუთხეც. გასათხოვარ ქალს შინ დაბრუნების დროს სამრელოში დარ-ჩომილები ლოცავენ: „ღმერთმა დიდხანს გამყოფოს შინაო“, თუ რძალია უსურ-ვებენ „ღმერთმა ორმოც კვირაში ნუ დაგაბრუნოს სამრელოშიო“*).

შინ დაბრუნების შემდეგ პირველ დღეს, ვარსკვლავების ცაზე გამოჩენამდი

*) ორმოც კვირათ გულისხმობენ ოსულობის პერიოდს.

(დაბინდებამდი) სახლში არ შედის—შორი-ახლო კარებთან დაჯდება. ამ დღეს ის არავითარ საქმეს არ გააკეთებს, გარდა საქონლის დაპურებისა, მეორე დღეს კი შეუძლიან საქმიანობა; მესამე დღემდე ბანზე ან ჭერხოზე ასვლა არ არის წესად მიღებული. წესის მიხედვით დედაკაცები სამრელოში თვიურის დროს უნდა დარჩეს ცხრა დღე, მხოლოდ რადგან უმრავლეს შემთხვევაში სისხლის დენა წყდება ოთხ-ხუთ დღეში (რა თქმა უნდა, ნორმალურ პირობებში). ამიტომ სამრელოში გახიზნული ქალების უმრავლესობა, მოიხდის რა თვიურს აღნიშნულ დღეებში, სტოვებს კიდეც სამრელოს. ის გამოდის სამრელოდან, მაგრამ ცხრა დღემდე არც საქმეს აკეთებს და არც ბან-ჭერხოზე ადის. იმ დღეებში მას ხატის ადგილში გავლაც ეკრძალება. ყოველივე ეს შეეხება მხოლოდ თვიურიან ხიზნებს და არა მშობიარობის დროს გახიზნულთ.

მოლოგინება ხევსური დედაკაცების.

ხევსური დედაკაცების მოლოგინება ხდება უფრო მკაცრი იზოლაციის ფარგლებში. პირაქეთ ხევსურეთში საერთო სამრელო არ იციან. აქ ყველას, ვისაც ოჯახში დედაკაცი ჰყავს, ცალკე სამრელო აქვს. ამიტომ აქაური სამრელოს ხიზნები მოკლებულია საერთო გასართობს, ერთგვარ ქალთა კლუბს, რომელიც შემოღებულია არხოტის თემში. გადმოღმა ხევსურეთში სამრელოს ხიზნები მეზობლის სამრელოსთან გაელასაც ერიდებიან. სხვაფრივ კი სამრელოში გახიზვნის წესები ყოველივე წვრილმანით აქაც ისე განმტკიცებული და დაცულია, როგორც არხოტში.

როგორც ვსთქვით, ხევსურ დედაკაცების მდგომარეობა მშობიარობის ჟამს უფრო მკაცრია და მძიმე, ვიდრე სათვიურო გახიზვნის დროს. სანაყოფო წყლის დაღვრის შემდეგ ხევსური დედაკაცი ჩვეულებრივათ გადის თითქმის უკარ-კედლო, ჩალით დახურულ პატარა ქოხში, სადაც ის ხხვის დაუხმარებლად მოლოგინებს. აქ იგი რჩება მხოლოდ სამ დღეს, შემდეგ გადაინაცვლებს სამრელოში. მაგრამ სანამ სამრელოში გადასახლდებოდეს, ბავშვის მომყოლს, ჩალის ლოგინს, რომელზედაც მოიმშობიარა და ყველაფერს რაც იმ დროს იხმარა, სისხლით გაისვარა და მერმისათვის გამოუსადეგარია, მიწაში მარხავს; მოლოგინების გათავების ჟამს შორს გადაჰყრის აგრეთვე ყველა ტანსაცმელს გარდა მანდილისა. უკანასკნელს კარგათ გარეცხავს და წინანდებურად ხმარობს. ყველაფერს იცვლის, ასუფთავებს სისხლით მონთხეულ მოლოგინების ადგილს და ამის შემდეგ გადადის სამრელოში. სამრელოში რჩება სრული ერთი თვე. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ იგი ადრე განიწმინდა, მას შეუძლია სახლში შემოვიდეს ორი კვირის შემდეგაც, მხოლოდ საოჯახო საქმეს არას აკეთებს, სანამ ჩვეულებრივ არ განიწმინდება.

როდესაც ქოხში მიდის მშობიარე, მას, წესის მიხედვით, უნდა გაჰყვეს დედამთილი ან ვინმე ახლობელი ქალი, თუ ესენი არ ჰყავს, მას მიაცილებს მამამთილი მხოლოდ საჩეხეების მიჯნამდი*) სადაც უკვე სამრელოს რომელიმე ხიზანს ჩააბარებს. რა თქმა უნდა, ეს მაშინ, თუ იმ ჟამათ იქ თვიურის ხიზნებია, თუ

*) საჩეხეები იმ ადგილ-მიდამოს ჰქვიან, სადაც სამშობიარო ქოხებია აგებული.



ხევსურული მაჯიჯი და საწიკვე

ნახ. დარ. ძნელაძისა

ხევსური მამაკაცის ჯერანგა

ნახ. დარ. ძნელაძისა

არა და—სრულიად მარტო სტოვებს. სამრელოს ხიზანს მამამთილი ავალებს გადახურვას და ყოველგვარ ხელის შეწყობას მშობიარობის დროს.

როგორც ვთქვით, მშობიარე დედაკაცი ქოხში გადის სანაყოფო ბუშტის თავის-თავად გახე ის შემდეგ, მანამდი კი, თუნდაც ძლიერ დიდი ტკივილები ჰქონდეს—არა. მომშობიარობის მომენტში, დედაკაცს არავინ ეხმარება: თვითონ იჭრის ჭიპლარს, თვითონ ასუფთავებს, ჰბანს ბავშვს უმრავლეს შემთხვევაში ცივი წყლით, და ეს იმიტომ, რომ ბავშვმა უფრო აიტანოს ჰავის სიცივე შექმნილ პირობებში. თუ იმ დროს თვიურიანი დედაკაცები არიან სამრელოში, მაშინ მშობიარობამდი ისინი ეხმარებიან მხარში შედგომით, რათა მშობიარე აქეთ-იქით არ გადაიხაროს, რაც მათი შეხედულობით ხელს შეუშლის ადრევე მომშობიარების აქტს. მშობიარობის წუთებში მშობიარე დედაკაცი ფეხზე დგას და დაიბადება თუ არა ბავშვი, მაშინვე დამხმარე სამრელოს ხიზნები გარბიან იქიდან და მშობიარე დედაკაცის წვალებას შორა-ახლოდან უცქერიან. თუ მშობიარობა გართულდა, მაშინვე მოიწვევენ დასახმარებლად სოფლის გამოცდილ ხნიერ დედაკაცს. თუ მან თავისებური დახმარებით მშობიარე გადაარჩინა, იმ შემთხვევაში, ჩვეულების თანახმად გასამრჯელოდ აძლევენ ერთ ძროხას. გარდა ამისა, ამ დამხმარე დედაკაცს ხატში უკლავენ ცხვარს ან კურატს, რომლის სისხლითაც განათლავენ—ასხურებენ მას. ასეთ ჩვეულებას ხევსურეთში ეწოდება დამხმარე დედაკაცის განათლა. თუ მშობიარე დედაკაცს გაუგრძელდა მშობიარობა, მაშინ მას მიეპარება ერთ-ერთი ახლობელი ხევსური მამაკაცი, ადის ქოხის თავზე და შესაშინებლად თოფს დაცლის იმ მოსაზრებით, რომ დედაკაცი მძიმე მშობიარობიდან რაც შეიძლება მალე გაანთავისუფლოს. მშობიარობის დროს კვნესა, გახმაურება, კივილი ან ისეთი სიტყვები როგორიცაა „ეაჰმე ეკვდები“, „მიშველეთ“, „მოკვდი დედა“ და ასეთი რამ, რასაც წამ და უწუმ იმეორებენ მშობიარობის მომენტში სხვა კუთხის დედაკაცები, ხევსური დედაკაცებისათვის ყოველად დაუშვებელია,—ეს მათთვის დიდი სირცხვილია.

ხევსური დედაკაცების ნებისყოფა, მტკიცე ხასიათი, უმაგალითო ტკივილების ატანა ასეთ შემთხვევაში უბადლოა. ამიტომაც ამბობენ ხევსურები: „ვაჟკაცსა ხმალი გამოცდის, დიაცსა ქოხ-სამრელოო“.

ხევსური მშობიარე დედაკაცი დაბადების დროს ახლად შობილს კალთას არ გააცილებს; ჰშობს ბავშს თუ არა,—იმას კაბის შიგნიდან ააყოლებს ზევით, ამოატარებს პერანგის უბეში და გამოიყვანს მკერდის ფარაგიდან. პირველ მშობიარეს (ჯერეთ გამოუცდელს) გამოცდილი დედაკაცები ეტყვიან: „ბალლი სადიაცოდან ამოიყვანეო“. ახლად შობილს პირველად შეახვევენ შალის ხიჩონში: ორი შალის ნაქსოვია, ერთს ახვევენ ტანზე, მეორეს ფეხებზე. თუ მშობიარემ ახლადშობილი არ ამოატარა უბიდან და ის კაბის კალთას ზეიდან აიყვანა, ეს დიდ უნამუსობას ნიშნავს და ამას არც ერთი ხევსური დედაკაცი არ დაუშვებს.

სანამ მეულოგინე არ განიწმინდება, იგი სამ-ოთხ დღეში აუცილებლად იბანს ტანს თბილი წყლით და იცვლის თავისებურად გასუფთავებულ ტანისამოსს. ორი კვირის განმავლობაში ის ხელს არავის არ ახლებს, იმათაც კი ვინც სამრელოში არიან მასთან. თუ მექოხის ხელშეხებულს ვინმემ ხელი მოჰკიდა,

მაშინ მას უწოდებენ მირეულს, რაც მათებურად ნიშნავს უწმინდურს, ბინძურს. ამიტომაცაა, რომ ოუ მისი ხელშენახები არ გარეცხეს, ისე ხელს არაფერს არ ახლებენ. ეს ითქმის იმათზე, ვინც სამრელოში იმყოფებიან მასთან ერთად, ხოლო რაც შეეხება გარეშე მეზობლებს, ისინი ხომ ახლოს არ გაიკარებენ მექოხეს და მას შორი-ახლო უვლიან. მშობიარობის შემდეგ, როდესაც მელოგინეს ორი კვირა შეუსრულდება, მას დაუკლავენ საკლავს, სისხლს ჩაასხამენ ჯამში და ამით მოასხურებენ ყველა იმ ადგილს, სადაც მექოხე დედაკაცს საქმე უკეთებია, ან გზად გაუვლია ამ ორი კვირის განმავლობაში. ამის შემდეგ ის ითვლება ჩვეულებრივ მესამრელოე დედაკაცად. სოფლიდან მოუკითხავენ ქადას, არაყს და ლუდს, მხოლოდ არა ხატში დამზადებულს, არამედ შინ გაკეთებულს. მელოგინეს ქმარი არავითარ შემთხვევაში ქოხს ან სამრელოს ახლოს არ გაუვლია. ოჯახის სხვა წევრები კი: დედამთილ-მამამთილი, მაზლი, მული და რძალი შეიძლება შორი-ახლოს მივიდნენ და ესაუბრონ. თუ მშობიარეს ვაჟი დაებადა, მაშინ, რომ მელოგინეს არ შეეშინდეს ან რაიმე ფათერაკი არ შეემთხვეს, ქოხის ან სამრელოს ახლო ოჯახის რომელიმე წევრი წვება, სდარაჯობს, ხოლო თუ ქალი გაუჩნდა ყველა შინაურები თავს ძირს დახრიან და მოვლის მაგიერ სრულ გულცივობას იჩენენ. ვაჟის მშობელ დედას რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ და მეტად უვლიან, ამის შესახებ ხევსურები ასე მსჯელობენ: „ვით საბარე ხბოს უნდა მეტი რძის წოვა, მეტი ყურადღება, ზრუნვა დედის მხრივ, აგრეთვე ვაჟსაც უფრო ზედმიწევნით ნანატრი სიხალისე, უნარიანობა უნდა მოვლის საათებშიო“. ქალის გაჩენას ყოველი ხევსური მამა სწყევლის და მათი დამოკიდებულება ახალშობილი ქალისადმი წააგავს ცუდი დედინაცვლის უგულო მოპყრობას მაშინ, როდესაც ვაჟის გაჩენას განსაკუთრებულ აღტაცებით დღესასწაულობენ და მხოლოდ მის მიმართ იჩენენ ნამდვილ მშობლიურ ზრუნვას და ალერსს. ხევსურების რწმენით, ქალის გაჩენა არაფერს ნიშნავს და ისინი მას ნამდვილ შვილათ არ სთვლიან. ამიტომაა, რომ მისი დაბადების დროს მეზობელი ქალები მშობიარე დედას ნამდვილ ხავიწიან ქადას კი არ მიუკითხავენ, არამედ უბრალოდ გამომცხვარ ქერის კვერს.

3. შვილების რიცხვი ხევსურეთში.

ხევსურული წესით მშობლებს უნდა ჰყავდეს 3-4 და მაქსიმუმ 5-ი შვილი. ამ რიცხვს არ უნდა აღემატებოდეს შვილების ყოლა და თუ ვინმემ გადააჭარბა, მაშინ მას მთელი სოფელი სასაცილოდ აიგდებს. მრავალი გამოკითხვების შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით იმაში, რომ შვილების შეძენის განსაზღვრა და სქესობრივი კავშირის სამუდამოდ აღკვეთა პირდაპირ გამომდიარეობენ ეკონომიური და სოციალური პირობებიდან. ბევრი შვილების ყოლით, ხევსურების აზრით ოჯახი უძლურდება. პირველადვე არ ყოფნის მიწა დასამუშავებლად, ვერ მოჰყავს საკმაო ქერისა და ქვავის პური. შვილებს, კი, სანამ ისინი წამოიზრდებოდნენ, ბევრი ჭამა, ჩაცმა-დახურვა და მოვლა უნდა, რასაც ხელ-მარტო მამა, ცხადია, ვერ შესძლებს. ამის მიზეზით ის ეცემა სულიერად, და, რა თქმა უნდა, ეკარგვის შრომის ხალისი, იმედი უკეთესი მომავლისადმი. ეს გარემოება ხდის მას სამოწყალოდ, გლახაკად, რაც მისთვის და აგრეთვე ახლო ნათესავე-

ბისათვის დიდი სირცხვილია. აი ეს გარემოება ხევსურს კარგადა აქვს გათვალისწინებული და ამიტომ უფრთხის ის ბევრი შვილების ყოლას. ხევსურული დაუწერელი კანონის მიხედვით შვილი, ვაჟი იქნება ის, თუ ქალი, დედას არ ეკუთვნის, მაშასადამე, მათი რჯულით შვილი შეადგენს მხოლოდ მამის საკუთრებას.

4. ბავშის მოვლა ხევსურეთში.

ბავშის მოვლა გაჩენის დღიდან სრულ სამ წლამდე სწაროებს პრიმიტიულ ფარგლებში. ახალშობილს კვირაში ერთხელ ან ორჯელ გაკბანენ. თუ ვინიცობაა ბავშს შეწითლება ან რაიმე წყლული გამოაჩნდა ტანზე, მაშინ მას გამუდმებით ჰბანენ დედის რძით მანამდე, სანამ დაზიანებული სხეულის ნაწილი სრულიად არ განიკურნება. ისე საერთოდ ახალშობილის მთელ ტანს ყოველდღე ჰპოხავენ კარაქით (ე. ი. კარაქს უსვამენ) იმ მოსაზრებით, რომ მას დედას შუცელში ნაკღლემი ჩვილი კანი დაუამდეს, განსაკუთრებით თავის ქა-

სურ. 46. ხევსური დედაკაცი ჩვილი ბავშით ხელში და ხევსურული აკვანი. (ს. ქობულო).

ლას ნათხემის შეუზრდელ ნაწილს ყიფლიბანდს უპოხავენ, რათა დაჩქარებით შეეზარდოს იგი. ერთი თვის განმავლობაში მელოგინე ახალშობილს ფარაგის უბეში იწვენს. თვის შემდეგ კი დღისით აკვანში აწვენს, ღამით კი აუცილებლად მკლავზე. ბავში ძუძუს სწოვს სამ წელს, იშვიათად ოთხს, ხუთს და ექვს წელსაც აწოვებენ. ეს უფრო მაშინ, როცა ბავში დედის ერთაა, ხოლო საზოგადოთ ბავშის ძუძუს წოვის ჩვეულებრივი პერიოდი მხოლოდ სამ წელს იტევს.

დედის ძუძუსთან ერთად ბავშს ჰკვებენ ძროხის რძის ფაფით. უფრო ხშირად ძუძუმწოვარს ჰკვებენ დედის პირში დაცოხნილ ქერის პურში შერეულ კარაქიან ერბოთი, რომელიც ყოველთვის უხვად მოიპოვება ულარიბეს ოჯახშიაც კი. ორ წლამდე ბავშს ჰმოსავენ უბრალო ფარჩის პერანგით, შემდეგ კი მას შესცვლიან კრაველის მატყლით მოქსოვილ რბილ შალის გიდასაცმელით: ფეხებზე იმავე მატყლისაგან მოქსოვილ წინდებს ჩააცმევენ, თავზე ახურვენ ისევ შალისაგან შეკერილ ქუდს. აკვანი გაგებულია პირველად ჩალით, რომელიც ზევიდან გადაფარებულია რბილი ქსოვილით, თავზე ისევ შალის ქსოვილით გადაჰხურავენ. აკვანში თავისებური საშარდე მილიც აქვთ გაკეთებული. თვით აკვანი უბრალო ოთხი ფიცრის ნახეთქისაგან შესდგება, რომელიც ოთხ დაბალ ფეხზე სდგას, ასე რომ, ის თავის აგებულობით ძეტად პრიმიტიულია და ბავშს რწევის დროს ძლიერ ტლანქათ ანჯღრევს. ხანგრძლივი ძუძუს წოვის პერიოდში ბავშის კუპის ამლა, რომელიც სხვაგან ხშირი მოვლენაა, ხევსურეთში არ შეგეხვეღრია. ვინც ბავშს პირველად კბილის ამოსვლას შეამჩნევს, მას სამახარობლოდ ახალი მთვარისმაგვარ ხავიწიან კვერს გამოუცხობენ (ამას მათებურად კუპატი ჰქვია).

5. ორსულობა და თვიური ხევსური დედაკაცისა.

ხევსურ დედაკაცების დაკვირვებით დაორსულების ნიშანი არის თვიურის შეწყვეტა, რომელსაც ხევსურულად ეწოდება სარეცხის გაწირვა. ორსულობის უკანასკნელ თვეებში, მეათე მთვარეულში (საზოგადოდ მეცხრე თვეში) დედაკაცს ეკრძალება ხატის ახლო ან მის ადგილში გავლა. ამ პერიოდში არც ქმარს შეუძლია ხატში მისვლა და რაიმე სახატო საქმის კეთება. ასეთი წესი დაცულია მშობიარობის დღიდან ორი კვირის განმავლობაშიც. თუ ჩვეულებრივი თვიური სპირს ცოლს, მაშინ მის ქმარს შეუძლია ხატის მამულში გავლა და ხატის საქმეში მონაწილეობის მიღება. როდესაც ცოლ ქმარი ერთად წვებიან. სქესობრივ კავშირის მიზნით, მაშინ ქმარი სამ დღეს ვერ გაივლის ვერც თვით ხატში და ვერც მის მამულში. ხევსურული წესით ფიქრი მუცლის მოწყვეტაზე ყოვლად დაუშვებელია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალ დაქორწინებული ქალი თავის გაუფრთხილებლობით მაშინვე დაორსულდა, მაშინ იგი აუცილებლათ ცდილობს მუცლის მოწყვეტას რაიმე მოხერხებული ტრავმატიული საშუალებით: მძიმე ტვირთის აწევით, შერჩეული სიმაღლიდან გადმოხტომით და სხვა. გარდა დასახელებული ზომებისა მან არავითარი სხვა საშუალება არ იცის მუცლის მოსაწყვეტად. ამას იმიტომ სჩადიან, რომ ახალ რძალს, ადათის მიხედვით, შვილი უნდა ეყოლოს არა უადრეს ორი წლისა დაქორწინების შემდეგ. თუ ვინიცობაა ორსულმა ახალმა რძალმა მუცლის მოწყვეტის მხრივ წადილს ვერ მიაღწია, მაშინ სულ ადვილი შესაძლებელია მოხდეს თვითმკვლელობაც.

დედაკაცების თვიური ძლიერ უშლის ხელს საოჯახო საქმეთა ნაყოფიერებას, ხევსურ გლეხების საოჯახო სამსახურს. ამიტომ ისინი ხშირად ხმარობენ თვიურის დროს სისხლის შემწყვეტ სხვადასხვა საშუალებას. ასეთებია მაგალითად, 1) მირონი, რომელიც სხვადასხვა მცენარის გამონაყონია და რომელსაც დიდი თხოვნით რომელსამე მღვდელს გამოართმევენ ხოლმე. ამ ექსტრაქტულ

ნივთიერების შეძენა ძალიან უძნელდებათ, რადგანაც ზოგიერთი მღვდელი მას არავითარ ვედრებით არ გაიღებს, ხანდახან დიდი ქრთამითაც კი არა. ხევსურ დედაკაცების გადმოცემით, მირონი პირველად შეტევით მოქმედობს, რომელიც მიღებისთანავე იწვევს მომეტებულ სისხლის დენას, ხოლო რამდენიძე ხნის შემ. დეგ სისხლის დენა შეჩერდება თითქმის ერთი წლითაც; 2) ბრინჯის ნარეცხი. დალევენ თვიურის შესაწყვეტად, იგი ორი თვით ასვენებს ხევსურ დედაკაცს სისხლის დენისაგან. ამ მიზნისათვის სვამენ აგრეთვე ძლიერ მაგარ არაყს. რომელიც მოსალოდნელ ეფექტს იშვიათად იძლევა.

თუ რამდენად მოქმედობს დასახელებული საშუალებანი თვიურის შეწყვეტაზე, ჩვენ ეს დაგეშილ ცდითაც ვერ გამოვარკვიეთ. ის კი სავსებით მართალია, რომ ხევსური დედაკაცები თვიურის პერიოდში ხსენებულ სისხლის შეშწყვეტ საშუალებას ხმარობენ და მათივე დაჯერებით ის ანიჭებს მათ სასურველ შელავათს. ისიც მართალია, რომ ბევრი ხევსური დედაკაცი ხსენებულ საშუალებას იშვიათად მიმართავს, რადგანაც, ჯერ ერთი, მას ინსტიქტიურად არ სწამს ამ ხელოვნური საშუალების სარგებლიანობა, მეორეთ, მას ჰსურს, რომ ისარგებლოს სამრელოში გახიზვნით და ხუთი-ექვსი დღით მაინც მოისვენოს სასტიკი იზოლიაციის წყალობით. და მართლაც, თუ არა ეს—ხევსური დედაკაცი სხვაფრით ვერადროს ვერ დაისვენებს ფიზიკურად. ასე რომ, სამრელო ხევსური დედაკაცებისათვის დასასვენებელი სახლიც არის, მოსალოგინებელი ოთახიც, სახელსაქმო სახელოსნოც, საგამხნეო გასართობი კუთხეც და საიზოლიაციო კარანტინიც თვიურისა და მშობიარობის ხანებში. აღნიშნული საქმიანობის გარდა, აქ არაფერი არ კეთდება და არც შეიძლება ის გამოიყენონ სხვა რამე საჭირებისათვის. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქოხ-სამრელოში გახიზვნა თვიურისა და მშობიარობის პერიოდებში ხევსურეთის სოციალურ პირობების მიხედვით არ არის მთლად უაზრო, უმიზნო და უმნიშვნელო, მით უფრო, რომ ხევსურების საერთო საცხოვრებელი ბინა იმდენად ანტიჰიგიენურია, რომ იქ მოლოგინება ან თვიურის მოხდა უფრო მეტ დაავადებას, მეტ ჭირიანობას გაავრცელებდა ხევსური დედაკაცების ბუნებრივად ჯანსაღ ცხოვრებაში, ვიდრე ქოხ-სამრელოები.

როდესაც მშობიარობას გართულება სდევს და ჩვეულებრივი ზომებით ვერას ჰშველიან, მაშინ მოიწვევენ კარგად გამოცდილ ხნიერ დედაკაცს და ის უწევს მშობიარე დედაკაცს რადიკალურ დახმარებას: სახელდობრ: ბავშს საშვილოსნოში დაკეპსავს (აჰკუწავს) კარგად გალესილი დანით და ამ საშუალებით გამოაქვს ნაყოფი. ასეთი შემთხვევები, თუმცა ძლიერ იშვიათია ხევსურეთში, მაგრამ მაინც აღსანიშნავია, რათა მკითხველი დარწმუნდეს იმაში, რომ ხევსური დედაკაცები ასეთ შემთხვევებშიაც მამაცია და ამ მწვავე განცდის მომენტშიც შველიან ერთმანეთს.

მშობიარობის დასრულების შემდეგ მშობიარე ხშირად სნეულდება ახალშობილის მთელი მომყოლის ან მისი ნაწილის საშვილოსნოში დარჩენით, რაც იწვევს მელოგინე დედაკაცის სიკვდილს. ასეთ შემთხვევაში იგი ავად ხდება უმთავრესად მუცლის ფარის ანთებით ან საერთო სისხლის მოწამვლით (სეპტიკისით). სიკვდილიანობა შედარებით დიდია. მისი პროცენტული რაოდენობა მთელ ხევსურეთში დაახლოვებით უდრის 2,5%-ს. საერთოდ პათოლოგიური

მშობიარობის დროს სიკვდილიანობა უფრო ნაკლებია, იგი ვარაუდით უდრის 1 %-ს. როგორც აქედან სჩანს, სიკვდილიანობა მშობიაობის დროს სრულიად არ ეგუება ქოხ-სამრელოში არსებულ ანტიჰიგიენურ პირობებს. ხევსურეთის ქოხ-სამრელოში მშობიარეთა სიკვდილიანობა გაცილებით მეტი უნდა იყოს, მაგრამ საკვირველია, რომ იგი შედარებით ასე მცირეა.

უკანასკნელ უნდა მოვიხსენიოთ ერთი ცრუმორწმუნეობა, რომელიც დაორსულებას შეეხება. სოფ. ხახმატში არსებობს „ძლიერი" ჯვარი, რომელიც ბრძანებლობს და თავისი „სასწაულ-მოქმედებით" იზიდავს არა მარტო ხევსურეთის მცხოვრებლებს, არამედ მთელი ფშავისა და თითქმის ზემო კახეთის მცხოვრებლებსაც კი. ხახმატის ხატში, სხვა ქვათა შორის დევს ერთი დიდი ლოდი, რომელსაც თითქო ისეთი ძალა აქვს, რომ თუ მასზე ფეხებით შედგა ორსული დედაკაცი, რომელსაც ვაჟი არა ჰყავს, ვაჟი გაუნჩნდება და თუ შვილი სულ არ აბადია, შვილი გაუჩნდება. ამას გარდა, ხახმატის ჯვარი ისეთი ძლიერია, რომ ის ყოველ სნეულს გაჰკურნავს, ძალღონით მიმკრალს გამოაცოცხლებს, ბოროტმომქმედს დათურგნავს და ბედისაგან კრულს ნატვრას აუსრულებსო.

1. დაქორწინების საკითხი ფშავში.

ფშავლები და ხევსურები სრულიად თანასწორ სოციალურ პირობებში ცხოვრობდენ წინად, ცხოვრობენ ახლაც თანაბარ მთის კალთებზე დასახლებულნი—და თითქო მომავალშიაც ასე ჰფიქრობენ იცხოვრონ. ფშავ-ხევსურებს ახლაც პრიმიტიული მოთხოვნელებით ჰსურთ არსებობა. ალბათ ეს არის მიზეზი, რომ ისინი ამ თავიანთ უსინათლო ლოკოკინისებურ საცხოვრებელ ბოქოს ასე თავგამოდებით იცავენ. მათთვის სრულიად საკმარისია ზლაზვნით კვალის გავლება საარსებო ცხოვრების გზაზე და ყველაზე უკეთესი მოკეთე ის არის მათთვის, ვინც ამ ლოკოკინისებურ კვალს არ წაუშლის სამომავლო სიცოცხლის ჯერ კიდევ გაუბზარავ ბოქოში. მიუხედავად ყველა ამისა, ფშაველების ყოფა-ცხოვრება ზოგ რამეში რადიკალურად განსხვავდება ხევსურების ყოფა-ცხოვრებისაგან და ამიტომ მათი აღწერა ჩვენ განზრახ დავაშორეთ ერთმანეთს.

2. ქალის ბატაცება ფშავში.

დაქორწინების საკითხი ფშავში გაცილებით უფრო მარტივი შინაარსისაა, ვიდრე ხევსურეთში*). აკვანში დანიშვნა ფშავში არ არის წესად. რაც შეეხება ქალის გათხოვ-მოყვანას მოტაცების სახით, ეს კი ხშირია ფშაველების ცხოვრებაშიც.

ფშავლების გადმოცემით, წინად ქალის მოტაცება ძლიერ ხშირი მოვლენა იყო. უმეტეს შემთხვევაში დაქორწინება ხდებოდა მოტაცების სახით. მოტაცებულ საცოლეს პირველად მოფერებით, გახუმრებით, ახლო ნათესავებისა ან ახლო ძმა-მეგობრების შეჩენით, დაჯერებით და სხვა ხერხით უქცევდნენ გამწყრალსა და მიუკარებელ გულს. ზოგჯერ კი, წინააღმდეგ, დაუმორჩილებელ გატაცებულ ქალს შიშით, მუქარით, რამოდენიმე დღით მიუვალ ადგილას და-

*) აკვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფშავ-ხევსურები ერთმანეთ შორის ქალის გათხოვება-მოყვანას არ დაუშვებენ, აგრეთვე არც მოტაცებას აქვს ადგილი მათ შორის.

მწუვდეეით იმორჩილებდნენ. უფრო ხშირად ასეთი მოტაცება ბოლოვდებოდა-უშედეგოთ. მოტაცებული ქალი ან აშკარად გაექცეოდა, ანდა ჩუმად გაეპარებოდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ძალდატანებით მოტაცებული ქალი რახეკარი ან მთელი ერთი წელი უწვალებიათ მომტაცებლებს. ქალის მშობლების დახმარებით, მაგრამ ისინი მაინც ვერაფერს გამხდარან,— ჩიხში მომწყვდეულს გამოუნახავს გზა, გაქცეულა და ვინც მას მოსწონდა იმას გაჰყოლია. ასეთია საზოგადოთ ბუნება ფშაველი ქალისა.

დასტურისათვის მოვიყვან დამახასიათებელ მაგალითს, რომელიც ილუსტრაციაა იძულებითი მოტაცებისა. ჩემი მუშაობის შუაგულ ხანებში ჩემთან ახალგაზრდა ფშაველი დედაკაცი მოვიდა ს. ვანხეეიდან და თავის ავადმყოთან წამიყვანა. სამგზავრო მანძილი დაახლოვებით უდრიდა ოც კილომეტრს. მე ცხენით მივდივარ და დედაკაცი კი წინ მიმიძღვის ქვეითად. გაზაფხულის დღეებია. აღმართის დაკლაკნილი ბილიკი ხან გაუვალ ტყის ჩრდილოებში მიიმალება, ხან კი მწვანე მთის ფერდობზე ვიწრო ხვეულის ბილიკათ იქცევა. ჩვენი მხედველობის ველზე რაღაც თავისებურ სხვადასხვაობით წარმტაცი უცხო პანორამები იშლება და დროებით ჩვენმა გახალისებულმა ყურადღებამ მის მგორავ რელიეფებში სიამოვნებით დაისვენა. ჩემი თანამგზავრი დედაკაცი თავდახრილი მიეშურება და მისი ორივე ხელის იდაყვი საკმაო სისწრაფით ინძრევა. ის ჩვეულებრივათ წინდას მიიქსოვს და ავტომატიურათ დაჩვეულ ხელის თითებს წინდის ჩხირების წალესილი ბოლოთი დართული შალის გრეხილი გააქსგამოაქვს აქეთ-იქით. ამ გატაცებით ჩვენ მივდივართ წინ და საინტერესოა, რომ ჯერჯერობით ჩვენს შორის არც ერთი სასაუბრო კრინტი არ გახმაურებულა. ასეთ სიჩუმით ავივაკეთ კიდეც მწვანედ მოკაზმულ მთის მწვერვალზე და დაუსვენებლად გადავეშვით უკვე ამოვლილი აღმართის თანაბარ ხრამიან ბილიკებზე. დაკიდული ბილიკის ხვეულებზე ფეხით დავეშვით და უცბად ავადმყოფის ბინაზე გავჩნდით. ცოტა დასვენების შემდეგ ავადმყოფი გავსინჯე და იმავე წამს უკანვე დავბრუნდი. აქეთობას ჩვენი მგზავრობის სურათი შეიცვალა იმით, რომ ჩემსა და ხსენებულ დედაკაცს შორის მეტად საინტერესო საუბარი გაიმართა, რომელიც სწორეთ მოტაცებისა და დაქორწინების საკითხს შეეხებოდა.

პირველი ჩემი კითხვა იყო ის, თუ რამ აიძულა იგი, რომ ასეთ მიუვალ ადგილში გათხოვდა. პასუხი იყო გაბედული და განცდათა მოგონების გამომხატველი. მან პირდაპირ მიპასუხა: „სიყვარულმა, ძმაო, სიყვარულმა“— და ქვევით ტკბილი საუბრით განაგრძო: „—სიყვარული, ძმაო, ადგილს არ ეძებს, არც სივრცეიცის მან. იგი უფრო თავის ფერს, თავის მსგავსს ეტრფის და ამიტომ მან მის გარეშე არაფერი იცის. თვრამეტი წლისა ვიყავ, როდესაც ძალდატანებით გამიტაცეს. მომტაცებელი არც მიცნობდა, არც მე ვიცნობდი მას. მოტაცება მოხდა ჩემი მშობლების შემწეობით. თავიანთ სურვილზე ჩემი უბედურება ააგეს. ეს იმიტომ, რომ ვინც მომიტაცა ცოტა შეძლებული იყო. ცხადია, მშობლები მისგან რაღაცას გამოელოდა. მთელი ერთი თვე ვეწამე მომტაცებლის ოჯახში, მუქარით, ძალდატანებით მაწვენდნენ ცრუ ქმართან, რომელიც საშინლად მეპყროდა, მეღრიჯებოდა. ჩემი თავი წარმოვიდგინე საშინელი მხეცის ბრჭყალებში, რის გამოც ჩემი გული სრულიად არ ეკარებოდა მას. ერთი თვის ტანჯვის შემდეგ,

მე მას თავი დავახწიე და მშობლებთან დავბრუნდი, რომლებმაც იმავე წამს გარედ გამომაგდეს და ცემა-ტყეპით ისევ ცრუ ქმართან წამათრიეს. რას ვიზამდი, დროებით ბედს დავემორჩილე და სანამ ჩემს მსგავსს არ მივაგენი, მანამდი იქ ვკვნესოდი ყოველგვარი დამცირების ქვეშ. მე ამოვირჩიე ჩემი გულისა და მას გავჰყევი. ეს ავადმყოფი, რომელიც შენ ნახე, ჩემო ძმაო, ჩემი სურვილის პირდაპირი ხვედრია და ამიტომ გთხოვთ და-ძმურად, იგი მომირჩინოთ. საზოგადოდ ფშავში ჩვეულებად არის ქალის მოტაცება, რომელიც უფრო ხშირად ქალის ნების წინააღმეგ ხდება. ჩემი მოტაცებაც ასეთი იყო. ამ ძალით მაცხონეს როგორც იქნა თავი დავახწიე და მსგავსი ჩემ ავადმყოფში ვპოვე. ამიტომ ძლიერ გთხოვთ მომირჩინო იგი, ჩემო ძმაო, მომირჩინო". ჩვენმა თანამგზავრმა გაათავა თავისი მოკლე, მაგრამ შინაარსიანი საუბარი. ის ერთ წუთსაც არ შეაჩერებს თავის ჩვეულებრივ ხელსაქმიანობას, წინდის ქსოვას საუბარშიც განაგრძობს, ხელსაქმობს და, საკვირველია, რომ ერთსა და იმავე დროს მგზავრობს ფიქრობს, საუბრობს. ამ ლაპარაკში და ფიქრებში ჩვენ მივედით კიდეც საექიმო პუნქტზე, დაუყოვნებლივ წამლების მზადებას შევუდექი, წამლების კეთების დროს დაქანცულმა დედაკაცმა საკმაოდ დაისვენა. მე წამლები მალე დავამზადე, მივეცი და სათანადო დარიგებით გავისტუმრე შინ.

ფშაური საქორწინო მზადება ფრიად მარტივი ფორმისაა და ამიტომ მას არა აქვს ის დაუსრულებელი და გაჭიანურებული ხასიათი, რომელსაც ვამჩნევთ ხევსურეთში. ფშაველებში დანიშვნა ხდება უკვე მომწიფებულ ასაკში. საზოგადოდ მიღებულია, რომ ფშაველი ქალი უნდა გათხოვდეს 18-ი წლისა, ცოლ-სათხოვი ფშაველი კი 25-ი წლისა უნდა იყოს. ასე რომ დაქორწინების საასაკო წლები ფშავის ხეობაში საშუალოდ უდრის—ქალის მხრივ 18—25 წლებს, ხოლო ვაჟებისა კი 25-დან 35 წლამდი აღწევს. რა თქმა უნდა გამონაკლისი აქაც არის, მხოლოდ ასეთები ძლიერ იშვიათად ხდება.

ვაჟის და ქალის დაახლოება ხდება საერთოდ ქორწილში და ხატობაში, უფრო კი პირველში. თუ პირველ გაცნობაზე ვაჟსა და ქალს ერთმანეთი მოეწონათ, მაშინ ვაჟის მხრივ იწყება მშვიდობიანი მოლაპარაკება შუამაველის (მაჭანკლის) საშუალებით. თუ ქალს ვაჟი მოსწონს და თანახმაა, მაშინ ვაჟი იწყებს მზადებას მოტაცებისათვის, ქალი კი თავისი ჩუმი, გაუმეღავნებელი სიყვარულით, ტრფიალით დნება შეუმჩნევლად. და თუ ის ძალით გაათხოვეს ვისმეზედ ასეთ პირობებში შეიძლება თავიც მოიკლას, რაც არაიშვიათია ფშავში. შუამავლის ღვაწლი უფრო ხშირ შემთხვევაში დადებითად თავდება. როდესაც დაგეშილი შუამავალი საქმეს გამოჩარხავს მაშინ ხდება დანიშვნა: სასიძოს მშობლები მოემზადება—გამოხდის არაყს, ლუდს, ან ღვინოს იყიდის, აარჩევს კარგ საკლავს (ვედილას ან კურეტს), დაპატიჟებს თავის მოკეთეებს, ახლო ნაცნობებს, მეგობრებს და ამ შემადგენლობით გაემგზავრებიან ქალის დასანიშნავად. ამ გამგზავრებას ქალის დასანიშნავად ფშაურად ეწოდება სახლის სანახავად წასვლა. ქალის დანიშვნის დროს, პირველ დღეს ან საღამოს, ქალის მშობლები ხარჯს სწევს: ხდის არაყს, ლუდს, ჭკლავს საკლავს და მეორე დღემდი განუწყვეტელი დროს ტარებაა. მეორე დღეს კი სასიძოს მშობლები მართავენ ლხინს, რომელიც გრძელდება მესამე დღემდე.

სასიძოს ხლება დანიშვნის დროს, ფშაური წესის მიხედვით, არ არის სავალდებულო, თუმცა არსებული ჩვეულება არც უშლის მას დაესწროს ნიშნობას.

ფშაური დანიშვნა თავისი შინაარსით, ფორმით თითქმის ქორწილს წააგავს და ზოგ შემთხვევაში სპარბობს კიდეც. მეორე დღეს, როდესაც სასიძოს მშობლები მართავს ლხინს, ცოტა ხნის შემდეგ სასიძ-საპატარძლოსთან ყველა ერთად ჩამწკრივდებიან, მიუსხდებიან მიწაზე გაშლილ სუფრას და თანდათანობით ჩაღდება თავისებური ლხინი, სადაც პირველად ხდება ადათის მიხედვით დალოცვა, რომლის დროსაც ქალის და ვაჟის ახლო ნათესავები შეეჯიბრებიან ერთმანეთს და მათ შორის ქებული ის არის, ვინც აჯობებს ხსენებულ დალოცვაში. ამ დალოცვის შემდეგ იწყება მილოცვები. მიმლოცველთათვის ახალ დანიშნულს მომზადებული აქვს რამდენიმე წყვილი ჭრელი ნაქარგი ხელთათმანები (საბუხრეები) და წინდები, იქაურად ამ მილოცვას ჰქვია შ ე ნ ა წ ე ო. მილოცვა სწარმოეს ფულით, რომლისათვისაც დანიშნულია საგანგებოდ ამორჩეული ენამახვილი, მოსწრებული კაცი, რომელიც თავის მკერმეტყველობით იზიდავს მრავალ მიმლოცველს. მილოცვა სავალდებულო არ არის, ოღონდ ადათის მიხედვით იგი საჭიროა. მიმლოცველი გაღებული თანხის სამაგიერო საჩუქრად ღებულობს ზემოთქმულ ნაქარგ წინდებს ან ხელთათმანებს. ყველა ამას (სუფრის გაშლას, ახალ დანიშნულების სადღეგრძელო დალოცვას, მილოცვას და საჩუქრების გაცემას) ფშაელები ეძახიან მ უ ხ ი ს ს ა დ ი დ ე ბ ე ლ ს. ხოლო შენაწეოს ამკრეფს მათებურად ეწოდება მ ყ ე ფ ა რ ი, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს რაც შეიძლება მეტი მიმლოცველები მიიზიდოს თავის გარშემო და ვინც სიძუნწის გამო საერთო მილოცვას ემალება.—მასაც აღუძრას მილოცვის სურვილი.

თუ რას ნიშნავს ეს სიმბოლური გამოთქმა „მუხის სადიდებელი", ეს ფშაველებში ვერავინ ამიხსნა, ოღონდ მათი ბუნდოვანი ახსნა-განმარტებიდან ჩანს, რომ იგი უნდა გულისხმობდეს სიცოცხლის მეორე დასაწყისს, მისი საფუძვლების დასაძირკვლებას და ყოველივე იმას, რაც ადამიანის ცხოვრებას მტკიცედ აშინაარსებს და აშორებს ყოველგვარ ფათერაკს.

დანიშვნის შემდეგ, დაქორწინება შეიძლება მოხდეს ახლო ხანში, თითქმის მესამე დღესაც, ოღონდ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შეძლების მქონეა ახალი დამოყვრებულები. თუ მატერიალური პირობები ხელს უწყობს ახალ ძძახლებს, მაშინ ჯვრის წერა მახლობელ დღეებში მოხდება, თუ არა და იგი შეიძლება გადაიდვას ნახევარი ან ერთი წლით. ამ მხრივ ფშაური წესით დაქორწინების დრო არ არის განსაზღვრული, როგორც ეს მიღებულია ხევსურეთში. საზოგადოდ ფშაელების ყოფა-ცხოვრება ხევსურების ყოფა-ცხოვრებასთან შედარებით არ არის მწყობრი, იგი უფრო უსისტემოა.

როცა ჯვრის წერის დღეს დანიშნავენ, მაშინ განსაკუთრებით მოემზადება სასიძო: რჩეული მაყრებით საცოლესთან გაემგზავრება ჯვარსაწერად. ჯვრის წერა ხდება ეკლესიაში მღვდლის საშუალებით. დედოფალს ახლავს დადე, ძმა ან მკვიდრი ბიძაშვილი, აგრეთვე მეფესაც თავის მხრივ ახლავს თავის ახლობელი ნათესავი ყმაწვილი, რომელსაც დავალებული აქვს ერთგვარი მსახურის როლი, და ფშაურად ეწოდება ე ჯ ი ბ ი. როგორც ქალის მხრივ, ისე ვაჟის მხრიდან არიან გვირგვინის შემცველელები. ჯვრისწერის შემდეგ დედოფალი მოჰყავს ეჯიბს. თუ

საკუთარი ცხენი ჰყავს, ხომ კარგი, თუ არა და თვითონ ეჯიბი შემოისვამს თავის ცხენზე და ისე მიიყვანს ქმრის სახლში. სახლში შესვლამდი მეფე-დედოფალს, მეფის დედა მიაგებებს თაფლ-ერბოს და ეტყვის: „ასე ტკბილათ დაგაპეროთ ღმერთმა“-ო, რის შემდეგაც მეფე-დედოფალს შეიყვანენ სახლში, დასვამენ წინდაწინვე მომზადებულ ადგილას, მათ გვერდში მოუსხდებიან დედე, ძმა, ეჯიბი და ყველა გვირგვინის შემცველელები. მაშინვე მეფე-დედოფალს წინ დაუდგამენ ლამაზად გაწყობილ პატარა სუფრას. პირველად ღვინით ან ლუდით სავსე ჯიბვის ყანწებს მიაწოდებენ პატარძალის ძმას ან მკვიდრ ბიძაშვილს, მეფის ეჯიბს, რომლებმაც წესის მიხედვით პირველად უნდა დაილოცონ და უსურვონ დღეგრძელობა მეფე-დედოფალს. აქ ხდება ერთგვარი შეჯიბრება ქალის ძმასა და ეჯიბს შორის, თუ ვინ ვის აჯობებს დალოცვაში. ეს დალოცვა საესებით ახასიათებს ფშაურ ქორწილს. იგი ასე იწყება:

„ნადიდებ-ნახსენები ღვთის-შვილი გწყალობდეს აღმართ-წალმართის პატრონსა, წალმართს-წალმ დაუტრიალოს, ქნეს ეტლიან-ბეტლიანი, რანით ერთად შეუყრიან ერთმანეთს, შაუბერნეს, ქნეს წულიან-აკვნიანი, ბედიან-დავლათიანი, ცხრა-ჯერ ვაჟიანი, ვაჟით ვაჟიანი, სამჯერ ქალიანი. ძმის მაყრებო, მუდამ ძმის მაყრებიმც ვიქნებით, დის მაყრებო, დღეს დის მაყრები ხართ, ხვალ ძმის მაყრებიმც იქნებით, დადომ დედოფალო გაგიხაროს, ეჯიბო, შენს მეფეს გაუმარჯოს, გაუმარჯოს“.

ამ სიტყვებს როგორც ეჯიბი, ისე ქალის ძმა ერთმანეთს პირში ართმევენ და თვითეულ სიტყვას ისე სწრაფად აბრუნებენ, რომ მისი დაჭერა ან გარკვევით გაგება მეტად ძნელია. ამ დალოცვას, რა თქმა უნდა, ყველა ფშაველი ვერ ახერხებს და მისი დაზეპირებისათვის, ზოგიერთი ახალგაზრდები განსაკუთრებით ემზადებიან.

მოიყვანენ თუ არა პატარძალს, ქმრის სახლში შესვლამდი დედამთილი დახვდება კარებში. თითით თაფლ-ერბოს შეაკმევს მეფე-დედოფალს. სახლში შესვლის შემდგომ მაყრები გაიყოფიან ორ ჯგუფად, ერთი ერთ მხარეზე დადგება, მეორე—მეორეზე, შუაში კერაა, რომლის შუაგულზე ჭერიდან ჯაჭვია ჩამოშვებული. ჩვეულებად არის, რომ ამ საკიდელს მეფე-დედოფალმა თავისი დადით, ჯვრის შემცველელებით და მაყრებით სამჯერ შემოუარონ. პირველ მეჯვარეს მისცეს ხელში პატარა ტაბლას, რომელზედაც სხვათა შორის პურის ჯვარი დგას. ამ ტაბლით ის წინ მიუძღვის ყველას და დაიწყებენ შემოვლას, რომ ლის დროსაც ორივე ჯგუფი ერთიდა იმავე სიტყვების განმეორებით, მომავალ სამერმისო ბედნიერებას უმღერიან მეფე-დედოფალს. პირველი შემოვლის დროს ეჯიბი საკიდელს ხანჯალს შემოჰკრავს. ეს იმის მანიშნობელია, რომ საკიდელი რაც უნდა გახდეს, ს

ძელებისა. ჯვარის-წინა კარგი წარმოდგენაა ულცხო თეალისთვისაც და იგი პირდაპირ ტკბილ ესთეტურ განცდებს იძლევა. აქ თქვენ დაჰრწმუნდებით, რომ ხალხი, რომელიც პირველყოფილი ცხოვრების საფეხურზე დგას, არაა მოკლებული სილამაზის გემოს და ტკბილ განცდებს.

„ჯვარის-წინა"-ს დროს ორივე მხარეზე მღერიან წვეულთა ჯგუფები და წართმევით ამბობენ შემდეგ ლექსს:

ჯვარის წინასა შემოდგით ფეხი,
გწყალობდეთ ღმერთი!
ლაშარის ჯვარი ახალ ყოილია,
ანგელოზები ადგა მხარზედა.
შენ ქრისტე ღმერთო, დასწერე ჯვარი,
დასდევ ბეჭედი!

ამ ლოცვას ჩვეულებრივ ისევ ერთი მხარე იწყებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად. იმავე წამს იმეორებს მეორე მხარე მანამ, ვიდრე სამჯერ არ შემოუვლიან ჭერიდან გადმოკიდებულ რკინის საკიდელს და არ ჩამოგლეჯენ მას. მერმე, როცა ყველანი დასხდებიან, მეფე-დედოფალს ჩაუსმენ კალთაში ჯანსაღ პატარა ვაჟს და ეტყვიან: „ღმერთმა მრავალი ასეთი გიბედოთ!" ამის შემდეგ იწყება ნამდვილი საქორწინო ლხინი, რომელიც გრძელდება გათენებამდი. საქორწინო ქეიფის შინაარსს წარმოადგენს ცეკვა-თამაში, მაყრებს შორის ერთმანეთისადმი შეჯიბრებითი გალექსება ფშაურ მტირალა სიმღერას არც მოძახილი და არც ბანი არ აკლთილხმოვანებს და ამიტომ შეუჩვეველ ყურს საშინლათ ეჩოთირება. მათი სასმელ-საჭმელია: პური, ყველი, ხორცი, ლუდი, არაყი და ღვინო. მაგიდა არა აქვთ, სუფრა გაშლილია მიწაზე და ამიტომ ქორწილი უფრო ველზე გაშლილ პიკნიკს მოგაგონებთ.

გათენდება თუ არა, დაისვენებენ, შემდეგ ისევ დაეწყობიან,—დასხდებიან, გაიმეორებენ კიდევ მუხის სადიდებელს და მერე დაიწყება ფულით ან სხვა რაიმე ნივთებით მილოცვა, რომელსაც მეთაურობს მ ყ ე ფ ა რ ი. მილოცვის შემდეგ აქაც სამაგიერო საჩუქრები: ჭრელი წინდები, ხელთათმანები და სხვა. აღსანიშნავია, რომ გვირგვინს, რომელიც მეფე-დედოფალს ეკლესიაში დაადგეს თავზე, ქორწილის გათავებამდე თავიდან არ აშორებენ.

ახალ ჯვარდაწერილებს შორის სრული სქესობრივი კავშირი ფშავში იწყება დაქორწინების გათავების უმალვე. როგორც ზევით აღვნიშნეთ, დაქორწინების ასაკათ ფშავში მიღებულია ვაჟისათვის ოცდან ოცდათხუთმეტი წელი, ქალისათვის კი 18-დან 25 - 28 წლამდე. ამის შესამოწმებლად ვისარგებლე სოფ. მუქოს ეკლესიის საარრიცხვო წიგნით *), რომელიც უკანა-ფშავის თემში არსებობს დღესაც. ამოვსწერე ხსენებული წიგნიდან ზოგიერთი დაქორწინების წლები, რომლებიც ნაჩვენებია 1882, 1883 და 1885 წლების ცხრილებში:

*) მოგდელს მიხეილ მთიბელაშვილს, ამ საქმეში დახმარებისათვის, მადლობას ვუძღვნი.

1882 წელს.

სასიძო	23	წლისა	სარძლო	20	წლისა
„	28	„	„	18	„
„	20	„	„	16	„
„	29	„	„	20	„
„	28	„	„	20	„
„	18	„	„	16	„
„	30	„	„	26	„
„	20	„	„	18	„

1883 წელს.

სასიძო	25	წლისა	სარძლო	19	წლისა
„	28	„		21	„
„	18	„	„	16	„
„	20	„	„	17	„
„	25	„	„	19	„
„	24	„	„	20	„

1885 წელს.

სასიძო	16	წლისა	სარძლო	16	წლისა
„	22	„	„	17	„
„	20	„	„	20.	„
„	20	„	„	18	„
„	25	„	„	19	„
„	20	„	„	16	„
„	20	„	„	20	„
„	18	„	„	20	„
„	25	„	„	20	„

სამივე ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ საერთოდ დაქორწინების დრო ფშავში უფრო გარკვეულია ქალებისათვის, ვიდრე კაცებისათვის და ეს გარეგ ოება, შედარებით მაინც, აჯანსაღებს მათ სამომავ ლო მოდგმის გადაბმულ რგოლებს.

რაც შეეხება ცოლ-ქმრულ დამოკიდებულებას და უფლებრივ განწყობილებას როგორც შინ, ისე გარეთ, უნდა ვთქვათ, რომ ფშაველები ჯერაც პრიმიტიული ცხოვრების ფარგლებში არიან მომწყვდეული. მათ ოჯახურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული პატრიარქალური წესებია გამეფებული, როგორც ოჯახში, ისე მეზობლურ ცხოვრებაში. ფშაველი დედაკაცი თითქმის აბსოლუტურად უფლება აყრილია, ძალიან შეზღუდულია ყოველმხრივ. ქმრისაგან უბეში მოპყრობა, დამცირება, ლანძღვა-გინება, ცემა-ტყეპა და სხვ. ფშაველი დედაკაცის (ცოლის) მწარე ხვედრია. ამ მხრივ ფშაველი დედაკაცი სწორეთ შესაბრალია.

ფშაური წესი არ რთავს ნებას, რომ ერთი სოფლის ქალ-ვაჟი დაქორწინდენ. არა თუ ერთი სოფლის, არამედ ხშირია შემთხვევა, რომ ოთხ-ხუთ სოფელთა შორის საქორწინო ახალგაზრდების ჯვარის დაწერა სასტიკად აკრძალულია.

წაწლობა კი, რამდენიც გნებავთ შესაძლებელია. ფშაური წესით, სასიძო ქალის მშობლებს მზითევს არა სთხოვს, ოღონდ გათხოვილი ქალი გაიყოლებს ყოველივე იმას, რაც საჭიროა პირადათ მისთვის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებულია მისი მშობლები. ამათ შეუძლიათ თავიანთ ქალს მრავალი რამ აჩუქონ. ეს მათ ქონებაზე ჰკიდია.

ფშავში ნაძალადევი დაქორწინებაც ხდება, ოღონდ ის ხშირ მოვლენად არ ჩაითვლება. ძალდატანებული დაქორწინების ნიადაგზე თვითმკვლელობა არაა იშვიათი. თუ ასეთი შემთხვევა ქალს თვიურის პერიოდში მოუხდა, მაშინ თვითმკვლელობა თითქმის უეჭველია. რადგანაც თვიურის დროს ქალი ფსიქიურ რყევას განიცდის. თუ ძალდატანებით გათხოვილს ხსენებული პერიოდი არ შეხვდა მაშინ ის შედეგი მოსდევს, რომ ხშირად, შორდება სხვის ამორჩეულ ქმარს. გამონაკლისის სახით უკიდურესობასაც აქვს ადგილი: ხდება როგორც ნაადრევი დაქორწინება, ისე, უფრო მომეტებულად, ნაგვიანევიც. იყო შემთხვევა, რომ 92-ი წლის მოხუცმა შეირთო ცოლი და მას ორი ვაჟი შეეძინა. (იხ. სურათი № 6 მე-25 გვერდზე).

3. ფშავის მოსახლეობა.

მთელი ფშავის ხეობა, ფშავლებისავე სიტყვით დასახლებულია ნარევი ხალხით. მაგალითად, სოფ. ჩარგლის მოსახლეობა, ხალხის გადმოცემით თითქოს ლეკების შთამომავლობა უნდა იყოს, სოფ. შუაფხოს, თხილიანას, არაბიჯის და ვანხეევის მოსახლეობა—ქისტების მემკვიდრე, სოფ. ახადის მოსახლეობა ვიღაც ერეენიდან გადმოსახლებული გოდერძაულის მოდგმა, სოფ. ვაკე-სოფლის მცხოვრებნი კი მეგრელების მემკვიდრენი და სხვა.

რა თქმა უნდა, თითო-ოროლა შემთხვევა უცხო ტომის წარმომადგენელის ფშავში თავის შეფარება შესაძლებელია, მაგრამ მთლიანად რომ ფშავლები ნარევ-ნარევი ხალხისაგან იყოს წარმოშობილი, ეს ისტორიულად ალბათ ვერ გამართლდება, საყურადღებოა მაინც, რომ ყოველი სოფლის მცხოვრები იმ გვარს ატარებს, რომელ ტომისგანაც ის თითქო წარმოშობილი იყოს, მაგალითად, ფშავლების აზრით, ვინც ქისტების მოდგმის არის,—ატარებს ქისტურის გვარს, ვინც გოდერძაულის მოდგმაა, იგია გვარად გოდერძაული, ვინც მეგრელების შთამომავლობისანი არიან, მეგრელიშვილის გვარს ატარებენ და სხვ.

1. წაწლობა ფშავში.

ფშავლებისავე გადმოცემის მორე ვარიანტით, მთელი ფშავის ხეობის მოსახლეობა ეკუთვნის გამოქცეულ შეხიზნულ ხალხს, რომლებსაც საქართველოს ისტორიული მტრების მიერ დარბევის დროს თავი შეუფარებიათ ფშავის მიუვალ კლდეებში.

მთელი ფშავის ხეობა დასახლებულია ბუნებრივად თავისუფლების მოტრფიალე ხალხით. ფშაველებმა არ იციან, თუ რა არის ბატონ-ყმობა—ადამიანთა პიროვნების დამცირება.

ფშაური წაწლობაც სავსებით პრიმიტიული ფორმაა თავისუფალი სიყვარულისა ფარულ სქესობრივ სფეროში.

ყოველი ფშაველის რწმენა ისეთია, რომ ახალგაზრდა ვაჟი ან ქალი უსათუოდ უნდა ეტრფოდეს თავის სწორს: მოპირდაპირე სქესს. ვინც ამას არ სჩადის ფშაველები ეძახიან „მწერელთ ჩჩვილს"*).

სქესობრივ სიცოცხლის მატარებელს ბუნებრივათ სძულს სქესობრივად მკვდარი ადამიანები, განსაკუთრებით ბებრები, რომელნიც ყველაზედ ხშირად ეღობება წინ სიცოცხლის მოტრფიალე ახალგაზრდობას. ამ აზრს მშვენიერად ამტკიცებს ეს პატარა ლექსი:

თავფარავნელი ბებერი ზღვას გაღმა ქალსა ჰყვარობდა,
ქალი უნთებდა სანთელსა, სანთელი კელაპტარობდა.
ერთი სულელი ბებერი იჯდა და აბეზარობდა,
ქალსა გაუქრო სანთელი, ძაღლი ადრევა ყვარობდა.
მოყმე ჩაუთქავს მორევსა, მორევი ლოლობ-ქარობდა
კაისა ყმისა გულზედა იჯდა ყორნები, ჯარობდა.

აი ასეთ ბებერს ყოველთვის უფრთხის, როგორც მოტრფიალე ვაჟი, ისე წაწალი ქალი.

ფშაური წაწლობის წარმოშობა ჯერ კიდევ საესებით გამოურკვეველია. ზოგიერთის განმარტებით, მაგალ., სერ. მაკალათიას აზრით, ფშაური წაწლობა წარმომდგარია „წაწოლა" სიტყვისაგან. ეფიქრობ მეცნიერული თვალსაზრისით ეს მიუღებელია.

ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა თავიანთი შინაარსით ერთნაირი მოვლენაა, მაგრამ მას სხვადასხვა სახელი აქვს ფშაესა და ხევსურეთში. როგორც ავღნიშნეთ ხევსურებს თავიანთი სწორ-ფრობა ფშაველებიდან წაუღიათ, მაგრამ არის განსხვავებაც. სხვას რომ თავი დავანებოთ „სწორ-ფრობა" როგორც გამოთქმა უფრო კეთილხმოვანია, ვიდრე „წაწლობა". ხევსურულ სწორფრობაში ქალი მიდის ვაჟთან დასაწოლად, ხოლო ფშაურ წაწლობის დროს ვაჟი მიდის ქალთან. ხევსურეთში სწორ ფერნი (როგორც ქალი ისე ვაჟი) ერთმანეთს ტრფობის პერიოდში მთლიდ ნაძმობს, ან ძმობილს უწოდებენ (სწორ-ფრობაში „დობილი" არ არის მიღებული). ფშაურ წაწლობაში კი ქალი ვაჟის დობილია, ვაჟი კი—ქალის ძმობილი. საერთოდ მოტრფიალე ახალგაზრდა ქალ-ვაჟს ფშაურ წესით ნადობ-ნაძმობი**) ეწოდება. იგი ჩვეულებრივ მიღებულია როგორც ახლო ნათესაობაში, ისე შორეულ და ახლო-მახლო მეზობლობაშიც. ვინც ძველ წესს იცავს და სინდისი აქვს, თავდაჭერილად იქცევა: მგზნებარე ხვევნა-ალერსში სქესობრივი კავშირი დაუშვებელია. ძველათ, ვინც ამ ადათს უღალატებდა, იგი სასტიკად ისჯებოდა არსებულ თემურ წესით, რომელიც თუმცა ნაკლები სიმკაცრით, მაგრამ ახლაც ძალაშია.

წაწლობის ხანებში გრძნობით გატაცება ხშირად ისეთი ძლიერია, რომ როდესაც სწორფერნი ერთ-ერთის დაქორწინების ან ძალით გატაცების გამო ერთმანეთს შორდებიან, თვითმკვლელობა ქალისა ადვილი მოსალოდნელია. ქალები ამ თანშეზრდილ გრძნობის—გადაჯაჭულ ურთიერთობის დაშლას ბუნებ-

*) მწერელთ ჩჩვილი — ბლეხაკი, საბრალო.

**) ყოველი ფშაველი სიტყვას „ნადობს" ეულგარეულ შინაარს აძლევს.

რივად ნაკლებად იტანენ, იმდენად ზედმიწევნით სათუთი და განუყრელია მათი სიყვარული. ეს ხდება როგორც ხევსურეთში ისე ფშავში, მაგრამ სწორფრების განშორების დროს თვითმკვლელობის პროცენტული რაოდენობა გაცილებით მეტია ხევსურეთში ვიდრე ფშავში.

ეს აღბათ იმიტომ, რომ ძველი წესები ხევსურეთში უფრო ბუნების კარნახს ექვემდებარება, მაშინ, როდესაც ფშავში ძველი ადათები ასე თუ ისე ცოტა-ოდნად შერყეულია და მეორე ის, რომ ისინი არც ძველად უსმენდენ ბუნების სწორ კარნახს და არც დღეს იცავენ. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ფშავ-ხევსურები თავის ყოფა-ცხოვრების მიხედვით რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ისინი თუმცა თანაბარ მთის შვილები არიან, მაგრამ თანაბარ ფიზიონომიით არ გამოიყურებიან. დღეს ისინი ერთი შეხედვით სულ სხვადასხვა ტომის ხალხი გგონიათ... ეს სხვათა შორის.

მრავალ შეკითხვაზე, თუ როგორ ესმის ფშაველებს მათივე წაწლობის შინაარსი, ყველასგან ერთნაირი პასუხი მივიღე: წაწლობა სასიყვარულო წამება არის, ურთიერთის სინდისიერი დანდობაა, ბუნებრივად თანასწორთა დასაყვარლებას— თავისუფალ მიჯნურობას ნიშნავს.

როგორაც არ უნდა ვაწვალოთ სიტყვა „წაწლობა" მივალთ იმ სინამდვილემდე, რომ იგი ნიშნავს მთის თავისუფალ სიყვარულს, მხოლოდ ერთი უცნაური ჩვეულების დამატებით, რომლითაც უმთავრესად ხასიათდება ის და რომლითაც რელიეფურად განსხვავდება ჩვეულებრივი თავისუფალი სიყვარულისაგან, სახელდობრ: წაწლობის დროს ადგილი აქვს მეცნიერებაში ცნობილ coitus interruptus-ს ანუ onanismus coniugalis-ს (ცოლ-ქმრული ონანიზმი). ამიტომ არის რომ ფშავის ახალგაზრდობის მეტი ნაწილი, შედარებით მთის საღ ბუნებასთან, მილეული ადამიანის უსუსურ ლანდივით გამოიყურება.

წაწლობა დაახლოვების პირველ პერიოდში „სულიერი" ალერსით იწყება, რომლის ნაპერწკალიც ხატობაში ან ქორწილში თანდათანი შემპარავობით ღვივდება; იწყება, როგორც თვით ფშაველები იტყვიან, და-ძმური წამება—დანდობით, ხოლო ისევ მათივე თქმით, წაწლობის ჩვეულებრივი სახე ის არის, როდესაც ორ მოწაწლეთა შორის დაიწყება უკვე ჩვეული წესით მიღებული ერთად წოლა-ალერსი დაუთავებელი სქესობრივი აქტით. ფშაურ წაწლობაში ეს სექსუალური ფსიხოზი დიდი ნაკლია, რაც უეჭველად ფშავლების შედარებით საღ სიცოცხლეს, მათს მომავალს მწარე დაცინვით ემუქრება. ფშაველების მთავარი საარსებო წყარო მესაქონლეობაა სადაც მთავარ როლს დედაკაცები ასრულებენ.

რომ წაწლობა არ გულისხმობს რაღაც უხეშს, თითქოს მეძავისებურ წაწოლას, არამედ იგი ნიშნავს ნამდვილ ტრფობას ლამაზ განცდებში ასახულს, ამას ნათლად ამტკიცებს ფშაური სატრფიალო ლექსები:

მიხეილ ზურაბიშვილი ფანდურზედ ავტირდებიო:
ავამე, ჩემო ნადობო, სადარა იმყოფებიო.
ყოილო მთათა მშვენებავ, ვისი ეშხითა სჭკნებიო?
ვის გაუცინებ ნეტარა, მხარზე ვის დაუწვებიო?
ლამაზ თეთრ კელეპტარივით ვის ხელში ჩამოსდნებიო?

ვისრა სახლს დაეწყემსები, ვის კერას ჩამოსჯდებიო,
მე კია შენი მგონები ქკუაზე გადავდგებიო,
დამიბაროდი, ლამაზო, თუ კიდევ გავხარდებიო.
შენი გულისად წამოვალ, შორს გზას არ დავზარდებიო,
მოვკვდები შენის ნდომითა, სამარეს ჩავეგდებიო...
შენც, ნისლო, ადე, მთას წადი, თავზე რას მებურებიო,
ჩემო ლამაზო მნათობო, მთვარედ არ მიხდებიო.
ქალო, არ გასახარელო, რა რიგათ მიმტყუენდებიო:
არ იმას მპირდებოდია: ,,მე კი არ გავთხოვდებიო,
კარგი ბევრია ქვეყნადა მალე ნუ ასჩქარდებიო''.
კიდეეაც გაგათხუებენ, შენ შინ არ დაჰბერდებიო.
ქალის მთხოვარო, მთხუებო, ცეცხლითამც დაიწვებიო
შენავ გახსენებ ისრივა, მაინც არ მავწყინდებიო,
შენ წახვალ, დამიბნელდება, ორმოში ჩავარდებიო,
არ გეუბნები ტყუილსა, ჩვენს ხატებს გეფიცებიო.
მე კი სუყველას ვასრულებ, რასაც რომ დაგპირდებიო.
მაგრამ შენ სხვაკან მისდიხარ, ჩალაში მემალებიო.
ოხერო წუთი-სოფელო, ჩემს თავზე ცოდვას შვრებიო!
ქალო, რას უხედავ ბერეულსა, უკმიახადა სდგებიო,
უმისოთ ფეხებ გისხლტება, მამიავ გაგორდებიო.
იმთენიც თუ მან ჩაგიდვა, რამთენსაც აუდგებიო,—
ნადობს რა რიგათ მალექსებ ცუდ სიტყვას გეუბნებიო.
არ დაიჯერო გულითა, მარინე გეხუმრებიო.
შენც დაიწყევ გულის ნებითა მენამც კი დავმიწდებიო.
მეყოფა, ნუღარ დამცინი, ბიჭო მიწაში ვძვრებიო.

აქ ისიც აშკარადა სჩანს, რომ ფშაველი მოტრფიალე ვაჟი საღი მოაზროვნეა და მისი შემოქმედებითი ნიჭი გრძნობის გადმოცემაში იძლევა საუცხოვო მხატვრულ სურათებს. საკვირველი კია, რომ დამთავრებელი სქესობრივი აქტი, რომელიც თითქმის წესად არის გადაქცეული ფშაურ წაწლობაში და ხევსურულ სწორფრობაში, არც ისე მავნე გავლენას ახდენს მამაკაცებზე, როგორც მოსალოდნელია ხსენებული სექსუალური ანომალის შედეგად. შეიძლება ეს, რამდენადმე იმით აიხსნებოდეს, რომ ამ არა-ბუნებრივი მოელენის ცუდი შედეგების შესახებ სრულებით წარმოდგენა არა აქვთ ფშავ-ხევსურებს და ამიტომ მისი მავნე გავლენა მათს ფსიქიკაზე შედარებით მსუბუქია ვიდრე სხვა ადამიანებზე.

როდესაც ფშაველი ახალგაზრდა ვაჟი მიდის (ხანდახან ძლიერ შორსაც) ნადობთან ანუ წაწალთან, მიდის უსათუოდ თოფ-იარაღით. მართალია, მას ხიფათი ქალის მშობლების, ან ახლო ნათესავების მხრით იშვიათია მოუხდეს, მაგრამ შეიძლება, რომ ქალს ჰყავდეს კიდევ სხვა წაწალი, რომელთანაც შეიძლება მოუხდეს შეტაკება, ჩხუბი. რა თქმა უნდა ასეთი რამ იშვიათი შემთხვევაა ფშაურ წაწლობაში. წინად ძველ დროში, ფშავში არ ყოფილა წესად, რომ ქალს რამდენიმე წაწალი ჰყოლოდა, ამ ჟამად კი მას აქა-იქ აქვს ადგილი, რაც მოხუცებულების თვალში თითქმის მეძაობას, ზნეობრივად დაცემას უდრის. თა-

ნამედროვე ფშაველი ვაჟის შეხედულობით კი, წინაალმდეგ, თუ ქალს ან ვაჟს ბეკრი ეტრფის, ჰკვარობს, ეგ ორივეს მხრივ სახელად ითვლება და ამ უცნაურ თვისებით თ ვი მოსწონთ კიდეც დაქორწინების დროს. იშვიათია რომ ფშაველი ქალი ან ვაჟი შემონახული იყოს. უმრავლესობას უკვე კაი ხნის განცდილი აქვთ ყველა ის გრძნობათა ტალღების ტალაშუნი, რომელსაც გასათხოვარი ქალი ყოველთვის გულის ფანცქალით უნდა მოელოდეს.

ახალგაზრდა ფშაველი ვაჟი სქესობრივი მომწიფების ასაკში იწყებს სოფლიდან სოფლად წანწალს, რის გამოც მას ხშირად დასცინიან ამხანაგები: „ბიპო, რას დასძვრები, რას დასწანწალებ ამ შუა ლ ომეში“-ო,—და თითქო აქედან წარმოდგა სიტყვა „წაწლობა“. ფშაველების გადმოცემით, წინად წაწლობას თითქო წანწალობა ეწოდებოდა, ბაგრამ შემდეგ, ეაბთა ვითარებამ იგი ყეთილხმოვანების პრინციპს დაუქვემდებარა და ხსენებული სიტყვისგან მიეიღეთ წაწლობა.

ფშაური წაწლობის შესახებ ბეკრი ლექსი არსებობს. მაგალითად:

სადრა ხარ, ჩემო ნადობო, შაკრულო ვარდის კონაო?
მე კი ძალიან მიყვარხარ, შენ კი აროთა გგონაო!
რათ ვიყავ ასე უიღბლო, შენს თავს რამ მოშაშორაო?
ეაიმე ჩემო ნადობო, რა საქმე გვიყვა დრომაო!
გულით ვინატრი შენს ნახვას, ტყეში ფოთლებზედ ვგორაო.
აქ რო ვიფიქრო, ჩვენს შუა რამთვენი მთა და გორაო!
იქნება მამკლან, ლამაზო, მიწას დავეცე ძირზედა,
მაცვიდეს ჯოგი მგლებისა, მათრიონ წყლისა პირზედა,
ვგონავ მაშინაც ვიფიქრო, სიცოცხლეს ვფიქრობ შენზედა
სულთა პეპელათ ვიქცევი წამოალ შორს მანძილზედა,
ხელების ქნევით დაგღალავ, მოგაფრინდები პირზედა,
ან ღაბის სიზმრად ვიქცევი, მოგივალ დაძინებულსა,
და გადაგიხსნი წყნარადა გულს თეთრად გაბრწყინებულსა,
შენ კი აღარად გახსოვარ, მე კი გწერ როგორც ერთგულსა,
ეს ლექსი დაუბარებავ. ქალო, შენს დავიწყებულსა.
უცხო მხარეში ნამყოფსა, ფშავიდან გადაგდებულსა.

ფშაველ ახალგაზრდათა უმრავლესობა მომეტებულად მწყემსობას ეტანება და ამიტომ ის უფრო მეტ დროს ატარებს შირაქის გაშლილ საძოვარ ველებზე. ამისათვის ისინი ყოველ ზამთრობით ჰშორდებიან თავიანთ საყვარელ დობილებს, თავის მამაპაპურ კლდოვან კუთხეს. ცხადია, ამ დროის განმავლობაში ისინი არ ივიწყებენ თავიანთ მიჯნურებს და გაზაფხულზე მოევლინებიან თავის საკუთარ მხარეს. ჩვეულებრივ იწყებენ ეგრეთ წოდებულ ტრფობითი წანწალს, ხეტიალს და მელამურასებრ სიფრხილით ბოსლის თუ ქოხის კარებზე მიკაკუნებას, ან ჩუმად საბძლის ღია კარებში შეიპარება, სადაც ჩალაში მიძინებული სატრფო ეგულება. ასეთ შემთხვევაში შეიძლება სატრფო გაუთხოვდა, ან გული აიცრუა მასზე და მაშინაა, რომ გალექსავს და ამით ხელახლად უღვიძებს დობილას მივიწყებულ სიყვარულს, ხელახლად გაახსენებს ტკბილ წუთებს.

როდესაც ათხოვებენ ქალს, მისი წაწალი ვაჟი მის გათხოვებაში მხურვალე მონაწილეობას იღებს: ის ცდილობს გაათხოვოს იგი თავისზე უფრო მდარეზე

და ისეთ პირობებში, რომ მას შეეძლოს შემდეგ ამ ქალთან ისევ განაგრძოს წაწ-ლობა. შეიძლება წაწლობის დროს ქალს ვინმემ ისეთმა დაუკაკუნოს კარებზე, რომელიც მას არ ჰსურს და ამიტომ, შეცთომის თავიდან ასაცილებლად, წა-წლებს შემოღებული აქვსთ განსაკუთრებული, თავისებური სანიშნო სიტყვები,— პაროლი, რის საშუალებითაც ისინი ერთმანეთს სცნობენ, თორემ სულ ადვილი შესაძლებელია ქალმა თავის საყვარელი სატრფოს ნაცვლად სხვა მიიღოს, რაც აქა-იქ ხდება ხოლმე. ფშაური წაწლობის დამახასიათებელი ლექსები ორგვარია: ნაზი და უხეში. ნაზ ლექსებში უფრო სატრფიალო მოტივებია, უხეშში კი—სა-არშიყო, უკანასკნელის დასახასიათებლად მოგვყავს ორი ლექსი:

1. წაწლობა რამ მოიგონა, ფშავში რამ დასდვა სჯულადა?
   მე მას რა მომაგონებდა, ქალს თუ უმრეცხლოდ *) ხურავდა.
   შემოეჩვია წყეული, შემომივიდა გულადა.
   სამას ცხვარ მყავდა მამისი, სამოცი დამრჩა სრულადა
   ერთ ვერცხლის შიბი **) უყიდე, სამ თუმან მივე ფულადა.
   ცხვრები სულ გამაწყვეტინა ხატების სამსახურადა.

2. ვამე რა პატარა ვარ, ჰა დედა შენს, ჩემო თავო,
   არ მინახავს ქალის უბე, როგორია გემოდაო.
   მოდი დავწვეთ, დავიძინოთ, დაოროლდეთ ჩემო დაო
   სხვა კი არას გეფერები, მაქვს საყელოს ფერობაო
   გულის ყურს რაიმ წამსვლიყო, ხელ წამეღო ქვემოდაო
   დაიცადე, არა გინდა, არ გაჯავრდე ჩემო დაო.

ფშაურ წაწლობაში რაიმე პესიმისტური ფიქრები იშვიათად იბადება, ხო-ლო თუ სადმე შევნიშნეთ იგი უთუოდ საღი სასოწარკვეთილების (პესიმიზმის) მეღავნება უდევს საფუძვლად და მასთან ის შედარებით ღრმა აზროვანია, ვიდ-რე ჩვეული სატრფიალო ლექსი. სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე სტრიქონს:

ბიჭიაი ვარ ძმობილო, წელში გაზრდილი წვრილადა.
რაც დაღონება მინახავს, სიტყვა არ ითქმის პირადა,
ვაჟკაცსა დარდი რას არგებს, გარდაექცევა ჭირადა,
ან სატკივარად გაჩნდება, ან დაეცემა ძილადა.

ასეთ აფორიზმებს, ფშაველის მიერ ნიჭიერად გამოთქმულს, ძლიერ ხშირად შეეხვდებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ თვით ფშაველ ხალხში, ვაჟა-ფშაველა, რო-მლის სახელი თანდათანობით დიდდება ქართულ შწერლობაში, თითქმის მის ყოველ ვიწრო წრეში გადაუმეტებლათ მეორდება. ყველა ის ლექსები რომ აა-კრიფოს, რომელნიც ფშაეის ყოველ სოფელში ასე უხვადაა გაბნეული, ჩვენ უე-ველად, თუ მეტს არა, მეორე ვაჟა-ფშაველას ვიპოვიდით.

შედგება თუ არა ფშაველი ქალი სქესობრივი მომწიფების პირველ საფე-ხურზე, მაშინვე ხდება წაწლობის სატრფიალო ობიექტად. ფშაური წესის მიხე-დვით ქალის სქესობრივი მომწიფება იწყება მაშინ, როდესაც მას პირველად

*) ქალი რომელსაც ჯერ თვიური არ მოსვლია.
**) შიბი—ვერცხლის ფულვბით აკინძული გულ-საკიდია.

თვიური მოსდის. მათივე შეხედულობით, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ დღიდან მას შეუძლია დაიწყოს ბუნებრივად აუცილებელი, ქაბუკისებური დროსტარება, ახალგაზრდული სიცოცხლისადმი ნატვრითი ტრფობა, მხიარული გართობა, უსაზღვრო გრძნობითი განცდები.

ფშაური ადათის მიხედვით, ფშაველი ქალები თვიურის დღეებში გადიან ბოსელში და იქ 3-4 დღის მაგიერ რჩებიან 7-8 დღეს. ეს იმიტომ, რომ სამი დღის მწარე საათები იქვე ტკბილი წუთებით აინაზღაურონ ყასიდად ოთხიხუთი დღის დამატებით. ამ შემთხვევაში ყოველთვიური სამი-ოთხი დღის ჰირი ძლიერ მარგებელია მათთვის, რადგანაც ამ დროს წაწლობა უფრო თავისუფლად ხდება. ფშაველი ქალი სატრფიალო გრძნობათა ქურდობაში თითქმის კლასიკურად დახელოვნებული, გამოცდილი და გამოუხსნელ მახეთა ნასკვების დიდი ოსტატია, რის საშუალებითაც მას ვერავინ იქერს სასიამტკბილო განცდების ქურდობაში. ამიტომაა, რომ ის ხშირად თავის დუხჭირი სიცოცხლისათვის შეუბრალებელ შურსაც ძიობს და შინაურ დესპოტ მამაკაცებს თავს ცბიერი ღიმილით რქებით მოსავს. ეს, რა თქმა უნდა, ზოგიერთ განსაკუთრებულ პირობებში, თორემ საერთოდ, ფშაური წაწლობის მიხედვით coitus interruptus-ი ნება დართულია და იგი ფშაველების სქესობრივ ცხოვრებაში მტკიცე ჩვეულებად არის გადაქცეული.

ქვემორე მოყვანილი ლექსები კიდევ უფრო ცხოველად ახასიათებენ ფშაურ წაწლობას:

ქალმა მითხრა: „გადმომხურე ეგ შენ ნაბად ქისტურია“.
თუ ჩემ ქისტურ ნაბად გინდა, ბოსლის ყურეს მისტუმრია.
ძაან ვწუხდი იმ ღამესა, სულ მგელივით ვიზმულია!
დამწყევლა კარგამ ქალამა: „შენ ბოზვან თვალან დავწვენო“,
რაისად ჩამომაგლიჯე მძივით შაპიტლულ საყელო?
დღისით რა უთხრა დედასა, ან ღამით როგორ დავკერო?!
ოღომც ნუ გამიჯავრდები, ნემს-მახათს მენავ მოგცემო.

* * *

პატარა ქალამ დამჩვია,
პატარა ბოსელაშია.
დღე-ჟამნი ჩამომევლინეს
საკინძის მახელაშია,
ეგ რა ქენ ძაღლის ნაშენო
რაისთვის ჩამაძიგლიჯე
ძივ-ღილიანი საყელო?!
ან რაღა უთხრა დედასა
ან ღამით როგორ დავკერო.

* * *

ვაიმე ხინკალო, ხინკალო, მემრე მარწყვასთან წოლაო,
ხელ-ფეხთ არ დაყენებაო, გათენებამდი ბრძოლაო!

ფშაური წესით ერთი სოფლისანი ვერ დაქორწინდებიან თუ ახალ დანიშნულ ქალს საქმრო მოუკვდა, მაშინ ის თავისი საქმროს სოფელში სხვას ვერ გაჰყვება ცოლად და არც ამ ვაჟის მეზობლები გასტეხენ არსებულ ადათს,—მათთვის არც არის სასურველი, რომ მკვდარი მეზობლის საპედო რძლად მიიყვანონ შინ. აი, ამ ადათის წყალობით ბედ-წართმეული ფშაველი ქალი შეიძლება სულ გაუთხოვარიც დარჩეს, მით უფრო მაშინ, თუ ახალ დანიშნულები დიდი ხნის შეყვარებულები არიან, რაიცა იშვიათად ხდება. წაწლობა ხდება ჩვეულებრივ ახლო ან შორეულ ნათესაობაში, ან კიდევ ახლო-მახლო ძდებარე მეზობლობაში, რომელთა შორისაც, ადათის მიხედვით, დაქორწინება სასტიკად აკრძალულია. ხშირად მოხდება, რომ ამ პირობებში ჩავარდნილი ფშაველი ქალი უბედურ ნაბიჯს ადვილად სდგამს და მეტს შემთხვევაში სიცოცხლის მამოძრავებელ გულს თოფიდან გამოსროლილ პატარა ტყვიით აცივებს.

როგორც გამოკითხვებიდან გამოირკვა, ხსენებულ ნიადაგზე აღმოცენებული თვითმკვლელობა უფრო ხშირათ ხდება თვიურის სამოლოდინო წინა-დღეებში ან მის სრულ პერიოდში, ისე როგორც ხევსურ გასათხოვარ ქალებში, მხოლოდ ნაკლები პროცენტული რაოდენობით.

საგულისხმოა, რომ ვინც ფშაველ ქალს არ მოსწონს, სიახლოვეს არ გაიკარებს და შეუბრალებლად გასცემს,—ჭორის ობიექტად გაჰხდის, მოცილე ვაჟებს გადაჰკიდებს, წააჩხუბებს და ამით თავის თავს, ასე ვსთქვათ, ძაღლური კინწლაობის მიზეზად გაიხდის, მაშინ როდესაც მზგავსი შემთხვევისათვის ხევსური ქალები პირდაპირ სამარეა—ვაჟს, რომელიც არ უყვარს, მაგრამ მასთან „მარცხი“ მოუვიდა, არავითარ შემთხვევაში არ გასცემს და თავისთავს კიდევ უფრო სასირცხვილო მითქმა-მოთქმისა, ჩხუბისა და აყალ-მაყალის საგნად არ გახდის. ამ არაჩვეულებრივი ყოფაქცევით სიმტკიცით და თავდაპერილობით ის ამაყობს კიდევ. თვისებათა თავისებურობით ხევსური ქალები განსხვავდებიან არა მარტო შურის-მაძიებელთა ფშაველ ქალებისაგან, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის დედაკაცებისაგანაც. ეს კეთილშობილი ინსტიქტი ხევსურ ქალებს იმდენათ აუზნაესებს, რომ მათი პრიმიტიული სიცოცხლის ნიშნები, წესი და ადათები სავსებით გავიწყდებათ.

წაწლობის დროს ფშაველი ქალის გააფთრებული ეჭვიანობა იმდენათ ფრთხილი და ფხიზელია, რომ მას ძლიერ დახელოვნებული „დონეუანი“-ც ვერ მოატყუილებს და ის ისე დამონებული ჰყავს, რომ მას ვერავითარი მოცილე ვერ შეეჯიბრება. ფშაველ ქალთა შორის სქესობრივი სიყვარულის ნიადაგზე თუ ბრძოლა გაჩაღდა, მაშინ ეს სექსუალური ომი ისეთ გააფთრებულ ხასიათს ღებულობს, რომ ის ჯიბრი სჯარბობს მამაკაცების ჩვეულებრივ ეროტიულ ჭიდილს. ასე რომ, აქ გადალახულია ტრადიციული სექსუალური პასივობა, რომელსაც ბუნება ყველა ქალს აკუთვნებს. რაც შეეხება ფშაველი ქალების არჩევნებს თავიანთ სატრფიალო ობიექტის მიმართ, ეს რასაკვირველია, დამოკიდებულია მათს გემოვნებაზე, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მსგავს არჩევნებს გულისხმობს მხოლოდ ნამდვილი ტრფობითი წაწლობა და არა დაქორწინება, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში თუ არა, ხშირად მაინც მშობლების ძალდატანებით, ან მოტაცების სახით ხდება ხოლმე.

მამაკაცში ფშაველ გასათხოვარ ქალს უმთავრესად იზიდავს შემდეგი: ახოვნობა, ლამაზი მიხვრა-მოხვრა, საუბრის ინტონაციური ბუნებრივობა, შრომის მოყვარეობა, გარჯილობა, გამჭრიახი ჭკუა-გონება, თავაზიანობა, სინდისი, პატიოსნება, ყველა ამას ,ფშაველები ერთი სიტყვით გამოხატავენ, ეს არის ი ხ ტ ი ბ ა რ ი ა ნ ობ ა. აგრეთვე ქალსაც უნდა ჰქონდეს ხსენებული თვისებების მოპირდაპირე ბუნებრივი ნიშნები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ნიშნები უნდა ისახებოდეს თავისთავად დედაკაცთა ბუნების ნაზი მოქნილობის უფრო სამიმზიდველო ხაზებში. ფშაველი ქალები თავიანთი ინდივიდუალური ღირსებით გაცილებით მაღლა დგანან ფშაველ მამაკაცებზე. მათი კონსტიტუციონალური „მე" ნამდვილი საღი ნიადაგია იმისათვის, რომ სამერმისო ჯანსაღი ადაპიანის ცოცხალი ინდივიდუუმი გამოაქანდაკოს.

ფშაური წაწლობა უცხოსათვის სრულიად შეუცნობი და გაუგებარია. ამ მხრივ მათ ინტიმურ ცხოვრებაში საიდუმლო მრავალია, რომლის გამოაშკარავებაც მათთვის ნიშნავს წინაპართა ანდერძის შეურაცყოფას. ამისათვის ისინი უბადლო მესაიდუმლენი არიან ძველი ადათების მოელა-შენახვაში და ამიტომ მათი ფანატიკური ჯაჭვი მეტად ძნელი დასაშლელია.

მოკლედ, ფშაურ წაწლობას აქვს თავისებური ორიგინალობა: მხიარული სახე, ლამაზი სექსუალური განცდები, რომელნიც გამოიხატებიან ნამდვილ თავისუფალ სიყვარულში.

2. ფშაური წაწლობის დამახასიათებელი ამბავი.

წაწლობის დროს შეიძლება მოხდეს სრული სქესობრივი აქტი და გრძნეული ტრფობის ჟამს ქალი დაორსულდეს, რაც საბედისწერო მარცხად ითვლება, როგორც ქალის, ისე ვაჟის მხრივ. თემური წესის მიხედვით, ის სოფელი, სადაც ეს სამარცხვინო ფაფერაკი მოხდება—ორივე დამნაშავე ქალ-ვაჟს მოიკვეთს და გააძევებს თავის არე-მარედან. ამავე დროს ვაჟს შეიძლება საცოლე ყავდეს და ამ შემთხვევაში არც საცოლე და არც სოფელი არ შეირიგებს მას,—სანამ იგი რაიმე საგმირო საქმეს არ ჩაიდენს თავის თემში ან სხვაგან სადმე.

ფშაური ყოფა-ცხოვრების ერთი მხარე რომ ნათელ ვყოთ — მოვიყვანოთ ლექსი:

კარგი ხარ თადიაურო, განთქმული ქვეყანაზედა,
სიმშვენიერით მოსილი მზის სხივ გადგება ტანზედა,
მაგრამ მოგიხდა შემთხვევა თავის მეზობლის ქალზედა,
მისთვის გაგიწყრა სოფელი აღარ გივლევენ კარზედა,
არც გამარჯობას გეტყვიან, რო შეგხვდებიან გზაზედა,
გიბარებს გოდერძის ქალი—რად შარცხვი ქვეყანაზედ,
აღარ შაგერთვი ცოლადა, რაკი გამცვალე სხვაზედა.—
იწყინა თადიაურმა, აბჯარ აისხა ტანზედა
წავიდა ქისტეთისაკა, დადგა სახელის ქნაზედა,
ახადს გოდერძის ელენე იყო ჩემს პირობაზედა;
ახლა კი უნდა წავიდე,—სისხლი დავღვარო მთაზედა

თადიაური წავიდა საქარანოს მთაზე საგმირო საქმის ჩასადენად და შერცხვენილი სახელის აღდგენისათვის. იგი მთელი თვეობით გაბორორტებული დადიოდა მთიდან მთაზე, მწვერვალიდან მწვერვალზე, რათა გაშმაგებულს შემთხვევამ მისცეს ხალხის თვალში დაცემული სახელის დაბრუნება. თადიაურს წადილი აუსრულდა: საქარანოს მთაზე მას შვიდი ქისტი შეხვდა შეიარაღებული, რომელსაც ახადით მოტაცებული გოდერძის ქალი ელენე მოჰყავდათ. თადიაურმა მათ ახედ-დახედა და შენიშნა რომ ქისტებს ბტირალი ქალი მიჰყავთ სადღაც. გამოკითხვის შემდეგ დარწმუნდა, რომ მათ თადიაურის საცოლე—გოდერძის ქალი' მოუტაციათ. თვით ფშავლების გადმოცემით, აქ გაშმაგებური თადიაური დარეკია მათ და შვიდივ ქისტი ზედი-ზედ მოუკლავს. ეს ის დრო ყოფილა, როდესაც ფშავლები სათემო დღესასწაულს ხედებიან დიდი ლაშარის ჯვარში. განთავისუფლებულ ქალისათვის თადიაურს თავისი ხმალი უჩუქებია და-ძმობის ნიშნად, და თან დაუბარებია, რომ ხალხში მხოლოდ თავისი სახელი ახსენოს და არა მისი, მაგრამ გოდერძის ქალს თადიაურის ხმალი შენიშნეს ქალი გამოტყდა და ხალხს თადიაურის ვაჟკაცობა უამბო, რის შემდეგაც ხალხმა ის შეირიგა—და გალექსა კიდეც.—

აი ის ლექსიც:—

შატილს მოიდა ხოხობი, [1]) გულდიდა დაჯდა ჯარზედა,
გაიარ-გამოიარა სახელ შაყრილმა მხარზედა,
საით რათ მოხველ, ხოხობო, საით გადმოხვე მთაზდა,
კლდე და კლდე შამავიარე, ვეფხვებს გადავყე კვალზედა.
შვიდი მაგზარდე წიწილნი არწივის ნაბუდარზედა.
შვიდთავ უყიდე ჯაქვები, ჩაჩქან დავხურე თავზედა,
შვიდთავ უყიდე თოფები, შვიდთავ დავკიდე მხარზედა.
შვიდთავ უყიდე ხანჯრები, ბზუკ ეკრებოდა ფხაზედა,
შვიდთავ ფრანგული უყიდე, შვიდთავ შავარტყი ტანზედა,
საფშაოთ გამოვისტუმრე, ახადის [2]) მუქარაზედა,
მთა გაქვის გადასავალი, გზა მიდის მათურაზედა [3])
წინ რო კაცი შამაგხვდესა, ამბავ ჰკითხე ქეუაზედა,
მათურის ქალას გაივლით, მარცხნივ მიბრუნდით წყალზედა,
ჰატარა ნოქვად აივლით, შახვდებით მოჯდანზედა,
იქ არის გოდერძის ციხე, მიდით, შაცვინდ'ით ბანზედა,
ახად გოდერძის ციხეო ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა,
რად გატყდი, რად არ გამაგრდი, მტერ რომ მაგადგა კარზედა.
მანდ'ით ქალ გამაიყვანეს, გიშრის უკერავ თმაზედა,
მაჰყავის გოდერძის ქალი, მაატირებენ გზაზედა

---

[1]) ხოხობი—ქისტურათ მამაკაცის სახელია.

[2]) ახადი—სოფელია უკანა ფშავში.

[3]) მათურაც სოფელია უკანა ფშავში, რომელიც ქისტეთში გადასავალ მთის ძირში მდებარეობს. ამიტომ წინად ამ სოფელს ქისტები ხშირად არბევდა, როგორც ამას თვით ფშაველი ხალხში გადმოგვცემს. წინად ამ ბილდში იმეორებდენ—ს.ს. ახადი, ვაკესოფელი, ელიაგზა, ჭიდალი და ჩალახევი.

ორშაბათ დილას შამახდეს, მა საქარანოს მთაზედა,
იქ დახედა თადიაური წამოსარტყული ტყავზედა,
ჯერ გამარჯობა დაასწრა, ამბავსა ჰკითხავს ჭკვაზედა,
ეგ ქალ საიდან მოგყავის, ცრემლ რო ჩამოსდის თვალზედა,
ქალი ახადგთ ბოგეყავის, შატილში დაესვამთ ჯარზედა,
ქალის საქმარე აქავ გეყავს, გაზრდილი ლერწმის ტანზედა,
რა ონა გიქნავ, ძაღლებო, ლაშარის ჯვარის ყმაზედა.
თხის ტყავა გადიყრეევინა, ჯაჭვი გადიცვა ტანზედა,
თუ ეგ ქალ წაგაყვანინოთ, წვერიმც ნუ მსხმია ყბაზედა,
შვიდ ქისტმა, მარტო ფშაველმა ხელებ დაისვეს ხმალზედა,
შვიდთ მურგვალ შამაურბინა, სულ თავებ დასჭრა წამზედა,
ახყარა იარაღები, მკდარი შაყარა მკდარზედა,
ჩამაყრანტალდა ყორნები, ქისტების ნასისხარზედა,
ქალ ისევ გამააბრუნა: მშვიდობით წადი გზაზედა,
თავისი თქოდი სახელი, ნუ გამცემ ქვეყანაზედა.—
ნუ აჩქარდები, ხოხობო, მოგივლენ პირობაზედა
თუ არც ხუთშაბათს მოვიდენ, დამრჩალან ფშავის წყალზედა.
მერმე კი ღუდი ადუღე, შვილებს რიგ უყავ თავზედა
გულ რო აგტკიდეს, ხოხობო, დეებჯინოდი ქვაზედა.

1. ბოსელში გახიზვნა თვიურისა და მშობიარობის დროს ფშავში.

ბოსელში გახიზვნა თვიურისა და მშობიარობის დროს მითია საგულისხმო, რომ ის ფშაველების ყოფა-ცხოვრების ფუდა-ბოძია და წარმოადგენს უცხოელთა ყურადღების მთავარ საგანს.

ფშაველი დედაკაცების ბოსელში გახიზვნა არ არის ისე შეზღუდული როგორც ეს ხდება ხევსური ქალების სამრეცლოში გახიზვის დროს. ბოსლის ხიზანს თვიურის დღეებში შეუძლია პურიც გამოაცხოს წყალიც მოიტანოს და დაამზადოს ზოგიერთი საოჯახო საქმეები, რომელნიც ამავე პირობებში მყოფ ხევსური ქალებისათვის საკვირველ აკრძალულია. ფშაველების წარმოდგენით სიტყვა „ბოსელი“ *) გულისხმობს განაპირა, მიუკარებელ საკარანტინო ადგილს, სადაც მხოლოდ თვიურიანი და მშობიარე დედაკაცები იხიზნებიან, ე. ი. სიტყვა „ბოსელი“ ნიშნავს უსუფთაო, წაბილწულ ადგილს, სადაც ჩვეულებრივ „სუფთა“ ადამიანებს გავლა არ შეუძლია. აქ ისინი არც გაიელიან, არც დასხდებიან და, რა თქმა უნდა, არც რაიმე საქმეს გააკეთებენ. ფშაველი ოჯახის-კაცი არა თუ არ დაწვება თვიურიან დედაკაცთან, არამედ მის ახლოსაც არ გაივლის, მაგრამ ამავე დროს მოწაწლე ახალგაზრდები მიდიან კიდეც თვიურიან დედაკაცებთან და მათთან თავისუფლად წვებიან. ზოგიერთი ფშაველის აზრით თანამედროვე ახალგაზრდობა მხოლოდ ეხლახან დაეჩვია ბოსელში ქურდულ წანწალს, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს მოვლენა ძველის ძველი უნდა იყოს.

*) სულხან-საბა ორბელიანის ახსნით: სახლი საძროხე.

ზოგიერთი ფშაველის განმარტებით სიტყვა „ბოსელი“ წარმოსდგება „ბოზობა“-საგან, მაგრამ უმრავლესობა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და შეურაცყოფადაც მიაჩნია იგი.

იმ მრავალ რიცხოვანი მასალის მიხედვით, რომელმაც ამ 5 წლის განმავლობაში ჩემ ხელთ გაიარა, როგორც ამპულატორიული ავადმყოფების სახით ისე, საერთოდ, გამოკვლევა-დაკვირების გზით, შემიძლიან გადაჭრით ვთქვა, რომ ფშავ-ხევსურ ქალებს დიდ უმეტეს შემთხვევაში თვიური ეწყებათ 14 წლის შესრულების შემდეგ, უმთავრესად კი 16-17 წლებში.

თვიურის პერიოდებში ფშაველი ქალი ან დედაკაცი ბოსელში ჩვეულებრივ დაჰყოფს 6-8 დღეს. ამ ხნის განმავლობაში მას ნება არა აქვს ხატის მამულში გაიაროს, საოჯახო ბინაზე ვერ მიავ, მხოლოდ მის გარეშე ის—ყველაფერს აკეთებს: უმთავრესად ქსოვს, მკის, დღვებს კარაქს, ულის საქონელს და სხვა, მხოლოდ სახლში კი ვერ შევა. ღარიბი გლეხის ცოლი ან ქალიშვილი იხდის თვიურს, მშობიარობას იქ, სადაც საქონელი აბია. ხოლო ვინც ოდნავ შეძლებულია, მას სათვიურო ან სამშობიარო განსაკუთრებული ბოსელი ან ქოხი აქვს აგებული. ამ ქოხ-ბოსელს, გარდა მოთვიურებისა და მოლოკინებისა, სხვა რაიმე საჭიროებისათვის ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიყენებენ (მაშინაც კი, რომ, ვთქვათ, ფშაველ გლეხს ყველაფერი შემთხვევით გადაეწვას, გარდა ბოსლისა). როდესაც ფშაველ ქალს ჩვეულებრივ თვიური უთავდება, მაშინ ის, ჩვეულების მიხედვით გაიბანს, გამოიცვლის ტანისამოსს, (სუფთას ჩაიცვამს), გამოცვლილს აუცილებლად წაიღებს სადმე მდინარის პირზე და კარგად გარეცხს და ისე წამოიღებს ბინაზე. მდინარეზე რეცხს იმიტომ, რომ სახლის კარებთან მისი გარეცხვა, ადათის მიხედვით, ყოვლად დაუშვებელია. ტანისამოსს იცვლის იქვე ბოსელში და, როდესაც მდინარისაკენ გაეშურება ნათვიურევი ტანისამოსით ხელში, საკვირველია, ვერც მაშინ გაივლის იგი ხატის ახოლო-მახლო და რაღაც შიშით უვლის მას შორიდან. დაირეცხება თუ არა ნათვიურევი ფშაველი ქალი, აქეთობას, უკვე გარეცხილი სამოსით, ნება აქვს ხატის მამულში გაიაროს თავისუფლად. თუ სოფელს ახლოს მდინარე, ან რუ არ ჩამოუდის, მაშვინ ნათვიურევ დედაკაცებს შინ მიაქვთ წყალი და სარეცხს სახლის შორი-ახლო დარეცხენ, (ასეთ შემთხვევაში უფრო წვიმის წყლით რეცხენ ნათვიურევ ტანისამოსს). ერთის მხრივ ეს ჩვეულება მარგებელიცაა, რადგანაც უმისოდ ფშაველ დედაკაცებს, რომელნიც ისედაც საშინელ ანტიჰიგიენურ პირობებში სცხოვრობენ, ჭუჭყი შესპამდა. ამიტომაა, რომ ფშაველი დედაკაცები შედარებით უფრო სუფთანი არიან ტანზე, ვიდრე ფშაველი მამაკაცები, რომლებიც პირსა და ტანს საზოგადოდ ძლიერ იშვიათად იბანენ. ფშაველ ქალებს თვიური ჩვეულებრივ 4-5 დღეზე მეტად არ უგრძელდებათ თუ რომ რაიმე პათოლოგიური მოვლენა არ ახლავს თან (რაც ძლიერ იშვიათია).

როგორც ვთქვით, ფშაველი ქალი ორ-სამ დღეს მაინც უმატებს ჩვეულებრივ თვიურის ვადას და 4-5 დღის მაგიერ 6-8 დღე რჩება ბოსელში. ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, იგი იქ ისვენებს, როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქიურადაც. მეორეც იგი ხშირათ წაწლობასაც ეწევა იმ მოპარულ დღეებში. ასე რომ, თვიურიანი ფშაველი ქალი ორ ნაირად სარგებლობს ბოსელში გახიზვნით.

იქ, სადაც ჩვეულებად არ არის თვიურის პერიოდებში ბოსელში ან სამრელოში გახიზვნა, მამაკაცების უმრავლესობამ არ აცის თუ როდის მოსდის დედაკაცს თვიური, რომელიც სხვების შეუმჩნეველად მიმდინარეობს. ფშავ-ხევსურეთში კი თითქმის ხუთი წლის ბავშვებმაც იცის, თუ როდის მოსდის თავის დედას ან სქესობრივად მომწიფებულ თავის უფროს დას თვიური. როდესაც ფშაველი ქალი ბოსელში იმყოფება, დედა ვერ შევა მასთან იმ შემთხვევაში, თუ ის ხევის ბერის ცოლია და თუ კლიმაქტერიულ ხანას უკვე გადაშორებულია. საზოგადოდ ფშავში მოხუცებული დედაკაცები ძლიერ იშვიათად შედიან ბოსელში თავის რძალთან ან გასათხოვარ ქალთან, შესვლას ერიდებიან მაშინაც კი, როცა ძალიან უჭირთ. ეს ადათი უფრო სასტიკად სრულდება მაშინ, როდესაც ფშაველი დედაკაცი სამშობიაროდაა გახიზნული ბოსელში.

სურ. № 47. ფშაველი დედაკაცი თვირუას დროს ბოსელში. დედამთილი შორი-ახლოდან ეაუბრება მას, რადგან ადათი ახლო მისვლის ნებას უკრძალავს.

2. მშობიარობა ფშაველი დედაკაცისა.

ფშავში მშობიარობა მიმდინარეობს ქოხში, სადაც მშობიარე რჩება სამი დღე-ღამე, რის შემდეგაც ახალი მშობიარე გაიბანება და მერე გადავა ბოსელში, სადაც მან ჩვეულებრივ უნდა დაჰყოს 5-7 და იშვიათად 9 კვირა. 9 კვირას ატარებს ბოსელში იმ შემთხვევაში, თუ ის ხევის ბერის რძალია, ან ცოლი, დანარჩენს დედაკაცებში კი მიღებულია 5 ან 7 კვირა. მშობიარე დედაკაცს არავინ არ ეხმარება საშინელ პათოლოგიურ საბედისწერო მომენტებშიც კი.

ხუთი წლის განმავლობაში დიდი ენერგია დამჭირდა იმის მისაღწევად, რომ გართულებული მშობიარობის დროს მაინც მოემართათ დახმარების აღმო-

საჩენად.*) პირველი პათოლოგიური მშობიარობის შემთხვევა, როდესაც მე დავეხმარე, იყო ექვსი თვის ორსული მოცლის მოწყვეტა გამოწვეული პირდაპირ ტრავმატული მიზეზით. მიმიწვიეს სწორედ მაშინ, როდესაც ავადმყოფ დედაკაცს აცხრობდა უკვე დაწყებულ ინფექციისაგან. გაშინჯვის დროს აღმოჩნდა შემდეგი ნიშნები: სიცხე 39,6, პულსი მეტად სუსტი, აჩქარებული—წამში 114. სახე ძალზე გაფითრებული. ენა მშრალი, გადაკრული. მოწყვეტილი ნაყოფი თითქოს გარდი-გარდმო მდებარეობს. საშვილოსნო ყოველ მხარეზე თავისუფლად მოძრაობს, მისი ოდნავ გახსნილი ყელი მომატების ბრიე არავითარ იმედებს არ იძლევა. სისხლი სდის მომეტებულად. ავადმყოფის მდგომარეობა დაეინებით მოითხოვს სასწრაფო დახმარებას, რადიკალურს. დახმარების პირობები საშინლათ მიუდგ-მელი, ანტიჰიგიენური: ავადმყოფი დედაკაცი საქონლის ნეხვიან ბოსელში აგდია უპატრონოდ, მოუვლელად. არავინ ეკარება, თუ რაიმე დასჭირდება, შორიდან აწვდიან და ისიც მხოლოდ პირველი მოთხოვნილების საგნებს: წყალს, დამბალ ხაჭოს ქერის პურით. ბოსლის. წესავალ კარებში აშმორებული წუმპე, თვით ავადმყოფის გარშემოც მზგავსი ლაფის გუბე. წამსვე მოვიგონე იქვე ქოხის ახლო თვიის ზვინი, გამოვაცალე თივა, გავაგე ლაფში და ისე შეეედი ავადმყოფთან. გაშინჯვის დროს დავრწმუნდი, რომ იმ პირობებში ავადმყოფს ვერ დავეხმარებოდი. დაბეჯითებით მოვითხოვე, რომ იგი გადაეყვანათ სუფთა ბინაზე, ან სადმე ისევ მივარდნილს, მაგრამ ოდნავ სუფთა კუთხეში, თუნდაც ეს ყოფილიყო სრულიად ღია ცის ქვეშ. ოჯახის წევრები, განსაკუთრებით ბებრები, წინააღმდეგ წავიდნენ, მდგომარეობა კი დაყოვნებას ვერ ითმენდა.

ავადმყოფის ქმარს შეეუჩინე ადგილობრივი მასწავლებელი ა. ოჩიაური, რომელმაც დიდი ვაი-ვაგლახით ქმარი და ბებერი ნათესაობაც დაანჯერა იმაში, რომ მომაკვდავი ავადმყოფი იქვე მდებარე სკოლის ოთახში გადაგვეყვანა და იქ დავხმარებოდი. მიზანს მივახწიეთ: ავადმყოფი ადგილობრივი სკოლის ოთახში მოვათავსეთ. სკოლის ოთახის იატაკზე დავუგე ფშაური ტყავის ქულაჯა, დავაწვინე ზედ ავადმყოფი და ჩავაყენე ჩვეულებრივ მშობიარის მდგომარეობაში. ავადმყოფის საშვილ მეთოდად ამოვირჩიე ტამპონი. ახლოს კაცი არ ჰაჰანებს გარდა იმ დედაკაცისა, რომელიც შორი-ახლოს თავს დაგვაყენა ავადმყოფის ქმარმა. ის რაღაც შავი აჩრდილივით მზაკვრულად მკვლევდა, მათვალიერებდა. სნეული დავარწმუნე იმაში, რომ სასირცხო აქ არაფერია, რომ საჭიროა თავი დავახწიოთ ამ საბედისწერო ჟამს. საკვირველია, რომ აგონიის დროს ქალი კიდევ სირცხვილზე ჰფიქრობს და თითქოს თავის ბედის შესაჩვენებლადო, თვალებზე თავსაფარი აიფარა. დაუყონებლივ შევუდექი შესაფერი მანიპულაციისათვის წინასწარ მზადებას. აღნიშნულ მანიპულაციის ელემენტარული წესი მოითხოვს დამხმარეს, ოდნავ ხელის შეწყობას, ამას სრულიად მოკლებული ვიყავი. ცივი წყლის მომწოდებელიც კი ვერ ვიშოვე. ადუღებული წყალი წინდაწინ შეეუკვეთე სნეულის ქმარს. ვიძლევი განკარგულებას, მაგრამ კაცი ყურს არ

*) ამას მე მივაღწიე ხევსური მანდილოსნის, ნათელა დავითის ასულის ოჩიაურის ენერგიული დახმარება-პროპაგანდით.

ანძრეეს. სიკვდილის მოციქული ავადმყოფს თანდათან უახლოვდება. ადუღებული წყალი თურმე დიდი ხანია მოუტანია სნეულის ქმარს, მაგრამ ის სკოლის ყორის ძირში დაუდგამს და თვითონ კი გაქცეულა. ნერვიულობა ზედმეტი იყო და სკოლის ეზოდან წყალი თვითონ მივიტანე. ავადმყოფს ტამპონი გავუკეთე, რათა ტამპონი საშვილოსნოს ოდნავ გახსნილ ყელს რაც შეიძლება მეტის ძალით მიბჯენოდა და ამით ერთი კვირის გატანჯული ავადმყოფი გამეთავისუფლებინა მკვდარი ნაყოფისაგან. ტამპონიზაციის შემდეგ ავადმყოფს საწოლში ჩავარდნილი მენჯ-თეძოები გავუსწორე, ქვეშ სქლად დაკეცილი მატყლი დავუგე, ამით მთელი წელ-მენჯის მიდამო ჰორიზონტალურად გასწორდა. ორი საათის შემდეგ ავადმყოფი სრულიად განთავისუფლებული იყო.

ამ საექიმო დახმარების სასურველმა შედეგმა კიდევ უფრო გამითქვა სახელი. სოფელში ხმა გავარდა, რომ ჩვენი ექიმი სასწაულს ახდენსო, მკვდარს აცოცხლებს და სხვ. ამის შემდეგ ფშაველები ასეთ შემთხვევაში, თუმცა კრძალვით, მაგრამ მაინც, მიწვევდენ.

ბევრ ჩვენგანს ჰსმენია, რომ ფშაველი ნორმალური მშობიარობა მიმდინარეობს ბოსელში, მხოლოდ ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ და რა პირობებში იწყება, მიმდინარეობს და ბოლოვდება იგი. ამიტომ შევეცდები მ ის გაშუქებას შეძლებისდაგვარად.



სურ. № 48. ახლად მოლოგინებული ფშაველი დედაკაცი ქოხში, რომელიც ემზადება ბოსელში გადასაბარგებლად. სურათზე: • მარცხნივ—ქოხი (ყარტყით დახურული); ძარჯვნივ—ბოსელი (ქვის კედლები).

ჩვეულებრივ მშობიარობის დროს დედაკაცი პირველ სამ დღეს რჩება განსაკუთრებულად მოჩქახულ ქოხში, ანდა სადმე იქვე მდებარე დანგრეულ ყორის კუთხეში და იქ, ღია ცის ქვეშ მოიმშობიარებს. აქ ის დაჰყოფს სამ დღეს წოლითს.

მდგომარეობაში, შემდეგ თბილი ან ცივი წყლით კარგად გაიბანება, გამოიცვლის ტანისამოსი, ჩაიცვამს შედარებით სუფთას და ისე გადაბარგდება ვითომდა სუფთა ბინაზე—ბოსელში. აქ მელოგინე დაჰყოფს 5 ან 7 კვირას. მშობიარობის მომენტში ის მაინცა და მაინც არ კვნესის, არც კივის, არამედ შედარებით წყნარად არის. ამ მწარე წუთებში მას არც არავინ ეკარება და არც არავინ ეხმარება. დაიბადება თუ არა ბავშვი, თუ გამოცდილი მშობიარეა, ის შედარებით უმტკივნეულოთ ჩაატარებს მშობიარობას, თუ არა და—იგი უფრო ჭიანურდება და მტკივნეულიც ხდება.

პირველ მშობიარეს გამოცდილი დედაკაცები წინდაწინვე არიგებენ, ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი მშობიარობის დროს. გამოცდილი ფშაველი დედაკაცი ბავშვის დაბადებას წამშივე თვითონვე ხდება დამხმარე ბებიად და ყოველნაირ საბებიო მანიპულაციას თვითონ აკეთებს: სამი თითის ზომაზე ჰკვეთს ჭიპარს, რომელსაც იქვე გადასკვნის, ძარშიე შემოახვევს რაიმე რბილ თიკვს. ამავე წამს იმ ნაწილს ჭიპლარისას, რომელიც ბავშვის მომყოლზე რჩება, მშობიარე დედაკაცი ხელიდან არ უშვებს, მის გადანაკვეთ ბოლოს მოიყოლებს ფეხის ქვეშ და იქვე იმავ მომენტში ბავშის მომყოლს, წახრილ წელის თანდათანი, ნელ-ნელა გასწორებით, წამსვე ადვილად იშორებს. ახალ შობილ ბავშს ცივი წყლით გაჰბანს, წინდაწინვე მომზადებულ სუფთა ჩვარში ან ახალ ქსოვილში გაახვევს და მაშინვე აკვანში ჩაწვენს. ძუძუს წოვას პირველი დღიდანვე იწყებს ახლად შობილი.

თუ რაიმე ბუნებრივი დეფექტი დაჰყვა ბავშს დედის მუცლიდან, მაშინ დედა ყოველ საშუალებას ხმარობს ნაკლის მოსასპობლად. მით უფრო, თუ თანდაყოლილი ნაკლის მოშორება რაიმე ზომებით შესაძლებელია. საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ კლასიკურ შემთხვევას, რომელიც ჩემი თვალით ვნახე.

ჩემი საექიმო წერტილის სახლის პატრონის ცოლი ორსულად იყო. თებერვლის შუა რიცხვებში ორსული დედაკაცი, ვხედავ, ხშირ-ხშირად გადი-გამოდის პუნქტის გვერდზე მდგარ ბოსელში, სადაც ორი კვირის გამოუწმენდელი ნეხვის შმორი დგას, და რომლის გადაუხურავი ბანიდანაც თოვლ-ყინვეფის წყალი ყოველ კუთხეში მოეონავს. საქონლის ნატეკანი მიწის იატაკი აქა-იქ ჩალრმავებულია და სავსეა ნეხვ-შარდში ნარევი აშმორებული წყლით. ყოველ კუთხეში საშინელი ნესტია. ბოსლის ერთ-ერთ კუთხეში ჩვენი ორსული დიასახლისი წინდაწინვე იწყობს თავის მოსალოგინებელ ადგილს: ამზადებს ძველ-ძველ კონკებს ახლად შობილისათვის და აგრეთვე თავისთვისაც. ღამის 12 საათია. ქვემო სართულში ვიღაც აჩქამდა დედაკაცის ხმით, კარები გაიღო და ხმაც შეწყდა. ათი წამი არ გასულიყო, რომ ჩვენი გლეხის უფროსი ქალი სახლში შევარდა და თავის უფროს ძმას მიახარა: „ლეგავ, ძმა შეგვეძინაო", როცა გათენდა, ბოსელში დამიძახეს. შეეედი თუ არა შიგ, შევამჩნიე, რომ ახლათ შობილს ფეხზე სისხლი სდის, (ამ მიზეზითა მიმიწვიეს). მიმოვიხედე გარშემო, ბოსლის შიგნით ასეთი სურათი წარმომიდგა: მის ერთს ზედა კუთხეში 15 ცხვარი იცოხნის, მეორეში 8 სული მსხვილფეხა საქონელი,—ზოგი დგას, ზოგიც წევს, მესამეში ვირი აბია; მეოთხე კუთხეში კი მელოგინე დედაკაცი ზის, რომელსაც კალთაში პაწია ახლად შობილი უპირავს, გვერდით იმავე დღეებში გაჩენილი პატარა თეთრი ბატ-

კანი უწევს. მეორე გვერდზე მისიცე სამი წლის ვაჟი უზის, წინ გაღვიეებული ცეცხლი უნთია. „ბავშს სისხლი რატომ სდის ფეხზე?" შეეკითხე მას. დედამ მორცხვად ჩაიცინა და მიამბო: „ბავშს მარჯვენა ფეხზე და მარცხენა ხელზე მეექვსე თითი გამოჰყვა და რომ ბავშს ბუნებრივი სილამაზე არ დაეკარგოს და ბავში არ დაუშნოვდეს, მე მეექვსე თითი უბრალო დანით ძირშივე მოვკვეთე, ოღონდ სისხლის დენა ვერ შევაჩერე და ამიტომ ძლიერ გთხოვთ დაგვეხმაროთ"-ო. მე რომ სისხლის მოწამვლის საშიშროებაზე ჩამოვუგდე ლაპარაკი, მან, დედამ,

სურ № 49. ფშაველი დედაკაცი ბოლოჭინების შემდეგ ბოსელში (ნახ. შ. ძნელაძის)

ისეთი რწმენით გადააქნია თავი, რომ აშკარა იყო, „ოპერატორს" სისხლის მოწამლვაში ოდნავი ეჭვიც არ ეპარებოდა. მას უბრალო წარმოდგენაც კი არ ჰქონდა ამაზე... სათანადო ლონისძიებით სისხლის დენა შეეაჩერე. აღმოჩნდა, რომ ბავშის დეფექტში ბრალი ედვა ატავიზმს დედის ხაზით: ის დედასაც ჰქონია, მაგრამ. ასეთიეე ოპერაციით მოეშორებინა თავის დედას.

ყოველი გამოცდილი ფშაველი დედა თავის მოზარდ, ან უკვე გასათხოვარ ქალს წინდაწინვე აჩვევს ზემოაღნიშნულ სამანიპულაციო ხერხების გამბედაობაში, რომ მან მომავალი მშობიარობის დროს გამოიჩინოს სათანადო უნარი, ხერხი და სწრაფი მოსაზრება. და მართლაც პირველ მშობიარე ფშაველი დედების უმრავლესობა ამ წინასწარ დარიგებას შესაფერისად იყენებენ. უეკველია, სამშობიარო გამოცდილებას ფშაველი გაუთხოვარი ქალები სხვა მანდილოსნების მშობიარობის დროსაც იძენენ. თვიურის დღეებში მათ არამც თუ მეტი თაი-

სუფალი დრო, არამედ მეტი უფლებაც აქვთ მეზობელ დედაკაცების ძეობას დაესწრონ, დაეხმარონ, ისწავლონ და გამოცდილება მიიღონ.

ბოსელში გახიზნული თვიურიანი გასათხოვარი ქალი ეხმარება კიდეც გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ მშობიარეს, მაგრამ თუ ასეთები არ არიან

სურ. № 50. ფშავ-ხევსურეთის საექიმო პუნქტი ავადმყოფების მიღების დროს.

მძიმე მშობიარობის წუთებში, მაშინ, ცხადია მშობიარე რჩება უმწეოდ და მისი სიცოცხლე ალალ-ბედზეა დამოკიდებული. ასეთი შემთხვევა იშვიათი არ არის ფშავში და სულ უბრალო დაუხმარებლობის გამო ბევრი უბედური მშობიარე გამოსალმებია წუთი სოფელს. ასეთ უბედურ შემთხვევებზე ხშირად მოგვითხრობენ ხოლმე გულ-მოწამლული ფშაველები.

ილუსტრაციისათვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან:

ზაფხულის წყნარი დღეებია. მკათათვის მიწურულში მთის ხალხს იშვიათად ნახავთ სახლში. ოქროს ფერ მთის კალთებზე გამალებული ნამგლების ტრიალი ყურადღებას იტაცებს. ამ გახურებული მუშაობის პერიოდში მთის მუშა ხალხი პატარა რამ ტკივილებზე ძნელად თუ ფიქრობს თავზე, რის გამოც ჩვენს სამკურნალო ამბულატორიაში ავადმყოფთა რიცხვი 50%-ით კლებულობს.

მოწყენილობა იყო უცნაური, ნამგლით ხელში ჩავერიე მუშა ხალხში და გაცხარებულად ვმკი. ერთ გლეხს კიდეც დავეჯიბრე მკაში, მოწყენილობის ადგილი საღმა სიხალისამ დაიჭირა... კაი ხანია დახრილი ვართ წელში. ერთმა ფშაველმა გლეხმა ფშაური სევდიანობით, მაგრამ ამავე დროს რაღაც საამო ხმით შესძახა ატანილ ყანის ნაპირს. ჩვენ წელში ვავიმართენით და გარშემო ლაზათიანათ მიმოვიხედეთ.

აგერ, ვიღაც ფშაველი ცხენს მოაფრენს არაგვის პირის ვიწრო ბილიკზე, შემდეგ მის „ატეხილ“ ბალაზე დაეშვა და წამსვე ჩვენთან გაჩნდა.

— ჩემთან მოხვედით?

— თქვენთან, ექიმო!

— რა გიჭირთ?

ამ კითხვაზე მას პასუხის მოცემა ძლიერ გაუჭირდა, კიდევ რამდენიმე შეკითხვის შემდეგ, როგორც იქნა, გაბედა და მითხრა:

— უკაცრავად პასუხია, ჩემს დედაკაცს მძიმე მშობიარობა აქვს და თუ შეიძლება დაგვეხმარეთ.

პირველი მშობიარეა? —ეჰკითხე.

არა. — მიპასუხა.

ავადმყოფის ბინამდი ოცი ვერსია. გლეხი პუნქტზე დავტოვე. გავაქანე ცხენი, ორი საათის შემდეგ ავადმყოფის ბინაზე გავჩნდი. ახლა ავადმყოფს სახლში აღარ ვეძებ წინანდებურად. მაშინვე ქოხი მოვიკითხე და მისკენ გავეშურე. ჯერ ქოხი რა არის სამშობიაროდ და იგი აქ არც ქოხს ჰგავს, უფრო ყვავის დაშლილ ნაბუდარს წააგავს: მას არც კარი გააჩნია, არც კედლები. სადღაც დანგრეული ყორის კუთხეში ყარტით გადმოეხურათ კვადრატული მეტრის ოდენა ადგილი და იქ შეეგდოთ მძიმე მშობიარე დედა-კაცი. დავიხარე და შიგ შევედი. ენა ვერ ასწერს ამ საშინელს უმსგავს სურათს. გაშინჯვის უმალ შევამჩნიე, რომ ორსული მუცლის კონფიგურაცია ტყუპის ნიშნებს იძლევა. გარეთა სასქესო ორგანოს labia minor et maior-ის ორივე ქვედა კიდურები და montis veneris ის არე მომეტებულად შეშუპებული ჰქონდა.

ამ გარემოებას ძლიერ დაეშინებია სოფრის ბებრუხანები და ჩემთან ქმარი ეფრინათ. მშობიარე დედაკაცი უმწეოდ იყო მიგდებული ამ ბინძურ ქოხში. მთელი მენჯ-თეძო-ნეხვის სიღრმეში ჰქონდა ჩაფლული და ორივე ბარძაყების შიგნითა მხარეები ერთმანეთზე მიებჯინა, ტყუპი ბავშვების ნორმალურ მდგომარეობას საშვილოსნოში ირიბი მდებარეობა ჰქონდა. მაშინვე მივიღე სათანადო ზომები და მშობიარეს წესიერი (პირალმა) მდებარეობა მივეცი. ტყუპების ირიბი მდებარეობა ჩვეულებრივ ნორმალურ მდგომარეობაში ჩავაყენე. ჩაჯარდნილი მენჯ-თეძოები ჰორიზონტალურად გაუსწორე, მოხრილი ბარძაყები სამშობიაროდ

გაუშალე და რამდენიმე წამს მშობიარე ამ მდგომარეობაში გავაჩერე. ცოტა ხნის შემდეგ დედაკაცს ორივე ხელი გადავანასკვებინე ერთმანეთზე, რომლის რკალშიც კისერი გაეუყარე, წელში ხელი მოვჭიდე და ისე ნელ-ნელა წამოვაყენე რომ მის ქვეშ ლოგინი გაეშალა. ათიოდე წუთს ის მარცხენა მხარზე დამეყრდნო და

სურ. 51. სასწრაფო დახმარება პათოლოგიურ მშობიარობის დროს. (ნახ. შ. ძნელაძის)

პირველი ბავშვი იმავე მომენტში დაიბადა. ამ დახმარების დროს ადგილობრივი სოფლის დედაკაცები ყორნებივის დამცქეროდენ თავზე და თვალებით მქირდავდენ. როცა წელში გავსწორდი, ავადმყოფთან ერთად თავისუფლად ამოვისუნთქე, გარშემო მიმოვიხედე და თავი პირდაპირ ალქაჯების სამფლობელოში წარ-

მომიდგა. უკვე შობილ ვაცს დედა თავისებურად გაუძღვა, თვითონ გადასკრა ჭიპლარი, თვითონ გაუნასკვა, თიკვებშიც თვითონ შეახვია. ამის შემდეგ ისევ დავაწვინე ბეორე ბავშვის სამშობიაროდ. მას ძლიერ გაუკვირდა, რომ მშობიარობის შემდეგ მუცელი თითქოს ისევ წინანდელ მდგომარეობაში დაურჩა, რადგანაც მას წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ მეორე ბავშვიც ჰყავდა საშვილოსნოში, ამიტომ იგი გულუბრყვილოდ შემეკითხა: „მუცელმა რატომ არ დაიკლო"-ვო.—მე დავაჯერე: „დაიკლებს, დაიკლებს"-მეთქი, და დიდი სიფრთხილით, დაახლოებით გავაგებინე, რომ მას მეორე ბავშვი ჰყავდა მუცელში, მას ეს არ ესიამოვნა და მომეტებული წყენის ნიშნად თავი გვერდზე მოიქცია. საღამოს ე.მს ისევ გლეხებში გავერიე და ორიოდე პურის კონა მოვმკე. ამ შემთხვევამ კიდევ უფრო გამითქვა სახელი.

ფშაველი დედა საზოგადოდ ტყუპი ბავშვების ყოლას ვერ ურიგდება და ეს ადვილი ასახსნელიც არის: ორი ბავშვის აღზრდა არც ისე მსუბუქი ტვირთია ისედაც სუსტი არსებისათვის, როგორც ეს ბევრსა ჰგონია.

ხევსურეთსა და ფშავში ტყუპების შეძენის შემთხვევაში შეიძლება ერთგვარი უბედური ნაბიჯი გადადგან: დედები ხშირად ცდილობენ მეორე ბავშის მოხრჩობას, ან სრულ გულგრილობას იჩენენ და ბავში თავისთავად კვდება. ცხადია, ასეთ არასასურველ მოვლენაში უმთავრეს როლს თამაშობს ერთგვარი პაუპერული—სოციალ-ეკონომიური პირობები, რომელსაც ზედ ერთვის ქმრების ჩვეულებრივი უხეში მოპყრობა. ფშაველი ქმარი—ეს, ისევ ფშაური გამოთქმით, „მურდალი" დესპოტია თავის ცოლის მიმართ. ფშაველი ქმარი ხშირად სცემს ცოლს, ლახავს მის ღირსებას, თავმოყვარეობას. ასეთ პირობებში მყოფი ფშაველი დედა, ცხადია, ხშირად იფიქრებს ზემოხსენებული დანაშაულის ჩადენას.

მეორე დღეს გავიგე, რომ მეორე ბავში, რომელიც მშობიარის მუცელში დაუბადებლად დავსტოვე, მკვდარი დაიბადაო. ჩემი დაკვირვებით კი ცოცხალი უნდა დაბადებულიყო. ეს აშბავი სიფრთხილით გამოვიძიე და აღმოჩნდა, რომ ბავში ცოცხლად დაბადების შემდეგ დედის პასივობით მომკვდარიყო.

საზოგადოდ ფშაველი დედ-მამა შვილების სიმრავლეს ძლიერ ერიდება. საერთო კანონად არის მიღებული, რომ შვილის ყოლა 3-4 maximum 5-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამ მხრივ ფშავში თითქმის ისეთივე ჩვეულება სუფევს, როგორიც ხევსურეთში. ალბათ ამით აიხსნება ის არაბუნებრივი სქესობრივი დამოკიდებულება ფშაველ ცოლ-ქმართა შორის, რომელსაც მედიცინაში onanismus coniugalis ეწოდება, რომელიც ძლიერ გახშირებულია ცოლ-ქმრების ცხოვრებაში ფშავსა და ხევსურეთში.

ფშაველ გლეხის საარსებო წყარო მეცხვარეობაა. ამიტომ, ისინი მთელ თავის სიცოცხლეს მწყემსობაში ატარებენ და ამაში საკმაოდ დახელოვნებულიც არიან. ფშაველ მწყემსს ხშირათ უხდება გამოვიდეს ბეითალ-მეანის როლში. ჩვეულებრივ გაზაფხულზე იწყება ცხვრის ფარაში ბატკნების გაჩენა (დოლი), სადაც პათოლოგიური შემთხვევაც არაა იშვიათი. ბატკნის მოგების გართულების დროს გამოცდილი მეცხვარე ღებულობს რადიკალურ ზომებს. უბრალო გალესილი დანით ჰკეპს ნაყოფს საშვილოსნოში და ნაპერ-ნაპერ გამოაქვს იგი.

მანიპულაცია სავსებით მარტივია: მარცხენა ხელის პირველი ორი თითი შეაქვს საშვილოსნოს უკვე გახსნილ ყელში და ნელი სიფრთხილით მიჰყვება მის შიგნითა კედელს, რომლებსაც თანვე გალესილ დანას გააყოლებს მარჯვენა ხელით ისე, რომ მახვილის წვერი ან პირი საშვილოსნოს კედელს არ მოხვდეს, იქ ნაყოფს მოსჭრის ჯერ ერთ რომელიმე ნაწილს, მერმე მორეს და ასე შემდეგ. ამ ხერხით ანთავისუფლებს მშობიარე ცხვარს სასიკვდილო ხიფათისაგან.

ამ გამოცდილ ხერხს ფშაველი მეცხვარე უშეალოდ იყენებს დედაკაცის პათოლოგიური მშობიარობის დროსაც, თუმცა ძლიერ იშვიათად კი. ამ გამბედაობას მეცხვარე ფშაველი მხოლოდ მაშინ გამოიჩენს, როდესაც მშობიარე დედაკაცს მართლა დაღუპვა მოელის. თუ პათოლოგიური შემთხვევა მსუბუქია, მაშინ ის ხელსაც არ გაანძრევს, და, რა თქმა უნდა, სრულ ინდიფერენტობას იჩენს რადგანაც იცის, რომ მშობიარე ადრე თუ გვიან განთავისუფლდება და მას სიკვდილის მხრივ ხიფათი არ მოელის. ასეთ შემთხვევაში ერთგვარ დახმარებას მარტოოდენ მებოსლე დედაკაცები უწევენ, სხვა კი არავინ ეკარება და შეიძლება რომ მშობიარე დედაკაცის ტანჯვამ ხშირად ერთ კვირასაც გასტანოს.

ფშაველს საქონელი, ცხვარი თავსავით უყვარს და მის გაჭირვებაში ხმარებულ საშველ ხერხს ადამიანისათვის მხოლოდ სიკვდილის აჩრდილის მოახლოების დროს იმეტებს. ამისათვის მას არც აითვალწუნებენ და შესაფერი ჯილდოც ეკუთვნის. ასეთია ის რადიკალური ზომა, რომელსაც ფშაველები მიმართავენ პათოლოგიური მშობიარობის დროს. იგი მით არის საყურადღებო, რომ პრიმიტიულ ფარგლებში სრულდება.

როგორც ფშაეში, ისე ხევსურეთში ფიზიკურად მახინჯი ბავშის დაბადების მაგალითი არ ყოფილა ჩემი იქ მუშაობის დროს. თვით ხალხის გადმოცემით კი ასეთ შემთხვევას ჰქონია წარსულში ადგილი, მხოლოდ ძლიერ იშვიათად. ფსიქიურად სნეული ბავშები უფრო ხშირი შემთხვევაა და მათ შორის მომეტებულად ნახევრად იდიოტები და კრეტინებია, რომლებსაც შრომის უნარი ოდნავ შესწევთ და ამ უნარს იყენებენ კიდეც მშობლები. თუ ვინიცობაა ფიზიკურად მახინჯი ბავშვი დაიბადა, მისი გაჭრობის საკითხი პირველ რიგში დგება. აქ თითქოს მშობლიური ბუნების გრძნობა არავითარ როლს არ თამაშობს.

ახლად შობილის მოვლა ფშავში სწარმოებს სულ პრიმიტიული წესით. ხუთი ან შვიდი კვირის მანძილზე დედას მთავარი ყურადღება მიქცეულია ახლად შობილი ბავშვის მოვლაზე, მაგრამ მოვლა ორიგინალურია, თავისებური: დაიბადება ბავშვი თუ არა, დედა მაშინვე ცივი ან მოთბო წყლით გაჰბანს, გაჰხვევს წინდაწინვე დამზადებულ ძველ კონკებში და მსგავს ძველი ძონძით გაგებულ აკვანში აწვენს. აკვანი უბრალო ფიცრით არის მოწმახული, მისი ნაგებობა სრულიად პრიმიტიულია; დგას წინა-უკანა ჰორიზონტალურ ფიცრის ფეხზე, ეგი ჩვილ ბავშვს რწევის დროს მომეტებულად ანჯღრევს, რაც ხელს უშლის ახალშობილის ბუნებრივ მოსვენებას, ძილს და მაშასადამე, ნორმალურ ზრდას. აკვანში პირველად აგებენ ყარტს, მერე მაზე გადააგებენ ძველ ძონძეულს. მილს თავისებურად აკეთებენ. ზევიდან ისევ ძველ რამეს გადააფარებენ, თავი თითქმის დაკიდულ მდგომარეობაში აქვს ბავშს. ერთი სიტყვით, როგორც ფშაური აკ-

ვანი ისე მისი საგები უმსგავსი და მიუღებელია. შალეულს სრულებით არ ხმარობენ ფშაველი ბავშვის პირველ ერთეულ წლებში, არც საგებად და არც სამოსად, მიუხედავად იმისა, რომ ფშაველ გლეხის ოჯახში მატყლი საკმაოა. უცნაური კია, მაგრამ ფაქტია, რომ მათი მეზობლები—ხევსურები, რომლებიც თითქმის სავსებით მოკლებული არიან საკუთარ მატყლს, უფრო იყენებენ ფშაურ მატყლს, ვიდრე თვით ფშაველები: ხევსურები ფშაური მატყლის ნაწარმოებით იმოსებიან და ბავშვებსაც მოსავენ. საერთოდ ფშაველ დედებს არ აქვს ჩვეულებად, რომ აკვნის ბავშვს ავგაროზი შემოუდვან ქვეშ, ან გულზე დაჰკიდონ, როგორც ეს ზოგიერთ ქვეყნებში იყო და დღესაც არის.

ფშაური წესის მიხედვით ბავშვს წლამდე ყოველ კვირაში ერთხელ დაბანენ, წლის შემდეგ კი აჩვევენ ჩვეულებრივ ანტიჰგიენურ პირობებს. ბავშვის კვებაშიც თავისებური წესი აქვთ ფშაველ დედებს: დაბადების დღიდან სამ თვემდი ბავშვს მხოლოდ ძუძუს აწოებენ, შემდეგ კი დედის რძესთან ერთად სხვა საკმელებსაც აჩვევენ. ქერის ჰურს კარაქით ან ხაჭოთი დაცოხნის დედა პირში და ამგვარად აწვდის ბავშვს. მათი შეხედულებით ხსენებული მეთოდით ბავშვის კვება სავსებით დასაშვებია. ბავშვის დედის რძით კვება საკმელთან ერთად გრძელდება ორ წელიწად ნახევრამდე. ძუძუს მოშორების შემდეგ ფშაველი ბავშვები უმთავრესად იკვებებიან ძროხის რძით, ხაჭოთი, კარაქით და ერბოთი. რაიმე მძიმე, ქრონიკული ავთმყოფობა ფშაველ დედებსა და ბავშვებს შორის არ არის გავრცელებული. ბავშვთა შორის უფრო გახშირებულია მრგვალი ჭია (Ascaris lumbricoides)*). საერთოდ ფშაველი ბავშვები ათ-თორმეტ წლამდი გონიერი, მშვიდი და საღი გამომეტყველებისაა. შემდეგ მათი გონებრივი წონასწორობა თანდათან ირყევა, სუსტდება და ლაყდება, ეს იმიტომ, რომ 13-14 წლიდან უკვე იწყება ჩვეული მიდრეკილება წაწლობისა და ალკოჰოლისადმი. ეს სოციალური სენი იმდენად ძირგადგმულია საერთოდ ფშავ-ხევსურეთში, რომ მისი შედეგი ცუდ მოშავალს უქადის მათ მოდგმას.

ახლად შობილის სიცოცხლის დაცვა ბოსელში მოლოგინების დროს შედარებით უზრუნველყოფილია და ამიტომ მოუელელობის გამო სიკვდილიანობას ადგილი არ აქვს.

ზევით აღნიშნეთ, რომ საზოგადოდ ბოსლის ხიზანს აღკვეთილი აქვს რაიმე გასართობ-მხიარულებაში მიიღოს მონაწილეობა, ესე ვთქვათ „თვალს წყალი დაალევინოს“, გაიცინოს, ჩაერიოს საერთო მხიარულების ფერხულში, ფანდურის ტკბილ ხმაზე თავისუფლად დაუაროს და წელიწადში ერთხელ მაინც მარილიანად გაიღიმოს თავის ტოლ-ამხანაგებში. ბოსლის ხიზან ფშაველ-ქალს არათუ ხატის დღესასწაულების სამხიარულო დღეებში გაუშვებენ, არამედ ახლო ნათესავებსაც არ დაატარებენ, არ ასამძიმრებენ, თუნდაც ძლიერ უყვარდეს იგი. თუ ვინიცობაა რაიმე მიზეზით მესამრელე ან მებოსლე დედაკაცი გარდაიცვალა, მაშინ მას სახლში მიუტანლად, პირდაპირ გარდაცვალების ადგილიდან წაა-

*) მრგვალი ჭიით დაავადება ვრცელდება დიდებზედაც, როგორც მამაკაცებზე ისე დედაკაცებზე, რაიც გამოწვეულია სხვადასხვა მჭვანილეულობის (გარეული ბალახების) კვებით. ხსენებულ სნეულებას ბელს უწყობს აგრეთვე ხაჭოთი და რძის შრატით კვება.

სვენებენ სასაფლაოზე. შინაურები და ახლო ნათესაობა გარდაცვლილთან ახლო მიკარებას ძლიერ ერიდებიან—მას შორი-ახლოდან დაატირებენ.

სწორეთ ამ გარემოებამ აიძულა ფშაველი ქალები, რომ გამოენახათ რაიმე საშუალება და მით რამდენიმე დღით მაინც შეეწყვიტათ პერიოდული თვიური. აკი გამოუნახავთ კიდეც მისი დროებით შემაჩერებელი წამალი: მოცვის ფოთლის ნახარში, ე. ი. მოცვის ჩაი (თავშავა), რომელიც როგორც ამბობენ სისხლის დენას აჩერებს.

თვიურის წინა დღეებში მოხარშავენ მოცვის ფოთოლს და მის გამონაწურს ჩაის მზგავსათ დალევენ ორ ჭიქას, ამის შემდეგ, (როგორც გადმოგვცემენ) თუ მეტი არა, ათი დღით მაინც შეჩერდება თვიურის სისხლის დენა. ამ საშუალებას ხმარობენ მაშინ, როცა გადაუდებელი რამე საქმე აქვთ, ან ვთქვათ, წლის მანძილზე განუმეორებელი სამხიარულო დღე მოდის.

ფშავ-ხევსურების ბუნება, თვისება და ხასიათი საზოგადოდ

I. ხევსური მამაკაცის დახასიათება

ხევსურების ფიზიკური სახე დაცულია ჩვეულებრივ სხეულის სწორი სტრუქტურის დაუშორებელ ხაზებში, ე. ი. მათში თქვენ ვერ ნახავთ ვერც მომეტებულ მაღალს, ვერც გადაჭარბებულ დაბალს. ხევსურ მამაკაცებში ე. წ. ქალური ტიპი საესებით არ არის შემჩნეული,—ყველა ხევსური მამაკაცი ნამდვილ მამაკაცის ბუნებრივ სახეში მეტყველებს. თანდაყოლილ სიმახინჯეს მათ შორის იშვიათად შეხვდებით. შეძენილი ჩვეულებით დასახიჩრებული კი ბევრია. მათ ახასიათებს ხოლერიკული ტემპერამენტი, რითაც ძლიერ წააგავენ გურულებს და საესებით მოგაგონებთ მათ შეუპოვარ ლტოლვას თავისუფლებისადმი.

ხევსურების პირისახე საკმაოდ განვითარებულია და მოცემულია დოლიხოცეფალურ სახეთა სწორ-კუთხოვან ხაზებში. თავის ქალა შედარებით განვითარებული აქვს, კისერი ზომიერად მაღალი, ნათხემის მიდამო ჩვეულებრივზე ფართო, შუბლი უფრო განიერი, ვიდრე მაღალი, თმა საერთოდ წაბლის ფერი, წარბები ხშირი და შეუერთებელი, თვალები უმრავლეს შემთხვევაში შავი და ცისფერი, ღრმა, ფართო. ცხვირი საერთოდ მაღალი და სწორი, ტუჩები ზომიერად კოხტა. პირისახე თანაბრად მოგრძო, პირ-ხმელი, ნიკაპი საკმაოდ განვითარებული, სქელი წვერ-ულვაშით შემოსილი, ქოსას და ბელატს იშვიათად შეხვდებით, ყურები სწორად განვითარებული, რომლების ბიბილოც არ არის შეერთებული ყბის ზედა მესამედის ნაწილთან, გულ-მკერდი თვალსაჩინოდ განვითარებული, ბეწვით დაფარული, წინ წამოზნექილი, მხარ-ბეკი საკმაოდ ფართო და სწორი, მკლავები ტანთან შედარებით ზომიერი, ხელი მამაკაცური, რასაკვირველია, ცოტა ინდივიდუალური განსხვავებით. ხელის თითები ფრიად განვითარებული შესაფერ-ფალანგთა სიმეტრული გადასვლით, კუნთთა სისტემა თანაბარი, ელასტიური სისწორითაა განვითარებული. ძვალთა სიმწყობრე თანასწორ ბუნებრივ სიმაგრითაა შემონახული, კბილები ფრიად სადი, მიჯრით მიწყობილი და ზომიერი.

ბიდიდისაა. ხევსურების სხეული საზოგადოთ სწორი აგებულობისაა, ჩაბსკვნილი მაგარი და შეუდარებლად ამტანი, მათი კუჭ-ნაწლავები ჩვეულებრივად და უმრავლეს შემთხვევაში ნორმალურად მუშაობს.

ხევსურების ფსიქიური „მე" ფართო გაქანებისაა, არაჩვეულებრივი შინაარსის საზღვრებში ისახება და ამიტომ იგი გარეშეთათვის განცვიფრების გამომწვევია. ხოლერიკული ტემპერამენტი ნიშნავს ბუნებრივად მეტად ფიცხის შინაგანი რეაქციის გამოძახილს, რომელიც ერთობ ეფექტიანია. თბილი და ხანგრძლივი შთაბეჭდილების მატარებელი, ე. ი. ყოველი შემთხვევითი თუ ჩვეულებრივი ობიექტური მოვლენა ხევსურზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და იწვევს მის ფსიქიკაში მძლავრ ჯანყს, მომეტებულ ეფექტიურ რეაქციას.

ხევსური არის პირდაპირი, პირად-მთქმელი, გამბედავი, ურყევი—მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებაში, სრული დამოუკიდებელი მოქმედებაში, ცნობის მოყვარე, ინტერესიანი მოჯიბრე. შურიანი, ვიწრო ეგოისტი და მტკიცე ხელისუფლების მოყვარე, ხევსური ყველაფერს თავისებურად სჯერეტს, რაიმე განყენებული მას არ სწამს. არიან გამჭრიახნი, ენა მეტყველნი, ფრთხილი პირად და სასოფლო საჭირბოროტო საკითხებში; მეტად მკაცრი, მოუდრეკელი თავისებურად კეთილშობილნი, თავაზიანნი, ველური რაინდული ქცევით უცხოსადმი, აშკარა შურის მაძიებელნი, მიუკარებელნი, გახელებული ეჭვიანი, სიმართლის მამხელნი, გამცემ-მოღალატის დამთრგუნველნი, ამავე დროს გამტანი, შემნახავი, თავდადებული, თავისებურ რკინის დისციპლინისანი, განსაკუთრებით სათემო ჭირ-ვარამის დროს. გასაოცარი მტკიცე ნების-ყოფისა, უცრემლო, უსენტიმენტალოთ ამტანი, როგორც ვიწრო ოჯახური ტკივილების, ისე საზოგადოებრივ უბედურების მომენტის. შეუდარებელი თავმოყვარე, პირადი ღირსების შეურაცხყოფის არ-დამთმობი. შინაურ ნათესავთა მიმართ ზედმიწევნით მოსიყვარულე, შორეულ გარეშესთან ინდიფერენტული. მსჯელობა სხარტული, ჩქარი, სწორი, დაჯერებითი კილოსი. აზრთა გამოთქმა მარტივზე უმარტივესი, მტკიცედ გადამჭრელი. ამ მარტივ გამოთქმას უქვემდებარებს თავისებურ მტკიცე რწმენას. თავის სამშობლოში აბსოლუტურათ ამაყი, გარეშე მხარეში კი ოდნავ მორიდებული, თავაზიანი, მხოლოდ თუ ვინმემ შეურაცხყო მათი კუთხე, მათი ბუნება და ხასიათი, ისევ თავისებურად იფეთქებს: დამცირებას არავის შეარჩენს.

თუ ვისმეს სითაღლითე შენიშნეს, შეუბრალებლათ გმობენ. უსათუოდ აღკვეთენ. არაფერს თავისას არ დასთმობს, ხოლო სხვისაგან სარგებლობის მიღება მათში კანონად არის ძიღებული. მტერთან მტერია, მოყვარესთან მოყვარე. ყოველ სალხინო თუ საჭირბოროტო საკითხს სწყვეტს თავისი საზომით, თავისებურ მიდგომით. ნუ მისცემთ რაც მას არ უნდა, ნურც ართმევთ, რაც მას სწადია. არიან ზედმიწევნით შრომის მოყვარე, რასაც გააკეთებენ—გამოიყენენ კოხტად, ლამაზად ყოველ ნახელსაქმარს ემჩნევა მუყაითობა, სიბეჯითე. ყოფაქცევა თავისუფალი, თავაზიანი და სავსებით უბრალო. მიხვრა-მოხვრა ძალდაუტანებელი ჩქარი, წმინდა ვაკკაცური, სწორი, მოქნილი, შნოიანი და საუცხოო მხედარი; ყველას კარგი ცხენი ჰყავს, კავკავურ ყაიდაზე შეკაზმული. ჩაცმულობა ფრიად ორიგინალური, თავისებური, სადა. შინ ნაქსოვი შალის პერანგი, ჩოხა და შალ-

ვარი ჯაღრესად ჰიგიენური, ნსუბუქი, პირდაპირ საჯანსაღოდ შეკერილი, ფეხებზე თასმით გაბანდული ყურებიანი ჯღანი, შიგ ჩატანებული ბაკიჭებით*), თავზე მრგვალი თავისებურად შეკერილი ქუდი. წელზე მოკედილი ვერცხლის ქამარი, ზედ ბასრი ხანჯალი, მოუხრელი ფრანგული ხმალი ან დავითფერული, და მაგარი რკინის ფარი. დაკვირდით თვითეულ ხევსურის საარაკო ჩაცმულობას და თქვენს თვალწინ სავსებით გადაიშლება მისი მდიდარი ბუნების შინაარსი, არაჩვეულებრივი თვისება და ხასიათი ფოლადისა. სეკსუალურ საკითხში თავ-დაჭერილი, დინჯი. ალკოჰოლისადმი მეტად ხარბი მიდრეკილება აქვთ.

თავის ქვეყნის გარეთ, კარგათ შეკაზმულ ცხენს ხევსური არ წაიყვანს, არც თვითონ იცვამს ჩვეულებრივად. უმრავლეს შემთხვევაში ქალაქში წასვლის დროს, ჯორს ჰკაზმავენ ძველი უნაგირით და ისე გაემგზავრებიან სადმე. პირფერობა, ლაქუცი, სიფლიდე მათ ბუნებას არ სჩვევია. უცხოს იშვიათად ენდობა და თუ დაგინდო გაგიტანს,—არ გიღალატებს, გიძმობს, შეგინახავს. ხევსურები თავის შინაურ ცხოვრებაში დაცალკევებულია, მტრობენ ერთმანეთს, სჩეხენ ურთიერთს ფარიკაობაში, იშვიათად ერთი ჰკლავს მეორეს და ეს იმ შემთხვევაში, თუ ის თავის მოძმეთა შორის მოღალატე და ჯაშუშია ან არ ემორჩილება საუკუნოებით შექმნილ არსებულ წესებს. ამავე დროს გარეშე მტრის წინააღმდეგ ისინი გამოდიან როგორც ერთი და მტკიცეთ, განუყოფელად აწარმოებენ მოგერიებითი იერიშებს. ამით ისინი აშკარად განირჩევიან ყველა მთიელ ხალხებისაგან. თუ ორი ხევსური ჩხუბობს და ამ დროს იქ რომელიმე მოჩხუბარის ძმა აღმოჩნდა, მაშინ ის ეხმარება მას, ვინც დაჯაბნებულია მოჩხუბართა შორის და თუ მათ შორის ვერც ერთი ვერ სძლევს, ასეთ შემთხვევაში ხსენებული ძმა ერევა მათში, როგორც შემარიგებელი. თუ ის ასე არ მოიქცა, მაშინ მას შეარცხვენს მეზობლები და გაჰკიცხავს მთელი თემი. თვითარსებობისათვის ბრძოლის უნარი უაღრესად განვითარებული აქვთ. ისინი ფრიად პატივისმცემელნი არიან წინაპართა ხსოვნისა მათ ცუდად ხსენებას არავის აპატიებენ. რასაც აკეთებს ხევსური,—მუდამ თავისებურად გათვალისწინებული აქვს და უმრავლეს შემთხვევაში ბოლოვდება დადებითად. ყოველი ნაბიჯი თავისებურად შეგნებული და ასჯერ გაზომილი აქვს. როგორც საკეთილდღეო, ისე უბედურ ნაბიჯს სდგამს გმირულად, გაბედულად, ამაყად. ლხინობენ, ატარებენ დროს რაღაც უცხო ორიგინალობით. ყოველგვარ საზოგადოებრივ და პირად ტკივილებს არ აშაბლონებს ჩვეულებრივ კენესის ხმაურობში, ჰკვდება თავისებური შეგნებით, ლამაზად. ხევსურის უკანასკნელი ამონაკვნესი მოგაგონებთ ნაპოლეონის სიკვდილს წმინდა ელენეს კუნძულზე. თვითეული ახალგაზრდა ხევსური სიკვდილის ჟამს ანდერძსა სდებს: „მოჰკალით!... შური იძიეთ!“... ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდა უმრავლეს შემთხვევაში ჰკვდება სხვისი ხელით ფარიკაობის დროს, ხოლო როცა მოხუცი ხევსური ბუნებრივათ ჰკვდება,—ის იბარებს: „ნუ იშურლებთ, ერთმანეთს ნუ გასცემთ, ნუ ულალატებთ. სოფელი, თემი შეინახეთ, დაიცავით მტრებისაგან, რჯულს ნუ დასცემთ, იყავით ფხიზელი, გაბედული, მხნე, ამაყი კეთილ საქმეში“ და სხვა.

*) ტანისამოსის აღწერისათვის მიძღვნილ თავში მე აღვნიშნე, რომ შარვალს ბაკიჭების ზემოდან უშვებენ-თქო, ეს შეეხება ხანში შესულებს, ახალგაზრდობა კი, განსაკუთრებით ჯანასკნელ ხანებში, შარვალს ბაკიჭებში იტანიებს.

ერთი ეპიზოდი

(ხევსურების უდროოდ სიკვდილის საილუსტრაციოდ).

ახალი დაზამთრებაა. ციისკრის სინათლე ოთახის დამტვრეულ ფანჯარაში ნელ-ნელა იპარება, მას დაასწრო ღაბით წამოსულმა ხევსურმა და დაუკითხავად უეცრივ ოთახში შემოვარდა.

— აბა ჩემო გიორგი, ადე ჩქარა, ძმა დამიპრეს, უნდა წამოხვიდე!

— რა ალაგას არის დაპრილი?

— მუცელში, ხანჯარი მეორე მხარეს არის გასული.

ავდექი, ჯერ კიდევ ბნელა ცა მობურულია, თოვს, გარეთ სიჩუმეა სამარისებური. საჩქაროდ ჩავიცვი, ვიფიქრე— დაპრილის მდგომარეობა საბედისწეროა. თვით ხევსურმა დაადასტურა ეს: „ჩემი ძმა ფინთადაა დაპრილი, ძნელია მისი მორჩენა, მაგრამ გიორგი, ვინ იცის ეგებ რაიმე უშველო, წავიდეთ ჩქარა". წავედით. წყლიან თოვლში ცხენი ზანტად აბიჯებს, უკან ხევსური მყავს შემომჯდარი. პირადი განცდა მძიმეა: რა ზომებიც უნდა მივიღო, სულერთია, ავადმყოფს მაინც ვერას ვუშველი. ტაროსი ცუდია. დაკლაკნილი ვიწრო ბილიკები მუდამ სახითათოა. რომ უფრო ჩქარა მივიდეთ ავადმყოფთან, მე და ხევსური ცხენს ვუთმობთ ერთმანეთს: ხან მე ქვეითად, ხან ის. შედარებით მოკლე გზა რატომღაც გრძელდება, (რაც ჩვეულებრივი მოვლენაა მაშინ, როცა გეჩქარება). მივახწიეთ. ავადმყოფ ხევსურს წინადაც ვიცნობდი, მასში სიკაბუკის ნიშნები განსაკუთრებით ზეიმობდა, მისი სახის მუდმივი ღიმილი სხვასაც შესაჩნევად ახალისებდა, სიცოცხლეს ჰგვრიდა, ჰმატებდა. ამ ჟამად კი როდი ღიმებოდა, უდროო სიკვდილის აჩრდილს უღონო გაბრაზებით ებრძოდა, უკანასკნელ აგონიას განიცდიდა. რა თქმა უნდა, ჩვენი მისვლა მას არ გაჰხარებია. რომ გადაბრუნება შესძლებოდა, უთუოდ მეორე მხარეზე იქცევდა პირს. საშინელი იყო პრილობა. ბასრი ხანჯლის ნაპრევი გულის კოვზის ცოტა ირიბი დაშორებით მარცხნივ ორ გოჯაზე იყო მიყენებული და ხანჯალი ისევ ირიბი გაქანებით უკან ზურგის მიდამოში, უკანასკნელ ნეკნების არეში გასულიყო. კუჭი ნახევრად გარეთ იყო გადმოვარდნილი, რომელიც შესაველის ცოტა დაშორებით მცირე ხვეულის (curvatura minor) არეში ორ გოჯაზე იყო გაპრილი. მისი ელასტიური კუნთოვანი შრე თავის წითელი ლორწოვანი გარსით შესამჩნევად შეკუმშულიყო და ნაპრევის ორი კიდური მოგაგონებდათ შავ-კანიანი ზანგის ქალის კოხტად გადმობრუნებულ ტუჩებს. ამ ხელოვნურად შექმნილ ტუჩების არეში ავადმყოფის ბუნებრივი პირიდან მიღებული სასმელ-საჭმელი თავისუფლად გამოდიოდა. აბრეშუმის ძაფი გავუყარე ნამგლისებურ ნემსის ყუნწში, რომელიც დუშეთის საავადმყოფოს გამოცდილმა დასტაქარმა ა. ლ. ბლოცეკმა მომცა ყოველ შემთხვევის სასწრაფო დახმარებისათვის. მინდოდა გამეკერა, მაგრამ დაპრილმა უეცრივ წამოიძახა:

— „სანთელი!"

ამის გაგონებაზე პირისუფლებმა ერთხმად გულშემზარავი ზღრიალით გამოეხმაურენ.

— „ვაჰმე, დავითო?"

—ხმალი!—წამოიძახა მეორედ, სამუდამოთ მიმავალმა ხევსურმა. უცბათ თაფლის სანთელი ჩამოქნეს მსხვილად.—„ეაჰმე, შვილო შენს დედას"—მოთქვამდა დედა.

—მარილი—წამოთქვა კიდევ ნახევრათ მიცვალებულმა დავითომ.

—მოჰკალი! – უკანასკნელად ამოიკვნესა მან.

სურ. № 52. ახალგაზრდა ხევსურს სიკვდილის ჯოხის მომენტში—ხევსურული რიტუალის თანახმად—ცალ-ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში ანთებული სანთელი. მას გარშემო გარისკუთვნილი ახლები. (ნახ. ზ. ძნელაძის)

მომაკვდავს მარცხენა ხელში ანთებული სანთელი მისცეს, მარჯვენაში კი ამოღებული ხმალი დააკავებინეს, თანაც დაუნაყავი მარილი ჩაუყარეს პირში.

—მოვკლამთ! – ერთხმათ წამოიძახეს დავითის ორივე ძმებმა და თანაც ცრემლები მოიწმინდეს, რომელიც ხევსურებს იშვიათად წამოუვათ; წელში ამაყად გაიმართნენ.

სანთელი დაიწვა, ჩაქრა, ხმალი ნელნელა იხრება ძირს. ერთი კიდეე გაახილა თვალი დავითომ და დავითფერული სავსებით დაეშვა მიწაზე. მიცვალებული შემოსეს ტალავრით. დედამ ასანთი და ნავთი აიღო ხელში, გაიქცა შვილის მკვლელის ეზო-მიდამოს გადასაწვავად. ის უკანვე დააბრუნა მეზობლებმა. ორი ძმა შეიარაღდა და წავიდა ძმის მკვლელის თავზე დასაცემად. მთელმა სოფელმა თითქოს ინსტიქტურათ იგრძნო დავითოს სიკვდილი,—ყველა გარეთ გამოსულა და სადღაც დაღონებულად გამოიყურებიან. მოხუცი ასი წლის ბებია დავითოსი რაღაც უშნოთ აღებს პირს, ხმა-ჩახლეჩილად, ბოდვის მგზავსად მოთქვამს და მის ამოწირპლულ თვალებიდან ცრემლებს ღვრის ათასნაირად დანაოჭებულ სახეზე. ეს დრომოქმული არსება ისევ ცოცხლობს იმ გაუმაძღარ დედამიწის ზურგზე, რომელმაც ამავე დროს ხარბად მიიღო დავითოს ჯერ კიდეე სავსებით გაუფურჩქვნელი ნორჩი სიცოცხლე.

ისევ ჩავალაგე ორიოდე ქირურგიული ინსტრუმენტი ფშაურ გუდაში, წამოვიკიდე მხარზე, ზედ ნაბადი გადავიდეევი და გამოუდექი გზას. არის უსათუოდ დამთურგნელი მომენტები ექიმის პრაქტიკაში, როცა მას სასტიკად ამარცხებს სიკვდილის მოსწრებული მახვილი.

მიცვალებულის ძმებმა ბოდიში მოიხადეს:

—გიორგი, უკაცრავად, რომ ტყეილად დაგაღონეთ...

—უკაცურად, ხევსურნო!..—დამნაშავესავით გამოვეთხოვე და ათი კილომეტრი უკან გამოვიარე. გზაში ჯგუფ-ჯგუფად ხევსურები მხვდებოდენ და მეკითხებოდენ, თუ რა ბედი ეწვია დავითოსო. მეც ყველას ეანიშნებდი, რომ ის უკვე აღარ არის. ცოტა გამოვიარე. დავითოს მკვლელი და მისი მშობლები, დაძმები, მკვიდრი ბიძაშვილები სადღაც ზორს სოფელში მიიპარებოდნენ—იხიზნებოდნენ. ამაზე მეტი უბედური შემთხვევა ხევსურეთის მოსახლეობამ არ იცის საერთოდ მათ ყოფა-ცხოვრებაში. როგორც ვიცით, ასეთ შემთხვევაში მკვლელის მონათესავე ათი თაობა ხევსურულ კანონს გარეშეა გამოცხადებული და მათ არ იციან, სად შეაფარონ თავი. ასეთი შემთხვევითი სიკვდილი ხევსურისა სოფლიდან სოფელს ელვის სისწრაფით გადაეცემა და ერთი დღე-ღამის განმავლობაში ის მთელს ხევსურეთს შეანძრევს. ყოველ ხევსურს, იქნება იგი შედარებით უშნო, ან ბეჩავი—სულერთია, ბუნება ხევსურულ სიამაყისა თანაბარი აქვს და ჩვენი დავითოც გახდა მსხვერპლი მასზე უფრო ბეჩავი ხევსურისა. დავითომ მის მკვლელს მისივე ხანჯალი წაართვა, მსუბუქად დასჭრა იგი და მერმეთ უკანვე დაუბრუნა. შეურაცყოფილმა მანგიამ ვეღარ მოითმინა ეს და დავითოს შიგ მუცელში გაუყარა ხანჯალი, რაც ძლიერ იშვიათია ხევსურულ ჭრა-ჭრილობის დროს.

3. ხევსური დედაკაცის დახასიათება.

რაც შეეხება ხევსურ ქალებს, ისინი ნაწილობრივად ასახავენ იმ ანტროპოლოგიურ ბუნებრივ ნიშნებს, რომლებითაც საერთოდ ხასიათდებიან ხევსური მამაკაცები. ხოლო ეს იმდენათ, რამდენათაც თვით დედაკაცის გარეგანი და შინაგანი ბუნება განსხვავებულია თავისთავად მამაკაცების ფიზიკურ და ფსიქიურ ბუნებისაგან. ხევსური დედაკაცები უსათუოდ განსხვავებულათ ერკვევიან სივრ-

ცეში, გარემოში და საკუთარ წარმოდგენებში. მათი ინდივიდუალური „მე“ გამოცალკევებულია რაღაც თავისებურ აშკარა ეფექტებში. ასე რომ მათი ქალური ბუნება არ იხატება ჩვეულებრივ ცხოვრების ნიღაბში. ნათელია მათი ღიმილიც, წყრომაც და თავისუფალი მოქმედებაც. მათ ცოცხალ ბუნებას სავსებით არ სჩვევია ჩვეულებრივი დედაკაცების ჩუმი სურვილები, ჩუმი განცდები და რაღაც დეპრესიული, ქვეშ-ქვეშა შემპარაობა გრძნობების ან თუ რაიმე სხვა მოქმედების წრეში. მათში ყველაფერი ღიაა და ნათელი. ხევსურ ქალების განსაკუთრებულ ბუნებას ახასიათებს: 1) ნათელი ორიენტაცია გარემოში: ისინი კარგად სცნობენ ვისთანაც აქვთ საქმე, რას გამოელიან ისინი ამა თუ იმ რეალურ ცხოვრებიდან; 2) მოუდრეკელი ნების-ყოფა; 3) წმინდა დამოუკიდებელი განცდები გრძნობათა სფეროში, უღვარძლო, გრძნეული ალერსი, სწრაფი მიმღებლობის გაძლიერებული უნარი. ამ დარგში შურის ძიება სავსებით უარყოფილია მათში და მწვავე რეაქციიდან გამოწვეული განცდები მეღავნდება ან თვითმკვლელობის ფარგლებში ან და მწარე ზმორების კვნესაში.

ტრფობის დროს ხევსურ ქალებს არ სწამს ის წამასისინებელი საკინკლაო მეგორდიები, რომელნიც ჩვეულებრივად ხდება სხვა დედაკაცების ცხოვრებაში და იხდის მას ძთავარ მიზნად სექსუალურ ენის სამხიო მოედანზე. საუბრის ინტონაცია აჩქარებული, წკრიალა, აწეული ტონის აქვთ. აი ეს უკანასკნელი მეღვნება ხევსურ ქალების ფართო ბუნებაში, მტკიცე დასტურია იმის, რასაც ეწოდება არაჩვეულებრივი თვისება და ხასითი ადამიანში. ფიზიკური „მე“-ც განსხვავებულია ხევსურ ქალებში. ის მათში საშუალო აგებულებისაა და მ.მეტებულ სიმაღლეს ან უმზგაეს სიმდაბლეს არ იჩნევს. საერთოთ ისინი პირმრგვალი, ბრახიცეფალური, მეტად ცქრიალა გამომეტყველებისა არიან. მათ თმა შეკრეჭილი აქვთ და ქერად შეღებილი, ეს ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას თითქოს ისინი ერთი ოჯახიდან გამოსულნი იყვნენ. წარბებიც ქერა აქვთ, შუბლი ჩვეულებრივი ქალური—დაბალი, თვალები ზომიერი ღრმა, მქირდავი; ცხვირი საკმაოდ ზომიერი, სწორი, განვითარებული, ლოყები ძალიან ფეროვანი, გადაუმეტებლათ სავსე, მსუქანი, ყურები ზომიერი, ტუჩები კოხტა, პატარა, წითელი, ნიკაპი ზომიერად განვითარებული, კისერი ერთნაირი სიმაღლის, გულმკერდი ბუნებრივათ განვითარებული. მკლავები მოკლე, ჩაბსკვნილი, ხელის თითები მოკლე მოკლეეე ფალანგებით, ცოტაოდენი ინდივიდუალური განსხვავებით, კუნთები კარგათ განვითარებული—ელასტიური, ძვალთა სისტემა სწორი, მაგარი შენების, კბილები საღი, მეიდრო ჩამწკრივებით. უმრავლეს შემთხვევაში მათი სხეულის ანატომიური კონფიგურაცია ოდნავათ დისონანსურია და ჯიშიანი ბუნების პლასტიკა ცოტაოდნათ ემჩნევა. **ხევსური ქალები საერთოდ უფრო კეკლუცია ვიდრე სათუთი, ცქრიალა, ნაზი, და ეგ მათი ამაყი პირდაპირი, ველური სიკეკლუცე რაღაც უცნაური ვაუური ხიმალხაზითაა შერეული.** ქცევა, მიხვრა-მოხვრა სწრაფი, მოხდენილი, ეშხიანი, თავისებურათ გრაციოზული. მომეტებულ ჯაფის გამო ყველა ამას ხევსური ქალები ძლიერ ადრე ჭკარგავენ და ხშირად ოცდახუთმეტი წლის დედაკაცი, სამოცი წლის ბებერსა ჰგავს. აქვთ მიდრეკილება ალკოჰოლისადმი, რაც უეჭველად უფრო ხელს უწყობს მათ ჯიშობრივ გადაგვარებას.

ცხადია ეს არ არის კონსტიტუციონალური „მე"-ს მთლიანი აღწერა—გა-შუქება, არამედ ეს იქნება ერთგვარი დამატება იმის, რაც ჩვენ უკვე ზევით ვსთქვით ხევსურ დედაკაცების შესახებ.

4. ფშაველი მამაკაცის დახასიათება.

ფშაველები თავის ყოფა-ცხოვრების მიხედვით წარმოადგენენ სულ სხვა სურათს, სულ სხვა ტემპერამენტის ხალხს, ესენი თავიანთ სიცოცხლის ასახვაში სავსებით განირჩევიან ხევსურებისაგან.

ფშაველების ინდივიდუალური „მე" თითქმის გაფონებულია და ფიზიკური სახე მათი წარმოადგენს შინაარსიან წარსულის მკრთალ აჩრდილს. ერთი შეხედვით თვითეული ფშაველი თითქოს დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ სნეულს სახავს და ამავე დროს ჰფიქრობთ—იგი ყოველგვარ გაიძეერულ მოქმედების უერთგულესი მესაიდუმლეა, მეორეს მხრივ ის შეუდარებელ ცინიკ-ბრძენის-დიოგენის ქანდაკება გგონიათ, და მესამე დაკვლევიო-კი—ყველა ისინი შემოდგომის სიცივეში, ბაკში მდგარ დამზღრალ ცხვრებს მოგაგონებთ. ეს რასაკვირველია, საერთო შეხედვით, ერთის თვალის გადავლებით.

თავისი ბუნებით ფშაველები ფლეგმატო-სანგვინიური ტემპერამენტისაა, რომელიც გულისხმობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „წაწყმენდილ" სისხლ-ხორციან ზანტ ინდივიდუუმს, ნახევრად მკვდარ, გაუნძრეველ ცოცხალ ლეშს. ეგ ფლეგმატიური სიზანტე იმდენად ძირგადგმულია მათში, რომ მეორე მხარე მათი სიცოცხლის სიმძლავნისა—სანგვინური ტემპერამენტი, რაღაც უსინათლო ფონზე ჰკრთის და მისი (სანგვინიკობის) შინაგანი რეაქცია მოდუნებულია. ამ სიზანტის დაღი ფშაველებს უკარგავს სიცოცხლის ლაზათს და ეგ პირწავარდნილი სიძუნკლე ლამზ სქესობრივ სიცოცხლისა აშკარად იჩრჩობა მათ ფლეგმატურ ტემპერამენტის წუმპეში. ფშაველის შინა სახე იმდენად მოდუნებულია, რომ მისი ზეგავლენა ფიზიკურ „მე"-ს უკარგავს შინაარსს. როგორც ზევით ვსთქვით ისინი არ არიან ერთი გვარის, ერთი ჯიშის, ერთი თაობის ამონაყარი, არამედ სახავენ სხვადასხვა მოდგმის, სხვადასხვაგვარ თაობის ფიზიონომიას და თუმცა თანასწორ ყოფა-ცხოვრების გამომხატველნი, იძლევიან მრავალ ტომთა შერეულ გამომეტყველების სურათ ; ამიტომ ერთი სოფლის მცხოვრები ფშაველები გამოიყურებიან დოლიხოცეფალურ (სწორ-კუთხოვან) პირისახეთა ხაზებში, მეორე სოფლის მცხოვრებნი კი ბრახიცეფალურ (ბლაგვ კუთხოვან) პირისახეთა ირიბ ხაზებში, ე. ი. ერთი მათგანი ჰხატავს კულტურულად განვითარებულ სწორ სახეს, მეორე კი შესამჩნევად უკულტურო ადამიანისას.

საზოგადოთ ფშაველები სახის გამომეტყველებით არ იძლევიან თანაბარ ტიპს—მხატვრულ ფერადებით გამოსახვის პერგამენტს, რომელიც უნდა გვამცნობდეს მოცემულ თაობის ძირითად ნიშნებს. ამ მხრივ ფშაველები თითქოს სფინქსია და ეს გარემოება ყოველ სერიოზულ მკვლევარს აფიქრებს: საერთოდ ფშაველებს ყოფა-ცხოვრების მიხედვით ყველაფერი ერთი აქვთ: ზნე, ადათი, სარწმუნოება, მიწა-წყალი, ტანისამოსი. მიუხედავად ამისა, ერთი სოფლის ფშაველი ხალხი უფრო სხვაგვარად გამოიყურება ვიდრე მეორე სოფლის. აქედან ყოველი ფშაური სოფლის მცხოვრებნი განსხვავდებიან ბუნებით, თვისებით და ხა-

სიათითაც. აი, სწორეთ ეს არის მათი ერთსახოვანი სიცოცხლის ნამდვილი პარადოქსი. ამ მცნებით ჩვენთვის ადვილი ხდება ფშაველ ხალხთა ტემპერამენტული დახასიათება. იქ თქვენ შეხვდებით: ხოლერო-სანგვინიკს, სანგვინო-მელანქოლიკს, და აგრეთვე, უმთავრესად, ფლეგმატო-სანგვინიკს, რომელნიც იძლევიან რაღაც თავისებურ ემოციებს. ამიტომაც უცხო ადამიანს დიდი დაკვირვება მართებს, რომ წამსვე შეამჩნიოს გარემოთი გამოწვეული მათი შინაგანი რეფლექსი. როგორც ვსთქვით, ფშაველები თავის ფიზიკო-ფსიქიურ „მე"-ში არ სახავენ თაობის ერთნაირ ნიშნებს ფიზიოლოგიური თვალსაზრისით. ბუნების წიაღში შექმნილ ერთნაირ სოციალ-ეკონომიურ პირობებს ისინი სავსებით გარდაუქმნია. ფშაველების სხეულის habitus საღია და შედარებით შემონახული. თაეის ქალა მრგვალი, სწორი შენების, თითქმის ოვალური მოყვანილობის არის. უკან კიმკიმო დაბალი. შუბლი საკმაოდ მაღალი და ფართო, რომლის კიდურები გრძელდება შესაფერი საფეთქლებით, წარბები ხშირი, შეუერთებელი, თვალები ზომიერი, მოთაფლისფერო, იშვიათად შავი, გრძელი წამწამით; ცხვირი საკმაოდ მოზრდილი, დაკოქრილი, ფართე, ოდნავ წვერ აწეული, ზოგს არწივისებური; წვერულვაში სქელი, ტუჩები ზომიერი; (ბელატი და ქოსა აქაც ძლიერ იშვიათია). ნიკაპი მაგარი, ოდნავ განვითარებული, ყურები საშუალო ზომის, რომელთა ბიბილო ნახევრად შეზრდილია ზედა ყბის ნაწილთან. სახე ზომიერათ მსუქანი, არაიშვიათ შემთხვევაში შეხვდებით პირ-ხმელთაც. არის ბრახიცეფალური მოხაზულობის და დოლიხოცეფალურიც. კისერი დაბალი, მხრები მოუხერელი, როგორც ჰორიზონტალურ ისე ვერტიკალურ ხაზებში, მსხვილი და სწორი; გულ-მკერდი რელიეფური, კარგათ განვითარებული, ბეწვით შემოსილი, ზოგჯერ არიან გაპონა კლისებიც. მკლავები ტანთან შესაფერისად საკმაოდ განვითარებული. ხელი ყველას მამაკაცის, თითები საშუალო სიგრძის, ფალანგები თავ-თავად, თითების მიხედვით, სიმეტრიულია. კანი თეთრი, ელასტიური, კან ქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი შესაფერისად განვითარებული, კუნთთა სისტემა თანაბრათ მკვრივი, მოკნილი, ძვლები მაგარი, მსხვილი. კუჭ-ნაწლავები შედარებით ნორმალური, საღი. მიღებულ საკვებ ნივთიერებას ინელებს ფიზიოლოგიურ წესით. საერთოდ ფშაველების სხეულის კონფიგურაცია არ არის თანაბარ მოყვანილობის და მათში თქვენ შეხვდებით გადამეტებულ უშნო მაღალსაც და მომეტებულ დაბალსაც. ჩაცმულობაც მათი ორიგინალურია: წელს ზედა საცვალი უბრალო თეთრი ნარმის, უშნოთ შეკერილი, რომლის კალთები შალვარს ზემოდანაა გადმოშვებული, ქვედა საცვალს სულ არ ხმარობენ, აცვიათ მარტო შინ მოქსოვილი შალის შალვარი. პერანგის საყელო მაღალია, ხშირად დაგვირისტებულ დაკერილი. პერანგზედ პირველად გადაიცვამენ ისევ. მაღალ ყელიან სხვადასხვა ფარჩებით შეკერილ საგულეს, რიცხვით ხუთს ან შვიდს. ეს ქონებრივ შეძლებაზედაა დამოკიდებული. საგულეს მაღალი საყელო გახსნილია ჩვეულებრივად და მოგაგონებთ საშუალო საუკუნოების მაღალი წრის ესპანურ ყელგადაშლილ ჩაცმულობას. მის გადაშლილ სამკუთხედში ღიათ მოსჩანს ხსენებულ პერანგზე მოკერებული წითელი ფარჩა, რომელიც განსაკუთრებით აღიზიანებს ფშაველ ქალების ხარბ სექსუალურ წადილს. მდარე ხარისხის ქამარ ხანჯალი მოშვებულად არტყია, რის გამოც ხანჯალი უშნოთ ქანაობს წელზე. ზემოდან გადაიცვამენ შავ ჩოხას, რომე-

ლიც უკან ლაბაზათა დანაოკებული. ამაზე კიდევ ტყავის ქურქს, ანდა პირიქით —ჯერ ტყავის ქურქს და შემდეგ ჩოხას, ამას ჩადიან იმისათვის, რომ მეტი შნო მიეცეს ჩაცმულობას, (რასაკვირველია მათებურად). ფეხზე შავი ბაკიკები, ჭრელი წინდა და ქალამანი, თავზე კონუსისებრივი გრძელ ბეწვიანი ქუდი. რომ კარგათ დააკვირდეთ ფშაველის ჩაცმულობას, თქვენ მასში დაინახავთ არა მარტო ფიზიკურ სახეს, არამედ ფსიქიურ „მე"-საც.

რასაკვირველია, ყველაფერი ეს დამახასიათებელია ფლეგმატო-სანგვინიური ტემპერამენტისათვის (მხოლოდ ცოტაოდენი გადამეტებით). ზემოთ შევნიშნეთ, რომ ფშაველებს მარტო ფლეგმატიური ტემპერამენტი არ ახასიათებს, არამედ მათი სიცოცხლის ნიშნები მეღავნდება უფრო არეულ ტემპერამენტში, განსაკუთრებით ფლეგმატიურსა და სანგვინიურში, რომელნიც თავიანთი შინაარსით ძლიერ ენათესავებიან ერთმანეთს.

ჩვენ დაახლოვებით აღვნიშნეთ მათი ფიზიკური ნიშნების თითქმის დეტალიც კი. მხოლოდ დაგერჩა ერთი რამ, სახელდობრ: სანგვინიკის სხეულის კანი რაღაც არაჩვეულებრივ სითბოს იძლევა, რომელიც უცნაურ, მომჯადოებელ ნაპერწკლებს ისვრის დედაკაცების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ფშაეში საზოგადოთ ერთი სოფელი მეორესგან გამოყოფილია და მეზობლური კავშირი თითქმის ინდიფერენტულია, რაც ლაპარაკობს იმ ზეპირ-გადმოცემითი ისტორიულ ფაქტის სასარგებლოდ, რომ თოთქოს ფშავლები არ ეკუთვნიან ერთი მოდგმის ხალხს.

ბუნებრივათ ფშავლები არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი არიან, რაც ერთის მხრივ ახასიათებს მათ ფლეგმატიურ ტემპერამენტს, ამიტომ მათი განსაკუთრებული ნიჭი საესებით გამოუყენებელია და მათთანვე კვდება. ფლეგმატიური ტემპერამენტი გულისსმობს სრულ ინდიფერენტობას, გულ-გრილობას, სიზანტეს, გაუნძრევლობას, სწრაფი მიმღებლობის სიჩლუნგეს.

საზოგადოთ ფშავლები მარტო ფლეგმატიურ ტემპერამენტით არ ხასიათდებიან, ისინი სხვა მრავალ, რაღაც მიუდგომელ თავისებურ სიცოცხლის ნიშნებს ატარებენ. პირველ შეხვედრისას ან გაცნობისას ფშაველის გერმეტიულად დაფარულ ბუნებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაიგებთ, იმდენათ რთულია იგი. ფშაველის შინაგანი ბუნება მახვილი ქაცვითაა დაფარული, რომლებსაც მხოლოდ მაშინ შეამჩნევს უცხო ადამიანი, როცა მით რამდენჯერმე დაიკაწრება. ნელი, თითქმის შეუმჩნევი, მოსწრებული სიტყვა აქვთ. საარსებო ბრძოლის უნარიანობას შედარებით მოკლებული არიან. საუბრის კილო საარაკო, არაჩვეულებრივი, მშვიდი, დარბაისლური, ტკბილ-ხმოვანი, ნორმალურ მდგომარეობიდან არასოდეს გადაუხვევს, საუბარში ტონს იშვიათად გამოიცვლის, არ აუწევს, მისი საუბრის მუსიკალური ინტონაცია A tempo ordinario-ს წესს არასოდეს არ უხვევს, მუდამ ერთნაირი, მაგრამ საამო, ლაპარაკში რაც უნდა ცხარე იყოს იგი ხმას არ აუწევს; არც დაუწევს, და ეგ თვისება ფშავლების სინამდვილეში ბაჯაღლო ოქროს ღირია, რომელიც შესამჩნევათ აწსხვავებს ფშაველებს საქართველოს დანარჩენ კუთხის მცხოვრებლებთაგან.

ყველა ხალხს აქვს თავისი ბუნებრივი ნაკლი—ფშაველებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს, ხოლო აქ ჩვენ აღვნიშნავთ:

ფშაველები თავის ენის მუსიკალობით ქართულ ენას ზედმიწევნით შეგაყვარებთ. იქ ენის სილამაზე იმდენად მძლავრია, რომ ყოველ ნაკლს, რომელიც ჩვენ ზევით აღვნიშნეთ და ქვემოდაც მოვისმენთ, თითქმის ვეღარც კი ამჩნევთ.

სხვა ჩამორჩენილ ხალხთან შედარებით, ფშაველებს სამართლიანად შეიძლება პროფესიონალური ცინიკები ეწოდოს: თავისებურათ მჭირდავნი, დამცინავი, ფლიდი, მულიდი (ჩუმად კაცის მკვლელი), გაუტანელი, მოღალატე, გამცემი, გაუთლელი, ტლანქი მურდალი, (მათივე გამოთქმით), ავკარგიანობაში სრულიად გაურკვეველი, უჯიბრო-შურიანი, ძუნწი, უთავმოყვარო: თავისი თავის მოძულე, დამმცირებელი, ინდივიდუალურათ სავსებით განიავებული—(უპიროვნო პიროვნება), უმეზობლო, მატყუარა, უპირო, უნებო ხასიათის, ზანტი—ფლეგამტიკი, ულაზათო მშრომელი, ცივი ყოფა-ქცევის, წარსულის დამვიწყებელი, აწყმოს შეუცნობი, შეურაცხმყოფი და მომავლის ცუდი მოციქული, მრუში-სანგვინიკი, ბილწი, ხვადგური მიდრეკილების, გულმავიწყი, უამხანაგო, უგრძნო-გრძნეული, უსიცოცხლო სიხალისის, შეუფერებელი სევდიანი, შეუმჩნევი განცდების; როგორც მტერთან ისე მოკეთესთან, ულაზათო, უმარილო, მშრალი, კეთილის უმადურათ მიმღები, სხვისთვის ფიანდაზა, თავისი ქონებით უსარგებლო, ვერ გამომყენებელი, თავის უბედური, გარეშე ვაღიზიანებაზე მეტად მდარე რეაქციის, შინაგანი გამოძახილი სუსტი, უსიცოცხლო, ორიენტაცია გარემოში გაურკვევი, უსინათლო, ბნელი; ყნოსვა, შეგრძნობა, გემოვნება პრიმიტიული.—ერთი სიტყვით ის, რაც ახასიათებს ადამიანის დადებით მხარეებს, ფშაველების ინდივიდუალურ „მე"-ში არის განდევნილი ქვე-ცნობიერების ველში.

სიმღერა მათი ერთხმოვანი, უმოძახილო, უბანო, უპირველო, გაბზარულ ზარისებრივი, მოთქმის მზგავსი, მაშასადამე—უხმატკბილო, დისჰარმონიული. ვუსიკალური სმენა რაღაც თავისებური, ოდნავ განვითარებული, ნახევრად დახშული, საქმიანობაში უშნო, მოუქნელი, უბეჯითო, ხელსაქმიანობაში უსულ-გულო, რასაც გააკეთებს ყველაფერს უშნოთ, პრიმიტიულად, არ ეტყობა სიბეჯითე არაფერში. ზეზეური დაკვლევით თითქოს კეთილი, დინჯი, უწყენი, უდანაშაულო. მოძრაობაშიც A tempo ordinario დაცული; წელ-სწორი, გადაუხრელი, დამოუკიდებლათ აუჩქარებელი, ჩუმ-ჩუმა ეშმაკი, გარეშესთან მუდამ ცრუ, მეგობართან შექსპირის იაგო, მოყვარესთან ცბიერი, წამლღლეტი, გაუტანელი, ლხინში შეუდარებელი მოშაირე, ჭირში მიუბაძი განდეგილი, საერთო საქმეში მიუყოლი, მუკარებელი, საკუთარ საქმიანობაში უცოდინარი, დაბნეული. ერთის შეხედვით ყოველი ფშაველი ცუღლუტია, მშიშარა, მეორე დაკვლევით—ამაყი და მჭუხარა, რომელსაც საერთოდ მონური ბუნება არ ახასიათებს და სერვილიზმი მათში თითქმის უარყოფილია. აქვთ ვნებიანი მიდრეკილება ალკოჰოლისადმი, რაც აშკარად ამეღვანებს მათ გადაგვარების ნიშნებს. მათი ბუნების გამოსაფენათ ფრიად დამახასიათებელია ერთი ცხადი ეპიზოდი ფშაველების დღიური ცხოვრებიდან.

— არაგვის ჭალაზე ცხენით მივიჩქარი. გზის პირად ხუთი კაცი შეეამჩნიე. მართალია იმ ხუთში ორი მიწაზე გორაობდა, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია, რადგანაც მეგონა თამაშობდნენ და გზა განვაგრძე. ჩემთან ერთათ სხვებიც მოდიოდნენ ცხენებით. უკან ჩამორჩენილი ჩემი თანამგზავრები შეჩერდნენ ფშაველებთან. მეც მივიხედე და თანაც მათთან მივბრუნდი. დავინახე ფრიად ორიგინალური სურათი. ფშაველებიც ცხენებით იყვნენ. სამ მათგანს ცხენებიდან ჩამოხტომა არ ენებათ და ორ მოჩხუბარ ამხანაგს, რომელნიც ერთმანეთს გულდამშვიდებით ახრჩობდენ, დაჰყურებდენ ზევიდენ. ერთმა ჩემმა თანამგზავრმა მათრახი გადაჰკრა მოჩხუბართ და ისე დააშორა ერთმანეთს. ჩხუბი კი მოსვლოდათ ორ ცარიელ ბოთლზე. ხუთივენი ერთი სოფლისანი იყვნენ. ჩემთან ერთად ყველა თანამგზავრმა გაკვირვების ნიშნად თავი გააქნია და წამოიძახეს: „რა უცნაური რამ ყოფილან ეგ ფშაველები!"

ფშაველებს ისიც სჩვევიათ, რომ მტერს მისავე ძმას შეუჩენენ მოსაკლავად და მერე თუ საქმემ მოიტანა, მასაც მოკლავენ.

ჩვენი დახასიათების სისწორეს, ვფიქრობთ, ადასტურებს ეახუშტის შემდეგი სიტყვები ფშაველების შესახებ:

„არამედ ესენი ვერად ქებულნი ბრძოლასა შინა და უფროსად ხევსურნი და უმეტეს ბრიყვნი მთიულთაგან და უზნეონი".

ფშაველ დედაკაცის დახასიათება

ფშაველი დედაკაცები უაღრესად ქალური ბუნების სრული განხორციელებაა და ატარებენ გაცილებით მეტს სიცოცხლის დადებითი ნიშნებს, ვიდრე ფშაველი მამაკაცები. ფშაველი ქალები საზოგადოდ ქალური ბუნების, თვისების და ხასიათის მდიდარი გვირგვინია, რომელიც რაღაც სასწაულით შერჩენია ფშავის ხევს. მათში საკმაოდაა შეზავებული ქალური სინაზე ჯიოკონდას შემპარავი, მორცხვი ღიმილით, მშვენიერ სხეულის მიუბაძი მოქნილობის იდილია, მოძრაობისა და მომხიბლავ ინტონაციის, მუსიკალური საუბრის, მკაცრი დისციპლინის A tempo ordinario, რაც უეჭველად მტკიცე საფუძველია მათი საღი ბუნებისა.

ამგვარად ჩვენ საკმაოდ შევეხეთ ფშავ-ხევსურების სიცოცხლის ძირითად გამომსახველ ტემპერამენტს და დავინახეთ, რომ ეს ორი ხალხი, თანაბარი მთის კალთებზე დასახლებულნი, წარმოადგენენ ინდივიდუალურ ბუნების სრულ კონტრასტს.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

მოსახლეობის მოძრაობა ფშავ-ხევსურეთში

დაახლოებით მთელ ხევსურეთში სამი ათასი კომლია. ორი-სამი ათეული წლის წინად ხევსურეთში თითქმის 5-6 ათასი კომლი იყო. როგორც ვხედავთ, ამ ჟამად მისი მოსახლეობა განახევრებულია. ყოველ წელიწადს აკლდება მას ხუთიოდე კომლი. ხევსურების ყოფა-ცხოვრება მთლიანად აქაც თავისებურებას ჩემულობს. მთელი ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის უმრავლესობა დასახლებულია თითქმის მიუვალ მთებში. ეს მთა-კორტოხები მაინცადამაინც არ არის ნოყიერი და მაშასადამე ისინი თავისი დახარისხებით შედარებით უმოსავლოა. მეტ შემთხვევაში ფშავ-ხევსურები საქონლის ნეხვით ანოყიერებენ საყანე ადგილებს. ხსენებული ადგილები არც სხვა რაიმე წყაროებითაა მდიდარი და შესანიშნავიყველაზე უფრო საგულისხმო ფშავ-ხევსურეთში არის მეკვე წყლები, როგორც მაგალითად, სოფ. ხახმატში, ღულში, ღიქოკის ხეობაზე—ჭალის სოფელში—კიდევ მას ზევით და ფშავში, სოფ. გუდარახის ძირში, სოფ. ჩარგლის პირდაპირ, რომლებსაც შეიძლება დავარქვათ—უმთავრესად, თავისი ქიმიური შემადგენლობით, რკინის წყლები. სხვა ბუნებრივ სიმდიდრეს ფშავ-ხევსურეთის მთებში პირი არ უჩანს. თუ ვინმემ რაიმე გზით შესძლო შეეკრა ფშავ-ხევსურების ყოფა-ცხოვრების ვიწრო ჩარჩოებში, ის მაშინვე შეამჩნევს, რომ ისინი უსათუოთ განიცდიან უაღრეს ეკონომიურ სივიწროვეს და სიღატაკეს. თუ ჩვენ ყველა ამას ზედ დაუმატებთ იმ უცნაურ ზნე-ჩვეულებებს, რომლებიც ათეული საუკუნოებითაა ძირ-გადგმული ფშავ-ხევსურების ყოფა-ცხოვრებაში, მაშინ ქვემოდ მოყვანილი სტატისტიკური ცნობები ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობათა მოძრაობის შესახებ უფრო ნათელი იქნება ჩვენთვის. მთელი ხევსურეთი შესდგება ოთხი თემისაგან: არხოტის, ბარისახოს, ბაცალიგოს და შატილის. ფშავის ხეობა კი ორი თემისაგან: მაღაროსკარის და უკანა ფშავის, ე. ი. არის წინა ფშავი და უკანა ფშავი, ისე როგორც პირაქეთი და პირიქითი ხევსურეთი.

დიდ რაოდენობას არც ფშავის ხეობის მოსახლეობა შეადგენს. მთელი ფშავის ხევი დაახლოებით გულისხმობს 2500 კომლს. ცხოვრების პირობები აქაც იგივეა, რაც ხევსურეთში. ფშავლები ისეთ ეკონომიურ სივიწროვეს განიცდიან, როგორც ხევსურები. ფშავ-ხევსურეთის სოფელთა მოსახლეობის რაოდენობა დიდი რიცხვით არ ხასიათდება. ზოგ სოფელში ხუთი კომლია, ზოგში ათი და გამონაკლის შეადგენს 25—30 კომლით დასახლებული სოფელი. მთელ ხევსურეთში გამონაკლისია სოფ. შატილი, რომლის მოსახლეობა 50 კომლისაგან შესდგება. ასევე ითქმის ფშავზედაც. ხოლო ზოგი ფშაური სოფელი ერთიან ორი კომლისაგან შესდგება. მოსახლეობის მოძრაობის სტატისტიკურ ცნობებ...

ნათელ საყოფად ჩვენ ავირჩიეთ უფრო დიდი სოფლები, როგორც ხევსურეთში, ისე ფშავში *).

როგორც წინად არა ერთხელ მქონდა აღნიშნული, ფშავ-ხევსურეთში საზოგადოდ რაიმე სტატისტიკური მასალის შეკრება წარსული ცხოვრების გასაცნობათ დიდ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან არავითარი რეგისტრაცია არ ტარდებოდა.

დროთ ავიღეთ 10 წელი და მივიღეთ შემდეგი ცხრილი:

ხევსურეთი	ათი წლის განმავლობაში									
	კომლი	დაიბადა	გარდაიც.	მამაკაცი	ქალი	ბავში	ფათერაკით გარდაიც.	გადასახლდა	დაბრუნდა	სხვა სოფლიდან გადმოსახ.
სოფ. ბარისახოში .	26	26	20	10	7	3	11	9	არავინ	—
„ მოწმაოში .	22	6	11	3	6	2	4	1	არავინ	—
„ აკუშოში . .	18	14	12	4	4	2	2	8	3	
„ დათვისში . .	25	17	28	17	5	6	7	3	1	2

ამ ცხრილიდან მკითხველი ადვილად დარწმუნდება, თუ რამდენად უცნაური და თავისებურია ხევსურეთის მოსახლეობათა საკამკრო **) მოძრაობა და რამდენად დამფიქრებელია იგი. ცხრილის მიხედვით—სოფელ მოწმაოს და ბარისახოს მცხოვრებნი პირდაპირ გადაგვარების თხრილთან დგანან, რომლებსაც ერთი უკან მოხედვაც კი სრულიად დაღუპვას უქადის. თვით ხევსურები ამ სამწუხარო მოვლენას არ უფიქრდებიან და ესაა მთავარი მიზეზი იმის, რომ ისინი ასე შეუმჩნევლად გადაგვარების კარს მიადგენ. აქაში ქვევით უფრო დავრწმუნდებით. მაგალითად, სოფ. როშკა (ხევსურეთშია) 31 კომლიდან შესდგება. 10 წლის განმავლობაში ამ სოფელში დაბადებულა 31 სული, გარდაცვლილა 11 მამაკაცი, 17 დედაკაცი და 14 ბავში—სულ 42. მათ შორის ფათერაკით დაიღუპა შვიდი. ორი გადასახლებულა, რომელთაგან უკან არავინ დაბრუნებულა.—სოფ. ბისოში 18 კომლია. 10 წლის მანძილზე დაიბადა 21, გარდაიცვალა 13—აქედან 7 კაცი, 2 დედაკაცი, 4 ბავში, ფათერაკით მოკვდა ორი, გადასახლდა 3, დაბრუნდა 3. სოფელ გუდანში 17 კომლია. 10 წლის პერიოდში დაიბადა 15, გარდაიცვალა 10, მათ შორის—4 კაცი, 3 დედაკაცი, 2 ბავში; გადასახლდა ერთი, დაბრუნდა 1, ფათერაკით დაიღუპა 3. როგორც ეხედავთ მდგომარეობა დამფიქრებელია. მგონი გადამეტება არ იქნება, რომ ვსთქვათ: ასეთი მოძრაობა, მაგ., დასავლეთ საქართველოში შესაძლებელია ზოგიერთ კერძო ოჯახშიც მოხდეს, განსაკუთრებით რაჭაში. ამ მხრივ დიდი განსხვავება არც ფშავშია; რომ დავრწმუნდეთ მოვიყვანოთ ცხრილი:

*) ყველა ამ სტატისტიკური ცნობების მისაღებათ ჩვენ დავიხმარიეთ, როგორც ხევსურეთის, ისე ფშავის საიმედო პირები და მათი გადმოცემა ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობათა შესახებ—შევუფარდე ჩემს საკუთარ შედარებითი კვლევა-ძიებას კომლობრივი დაკითხვის სახით.

**) ეამკრობა ფშაურად ნიშნავს დაბინავებას, დამკვიდრებას.

ფშავი	ათი წლის განმავლობაში									
	კოლი	დაბადა	გარდაიც.	მამაკაცი	ქალი	ბავშ.	დათვრა-ლი გარ.	გადასა-ხლდა	დაბრუნ-და	სხვა სოფ. ოდან გადმოსახ.
სოფ. კაწალხევში .	31	36	21	13	5	3	3	2	1	—
სოფ. ხოშში . . .	30	25	23	11	10	4	1	3	1	—
სოფ. შუაფხოში	22	15	17	1	5	11	4	5	1	1
სოფ. მათურაში	26	13	20	14	—	6	11	10	2	1

ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის მოძრაობის მხრივ ჩვენთვის აქ საყურადღებოა ის სამწუხარო ფაქტი, რომ საერთო სიკვდილიანობასთან უფრო მეტად დაკავშირებულია უბედური შემთხვევით დაღუპვა. აქ უნდა ვსთქვათ ის, რომ ფშავ-ხევსურების მოძრაობითი ცხოვრება საესებით გამონაკლის შეადგენს სხვა ხალხთან შედარებით.

ფათერაკით სიკვდილი ვრცელდება როგორც ფშაველ ისე ხევსურ დედაკაცებზედაც. აგრეთვე ფათერაკით სიკვდილი გულისხმობს თვითმკვლელობასაც, რაც არა იშვიათია ფშავ-ხევსურების ცხოვრებაში. ამ ათს არსებითი ელემენტს: მოსახლეობის რაოდენობას, დაბადებას, გარდაცვალებას, ფათერაკით სიკვდილს, გადასახლებას, დაბრუნებას, გადმოსახლებას და სხვას, უმთავრესად სარჩულად უდევს რეალური ცხოვრების ეკონომიკა. ფშავ-ხევსურები ცხოვრების სინამდვილეს პირდაპირ სტვრეტს, განიცდის. მათი გადასახლების პირდაპირი მიზეზი არის ეკონომიური მდგომარეობა, საარსებო პირობების გაუმჯობესების სურვილი, უკან დაბრუნებისაკენ—ახალ ადგილ-მდებარეობასთან შეუგუებლობა. ისინი, ვინც შესაფერეს ადგილს გამონახავს—თავის წინანდელ ადგილთან შეფარდებით—სამუდამოთ რჩებიან ახლად ჩასახლებულ ადგილებში. ამისათვის ისინი (ფშავ-ხევსურები) წინდაწინვე ნახულობენ, ეძებენ ახალ „დასაკამკრებელ“ ადგილებს. აშენენ, გაზომენ, დაფიქრდებიან და მერე გადასახლდებიან. არის შემთხვევა, როდესაც ასეთები არ ხდება. მაგალითად, როდესაც ხევსური ან ფშაველი ნაუცბადევად ირჩევს ახალ საკამკრო ადგილს, მაშინ ხშირია ისევ ძველ ნასახლარზე დაბრუნება. ზოგჯერ ასეთი შემთხვევაც არის: საღ მთის ჰაერში აღზრდილი ცხადია ვერ გუობს ეწერის, ბარის მძიმე ჰაერს და ისინი ხანგრძლივად (ქრონიკულად) სნეულდებიან, ანდა სრულიად იხოკებიან. ამის მაგალითი მე თვითონ ვიცი მრავალი. იყო რამდენიმე შემთხვევა, რომ გადასახლებული ხევსური ან ფშაველი ვერც ახალ ადგილს შეგუებოდა და ვერც ძველ ნასახლარს დაბრუნებია, ე. ი. სრულიად მომსპარა, განადგურებულა. აი სწორეთ ეს სიკვდილე ფშავ-ხევსურთა ცხოვრებისა გვეუბნება, რომ რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ამ კუთხეს. ყოველი კულტურული და ეკონომიური ნაბიჯი, რომელიც იქნება გადადგმული ამ მიუვალ მთებში—ნამდვილი და დიდი აგური იქნება იმ შენობის, რომელს სინონიმად უნდა გადაიქცეს ფშავ-ხევსურების ეკონომიური და კულტურული აღორძინება.

სტუმართმოყვარეობა და დაფასება უცხო მოყმისა.

ფშავ-ხევსურები, როგორც მრავალჯერ გვითქვამს (და ეს ჩვენ შედარებით დავამტკიცეთ), მათი ყოფა-ცხოვრების მიხედვით ბევრ რამეში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმც ზოგიერთ ზნე-ადათებში ისინი ენათესაეებიან ერთი-მეორეს. მგონია, რომ ამაში დარწმუნდა კიდეც მკითხველი. ალბად ბევრს ვაუგონია, რომ ხევსურეთში იცვან ძმად შეფიცვა, რაიც გამოიხატება შემდეგში: ხევსურს თუ ვინმე დაუახლოვდა ან მოეწონა, მაშინ იგი მას ნდობას, ძეგობრობას და ძმობას უცხადებს. რომ ამ ძმობა-მეგობრობას უფრო მძლავრი ფუძე დაურჩეს სამერმისოდ—ამისთვის უცხო მოყმე და ხევსური არაყით სავსე ჭიქაში ჩაფხეკენ ვერცხლს და ნიშნად მარადი ხსოვნისა ვერცხლით არეულ არაყს ორივე მხარე გადაჭკრავს, რის შემდეგაც ისინი რჩებიან მეგობრებად სამუდამოდ—და, რომელსაც მათებურად ეწოდება ძმად—ნაფიცნი. ეს ძმად გაფიცვა შეიძლება მოხდეს განზრახ—ორგულობით, უსულგულოდ—ან სავსებით გაიძვერულ ნიღაბში, რაც არაიშვიათად ხდება უცხო მოყმის საძმო ურთიერთობის გამომჟღავნებაში. როგორც ვხედავთ ამ ლამაზ ჩვეულებას აქვს თავისი ცუდი მხარეც. თუ ძმად გაფიცვა გულწრფელია—ის მაშინ ექვემდებარება იმ საერთო ქართველურ თქმულებას, რომელსაც ქართველები ხშირად ამბობენ: —„ძმა—ძმისთვის, შავი დღისთვის"-ო.—ამ ყარაჩოღურ ჩვეულებას ხევსურეთში ყოველმხრივად ახასიათებს ერთი ხევსურული ლექსი, რომელიც აქეს ბოგვეყავს:

ყური დამიგდი ვაჟებო, ახალ თუ გინდათ ლექსია,
აქამდის სხვის სხვებ ვალექსე, ახლად იმედას*) ვეტყვია,
ძალიან უნდა შავება დევების ამომწყვეტია.
ერთხან გაზაფხულ დათოფნა, აღარ აყენებს კლდეჩია
ერთხან შინ შამეეყარნეს წინ გარდით გამეესრია
ეგ რომ გაიგეს დევებმა, ამააფხაეს ხმლებია
ერთმანეთს ეუბნებიან, ხიტალეს გადმეეჩვია
ამანდით ჩამაძავალსა უნდა შაუკრათ გზებია.
შაშინდა ვოშლოკინაი**), თავდალმ შეძვრება ტყეჩია
შაუგმ თავდოლაბამა, არ გიდგას კაკის წესია,
იმედა როგორ გაშინებს, სულო ამოართომ ყელჩია
ომ იქნა სახიტალოსა, ხალხ მოხვდა ერთმანეთჩია,
იმედას ხანჯარ უქნევავ, დევმა ხელი კრა ხელჩია
წვერ-წაღმა დასცა ხანჯარი, ფართიფად გააგდებია
გაგორდა ბაჭიჭაური, ტოტით დაბღუნავს ხევჩია.
დევებს დაუდგა წკმეტუნი, ხელ გამოუტა კვდებია,
შეღამე გადაიყარა, მეშვლები ძლივსა დამხვდრია
უყურეთ კაცის დავლათსა, ცოცხალივ გამაეტია,
წაგვლალნეს კაცს-შუა-კაცი, წაგვაყვანიეს ვერძია

*) იმედა—ვაჟის სახელია
**) ვოშლოკინა, თავდოლაბა—დევის სახელებია.

აგებ რიგს დაიყენებდით, მამკლავ-მამკლრობის წესია,
ჩვენის გულისად დაწვალდი, მე შამომზადეს ერთია,
ბეწიწურ გამამაყოლეს უფრო ბევრაათ ხვედრია,
დევთ სასტუმროს მიეედით, ნარევთ გზებია, ცეცხლია.
ბეწიწურ გადაიხთინა მარჯვნივ დაისვა გვერდია.
მადლობელი ვორ ის უთხრა, შენ თუ აქ მოგვიხვევდია
ავსტეხეთ სასაუბროი კაც-შუა-კაცის წესია
გადაუყარეთ ქუდები, ხვეწნას არ შარჩა ბეწვია,
გახტა თავდოლაბაი, არც სუ არ აგვატეხია
გადმაიტანა ჭურჭლები, საფი ოთხ დადგა ყვებჩია
გადმააყოლა ყანწები, დიდიდებ ჯიხვის რქებია
ერთა ჩემ სწორა ხყვანიყვა, სახელად ერქვა პეტრია
ის მითხრა გეძმაბილები, არაყს მოგართომ რთველჩია
ბეწიწურ გადმამიბღვირა, დევებს რა ხელ აქვს ჩვენჩია
ფეხებზე მკიდავ ვაქებო, დევებთან ფიცი ვერცხლია
კინაღ ერთმანეთ ჩავჭერით ერთხან მეც წამოვედია
მაიღეს ვერცხლის კოკობი, ძმობილთად ჩასაფხეკია
დეკანოზ გადმაახთინის, კულას შაუგავს მხრებია
ფეხნ რაიმ ედგენ მრუდადა, თვალნ ესხდეს ყური ზეთია
აგრე წკვინებდეს დეკანოზ--- გველთ ნალოკარი მზე ჩია
სასიკეთეო სიტყვაი ბოლოს დევებსა ეთქვია.
იმედას კაც წაულალე, ცხენ მაიყვანე ცხენჩია
კასადა მყავი ჯერანი, განივრადა დგას მკერდჩია
სატირელ გადმაიტანეს, მატირალ შამაეხვია
ის უთხრეს ძმეთ მატირალო, იტირე ჩამაჯედია
დევის ხმალ გადმააწვადის, შვიდს წელს ნადები ჭერჩია
მხედრებს არ სილა აკვალებს, ჭირის პატრონიც ეგია
ამბობენ თვალ-საცერაი, მხედართა წინალმდეგია
ცხენს აქებს თავდოლაბაი: ჩემ ცხენ ყველაზე მეტია
ძალ უქნავ ორ-წყალ შიგითა, მონა მაუდის გზებია
საირმიაჩი შავ-წვერი ცხენ ტაბლის გამომღებია
ამაგის მალექსობელი დევების ძმობილ ხედებია
მარტუამ არა ვიამბე ამხანიკებ მყავ ბევრია.

უცხო მოყმისადმი ყოველი ხევსური იმდენად გულგახსნილია, რამდენადაც ესა თუ ის გარეშე მოძმე ახლო ენათესავება მას,—არ შეურაცყოფს მის წმინდათა წმინდას, რაც მისთვის ძვირფასია და საყვარელი. ნურავის ჰგონია, რომ ისინი ვერ სცნობენ ავსა და კარგს, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავისებურად, თავის გაგებით. მოვიყვან ხევსურულ სტუმართმოყვარეობის დამახასიათებელ ერთ პატარა ამბავს:

—ზაფხულის პირველ დღეებში ხევსურებს ვესტუმრე ხატში. მივედი თუ არა, ყველა ხატიონები ფეხზე წამოდგენ და გახსნილი სახით მოშეგებ-მომესალ-

მენ. თავისებური სკამი დამიდგეს და მთხოვეს დავმჯდარიყავ.—მე დავჯექი.— ბაშინვე ორი ხევსური მოვიდა ჩემთან და ლუდით სავსე ვერცხლის თასებით ცალ მუხლზე დაიჩოქეს (მათ ასე სჩვეეიათ საპატიო სტუმრისათვის) და ორივე ერთად მაწვდიან ლუდს.

— ლუდი ბევრი გაქვთ?—შევეკითხე მე. ერთმა მათგანმა ასე მიპასუხა:

—„გიორგი, შეიძლება ჩვენთვის სულ არაფერი გექონდეს, მაგრამ საყვარელი სტუმრისთვის ყველაფერი გვაქ"-ო, და თან ლუდი ჩამასხეს პირში.

აი კიდევ მეორე მაგალითი:

პირ-იქით ხევსურეთიდან ჩემთან მოვიდა ხევსური და ორი დღის სასიარულოზე ავადმყოფთან წამიყვანა. ეს ისეთი წლის დრო იყო, როდესაც სუსხიან ზამთარს ხევსურეთში ჯერ კიდევ ფეხი არ აედგა, მაშინ როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში გაზაფხულის დღეებია. ავადმყოფთან გავემგზავრე საგზლით. არხოტის გადასავალს, სოფ. ბლოს თავზე რომ ავიეკეთ, დაღამდა კიდეც. მე და ჩემი თანამგზავრი ერთ-ერთ მთის წყაროსთან დავბინავდით. არხოტის მთის მწვერვალს რაღაც ბნელი ბურუსი კადაეფარა თავზე, ღამე შეუერთდა და მთელი მთის გუმბათმა საშინელი წყვდიადის ნაბადი წამოიხურა. ჩვენი თანამგზავრი სადღაც მიეფარა. ცოტა ხნის შემდეგ ის დაბრუნდა და ერთი დიდი კონა მჟაუნა მოიტანა. გამწარებულად გვშია. ცხენებს მოუსალთიდ და ბალახს მიუშვით. მადიანად ვივახშმეთ. წყვდიადისებური სიჩუმეა. დრო გამოშვებით ხსენებული მთის გუმბათი ნისლს გადიყრის და ლაჟვარდოვან ცის ვარსკვლავნი თითქოს მორცხვად გეიცინის. დაბერებულ მთვარეს პირი არ უჩანდა. მწვერვალს ისევ ნისლი გადაეფარა. კვლავ—წყვდიადი. დაქანცულებმა ცხენები საბელით ფეხზე მივიბით, ნაბადში გამოვეხვიეთ, თავი უნაგირის ბალიშზე მიედევეით და ერთი პირი მაგრად მიგვეძინა. აღმოსავლეთის ცის ჰორიზონტთან განთიადმა გაიცინა. ავდექით, ცხენები შევკაზმეთ, მოვახტით მათ და არხოტის მთის კორტოხს ნახევარ საათში გადავაბიჯეთ. დილის ოთხ საათზე თოვლის ზოდებიან ფერდობზე დავცურდით და ორ საათში ავადმყოფთან გავჩნდით. ავადმყოფს დოღში მარცხენა ფეხი და მარჯვენა ლავიწი მოეტეხა. მივიღეთ სათანადო ზომები და ავადმყოფს ტაბაშირით შეუხვიე. მესამე დღეს დავბრუნდი. წამოსვლის დროს ავადმყოფის მამას ცრემლები მოერია და ასე მითხრა: „გიორგი, შენი მოსვლა ჩვენთან ჩვენი იმედი და სიხარული იყო, წასვლა კი უსაზღვრო მწუხარებაა"-ო—მოხუც ხევსურმა ცრემლიანი თვალებით ერთი კიდევ შემომხედა და სასოებით გზა დამილოცა...

ხევსურული ლექსები

ლექსი ხევსურის მიერ მეორე ხევსურის მოკვლაზე *)

აეხლად მოდის ზაფხული, ბალახი დაჰყრის თრთვილსა.
ვაეისა ველთ გასულისა, მოვლა კარგი ას მთისაო.
მთიდიმთივ შემოვიდოდი, ბრძანება იქნა ხთისაო,
ტირილით ამომხდარიყვა ცისკარი თენებისაო.
ამოეყოლა მაცნეი, ამბავ მაეღა ყმისაო.
საბუდრად ჩამასულიყო ყორანი შუღაშისაო.
აყვავდა ხილი შავადა, გახმა ფოთოლი ტყისაო,
დაგუბდა წყალი მდინარი, მთელი ქეეყანა ხკვირსაო.
ზედ ისხდეს მტრედნი ლამაზნი, ცრემლით იბანდეს პირსაო.
მაშინ თქვეს გადაუვლავის გოგოთურაის შვილსაო;
მეც ვნახე გადანავალი, გადაეკვალა ქვიშაო
შატილ ჩავიდა სულხანა, სანგალ მაივლა ქვისაო,
ღმერთო შამყარეე ამბობდა, ურჯულოს ქისტის შვილსაო;
შუადღის დრო რომ მავიდა, მგზავერი ხშირ-ხშირად დისაო.
დაადვა თოფის ლიშანი, მარჯვენას გულის პირსაო.—
არვიც დურბინის ბრალია, არვიც მე რაიმ მჭირსაო;
ქისტურად ტალავარი სცვავ, სერი აქვს ხევსურისაო.
თოფის ხმას დახყვა კიეილი გიგიათ აბაისაო,
დაიპერს ბოლოშიითა მამაი თავის შვილსაო,
ეშველას, რას ეშველების, გულს ნატყვიარი სჭირსაო,
გიგიათაი აბაი—შუქ დაიკრიფა მზისაო!
ახლები შატილიენები ერთად შაიყრის პირსაო.
ორწყალაში რო შამავლენ, სინათლე იქნა დღისაო
სულხანას ის არ ეგონა, შამავეყრები გზირთაო,
დატყვრების არშავიანი, ზედიზედ გამოდისაო,
სულხანა შემოაწვინეს, ცისკარი თენებისაო.
თქვენ იცით, ამხანაგებო, აეხლა ჩემის მტრისაო.
აეხლა ღმერთმა გაცხონოს, შამქოთებელო მთისაო.
სულეთში ჩამაიყვანეს, ოქროს ჩიკაზე ზისაო.

---

*) ხევსურული წესით,სისხლის აღება ვრცელდება ყოველგვარ მკვლელობაზე, ე. ი. რა-მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული იგი, თუნდაც უცაბედი შემთხვევით, შურისძიება მაინც მოხდება.

ხელში უჭირავ ფანდური, ლარ-უდე სპილენძისაო.
გუდელას დამჩა ციხეი, ნაგები ბასრის ქვისაო,
სახლ დაგრჩა კირით ნალესი, ნადგომი ვაკის პირსაო
კარზე ნაბამი ლურჯაი ფხვრიალებს, უცემს ცხვირსაო.
ქერხოთ ჩამოდის დგრიალი ნალესი ფრანგულისაო.
მელექსეს ვერას გაიგებთ, წყლის სათავეში ზისაო.
სალექსოდ გამომიგზავნეთ, ყანწ მაინც იყოს რქისაო
დავასხა შაშანდობარი. სწორებს დაეყუდა პირსაო.—

* * *

თავ-თავად მოხდა ლაშქრობა თავ-თავად დასხდა ჯარია.
შასძახეს თავ-თავადადა ფუნჩიას ახყვა ჯვარია.
არ გაქვის გამარჯვებაი, დაბრუნდი ჩემნი ყმანია
სამის წლის ვადით შამეხსნა ფხა-სისხლიანი ხმალია
შიშით ქადაგობს, ფუნჩიავ, არ გაქადაგებს ჯვარია.
აბა თუ შიშით ვქადაგობ, გეკნებით წინა-მძღვარია.
თქვენ თუ მშვიდობით იდინათ, მე კი მომჭრიდით თავია,
ამაშინ მავჭრით კალთასა, დარბაზს რა დასხდას ჯარია
ხევსურთა საშუალამოდა შუ მითხოს დასცნეს ცანია
ჩაწვეს, ჩადაგეს მითხოი, ცას გაადინეს ალია.
ატირეს დიაც-ყმაწვილი კალოდ გალეწეს მკდარია
ამაიბრუნეს ხარ-ცხენი ტყვიას მიუდის ჯარია
დავითავ მარაიშვილო, მშვენიერ გიდგას ტანია.
ეგრე აღბრუნდი ტუტილში როგორც კალოზედ ხარია
ეგრე გხდებოდეს აბჯარნი, როგორც მანძილას რქანია,
გამაიკითხე ახვაი: მემეტე რომენ ხარია?
წამაგაგების ახვამა ქემხათ ნაკერი ტყავია
ერთ ხელით ტყავი მააქვის მეორით ხელით ფარია,
ფარს დახკარ, კაცსა-გაღვარდა, მიწაზე ცხროვობს ტანია.
შენსა ნასრევსა, დავითავ ეზიდებიან ცხრანია.
ამაგის მალექსებელი მეც შიგ ნატანებ ვარია,
აიქით გამომაქციეს, არლოს დავხიე წყალია.

* * *

მოყმემ*) თქვის პირშიშველამა: ქედნ გაეიარენ კლდისანი
გაეიარენ და გავლახენ ბილიკნი ჭიუხისანი.
ვეფხსა შავღვარდი ნაწოლსა, თვალნ იყვნენ შუღამისანი.
ადგა და შამამეომა, თვალნი მარისხნა ხთისანი.

*) ეს ლექსი ერთ-ერთ ვარიანტთაგანია 78 გვერდზედ მოთავსებულ ლექსისა.

კლდეთ ყურეს ჩამომიტანა, ჩავაწითენით ქვიშანი.
ქნევას მოეღალე მაჯანი, ვადან დავსცვითენ ხმლისანი
ნელ-ნელა გასპრა ფრანგულმა, ხან იქნეს წაქცევისანი.
ნადგეგდ გამართვნა კალთანი ჯაკვისან, ბექთარისანი.
მოეეკალ, ატირდებოდეს იანი ჭაუხისანი.
სულთ მაელოდეს ეშმაკნი დარალიანი კლდისანი.
ჩემია დედასა უთხრიდით არ გინდან ქადაგ-მისანი
სწორებს გამიგებივას, შიბნი დაძივნან კლდისანი
წყლის პირში ჩამოსული ეორ, ხავსნი მოვძოვენ წყლისანი.
დათაც კი გამიგებიათ, ნაჭაპნი დაჭრნან თმისანი
გზანიც კი ახყეავდებიან, ცხვრისანი, მემცხვარისანი.
წყალს იმათ გამომახდინეს, ხიდნი ჩამისხნეს სხლისანი

* * *

შენკენ წამავედ, ქალაო, შავღვარდი გველის ჯარსაო.
სულ ყველამ დაძრა ენაი, შენ ფერ სხვას ირჩევს ყმასაო
ვთქვი მაშინ გული-გულშია: რად არ შავიბამ ხმალსაო?
ყველასამც ეგრ მაუა, ქალ ვინც დაენდოს ქმარსაო.
კოხტასა გადიდებულსა, წვერ უხვეველსა ყმასაო.
მავიდა ლაშქარშიითა მთვრალი შუღამის ხანსაო
კარზეით შამამიძრახა: არ გამიღება კარსაო?
ავდექ, ავანთი სანთელი, დავიცვი ლერწმის ტანსაო.
ჩქარად გაუღი კარები თვალ-წამიათის ხანსაო.
ოქროს მივართვი ჩიკაი: კნიაზ, დაბძანდი სკამსაო.
მე საკოცნელად მამინდა, იმან ხელი მკრა ყბასაო.
თავისად დაიჯუმჯუმა: ძაღლო, ჩაღბარდი ძმასაო!
შავი შავკაზმე შავრაი, შავ შავ-წყვიტე გზათაო
თავ რაიმ შამავიბრუნე მაბგელებდის ხმალსაო
დავჯე, დაეიწყე ტირილი: ნუ მომკლავ ხორას ქალსაო
არ ვიცი ხარამ-ხურამთა, გაგასრევიებ თავსაო
გარდამავალო ყორანო ჩემთა გაბარეგ ბრალსაო.
გარდაეს გადაუძახე შალვათ ივანეს ძმათაო.
დასა გიკრიან, გიკაფვენ, წყალში გიყრიან მკვდარსაო
გააკვრენ ხორაის გულსა, გააქანებენ ზღვასაო
ჩემსა დედასა უთხრიდით იყიდნოს ჩემნი თმანია.

* * *

კვირა დალამებადა მთად გადაეიდეს მზენია
გაწირეს შურის ციხეი, სიმაგრე იყო ძველია
ვისაგან აგებულიყო, ანდერძ არ არი —ძველია.
ეგონებ მერძენებული ხქეიან, ხელ ხქონდა საკვირელია
ამაგის აგებაშია თორმეტ მაუნდა წელია.
ოცი მაუნდა ქაჩალი, ორმოც ქვის სამტერევ კვერია
რო დაგასრულეს, ციხეო, კარი შაგაბეს სქელია
ხევის ბერს აკურთხებიეს, მაშინ არ იყო მღვდელია
შამაგითვალეს ციხეო, ვინც მოგერევის მტერია
ბევრამ გებრძოლა, ციხეო, ვერ დაძრა ლიბუ შენია
ზურაბმა ერისთვიშვილმა ვერ შაგიცვალა ფერია
ბევრჯერ მოლალა ჯარები, დაბრუნდა ცალირეია
ქრისტიანობის წესზეა, კარს ედგეს ალვის ხენია
ციდან გადმოშობილი, შიბი ცხრა-კეცი გრძელია
მაგას ჩამოსდის მირონი, ძირს უნდა დიდი ქვევრია
სულ რო ალვის ხე არ მოსჭრა, ეგ უფრო საკვირველია
ღულელი რაიმ ყოფილა, ალიშაური ბერია
სუმელჯიმ წამალ ასწავლა, ალვისხეთ მოსაჭრელია
თქვენ მაიყვანეთ ციცაი ციხის ძირს დასაკლელია
სუმელჯის თემლაკ აჩუქეს, ხმლის ვადათ შესამბელია
ერთი სახედარ აჩუქეს, ბაგაზე დასამბელია
როსაც დანათლის ალვის ხე, მაშინ ახადეს ფერია
რო წამაიქცნეს ალვის ხე ციხეს გაგლიჯეს წვერია
შიბ გაწყდა, ცისკე წავიდა, იწივლა როგორც გველია
თან გაიყოლა ალვის ხე, ძირ არ გასწირა, წვერია
ის ღულელნ სულ ამოსწყვიტნა, წერილში ეგრე სწერია

ფშაური ლექსები

* * *

დედა ობოლის დამყრელი,
ძმის მომკლავს ეფარებოდა,
უბეში ესხდა გველები
ძუძუებს ეტანებოდა.

* * *

ფრუშკავ, ნუ სწევ პაპიროზსა
სად გიზიდოთ მუგუზალი,
რად გინდა რომ მაგასა სწევ
ეგ ღვთისაგან უკურთხავი.
შენ ცეცხლის ზიდვას მოუნდა:—
ორი რძალი, ორი ქალი
მაშინის ტრუბასავითა
სულ ბოლ გაგდის, სულ ხუმფალი
ეგ თუ კარგ იყოს—მოსწევდენ
ბეწუკელნი, გუგუდანი.*)

---

*) შეძლებულთა ჯვარები ფშავში.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული კილოები მთაში („კრებული" ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით. ტფ. 1915).
2. „ ფშაური კილო (სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფ. 1920, გვ. 154—157).
3. „ ხევსურული კილო (Ibid. გვ. 162—171).
4. ა ლ ე ქ ს ი ო ჩ ი ა ვ ი ლ ი—„თეორი საყელო" და ხევსურეთი. ჟურნალი „მნათობი", გამოცემა 1928 წლის, № 3, გვ. 200.
5. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა—ფშაველი და მისი წუთისოფელი—ძველი საქართველო—ტომი II, გვერდი 277, გამოცემა 1913 წლისა.
6. ურ ბ ნ ე ლ ი—ეთნოგრაფიული წერილები. გაზ. „დროება" №№ 165—166. გამოცემა 1885 წ., №№ 232—241 1884 წ.
7. ნ. ურ ბ ნ ე ლ ი—ეთნოგრაფიული წერილები—ფშავ-ხევსურეთზე, ივ. 1886 №№ 267, 268, 269, 1887 წ. №№ 8, 14, 15, 71, 72, 74, 158, 170, 171, 209.
8. ნ. ურ ბ ნ ე ლ ი—წერილი რედაქციის მიმართ (ხევსურეთზე) ივ. 1887 წ. № 159.
9. ი ვ ა ნ ე შ ი ო შ ვ ი ლ ი—წერილი ფშავ-ხევსურეთიდან. ივ. 1900 წ. № 83.
10. ფ შ ა ვ ლ ი შ ვ ი ლ ი—ფშავ-ხევსურეთი და ბ-ნი ივანე შიოშვილი (ამ უკანასკნელის შეცდომანი), ივ. 1900 წ. № 278.
11. ი ქ ა ურ ი—ერთი კვირა ხევსურეთში. ივ. 1892 წ. № 163.
12. ბ ა რ ი ს ა ხ ო ვ ე ლ ი—ცნ. ფ. 1904 წ. № 2409, ხევსურეთში.
13. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი—საქართველოს გეოგრაფია—მ. გ. ჯანაშვილის რედაქცია—გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა" ვახუშტის ხელნაწერი დედანით. ტფილისი—1904 წ.
14. ფ შ ა ვ ე ლ ი მ წ ყ ე მ ს ი—ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ვითარების შესახებ (წერილი „კავკასიაში მართლმადიდებ. ქრისტიან. აღმადგ. საზოგ." საბჭოს მიმართ. ივ. 1900 № 19)
15. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი დ ა ვ ი თ—ფშაველი და ფშაველები (ეთნოგრაფიული მიმოხილვა) ივ. 1889 წ. №№ 138, 139, 140, 177, 178, 179, 183, 211, 215; ივ. გაზ. „ივერია" 1890 წ. №№ 79, 80, 81, 82, ივ. 1891 წ. №№ 22, 24, 25, 29, 30, 31.
16. Z i n a-M i n a—ვინ არიან ხევსურები? ივ. 1898 წ. № 3.
17. N. ფშაველი და ფშაველები (ეთნოგრაფიული მიმოხილვა), ივ. 1891 წ. №№ 22, 24, 25, 29, 30.
18. ვ ა ჟ ა-ფ შ ა ვ ე ლ ა—ხევსურები (საზოგადო შენიშვნები). ივ. №№ 199, 200.
19. „ ფშაველები (მაია სხვადასხვა ჩვეულება, ცრუმორწმუნობა და ხატები) ივ. 1886 წ. №№ 34, 35, 36, 39, 104.
20. „ ლაშარობა—ივ. 1888 წ. № 174.
21. „ ფშავლების ძველი სამართალი და საოჯახო წესები. ივ. 1888 წ. № 243.
22. „ ხევსურული ქორწილი. ივ. 1889 წ. № 81.
23. „ ცოტა რამ გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე ფშავში. ცნ. ფ. 1902 წ. № 2012.
24. „ ფშავ-ხევსურეთის ავ-კარგი. ცნ. ფ. 1906 წ. № 3012.
25. ნ. ურ ბ ნ ე ლ ი—კიდევ ლაშარობაზე—წერილი ბ-ნ ვაჟა-ფშაველას.

26. წ ე რ ე თ ე ლ ი ვ ა ს ი ლ —ფშავეთი—ივ. 1903 წ. № 237.
27. N.—ხევსურების ჩვენება იმათ მიწა-წყლის შესახებ კავკასიის კედის იქით. კრებული № 6 1871 წ.
28. მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს ე რ. „ფშაური წაწყლობა და ხევსურული სწორფრობა". გამოცემა 1925 წ. ტფილისი.
29. ბ ე ს. გ ა ა ბ უ რ ი—ხევსურული მასალები,—პროფესორ შანიძის რედაქციით. გამოცემა 1927 წ. ტფილისი.
30. ხ—ძ ე—თუშ-ფშავ-ხევსურეთის ცხოვრებიდან. დრ. 1866 წ. №№ 37, 38.
31. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი დ.—სცენები ხევსურთა ცხოვრებიდან. ივ. 1903 წ. № 135.
32. „ ლუდის ხდიაა და ზმარების საქმე ხევსურეთში. ივ. 1903 წ.
33. „ ხევსურთა შორის (როგორ ეგებებიან და ატარებენ ახალი წლის დღეებს), ცნ. ფ. 1902 წ. № 1687).
34. „ ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი. ცნ. ფ. 1901 წ. №№ 2506, 2509, 2656. 2660; 1904 წ. №№ 222, 223, 266.
35. აკად. ბ რ ო ს ს ე—ა ლ ეოგრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკოსისა ბროსეტისაგან. ს.-პეტერბურგი—1842 წ. b) Description geographique de la Georgie par le Tsarevitch Vakhouchi publiée D'Aprés L'original Autographe par M. Brossel, S.-Pelersbourg.
36. ს უ ჯ ა შ ვ ი ლ ი მ ი ხ ე ი ლ—ხევსურეთი—გაზ. „კომუნისტი"-ს ყოველკვირეული დამატება „დროშა" № 4, გამოცემა 1926 წ. ტფილისი.
37. ვ ე რ ა ბ ა ო დ ა ვ ე ლ ი ძ ე—ლომია—ბავშის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში. საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტომი IV—1927. ტფილისი—1928 წ.
38. Г е л в о к Э л л и с—Мужчина и женщина—этюд о вторичных половых признаках человека—перевод с английского, издан. 1898 г. С.-Петербург—1-я глава, стр. 10—11—206.
39. Т. М е й е р-Ш т е й н е г (Иен) и проф. К. З у д г о ф (Лейпциг)—История медицины, перевод. со второго немецкого издания—стр. 4—5—6—7—8—9—10—11—12—13 до 33. Издание 1925 года. Москва.
40. И. И. М е ч н и к о в—Сорок лет искания рационального мировоззрения—изд-во „Научное слово"—1913 г. Москва.
41. М. П л а т е н—Новый способ лечения—том IV.
42. Проф. Н. П. Т р и н к л е р—Основы современного лечения ран—Харьков 1926 г.
43. Проф. ნ ა თ ი შ ვ ი ლ ი—ადამიანის ნორმალური ანატომია—ტფილისი. მესამე გამოცემა—1926 წ.
44. А. В н я с н і в с ь к и й—Про Хевсурів—„Східний Світ"—№ 3 (9), стр. 147 изд. 1929 г. Харьков.
45. М а к с и м К о в а л е в с к и й—Закон и обычай на Кавказе. Том II, глава II-я, ст. 62—Пшавы, их религиозные суеверия, общественное устройство и юридический быт. Народное право Хевсур и Тушин—ст. 102, глава III. изд. 1890 г. Москва.
46. Гр. У в а р о в а—Пшавия, Ховсурия и Сванетия. Период. изд. „Кавказ". 1895—стр. 195, часть III—Москва.
47. З и с с е р м а н А.—Очерки Хевсуретии, газ. „Кавказ" №№ 22—24, 1851 года.
48. Х у д а д о в Н. А.—Заметки о Хевсуретии. Т. XIV, выпуск первый, 1890 г. Тифлис.
49. В. П. П о ж и д а е в—Горцы Северного Кавказа—Ингуши, Чеченцы, Хевсуры, Осетины и Кабардинцы. Краткий историко-этнографический очерк. 1926 г. Москва.
50. Р а д д е Г. И.—Хевсурия и Хевсуры— З. XIV. 2.
51. Э р и с т о в Р. З.—О Тушино-пшаво-хевсурском округе. З. III. Извлечение из этнографических очерков г. Урбнели (груз. газ. „Дроэба" и „Иверия").—О Хевсурах. Зап. XIV, в. 1.
52. В. Б. Ш к л о в с к и й—Белые Пятна—Хевсуретия—жур. „Огонек", 1929 год 6 октября—№ 39 (339).

53. В. Б. Шкловский—По Хевсуретии—„Заря Востока“ 13 августа 1929 года.
54. Гурко-Кряжин В.—Поездка в Хевсуретию, газ. „Заря Востока“, №№ 1555, 1557, 1583, 1585. 1927 г.
55. Кавказские развесистые клюквы, газ. „Заря Востока—№ 27 1928 год.
56. Хевсуры. Изд. 1928 г.
57. Заметка о монографии „Хевсурия и Хевсуры“ помещенном во 2-м вып. кн. XI Зап. отдела. Опечатки и поправки к монографии „Хевсурия и Хевсуры“. Кн. Р. Эристова—кн. XIV, вып. первый 1899 г.
58. А. Я. Камараули—Хевсурия—1929 ᲬᲬ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ.

უმთავრეს შეცდომათა გასწორება

გვერ-დი	სტრიქონი ზეით-დან	სტრიქონი ქვეი-დან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
5	19		დასავლეთით უძილაურთას,	ჩრდილოეთით უძილაურთას,
18		6	შამქთარი	შაშხდარი
19	1		მომავლეთ	მოვავლეთ
24		19	ხეთასი ათასი	ხუთი ათასი
21	4		(limplidenitis)	(limpliadenitis)
34	23		ქოსტი	სოფ. ეკმოსტი
37			სურ. № 9 შეცდომითაა მოთავსებული ამ გვერდზე	უნდა იყოს მოთავსებული მე-8 გვერდზე, ე. ი. იქ, სადაც ფშაური ბინების აღწერაა.
39	10		აურის ჩალა,	აური, ჩალა,
45		11	**ბეჭზე**	**ბეჭზე**
52		3	გარიერაკდს	გარიერაკდა
57		8	„5) კვლია"—შეცდომითაა მოთავსებული მკაევთა ჯგუფში	უნდა იყოს მოთავსებული ერთი სტრიქონით ზემოთ, ტკბილთა ჯგუფში.
„		13	ანატომიური შენგბითი	ანატომიური შენებით
„	1		ფშავ-ხევსურეთის . . . . . ანათადი.	ფშავ-ხევსურეთის . . . . . ანათალი.
„	2		-ბოკონიკ)	-ბოკონიკა).
„	3		**საჭმელე ბალახები ხევსურეთში**	**საჭმელი ბალახები ხევსურეთში**
58		1	მამაკაციარ არის	მამაკაცი არ არის
„		5	ფშალების	ფშავლების
„		8	ისეთივე	ისეთივე
59	3		ხეესურეთის	ხევსურის
„	5		უმცირესობასა	უმცირესობისა
60		1	ნახევარ წელიწადს.	ნახევარ წელიწადს უკმე დღეებში ატარებენ.
63	21		მარჰე	მარხე
64	1		შატილ	შატილი
66			სურ. № 23, მე-5 სტრიქონი ქვემოდ—თასების ბაედი.	თასმების ბანდი.
67	9		(m. frontaeis) 2)	(m. frontalis); 2)
„	20		(duber parietalis)	(tuber parietalis)
„	22		(dub. front)	(tub. front)
„		13	Sut. Nasofron-mamdigulaei-ს	Sut. Nasofron-mandibulae-ს

გვერდი	სტრიქონი ზევიდან	სტრიქონი ქვეიდან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
67		14	porusacuse	porus acust
71	14		მიწმაოს	მოწმაოს
„	16		ვეხის წყალზე	ვეძის წყალზე
„		8	მისავლელი გზა	მისაევალი გზა
72		7	60, 80 და 100	10, 20 და 60
75		2	ინატორის	ანატორის
77	2 ‡ 23		(ჭიმლის კლდე)... ჭიმლა	(ჭიმღლის კლდე)... ჭიმღა
78	7		პირში შველამა	პირშიშველამა
„	8		შიშნ	შიბნ
„	9		მოინადირენ	მოვინადირენ
„	13		ჯიხესა	ჯიხვსა
79	4		ნშახვდა	შახვდა
80		6	წაჯდესა".	წახდესა".
81	11		სარქვლები	სარქველები
82	23		შექმნა	შაქმნა
84	5		მთეურ	თემური
86	16		მოვიყვათ	მოვიყვანთ
88			სურ. № 31 წარწერაში: ხევსური შინაური დასტაქარი გუგუა ჭინკარაული,	ხევსური შინაური დასტაქარი გუგუა ჭინკარაული თაეისი სადასტაქრო იარაღით.
91			სურ. № 33 წარწერაში: დასტაქარი მკურნალი გიგია ლიქოელი (განსაკუთრებით ნატვიარის მკურნავი)	დასტაქარი გიგია ლიქუელი (განსაკუთრებით ნატყვიარის მკურნავია).
97	27		(gyrus centralce posterier)	(gyrus centralis posterior)
„	17		ფსიქომოტორული ცენტრობი	ფსიქომოტორული ცენტროები
98	6		არა შუბლის მარცხენა მხარეზე, იქ სადაც ზემო თეემის ნაწილაკი	არა შუბლის მარჯვენა მხარეზე, არამედ შუბლის მარცხენა მხარეზე. იქ. სადაც ზემო თხემის ნაწილაკი
105	5		**თვალსაზრეით**	**თვალსაზრისით**
112		3	....უკანასკნელ მარცვლები, რომლებიც გადავარდება....	წაშალეთ (ზედმეტად არის ჩართული)
113	1		ლია	ღია
„	3		გასწვდეს	მისდევდეს
„	7		მარცხალი	მარცვალი
„	16		(ნ. სურ. № 32)	(იხ. სურ. № 42)
„	19		იგი	მას

გვერ-დი	სტრიქონი ზევი-დან	სტრიქონი ქვეი-დან	დაბეჭდილია	უნდა იყოს
113		2	**ხაუპატიო ადგილახ დასჭრა.**	**საუპატიო ადგილახ დაჭრას.**
„		4	ხევსრრმა	ხევსურმა
„			შენიშვნა. მე-3 სტ. ქვემო-დან: ამასე	ამაზე
114		2	თავდაკჭრილობას	თაედაკჭრილობას
„	5		შეძლშბულ	შეძლებულ
„	12		თავმო ვარეობა	თაემოყვარეობა
„		7	სიკვდსლი	სიკვდილი
115		13	გადადგმრლი	გადადგმული
„		6	ა ო ზ ი თ ი	ა რ ბ ი თ ი
116		8	ოსპობილი	მოსპობილი
117	12		მოჭხლა	მოჭხკლა
„		17	**გევსშრული**	**ხევხურული**
119	14		შემსუკა	შეიმსუბუკა
120	5		დანიევნა	დანიშვნა
122	13		სადღე-საწ=ფლო	სადღესასწაულო
124		10	მთელ ხალხში	მთიელ ხალხში
125	12		რო-	რომ
126	6		პატარძლს	პატარძალს
127		17	უფლებმს	უფლებას